ռկբ. K 9400/3

# კალმასობა.

თხ.ზ. იოანე ბატონი-შჳლისა.

ქართჳელთ-იმერთ საზოგადოების მონდობილობით

გამოცემული

«ცისკრის» რედაქციისაგან.

ნაწილი პირველი.

---

ტფილისი.

კერესელიძის ტიპოგრაფიაში

1862

იც 8 K 9400/3

70541

Печатать позволяется.

Г. Тифлисъ, 7 февраля, 1862.

Ценсоръ Кайтмазовъ.

## კალმასობა.(*)

> ერთი. არცარა ჩუენ წინაპართა იცოდნენ რა-
> იოანე ჭკლა-მჯლი. ამ ქუეყანას რაც გაე-
> წყობოდა, ისინივე გვყობდნენ ჩუენ საქმი-
> თაც და ყაყაცობითაც. კალმასობა.

ხალხი, რომელიც მაღალის ნიჭიერებითა არის შემკული, რომელსაც ისტორიულის ცხოვრებით უცხოვრია, და მრავალი განსაცდელი გამოუცდია, ის ხალხი უბედურების ჟამს აღმოიჩენს ნების და ხასიათის მაგრასა. ასე დაუძლეველობა ბუნებასა და ამის მაგალითებს გვიჩუენებს თვით ისტორიაც.

ამ-გუარ ხალხთა შორის უნდა შეირიცხოს ჩუენი ქუეყანა. მეცამეტის საუკუნით საქართველო დაუცხრომელს ურვაშია. მონგოლთ შემდეგ-ომას ამდეოთეენ თურქნი, სპარსნი და ლეკნი. ის იყოფება სამ სამეფოდ და ხუთს სამთავროდ, რომელთა შორის სისხლდება გამართა. უპირატესი მაზრა ზემო-ქართლი ანუ საათაბაგო ხრულებით წაგვერთმევა, ასცდება შინაური აღრეულობა, ერთი-ერთმანეთის მტერობა, ტყვეთა ტაცება და გასყიდვა-ადამიანის მოსაშორებით, საქართველოს ბოლო უნდა მოეღებოდა: შესანიშნავი კერძ-

---

(*) ეს სტატია იყო დაბეჭდილი წელსა **1861**, აპრილის ცისკარში, და აქ წინასიტყვაობად შემოვუტანეთ სიტყვა-სიტყვით. რედ. გ.

ობოლნი პირნი უნდა განწვალილებულიყვნენ; მთელს ხალხს დაეკარგა სულის ძალა; სარწმუნოება შერყეულიყო; მიდრეკილება სწავლისადმი გამქრალიყო; სიტყვიერება სრულებით დაცემულიყო. მაგრამ არა,- თავისუფლების მოყვარეობა და სულის სიმტკიცე მუხლადგანვე შეადგენდენ ჩუჱნის ტომის უპირუჱლესს ღირსებასა, და ეს იყო მიზეზი, რომ ამერ-იმერნი არას დროს არა ვის არ დაჰმონავებიან. თუმცა მტერნი მრავალ-ჯერ სძლევდნენ და დაიპყრდნენ საქართუჱლოსა, მაგრამ სანგრძლივსა აქ დაფუძნებასა ვერა ჰბედავდნენ, რადგანაც კარგად იცოდნენ, რომ ქართუჱლნი განცოლვილნი მთების სიმაგრეებში, მოსვენებას არ მისცემდნენ იმათ. თუმცა ჩუჱნი ქუჱყანა უკანასკნელთ მეჩვიდმეტე და მეთვრამეტე საუკუნეებში აურაცხელს ბედკრულებას მიეცა, ვინამც წარსულს საუკუნეებში, მაგრამ ამასთანავე ის აღმოიჩენს მრავალთა სამაგალითო ღირსებათა. აღმოგვიბრწყინდებიან წარჩინებულნი მეომარნი, შესანიშნავი მწერალნი, და მიმზიდაობა სიტყვიერებისადმი. სარწმუნოება შეურყეველად ჰსუფევს. მთელი ტომი-თავად აზნაურობა და დაბალი ხალხი არ დაუვარდებიან ერთი-ერთმანეთსა ბრძოლაში მამულისათვის. ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ სასიკუდილოდ იღუწიან, მაგრამ სასოწარკვეთილებას არ მიეცემიან. ისინი გვიჩუჱნებენ ნამდვილს ახოვანებასა და სასწაულებრივთა საქმებითა; ისინი გაკჳრებაში მოიყვანენ მტერთაცა და ევროპიელთაცა, რომელთაც საკუთარის თვალით უნახავთ იმათი მოღვაწეობა. გიორგი XI, ქართლის ბატონი, მირვეისს რომ ებრძოდა ავღანისტანში, ერთი დედაკაცი, რომელმაც ქმრის სიკუდილი იძია 80 ავღანთ მოკლვით საკუთარის ხელით, ამათი საქმები

აგვიწერა ერთმა იეზუიტმა კრუზინსკიმა, აგრეთვე ევროპის ავტორთა დაგვიტევეს ცნობანი შემდეგთა ასოვანთა პირთა ზედა; გიორგი საკაძეზედ და იმისს შვილზედ, თეიმურაზ მეორეზედ და ირაკლი მეორეზედ. ვის არ მოსმენია, რა სიტყუა წარმოსთქუა ფრიდრის-დიდმა? შესანიშნავი პირი ამ დროებსა ერთი მე ვარო, მეორე ირაკლიო. თვით რუსეთის იმპერატრიცა ეკატერინე მეორე გასაოცარ მეომარ პირად წარმოადგენს იმას მიწერ-მოწერაში ვოლტერთან. ვის არ ამოუკითხავს, რომ სპარსთა და ოსმალოთაგან ირაკლი იყო წოდებული „აშვებულ ლომად," რომ მაჭ-ნადირის სიკუდილის შემდეგ შიშობდენ, სპარსეთის ტახტი ირაკლიმ არ დაიჭიროსო? რამდენჯერ მომხდარა, რომ **2000** ქართველთ წყობასა **20,000** მტერი სრულებით უძლევიათ! სარწმუნოება?... მთელი ქუეყანა იყო განცვიფრებულ ჩუენ წინაპართ სიმტკიცითა სჯულზედ და დაცვთა თჳსის აღსარებისა. მოვიგონოთ, რომ უპირუწლესი რუსეთის მღვდელ-მთავარი, მოსკოვისა მიტროპოლიტი ფილარეტი, რუსეთის მართლ-მადიდებლობის დასამტკიცებლად უჩუენებს ჩუენ ეკკლესიასა, რომელიც შეურყეველად ჰგიებს მოთიზის საუკნით: როდესაცკი უჯეროება რამ შემოერეოდა ქართულს ეკკლესიაში ანუ ზნეობით-წესდებულებაში, ყოველთვის მღუდენი მოიწვევდნენ კრებათა, და აღმოჰხოცავდენ უწესოებათა. უკანასკნელი კრება იყო ირაკლის დროს. ვერც მეცადინეობა მაჰმადიანთა, ვერც მეცადინეობა კათოლიკთა, ვერ შეიძლებდნენ ჩუენის სარწმუნოების შერყევასა. ფრანცუზის მწერალი შარდენ გვიამბობს; რომ როდესაცკი სპარსნი კელ-ყოფდნენ მეჩეთის შენებასა ტფილისში, ი-

მათ ქუეშით ფარჩე ამოჭიმულნენ ქალაქის მცხოვრებნი-მოქალაქენიც, რომელნიც განიცდიდნენ საქართველოსათვის თვით ე-რაზის დროს კეთილდღეობისა ძლიერი 1, რომელსაც ის დასწ-ამეს კეთილიყო ელისაბედის მიუღებიეს. არა რაჲ მისწრაფ-ება არ მიეცნებოდა ქართველთა, რომ მსწრაფლობით არ ეძ-იებათ თავისით მონასტრებისათვის პოლიტიკისა და საბერძნე-თში. ჩვენში მამანი და დედანი, ისრაელთა ტომნი, დაუფ-ლებელნი შესრულებისათვის თავისით მოქმედებისა ურიცხვ-ლით, მამის რომელიც ეკრძალვით ქრისტიანენი დიდად მომ-ობდნენ მასწავლე მოსწავლისა სულიერისათვის მრავალთა ქართ-ველთა მოყვასისათვის, რომელნიც ყოვლის ზოგჯერ სიკვდილით ქრისტიანეთ წამებისა მოღვაწეობით კეთილდღეო-ლის ქვეყნის სიკეთით საქმეთა. დაუმტკიცებელი არსე-ბოდა იმისი ტანჯვა, რომ თავი [illegible] მისსაოცრად თავისუფალ არ მოძლვრებელ და იმავე დაწყლულებით არ ეწყოთ. იმ დროსვე შეიერთეს მოსვლის მორის მეფენი ასწილ და ლაშქრის, თავისი მონასტრის ჩრდილოეთისკენ, ეკლე-სიაში და მღვდელ ქმნის [illegible] მეფემდი.

დღემდის სამზღვრამ ტკბილად ვერ განაქარვა ქართველებში ტკბილის და სწავლის მოყვარება. ვიცით რა მეფეთაგან და მეცნიერება მათის ორი ვარით, ვითარცა და სასულიერო მოქ-რუნებით, მეფისა მეფეთა და თავად-აზნაურთა ეკლესიის მეც-ნიერთა ვულისხმიერება და რიცხვეს, რომელნიც კეკასიას ადასრულდა იყვნენ წინამძღვრები. ვიცით, რა მისწრა-ფებს ჭკუანიან ამბავი, რა ეგონათ ჭკვიანებულნი იმა-თის ტყუილით, რომელიც მოიწვევდნენ, რომ ჩვენს ქუე-ყანაში დასახლებულიყვნენ! თავისუფლად მოეგებნენ, რა

ჰაკიმს უხუცესობდნენ საქართველოში მეფეთა ჰაკიმთა, რომელთაგანაც მიიღებდნენ, როგორათაც ნასწავლთა ექიმებთაგან სასარგებლო სამსახურსა და აგრეთვე მეცნიერებრივს ჴელით_მოქმედებასა. ქართველებს ჰქონდათ საკუთარი სკოლები ტფილისში, თელავში და დიდს მონასტრებში. ჩუენ ყოველთ გვიცით, რა იყო თელავის სემინარია, დაფუძნებული ანტონი პირველის დროს, გაიოზ თავამძღვრისაგან, ან ვინ იყო დავით რექტორი. ამ სასწავლებლებში მიიღეს მრავალთა თავად_აზნაურთა და სამღვდელოთა საღმრთო და საერო სწავლა. ვიცით რამდენიმე გუამნი, რომელთაც სამხედრო და არტილერიის სწავლა მიიღეს რუსეთში, და იმათის შეწევნით ირაკლიმ დააფუძნა სამხედრო ჴელოვნება და არტილერია. ერთმა ისწავლა თვით ანგლიაში: ეს იყო ბაქარ ვახტანგ მეფის შვილი; პეტრე დიდის დროს რუსეთის არტილერიის თავი იყო ჩუენი მეფის არჩილის შვილი. თვით ოსმალების ფლოტის დამარცხებელი იყო ქართველი, რომლისაც გვარი ჩუენ არ ვიცით. იყვნენ იმისთანანიცა, რომელთაც ცოდნის შესასრულებლად მიმოიარეს მთელი ევროპა და უცხოქვეყნის შემდეგ შრომა დასდეს სასარგებლოდ ჩუენის სიტყვიერებისა. ზოგნი იმათგანნი ჩუენ მიერ ცნობილნი არიან. ისინი მიიღებდნენ მონაწილეობას ბრძოლებში და ამ ბრძოლათა თჳთონვე აღწერდნენ. ეს გამოჩენილნი იმათ შორის: ფარსადან გიორგიჯანიძე, სეხნია ჩხეიძე, პაპუნა ორბელიანი, ომან ხერხეულიძე. ამ მწერალთ შრომანი დაბეჭდილებია ქართულადაც და ფრანცუზულადაც. იმათ თხზულებაში გამომეტყველებს განუსაზღვრებელი სიყვარული მამულისადმი და მინდობილება ზეციურის მფა-

ძუელობისადმი. ისეთნი მწერალნიც აღმობრწყინდნენ, რომელთაც აღმოჩინეს უპირუელესი ნიჭიერება და ვრცელი მეცნიერება, რომელთა შორის ზოგიერთთ მოიპოვეს ევროპიული მნიშვნელობა. იგინი არიან—ვახტანგ VI, ვახუშტი, ანტონი 1, არხიეპისკოპოსი გაიოზ, ტიმოთე გაბა-შვილი ქართლის მღუდელ-მთავარი, საბა ორბელიანი, ბესიკი გაბაშვილი. ჩუენ ყველამ ვიცით, რა შრომა არის ვახტანგის «ქართლის ცხოვრება» და მისი «სჯული», ვახუშტის «გეოგრაფია და კერძოობითნი მოთხრობანი საქართუელო-იმერეთის სამეფოებზედ და სამთავროებზედ, ანტონის მსოფლიო საგნების განმარტებანი და თარგმნილებანი რუსულით და ლათინურით, ტიმოთეს მოგზაურობა პალესტინაში, გაიოზის მრავალი თარგმნილებანი, საბას პროზა, ლექსნი და ჩინებული ლექსიკონი, და ბესიკის მშუენიერი ლექსები, დიად განვრცელებულნი ხალხში. განმეორებით ვიტყვი, რომ ამ მწერლებზედა ჩუენ ყოველთა გუაქუს ცნობა. მაგრამ იყო ერთი კაცი, რომელიც უპირუელესისავე ნიჭით იყო შემკობილი, როგორათაც მოხსენებულნი მეცნიერნი, და რომელმაც დაგვიტევა ისეთი თხზულება, რომ ამ გუარი ჯერ საქართუელოს არა ჰქონია. ჩუენ ვამბობთ იოანე ბატონიშვილზედ და იმის «კალმასობაზედ.»

იოანე იყო მე უკანასკნელის ქართლის-კახეთის მეფის გიორგის და იმისი პირუელის მეუღლის, ქეთევან ანდრონიკაშვილის ასულისა. იოანე დაიბადა **1772** წელს. ის იყო რვს წლისა, როდესაც მოუკუდა დედა. მთელი იოანეს ცხოვრება იყოფა ორ ნაწილად: პირუელი განატარა სამშობლოში, მეორე რუსეთში. საქართუელოში

იოანეს არა ჰქონია მოსვენება დიუცხრომელთ ომიანობათა-გამო. ოსმალნი, სპარსნი და ლეკნი აუწერელის მტრობით იყვნენ მომდევარნი ჩუენზედა: საქართუელოში აღარ იყო დაშთენილი არც ერთი კუთხე, რომ ლეკების გროვა არ ყოფილიყო. იმათ იცოდნენ ყოველი ადგილის მდებარეობა და ყოველი გზები; გამოიღებოდა რა ცუდი ფროთოლსა, ისინი ჩამოიპარებოდნენ დაღისტნით და ახალციხის მხრით და დაბნევოდნენ აქა-იქა. ჩუენ წინაპართ დიაღ დიდი სიფრთხილე ემართათ. ჩუენდა სანუგეშოდ უნდა ვსთქუათ, რომ მთელი ხალხნი დიდნი და მცირენი მეომარეთ იყუნენ. თუთ ბატონიშვილები, მანამდისინ განხეთქილება არ ჩამოუვარდათ, მაგალითს უჩუენებდნენ ხალხსა და მამულის ერთგულებაში. ბატონიშვილებთა შორის პირუელთაგანი იყო იოანე. ამა შემოკლებით საქმეები, რომელშიაცა ის აღმოჩნდა ისტორიული პირად. იმერეთში დავით ებრძოდა სოლომონს, და უკანასკნელმა მოითხოვა ამერთაგან შემწეობა. ეს იყო 1790 წელსა; იქ წარიგზავნა არტილერიით იოანე, რომელმაც დაამშვიდა აღელვებული მხარე და სრული წარმატება მოიპოვა. 1795 წ. ტფილისის აღების დროს აღა-მაჰმად ხანისაგან, იოანე ახოვანად ეკვეთა აბანოებთან სპარსთა და შეაყენა იგინი. ამით იოანემ მისცა ირაკლის შემთხუევა ქალაქით გასვლისათჳს. ტფილისით სპარსთ გუნდნი განიგზავნენ ქართლის ასაოხრებლად და აქ ლამის-ყანას იოანემ გაჰფანტა და უკუაქცია. 1796 წ. როდესაც ომარ-ხან, ნურალის შვილი და მემკვიდრე, ავარიის ხანი დაეცა მილდასა ლეკის ჯარითა, იოანემ დახშო სიმაგრე და იძულებულჰყო ომარ-ხანის ლაშქრის უკუქცევა. 1798 წ.

იოანე დირბში დაესხმის ლეკთა, მოჰსრავს იმათ სრულებით და მოუკლავს წარჩინებულს ბელადს ალი-ფოლადსა. იმავ წელსა, გიორგი მეფის ბრძანებით, იოანე დავითითურით განე-მგზავრებიან ყარსისაკენ 2000-ს კაცით, მიაოხრებენ ყიზილ-ჩახჩახის გარემო-ადგილთა და ნატყუევებით მოი-ქცევიან სამშობლოს. 1799 წ. იოანე და ბაგრატ კახე-თის წყობითა და 600-წ. რუსის სალდათითა სძლევენ ნიახურაში ომარ-ხანსა და იმისს 10,000 მეომართა. იმავე წელს იოანე და ბაგრატ იორის პირზედ ექუსის ზარბაზნითა და 2000 კაცითა, რომელნიც იყვნენ შემდგარნი კახთა და თუშთაგან, შემუსრავენ 12000 ლეკთა წინამძღოლო-ბასა ქუეშე ომარისავე, რომელსაც მიემხრება ალექსან-დრე ბატონიშვილი; ომარხანი დაიკოდება. იმპერატორი პავლე, რომელთანაც წარგზავნილ იქმნა ორი ნატყუევი დროშა, დააჯილდოებს ორთავე ძმათა, იოანეს და ბაგრატს, წმინდის იოანეს კომანდორის ორდენითა. 1800 წ. ოდეს გიორგი მეფე მიიცვალება და იმის მაგიერ პატრონობა მიეცემა დავითსა, იმისი ბიძები, იულონ და ვახტანგ გულნაკლულნი ამ განკარგულებითა, განივლტვიან მთებში და აღძრავენ კავკა-სიელთა. იმათ დაამშვიდებს იოანე.

იოანე იყო 28 წლისა, როდესაც მოუკვდა მამა. 9 მარტს 1801 წ. ბატონიშვილნი — იოანე, ბაგრატ და მიხეილ განემზადებიან რუსეთში, თან-ხლებულნი რამდენთამე თა-ვად-აზნაურთა და მოხელეთა. მხოლოდ მოზდოკში სცნობენ პავლე იმპერატორის სიკუდილსა. იოანეს ესუა ცოლად ქეთევან, ასული ზურაბ წერეთლისა, რომელიც დიდად გამოჩენილი კაცი იყო იმერთა სამეფოში. იოანემ დაჰყო რუსეთში 38 წელი და

გარდაიცვალა 15-ს თებერვალს, **1839** წ. **67**-ის წლისა იმან დაუტევა ერთი ვაჟი გრიგოლ, რომელიც მეუღლეა ბარბარე ბუკრინსკისა და რომელსაც დაშთა ქალ-ვაჟი: იოანე და ქეთევან. იოანე სცხოვრებს პეტერბურგში; ქეთევან ჰყავს საქართველოს თავადს სუმბათაშვილსა (*)

ხანგრძლივი იოანე ბაგრატიონის ცხოვრება რუსეთში არ იყო უქმი. იმან შეისწავლა რაცკი სწავლა აკლდა და აღმოჩნდა მეცნიერ კაცად. იოანემ დაგვიტევა, როგორათაც ზემოდ გვსთქვით, შესანიშნავი თხზულება, რომელსაც ეწოდება «კალმასობა» — (კალმასობა ჰნიშნავს პურისა და ღვინის მოთხოვნასა მონასტრისათვის კალოობას და რთველში) რომელიც განიყოფება ორ წიგნად.

ჩვენ ხელშია მხოლოდ პირველი წიგნი, თვითქმის ოთხასის სრულის ფურცლით შემდგარი, რომელიც შეიცავს მთელს მეთვრამეტის საუკუნის ამიერთა ქვეყნის გამოხატვილებასა და მსოფლიო მეცნიერებათა.

«კალმასობაში» თავდაპირველადვე, ესე იგი **1798** წ. ავტორს გამოჰყავს საკალმასოდ ქვაბთა-ხევის მონასტრის იპოდიაკვანი იოანე ქალაშვილი. ქალაშვილი მიუდგება ამ საქმესა თავისს წინამძღვრის დოსითეოს ფიცხელაურის ბრძანებითა, რომელიც შემდეგ იყო არხიეპისკოპოსად და რომელზედაც მოჰსმენია თეთრეულს ქართველსა. იოან ქალაშვილმა მიიღო სწავლა თელავის სემინარიაში, სადაც მიზარდბულიქმნა თვით იოანე ბატონიშვილისაგან და რუსული ენაც იცოდა, რადგან რუსეთში დაჰყო მრავალი წელი. ის იყო

(*) ქეთევანის გარდა დაშთა კიდევ ქალი, რომელიც იმყოფება პეტერბურგშივე. რედ. გ.

აზნაურთაგანი, ქიზიყის მხარიდგან, სოფლით ვაქირით. განემგზავრება რა გორისკენ, იპოლიაკუანი ძლოყსის მინდორში შეჰხვდება ერთის გორის მცხოვრებთაგანსა, ზურაბ ლამზარაშ-ვლისა და ეს ორნი პირნი ერთი-მეორეს ალარ მოჰშორდებიან. ზურაბ არის დიალ სასიამოვნო მოუბარი და საკვირველი ოხუნჯი. იოანე და ზურაბ მოივლიან მთელს ქართლსა; აქედგან წავლენ კახეთს, ქიზიყს და შემდეგ მიჰმართებენ სომხეთისაკენ, საიდამაც უკუ-იქცევიან ტფილისში. ამ სოფლები, სადაც ჩუენნი მეკალმასენი მეკვლენ: ხიდის-თავი, სკრა, სვედურეთი, კარელი, ტალა, ხაშური, სურამი, ვაგანი, რუისი, გორი, ცხინვალი, მეჯუირისხევი, ტალა, მუხრანი, მცხეთა, მარტყოფი, ხაშმი, თელავი, ლალისყური, ალვანი, ენისელი, საბუე, შილდა, ყვარელი, ფამაანი, ველისციხე, გურჯაანი, ზირკოკი, კარდანახი, ვაქირი, სიღნაღი, მანავი, ყარაბულახი, ნორიო, მარაბდა, საბოზკური, ბორჩალო, ახტალა, მისხანი, სანაინი, ახფათა, სადახლო, ყულარი, ბაიდარი, დემურჩასალი, ვამლოვანი, ტფილისი. ამ მოგზაურობაში იოანე ჯელა-შვილი ხშირად გამოგვიხატავს ადგილობრივთ მდებარეობათა, იმათის მცენარეების თვისებათა, აღგვწერს სხუა და სხუა შენობათა: ვრცლად გვანბობს ტფილისზედ და მცხეთაზედ; გვაცნობს ხალხის ხასიათსა და ჩუეულებათა. ჩუენ დიალ ადვილად მივჰხვდებით—სად არის ჯელა-შვილი და ვის ემუსაიფება, მივჰხვდებით, რომ აქ ეს არის ქართველი, ეს კახელი, ეს ქიზიყელი და ეს თუში ანუ ფშაველი; ამას ცხოველად გვიხატავენ იმათის ენის გამოთქმა და საუბარი, მიხვრა-მოხვრა და ზნეობითნი თვისებანი. თვითქმის არ არის არც ერთი იმ მხარეთ გუარი, არც ერთი შესანიშნავი მეთუჯრამეტის საუკ-

უნის პირი, რომ არ იყოს გამოყვანილი. «კალმასობაში» ხშირად არიან ნაჩუენებნი ქართთა შთამომავლობა და იმათი ისტორიული სამსახური, ადგილი იმათის ცხოვრებისა, და იმათი სასაფლაოები. აჲ რა პირნი არიან გამოყვანილნი: მღუდელი კლიმორიძე, ვიღაც ანდრია სალოსი, გიორგი და ნიკოლოოზ ციციშ-ვილები (ნიკოლოოზ თელავის სემინარიაში იყო ნასწავლი), ლევან აბაშიძე და პაპუა ორჯონიკიძე, მამუკა ხიდირბეგი-შვილი, ქაიხოსრო მურვანი-შვილი, მიმბაში-ამირეჯიბი, მიტროპოლიტი მროველი, მამაცაშვილები, მახაბლები, გიორგი და გოდა ამილახვრები, გიორგი ქსნის-ერისთავი(*) იოანე მუხრანბატონი, ზაალ ზურაბა-შვილი, რუსთველი, ნათლის-მცემლის უდაბნოს წინამძღუარი, დავით რეკტორი ალექსიძე, ქაიხოსრო ჩოლოყა-შვილი, იოანე ჯიმშერი-შვილი, ცისკარა-შვილი, გიორგი ავალი-შვილი, დიდოს მოურავი დიმიტრი, მღუდელი ზაქარია ლალის ხანი-შვილი, ნოდარიანები, ელეფთერ მოხელე, სულხან მდივანბეგი, ზაქარია ანდრონიკა-შვილი, ნუნია ერისტო-შვილი, ანჯოქ ბებურიშ-ვილი ქელა-შვილები, დოსითეოს ფიცხელაური, ბოდბელი ნინო წმინდელი, არსენ ტფილელი, ეკატერინე ყაფლანი-შვილის ქალი, ჩოლოყა-შვილის ცოლი, მღუდელი პეტრე ლარაძე, ირაკლი მეფის მასხარა ოთარიკა ნორიელი, მღუდელი ქრისტესია გიქერა-შვილი, რომელსაც მოევლო ეგვიპეტი, იერუსალიმი და როდოსი, იარალი მანმია-შვილი, (**) ზაალ ორბელიანი, ნიკოლოოზ ორბელიანი, ჩუსტია ბაზიე-

---

(*) ესე იგი ეგორ-ევსევიჩი, ანუ გიორგი-უკნიაზი. რედ. კ.

(**) რომელიც დიდხანს სცხოვრებდა პეტერბურგში ბატონიშვილებთან და მოკლე ხანში მიიცვალა. რედ.

რთუხუცესი, მღუდელი ცოფურა-შვილი, ახტალის ეპისკოპო-
სი იოაკიმე, სოლომონ არღუთა-შვილი, ასლან ორბელიანი,
მღუდელი იოანე კალაუბნელი, ომან ხერხეულიძე, თამაზ
ორბელიანი და იასტოსი, კოსტანტინე მუხრანბატონი, აარონ
და სოლომონ ალექსიძეები, ვიღაც მეცნიერი პრუსიელი იოსებ
იაკოვლევიჩი, ტფილისის პატრი ანდრია. ხან-და-ხან ერთნი და
იგინივე გამოჩენილნი პირნი შეეხებიან რამდენჯერმე სხუ-
და-სხუა ადგილს. «კალმასობაში» გაიცნობთ მამინდელთ
შესანიშნავთ ექიმებთა: იოანე ყარამშვლის (*) და თითულას,
აგრეთვე იმათის ექიმობის თვისებათა; გაიცნობთ გან-
თქმულთ მოლექსეთა და მესაკრავეთა: ალავერდისა და საათლ-
ამასა, აგრეთვე საეკკლესიო მგალობელსა ლეონტი სალალა-
შვლს; შეიტყობთ, სად იყო სასწავლებლები და რა იყო
ან რაგვარად იყო დაფუძნებული თელავის სემინარია, რა
ხასიათის და ცოდნის კაცი იყო დავით რექტორი. ამ
შკოლაში თვით იოანე ქალა-შვილი გამოსცდის ეგზემენით
მოსწავლეთა, რამდენთამე გარეშე პირთ დასწრებით. «კალ-
მასობაში» ამოიკითხავთ — რა გვარი ცხოვრება ჰქონდათ ქა-
რთველთ მეფეთა, რა შემოსავალი ან რა მამული ეკუ-
თუნოდათ მონასტრებსა. — საუბარი იოანე ქალა-შვილისა სავსეა
ზნეობითის აზრებით. იმისი ქადაგებაები შეიცავს ისტორი-
ულთა და პოლიტიკურთა სწავლათა: ერთს დროს დაიწყებს
ლაპარაკსა აღზდაზედ და იმის საჭიროებაზედ, მეორე დროს
იტყვის ბატონ-ყმობაზედ — რა გვარი ერთგულება ჰმართ-
ებთ ყმათა იმათ ბატონთადმი, როგორ უნდა ეპყრობოდნენ
მებატონენი ყმათა და რა მზრუნველობას უნდა მიაგებდნენ

(*) გარდაიცვალა ამ ცოტა ხანში. რედ.

იმათ. იოანე გვიამბობს, როგორ იყუნენ ერთი-ერთმანეთთანა ქართუწლნი და სომეხნი, რა მიზეზი იყო იმათის განხეთქილებისა, რაში მდგომარეობდა ქართველთ-სომეხთ სარწმუნოებრივნი ცჳლილებანი, და ან თჳთ იმას რა აზრი აქჳს ამ საგანზედა. ერთის სიტყჳთ, ჩუენ ვხედავთ «კალმასობითა», რა ხარისხზედ იდგა ზნეობა და ცოდნა ჩუენთა წინაპართა. იოანე არსად არ ჰშიშობს სიმართლის და ჭეშმარიტების წარმოთქმასა. რა-საკჳრველია, ამას ბევრი არ მოუწონებს, მიზეზიც ეს არის, რომ უბედური იპოდიაკვანი მოითმენს ხან შეურაცხყებასა, ხან განდევნასა, ხან ცემასა; მაგრამ ბერი არასოდეს არ მიეცემა სასოწარკუეთილებას და არც დასცხრება.. «კალმასობაში» არიან წარმოდგენილნი — მეფე ირაკლი, იმისი ხასიათი და ცხოვრება, იმისი შვილები და შვილის-შვილები: გიორგი, იულონ, თეიმურაზ, ვახტანგ, ალექსანდრე, დავით; იოანე და ბაგრატ; არიან ნაამბობნი მამინდელნი ბრძოლანი ოსმალებთან, სპარსებთან და ლეკებთან: სად რა ბრძოლა მოხდა, რა გუარად იყო საქმე, როგორ გათავდა, ან ვინ იყუნენ წინამძღომი და მონაწილენი, რა იყო ხალხის განსჯა იმაზედა. აქ ვხედავთ მოხელეთა, მოურავებთა, მდივანბეგებთა, ეშიკაბაშთა, სარდართა. აქ შეჰხუდებით ბაბამ ვეზირიმესა, რომელმაც დიდი სამსახური მიაგო ირაკლისა დესპანობით ანუ ელჩობით სპარსეთის შაჰ-ქარიმხანთან და ოსმალეთში; შეჰხუდებით გარსევან ჭავჭავაძეს და იმის ამხანაგთ დავით ჯიმშერი-შვილს, გიორგი ავალი-შვილს, ელიაზარ ფალავანდი-შვილს და იმათ თარჯიმანს სერგი ლაშქარი-შვილს, რომელნიც რუსეთს გაიგზავნენ მოციქულებათა: თქუენ იცით, რა რჩევა იყო ამ საგანზედ სასახლეში, რა ინტრიგე-

ქცია მიეცემათ დესპანთა და რას შეიცავდა ცრაკცაცი, საქართველოში რომ წინა-დაუდო რუსეთის მმართებლობასა. თქუენ დაესწრობით გიორგის ტახტზედ ასვლასა, იმის შემდეგ დავითის მოადგილობასა. თქუენ სწუხართ და გულ-მტკივნეულობას გრძნობთ, როდესაც ჰხედავთ ბატონიშვილების დაუმშვიდებელს განხეთქილებასა ერთი-მეორესთანა და ამ შემთხუევისაგამო საქართველოს ჭმუნვასა; თქუენ წარმოიდგენთ ჩუენის ქუეყანის ძუელის აყვავებასა და შემძლებლობასა, ოდესაც იგი კასპიის ზღვით ვიდრე შავზღუამდე, კავკასიის ქედით ვიდრე სპარსეთის საზღურამდე ერთს მჭიდროდ-დამყარებულს სამეფოს შეადგენდა. შემდეგ თქუენ მოიგონებთ—ეს მშუენიერი სამეფო როგორ ცოტ-ცოტად ილიოდება და ირღუევა; თქუენ ჰნუგეშობთ მხოლოდ იმით, რომ ამერ-იმერნი არა ჰკარგვენ არც თავისს ხასიათის მალასა, არც მიდრეკილებასა მეცნიერებისადმი, არც სარწმუნოებრივს და ზნეობითს სიმტკიცესა; თქუენ გეხსნებათ გული, როდესაც ჰხედავთ ბრწყინვალე პირთა, რომელნიც მამულის-სიყუარულითა, სიმხედრო ასოვნებითა და ყოველ-გუარით მოღუაწეობითა განაცვიფრებენ აზიის თუ ევროპიის მფლობელთა და ხალხთა...

«კალმასობა» დიად შესანიშნავია მხოლოდ სწავლით განმარტებითა. ზემოდ ვსთქვით, რომ არ არის თვითქმის მეცნიერება, რომელსაც არ შეეხებოდეს იოანე. უჩუენოთ შემოკლებით თვითეულის მეცუე; შექმნა ქუეყნისა, ღმერთი და იმის თვისებანი, საღმრთო-წერილი როგორც ნაწილად განიყოფება; იმისნი მწერალნი წინასწარმეტყუელნი, მოციქულნი, ძუელი აღთქმა, ათი მცნება, ახალი მცნება,

ცხრა ნეტარება, შჳდი საიდუმლო, ანგელოზნი, მათნი მოვალეობანი და ხარისხნი, ეშმაკნი, ხატნი, მიზეზი მათის გარდამოყრისა... მნიშვნელობა თეოლოგიისა, ბუნებითი ღუთის მეტყუჱლება, კაცი რისგან და რამდენთ ნაწილთაგან არის შემდგარი, სული, თჳსებანი, ხუთი გრძნობა, აღბეჭდილებანი ნერუჱბთაგან, მოქმედება სულისა, სმენა, შეთანასწორება საგანთა, გულის_ხმისყოფა და მგრძნობელობა, სჯა, მილტოლვა, გამოსახულება საგანთა, გონება, მეხსიერება, ნება, ძალი, ჩუჱულებანი, გუამის მოძრაობა სულის მოქმედებითა, იდეა ზნეობრივთა მოქმედებათა... სარწმუნოებანი: სომეხნი და იმათი აღსარება, დრო იმათის განტოლვისა, საგანი განყოფილებისა, განსხუავება მარხუაში, თჳთოეულნი მარხუანი, ისტორია მარხუათა, პირუჱლად როდის არიან მოცემულნი, შემდეგ როდის დაწესნენ; კრებანი, რომელნიც უარჰყოფს სომეხთა; ერთობა ბუნებისა, დამტკიცებანი წმინდათა მამათაგან — კათოლიკნი; ლიუტერი და იმისი აღსარება; რეფორმატნი, იაკობიტნი, ნესტორიელნი, თომელნი, სტაროვერნი, ფარისეველნი, სადუკეელნი, მაჭმადი და იმისი სწავლა, განყოფა წარმართთა, ცეცხლის_თაყვანისმცემელნი. ჭეშმარიტი სარწმუნოება, საეკლესიო იერარხია ანუ ხარისხნი: დიაკვანი, მღუდელი, არქიმანდრიტი, ეპისკოპოსი, არქიეპისკოპოსი, მიტროპოლიტი, კათალიკოზი, პატრიარხი; მონაზონობა: მამათ_მონაზონნი და დედათ_მონაზონნი, ძუჱლთა დროთა მონასტრები; როგორ ლოცულობდნენ ბერნი; დაუმინებელნი მონასტრები... მითოლოგია: იუპიტერი, ნეპტუნი, აპოლონი, მუზები, დიანა, მინერვა, მარსი, ვენერა, ვულკანი, ციკლოპნი, ე-

ლა, ცერერა, ბახუსი, მერკური, ვესტნი, მსოფლიო ღმერთნი, ალლეგორიულნი ღმერთნი, გმირნი, პერსეი, ბელლეროფონი, ჰერკულესი, ატლასი, კასტორი, პოლლუკი, იაზონ — კოლხიდა, თეზეი, ახილესი... შვიდნი სასწაულნი: მავზოლეი, ტაძარი იერუსალიმისა, ტაძარი დიანისი, ზღუდე ბაბილონისა, ტაძარი იუპიტერისა, კოლოსი როდოსისა, პირამიდნი და ლაბირინტი ეგვიპტისა... კოსმოგრაფია: ცა, ატმოსფერა, სამყარო, მზე, სიმორე, მოძრაობა, მთუარე, ცვლილებანი მთუარისა, სიდიდე, მოქმედება დედა-მიწაზედ. სხუა და სხუა გუარნი ვარსკულავნი: პლანეტა, ურანი, მოძრავნი პლანეტნი, კომეტა, მეტეორები, ქუეყანა, სივრცე, ფორმა, მოძრაობა, დაბნელება მზისა და მთუარისა, თორმეტნი ზოდიაქნი... ქარები: აღმოსავლეთ-ჩრდილოეთისა, წყნარი, ცხელი, სამუმი, წინათგრძნობა ქარისა... მეტალები: სხუა და სხუა გუარნი მეტალნი, ისტორია, შემოღება მანათთა, მანათების გამოხატულებანი, სხუა და სხუა გუარნი მანათნი: ქართულნი, ოსმალურნი, ეფიოპურნი, ევროპიულნი, რუსულნი, ფილოსოფიური ქვა... დრო: წელიწადი, თთუე, დღე, საათი, ყამნი წელიწადისა, დღისა და ღამისა გასწორება, არდადეგი, უდიდესნი დღენი და ღამენი, უმცირესნი; რიცხვ დღეთ წელიწადში, მიზეზი, კალენდრები — იულიანური, გრიგორიანური, რუსული, ოლიმპიადა, ეპოხა, იუბილეი, ინდიკტიონი, ქრონიკონი, ზედნადები, ნიადაგი... მატემატიკა, არითმეტიკა, გეომეტრია, ტრიგონომეტრია, დიფერენცია, უმაღლესი მატემატიკა, ფორტიფიკაცია, ტაკტიკა, არტილერია, სამხედრო იერარხია ანუ წესი... მედიცინა: მნიშვნელობა, სხუა და სხუა გუარი ექიმობა, მიზეზი სნეულებათა; ანატომია,

ფიზიოლოგია, პათოლოგია, ტერაპია, მატერია მედიკამენტისათჳს, ფარმაკოპია, აპტეკა, აკუშერობა, ბოტანიკა, ნატურალის ისტორია, რიცხჳ პირუტყუთა და ფრინველთა... მისნობა: მნიშვნელობა, ასტორია, უბედურნი დღენი თთჳსა, მნიშვნელობა თჳთოეულისა, როგორ უნდა შეიტყოს ვაჟი დაიბადების თუ ქალი, წინათ-ცნობა ცუდისა ამინდისა, მნიშვნელობანი სხუა და სხუათა მისნურთა ნიშანთა ჰაერში, ბუნებაში, პირუტყუებში და სხ... გრამმატიკა ქართული, რომელიც ვრცლად არის დაწერილი... იურისპრუდენცია: დასჯანი საქართველოში, განაჩენის ცვლილებანი, მდივანბეგობა, მისნი თჳსებანი... ენები: უშესანიშნავესი ძველი ენები: ბერძული და ლათინური, ახალთა შორის ფრანცუზული, ანგლიური, ნემეცური, ღირსებანი თჳთოეულისა, ძველის მეცნიერების ენა, ახალის მეცნიერების ენა, ბერძული. ჟამი თარგმნილობისა ებრაულით ბერძულზედ, რიცხჳ მოსეს წიგნთა. უძნელესი ენა: ჩინური. ანბანი, მეთოდები, მწერლობა, ბეჭდვა, მეთოდები, სარგებლობა, კალიგრაფია, სარგებლობა; ხელოვნება გამოქანდაკებისა... მუზიკა: ისტორია, სხუა და სხუა გუარნი საკრავნი, სხუა და სხუანი სიმღერანი; ძველი ქართული საკრავები, ფანდურობა, ისტორია, სარგებლობა, ქართული ცეკვა, ლეკური.. ბაზიერობა, თანამდებობა ბაზიერისა, სანადირო ფრინველნი, როგორი უნდა ნადირობა, სნეულებანი, სანადირო ძაღლები... პოეზიას: სანადირო ფრინველთა, ხელოვნება, სტიხი, ხორეი, ქართული სტიხები, შაირი, ლექსი, ჩახრუხაული, (ვინ იყო ჩახრუხაძე), ფისტიკაური (რუსთველი როგორ სწერდა), რვეული მეწყობილი, მოკლე მეწყობილი, წყობილი, მოკლე წყობილი, მრჩობლედი,

მრჩობლედი შაირული, შერეული, ჩახრუხაული შერეული, ჩახრუხაული მრჩობლედი, ცალკე ჩახრუხაული, მრჩობლედი ფისციკაური, მაგნაკორული, ჩახრუხაული მაგნაკორული, (იამბიკო შემოქმედელისაგან ნათქუამი), მაჯამა (თქმული დიდის მეფე თეიმურაზისაგან) იამბიკო (ვახტანგ მეფისა და საბა ორბელიანისა, ანტონ კათალიკოზისა, იოანე ფილოსოფოსისა და ნიკოლაოზ ცფილელისა), კიდურ-წყობილი (გაიოზ არქიელისა-თაყაშვილისა, პეტრე ლარაძისა, ანტონი კათალიკოზისა), ცალკე ზმითი (დარეჯან დედოფლისა, გიორგი მეფისა, ქეთევან მეფის ასულის ანდრონიკაშვილისა, მეფის სოლომონისა, მამია გურიელისა, ჭყონდიდელისა, დავით აღმაშენებელისა: (ბესიკი), ამილახვარისა, ელის ოსეს-მისა), ანბანთქება (ვახტანგ ორბელიანისა, ჩახრუხაულად ვახტანგ მეფისა), მეობის სიმღერის ლექსები (მზეჭაბუკ მდივანბეგის ნათქუამი ქეთევან ბატონიშვილის მეობაში, ნანინა, მესტვირული, (კიკაშვილისა, განთქმულისა ქართლში, რომელმაც მოასხა ირაკლის ქება) სპარსთა ხმები ქართულის ლექსებით (საათლამასი, ბესარიონ გაბაშვილისა, მისივე, ოდეს განიდევნა ქართლით იმერეთს), თეჯნიში, (ბესარიონისავე), თახმისი, (ლეონ ბატონიშვილისა), შაირი (ბესარიონისა მზეჭაბუკ მდივანბეგისთვის)... გეოგრაფია: მათემატიკური, ფიზიკური, პოლიტიკური: მონარხიული, კერძოობითნი გეოგრაფიანი: პორტუგალია, ისპანია, ფრანცია, დიდი ბრეტანია, გოლანდია, გერმანია, ბოემია, ვენგრია, შვეიცარია, იტალია, პაპის სამფლობელო, ნეაპოლი, სიცილია პრუსია: თჳთოეულის გეოგრაფია, ისტორია, მცენარებანი, ხელოვნებანი და სხუანი და სხუანი მნიშვნელობანი

ცხოვრებასა, თავისს შემთხვევათა ირაკლის სასახლეში და დადიანთანა ისეთს გასაოცარის კომიკურის სახითა, რომ შეუძლებელია დავიწყოთ იმისი სიტყუები და საუბარი, ერთის სიტყჳთ «კალმასობაში» არიან მრავალნი ქართუელნი დიდის ჴელოვნებით გამოსახულნი, ასე რომ კომიკური მწერალი აურაცხელს სურათებს ჰპოვებს პოემათა და კომედია-თათჳს. თჳთოეული პირია სიცოცხლით სავსე. ასე გგონიათ, თქუენ თქუენის თვალით ჰხედავთ, თქუენის პირით ემუსაიფებით და იცით ყოველი გარემოება იმის გუარისა და იმისის ცხოვრებისა; ასე გგონიათ, თქუენ გიცხოვრიათ თჳთ იმ დროებში. «კალმასობა» არის სარკე წარსულის საუკუნისა. ჩუენ განგებ შევამოწმეთ ისა ისტორიის თქმულებათა და არათუ წინააღმდეგობა რაჲ ვჰპოვეთ: იმით ისტორიის მოთხრობანი ბევრით შეიმსებიან. ასეც უნდა იყოს: იოანე ბატონი-შვილი არათუ იმ საუკუნოჲს კაცი იყო, თჳთქმის თჳთოეულს შემთხვევაშიაცა მონაწილე ყოფილა. რადგანაც უაღმატებულესად განათლება ჰქონია, ვინაჲც სხუათა თანამედროვეთა ისტორიკოსთა, ყოველივე საქმე უფრო დაწვრილებით და ნათლად ესმოდა. რაგუარად არიან გამო-რკვეულნი სწავლანი და მეცნიერებანი, ესეც უნდა ვსთქუათ. რაცკი საჭიროა, რომ საგანზედ ითქუას, უეჭუელად იტყჳს; თუნდა ის საგანი არ გესწავლოთ, ორის-სამის წაკითხვითა, სრულს წარმოდგენას და ცნობას მიიღებთ იმაზედა. და ეს ნაწილიაც დიალ მისახვედრია თჳთოეულისათჳს. იოანე იპო-დიაკვანი სარგებლობს ყოველსავე შემთხვევასა და ახლად გამოყვანილს კაცსა ისე დააყენებს, რომ რომელსამე საგანზედ დაუწყოს საუბარი. ფორმა არის კითხვა-მიგებითი.

გარკვევით არიან ნაჩვენებნი.

აქ რა არის «კალმასობა». ჩვენ არ გვიჩვენებია ყველა საგნები, რომელნიც ამაში განმარტებულნი არიან, ესე იგი, დიალექტიკა, მეტაფიზიკა; თვითეული მიხვდება, რა აზრით არის დაწერილი «კალმასობა». აზრი ისაა, რომ ხალხში განვრცელდნენ ცნობა საქართველოს მდგომარეობაზედ მეთვრამეტე საუკუნეში და მისთული მეცნიერებანი, რომელნიც დიდად გვაკვირვებენ. ესეა, რომ იოანე ბატონიშვილის დროიდგან სწავლას წარმატება და ცვლილება მიეცა და ამისთვის საჭიროა, რომ «კალმასობისა» ლექსიკადაში შენიშვნები გაუკეთდეს. «კალმასობისა» ენა არის მსუბუქი და ცხოველი, მიმზიდავი და ადვილად გასაგონი, როგორადაც კარგის საზოგადოებისათვის, აგრეთვე დაბალის ხალხისათვის. ჩვენის აზრით, ასეთის მშვენიერის ენით ასრანდელს დროს არავინ სწერს; მწერლის საზოგადოებისაც მცირე რამ იცოდნენ «კალმასობისა» ენით დაწერილი. თვით ცოდნი აქვს დიდად სასიამოვნო, ჩვეულებრივი საუბარი, რომელიც სწავლას არ მოჰყვება, სავსეა ნამდვილის ქართულის სიმრობით და ოხუნჯობით. ზურაბ ლამბარაშვილი, რომელიც იოანე ბატონიშვილთან მოგზაურობს, ყოველთვის მასხარობს ისე მარილიანად, რომ არ შეგვიძლიანთ სიცილი დავიჭიროთ, როდესაც წაიკითხავს ლაპარაკსა: მასხარობს თავის თავზედ, მასხარობს იონდიაკვანზედა, მასხარობს სხვათაზედა. სხვანიც მრავალნი პირნი «კალმასობაში» არ დაუკარგებიან ზურაბსა. იმათ შორის უჩვენებთ ნოროიოს მცხოვრებს თამარაშვილს, ირაკლი მეფის მასხარას, რომელსაც იოანე ბერი შეხვდება, შემდეგ დაბრუნებისა კახეთით: თამარაზა უნებობს თავისს

ის პირი ჰკითხავს, იოანე მიუგებს, აუხსნის, განუმარტებს. ყოველთვის ერთსა და იმავე საგანზედ ერთს ადგილს არ ასრულებს, რაც სათქმელი აქვს: ხან და ხან უბრუნდება, ერთთან დაიწყებს, მეორესთან დააბოლოვებს. ამას იმისთვის იქმს, რომ არ დაღალოს მკითხავი და მკითხველის ყურადღება.

როგორათაც ვსთქვთ, იოანე ბატონი-შვილი არის მაღალის ნიჭით შემკული. ჰკითხულობთ რა «კალმასობასა» თქჳენ არ შეიძლება არ მოხვდეთ განცვიფრებაში ავტორის ჭეშმარიტების მსჯელობითა, სწავლათ მეცნიერების სივრცითა, პოეტურისა და კომიკურის აღბეჭდილებითა, დაწვრილებითის ცოდნითა საქართველოს ჩჳეულებათა, პირთა და ისტორიათა· სხჳათა საქართველოს ძჳელთა და ახალთა მწერლობათა შორის ისე განსხვავდება «კალმასობის» ავტორი, როგორათაც განსხვავდება მზე პლანეტთა და ვარსკვლავთა შორის. იოანე არის ჩჳენი ჰომერი, ჩჳენი დანტე, ჩჳენი შეკსპირი... მაგრამ, ჰსმენია ვისმე სიტყჳა «კალმასობაზედა»? ამას დარწმუნებით ვიტყჳთ, რომ ოთხს კაცს არ წაეკითხოს ეს წიგნი. თჳთ ჩჳენ, ამ სტატიის ავტორმა, მხოლოდ ახლა პირველად ვნახეთ და წავიკითხეთ. ერთის ეკზემპლიარის მეტიც არსად არის. «კალმასობა» განიყოფება, როგორათაც მოხსენებულია, ორ ნაწილად. პირველი, რომელიც არის საგნად ამ სტატიისა, და ის მოეპოვებინა განსვენებულს დავით დადიანსა და შემდეგ იმისა ეშოვნა თ. ალექსანდრე წერეთელსა. მეორე ნაწილი არ წაგვიკითხავს, თუმცა ვიცით რა საგანიც აქვს: ის შეიცავს იმავე იპოდიაკვანის მოგზაურობასა იმერეთის მხარეშია და ეჭჳ არ არის, ისიც ისე მშჳენივრად უნდა იყოს

დაწერილი. მეორე ნაწილი აქვს პეტერბურგში მცხოვრებს იოანე ბატონიშვილის შვილის_შვილსა. ამასაც ვიტყვით, რომ ამ გვარს წიგნს, (რომ იმაში სწავლა და ქუეყნის ჰირნი და ისტორია_ზნეობა იყოს ამ გვარად) ვერც ერთს ენაზედ ვერა ვნახავთ, როგორათაც არც ერთს ხალხს არა აქვს თვით-ქმის, თვით ბროსსეს შემოწმებითა, ჩუენის ვახუშტის გეოგრაფიისთანა გეოგრაფია. «კალმასობასა» რომ ხაენათ ჰქონდეს სხვა ევროპიის საჴელმწიფოში და იყოს დაწერილი ფრანცუზულს ანუ ნემეცურს ენაზედ, ამაში ჩუენ ეჭვ არა გვაქვს, რამდენჯერმე გამოიცემოდა და იმ ქუეყანაში, რომელსაც ეკუთვნებოდა, თვითეულს ექნებოდა ჴელში. «კალმასობასა» უნდა მივსცეთ პირველი ადგილი ქართულს სიტყვიერებაში. «კალმასობა» ყოველს ამერ_იმერთ ხალხში უნდა იპოვებოდეს. «კალმასობით» უნდა ჩუენთა ყრმ._ქაბუკთ მიიღონ ქართულის ენის სწავლა სასწავლებლებში. «კალმასობა» არის უმჯობესი ჴელ_მძღუანელობა, უმჯობესი ქრისტომათია...

მართლა და დრო არის ვიფიქროთ ჩუენის ენისათჳს. უჩუენოთ ჩუენ რანი ვართ. ენა არის ადამიანის უპირველესი და უკეთილშობილესი ნაწილი: იმაში გამოიხატების ჩუენი ხასიათი, ჩუენი წარსული სვე, ჩუენი ღირსებანი და ნაკლულევანებანი; იმით ვართ დაკავშირებულნი ერთი ერთმანერთზედ; უიმისოდ არც მამულის სიყუარული შეიძლება და არც სხუანი მოქმედებანი საზოგადო_სასარგებლოდ. აწინდელს დროში ყოველგან გრძნობენ სამშობლო ენათ სწავლის საჭიროებასა; ყოველგან მაღლდებიან ღონისძიების მოპოებასა, რომ ენა განვრცელდეს და დამყარდეს.

მივხედოთ ჩუენთა უძუელესთა ძმათა და მეზობელთა — სომეხთა. ვიცით, რა გუარი ყურადღება და მზრუნუელობა აქუსთ თავიანთ ენისათჳს. მხოლოდ ჩუენ ქართუელნი ვართ გულ-გრილად ამ საგანზედა. ჩუენი ენა უფრო და უფრო სუსტდება. თუ ამ მდგომარეობისაგან არ გამოვალთ, საკ-მაოა ნახევარ_საუკუნე, რომ ის სრულებით დაემხოს. ვისღა შეუძლიან ჩუენში სთქუას, ენა ვიციო. განა ის ცოდნა ცოდნაა, რომ თჳთოეული ვეღარ ფიქრობს თავისის ენის კანონებთაებრ და თუ ჯერ რუსულად არ მოიაზრა, არ შეუძლიან დაწეროს რამე პირი და პირი ქართულად. ჩუენ მწერალთ სიტყუათ-ქცევანი და ფრაზებთ_წყობილებანი არიან რუსულნი. ამ ჟამად რომ ერთი მცოდნეთაგანი ჩუენი წინაპარი საფლავით ადგეს და გადაავლოს თუალი «ცისკარსა» რას იფიქრებდა? გვიცნობდაღა ჩუენ ქართუელებს?...

არც შეიძლება, რომ ასე არ იყოს. ქართული ძუელი სიტყუიერება დავიწყებაში გვაქუს; ყმაწჳლკაცობა თჳთქმის თაკილობს იმის კითხუასა. ძუელი წიგნების კითხუა რა სასარგებლო არისო, მაშინ როდესაც აწინდელი ენა დამყარებულია ძუელზედა, როგორათაც საფუძუელზედა და ენის სახლის აშენება შეუძლებელია, თუ ჯერ საფუძუელი არ დაიდო, ესე იგი, თუ ჯერ ძუელი სიტყუიერება არ მიითჳსა. მიზეზიც ეს არის, რომ ძუელი წიგნები, რომელზედაც უშრომიათ ჩუენ წინაპართა, გაბნეულია სხუა და სხუა ამერ_იმერთა სახლებში, სადაც ზანდუკებში და ორმოებში ლპება. ამას სიცრუვით არ ვამბობთ. ჩუენ თჳთან ვიცნობთ რამდენთამე პირთა, რომელთაც მამათაც მო-

ღუაწეობა დაუდვათ ძუელ წერილთ შეკრებაზედა და იმათნი შვილნი არა თუ თჳთან არა კითხულობენ, არცარაგის ასარგებლებენ, და ამისთჳს ანუ მტუერში და ნაგავში უყრიათ, როგორათაც სვანებს თავიანთი ხატები შებოლილს კოშკებში, ანუ მიწაში აქუთ დაფლული. მრავალნი თარგმნილნი სხუა და სხუა ენით და თჳთ ქართუელთაგან ნაშრომნი წერილნი ყოფილან ამერ-იმერეთში. კეთილგონიერად დაწესებულს ქუეყანაში ამ გვარი წიგნები თჳთ ქუეყანას ეკუთუნიან და იკრიფებიან ბიბლიოტეკებში, სადაც თჳთოეულის სასარგებლოდ არიან. ჩუენ ქართუელთ ეს წესი არ გვესმის. ჩუენში ძუელ წიგნებთა მეასედი ნაწილი ძლარსად არის. სხუა სულ გატანილია და დაბნეული. ვის არ გაუგონია, როგორი ბიბლიოტეკა ჰქონდა დავით დადიანსა შეძენილი ზუგდიდში. რა იქნა?... (*) რაც აქ მოვიხსენეთ, რას გვიმტკიცებს, თუ არ ჩუენს გულგრილობასა ენისადმი. აჲ სხუა ფაკტიც; საქართუელოს-იმერეთის სასწავლებლებში ასწავლიან ქართულს ენასა; ეს მართალია, მაგრამ როგორ ასწავლიან? ჯერ ერთი ესა, რომ თჳთ მასწავლებელთ ისე იციან, როგორათაც მოსწავლეთ, ამაზედ უნდა დარწმუნებულნი ვიყვნეთ; გარდა ამისა ხელთ-მძღუანელობად არის მიღებული გრამმატიკა, დაწერილი რუსულ ენაზედ რუსთ მოსწავლეთათჳს. ქართუელთ ყმაწვილთაგან ქართულის სწავლა რუსულის გრამმატიკით,— ამაზედ რას ბძანებთ?!... ან ფიქრობს ვინმე ამაზედა?

(*) ეს ბიბლიოტეკა არის ეხლა პეტერბურგში, სადაც გადიტანა დედოფალმა ეკატერინემ დავითის-მეუღლემ. რედ. ჭ.

მიაქცევს ამას საზოგადოება ყურადღებასა? ჩუენნი თავად-აზნაურნი სამს წელიწადში ერთხელ იკრიფებიან ტფილისში და ქუთაისში, კენჭისყრისათჳს თჳთოეულმა იცის. პრენცეზიები მრავალი გვესმის გუაროვნობაზედა, იმათ მომდინარეობაზედა თჳთ ქრისტეს დროიდგან, დიდ-კაცობაზედა: ჩუენა ვართ საფუძუელი მამულისა, ჩუენ ამა-და-ამ გუარის პირნი პირუელნი უნდა ვიყვნეთო, ამა-და-ამ დაბალმა თავადმა და აზნაურმა როგორ უნდა ხმა ამოიღოს სადაც ჩუენა ვართო, უნივერსიტეტის სწავლა რა ფეხებიაო... ამ გუარის პრენცეზიებით იწყობა და თავდება კენჭის-ყრა. ნამდვილი მოვალეობა სადღაა! არ განვავრცელებთ სიტყუასა: ჩუენ მხოლოდ ამას ვიტყჳთ, რომ ყურადღება ენის სწავლაზედ შკოლებში პირუელი მოვალეობა უნდა იყოს თავად-აზნაურთა და მათ მეურილობათათჳს კენჭის ყრაში... და ან რას ვერ შეიძლებს საზოგადო ხმა და მოთხოვნილება...

ასე გულ-გრილად რომ არ ვიყუნეთ ჩუენს ენაზედ, ჩუენი ძუელის წიგნებით აქამომდე რა საკჳრველია ერთი თუ ორი ბიბლიოთეკა დაეფუძნებოდა ქუთაისში და ტფილისში, და ყოველივე, რაცკი ვისმე ამ გუარი რამე დამთენია მამა პაპათაგან, იმ ბიბლიოთეკაში წარმოიგზავნებოდა. ლონის-ძიებასაც მოვისმარებდით, რომ შესანიშნავი იმ წიგნებთაგანი დაბეჭდილიყო. «კალმასობა» რამდენჯერმე გამოიცემოდა — და უფრო განვრცელებული იქნებოდა, ვინემც ვეფხვს ტყაოსანი... რაც არის არის «კალმასობა» უეჭუელად უნდა დაიბეჭდოს. ამ განზრახვით ქუთაისში შესდგა მხურუელთაგან ქართული ტრუპპა და 3-ს მარტს წარმოდგენილ იქმნა «ვაყრა» თ. ერისთავისა; ნაალდევომ-

საც აპირებენ ორს_სამს წარმოდგენასა, ფულის შესამსებლად (*) თუ ეს განზრახვა არ აღსრულდება, «კალმასობის» დასაბეჭდავად უნდა შესდგეს ჴელის_მოწერა მაინც «ცისკრის» რედაქციაში და პირველის გასყიდვით დაიბეჭდოს მეორე და შემდეგ მეორის ნაწილისა საბა ორბელიანის ლექსიკონი.

დიმ. ბაქრაძე.

**14** მარტს. **1861** წ. ქ. ქუთაისი.

---

(*) მეორე წარმოდგენა აღარა ყოფილა. რაც პირველის წარმოდგენით ფული შესდგა, ის წარმოგზავნეს ტფილისში. თჳთ ტფილისში შესდგა ჴელის-მოწერა, და რაც ფული შეიკრიფა, «კალმასობის» ერთი ნაწილი იმითი დაიბეჭდა. რედ. კ.

# კალმასობა

იოანე კელა-შჳლისა იპოდიაკუანისა, რომელი იყო ქიზიყის სოფლით ვაქირიდამ მოსული მონა-სტერსა შინა ქუაბთაკევს, წინამძღრობასა ქუეშე ფიცხელაურის დოსითეოსისასა. ესე დროსა ლეწჳ-სასა წარგზავნილ იქმნა ქართლის სოფლებსა შინა საკალმასოდ, რომელსა შეჰხუდა გზასა ზედან ხუ-რაბა ღანბარა-შჳლი და შეამხანაგდენ ერთად მოსარეწუელად პურისა.

---

ოდეს განემგზავრა ბერი იოანე, იხილა მდოეს-სა და ხიდისთავის საშუალ გზასა ზედან მომა-ვალი ცხენით ვინმე, და ჰსთქუა ესე მტერ ჩუენდა, ანუ ჩუენ კერძო, და დაუწყო გულს მოდგინედ ყურება; ოდეს მოახლოვდა იგი, მყისვე იცნო იო-ანემან, და ჰრქუა, მშჳდობა შენდა ღამბარა-შჳლო!

ზურაბმან. და სულისაცა შენისათანა კელა-შჳლო.

იო. საით გიმღჳს უფალი?

ზურაბ. მუნ, საიდგანაც უნდა გამოვზარდო შჳ-ლები ჩემი.

იო. მაშა სადამე ჰგავს, საკალმასოდ რონინებ.

ზურ. ახ! მალე მიწევნილსარ დაფარულ-მცნობე-ლობაში, ანუ თუ წინამძღუარმან თქუჱნმან შთაგ-ბერათ წინასწარ-მცნობელობის სული.

იო. რად გიკჳრს, თუ ტერ-სააკას მოწაფე მე-გუარ მეტყუჱლებ, მე ვით ვერ მივსწვდებოდი განზრახუასა შენსა, დოსითეოსთან გაზრდილი.

ზურ. აწ ჰსცან მეც თქუჱნი მოწაფე ვარ.

იო. ვითარ?

ზურა. მართლ-მადიდებელი შევიქენ.

იო. მართლ და ჭეშმარიტ-არს სიტყვა შენი?

ზურა. ჵე ირწმუნე.

იო. ძი სულიერო შჳლო! ქრისტე იყოს შენ-თანა, მოვედ გეამბორო. უფალმან წარგიმართოს ყოველნი ქმნულნი კელთა შენთანი.--შემდგომად ამ-ბორებისა, შეითქუნენ გაამხანაგებად და ერთად საკალმასოდ დაამტკიცეს წარსვლა; პირუჱლად მივიდნენ ხიდის-თავს.

ნახეს მუნ კოშორიძე მღუდელი. დიაკუანმან ჰკითხა ზურაბს, ეს ვინ არისო. ზურაბმან—ესე ახალ ჯუარის დეკანოზიაო.

იოანე. მივიდა და ჰრქუა, გვაკურთხენ ახალ ჯუარის მამაო.

კოშორიძემ. კურთხეული იყავ, რომ არა იცირა.

იო. ვითარ?

კოშ. მე დეკანოზი ვარ, და არა მამა.

იო, ჯუარის მამაც არის ამ ქუეყანაში, და ახალ ჯუარის მამაც რომ იყოს რა იქნება.

კოშ. ჯერ მთავარ-ეფისკოპოზს არ უბოძებია ეგ სახელო.

იო. მთავარ-ეფისკოპოზი რად გინდა, მე გაგირიგებ კათალიკოზთანა.

კოშ. იპოდიაკუანს ეგ ადგილი არ ექმნება.

იო. ჩუენ წინამძღუარს დიად ჰსწყალობს მათი უწმინდესობა.

კოშ. მაშა შენ რატომ ვერა გაგირიგარა?

ზურაბ. მეკალმასედ დააყენეს, მეტი რა უნდა.

კოშო. მეტი არღა უნდა რა თუ ქსნის ჰეველთავით იკალმასა.

ზურაბ. ჩუენს საქმეს რომ ვჰკედავ მაგის მეტი

ლონე არა გვაქუ̂ს.

კოშო. ჯერ ეგოდენ შიმშილობა არ არის, რომ საქმემ იქამდის მიაწიოს.

ზურაბ. თუ ამ საბრალო ბერს შეიბრალებ, შენთჳს მადლია.

კოშო. მოდით შჳლნო, ჩემთან ისადილეთ, მეც დაბრკოლებას არ მოგცემთ, რადგან მგზავრი ხართ.

ზურაბ. დია ადრე დაგვითხოვეთო, და წავიდნენ სადილად.

ოდეს დასხდენ ესენი, და მოიღეს სუფრა და დაადგეს საჭმელი, რა კელი მიჰყვეს, ამ ჟამად ანდრია მოვიდა, გიორგი მღუ̂დელს ეამბორა, და იოანეს სალამი მისცა; იოანემ იკითხა ვინაობა ამისი, და ჰრქუ̂ს--ესე ანდრია, იონა ილუმენის მოწაფეო! და ჰრქუ̂ა იოანემ--მშჳდობა შენდა ანდრია სალოსო!

ანდრია. სულისაცა შენისათანა, იოანე კლემაქსო.

იოანე. უჲ ჩემს თავს! რად შეურაცს მყოფ?

ანდრიამ. და შენ რაღათ მე.

იოანემ. მე მასმია ილუმენისაგან შენთჳს მრავალი კარგი.

ანდრიამ. და არა იონასებრ სალოსობა.

იოანე. ღმერთმა მაშოროს.

ანდრიამ. ქრისტესთჳს სალოსობა დია სანატ-

რელია, შენ რათ უარ ჰყოფ?

იოანე. მე არ მინდა შეგეცილო მაგ სათნოებას.

ანდრია. თუმცა სათნოება ერის კაცისათჳსაც დიდებაა, მაგრამ მონაზანთ უფრო ჰშჳჵნის.

იოანემ. და რასთჳს ილუმენს არ ურჩევ.

ანდრია. სწორეთ მონაზონია, ნეტავი შენც იმისთანა შეიქმნა.

იოანე. სხჳა რამ გენატრა ის მერჩივნა, შავი ტანისამოსით და თავ მოკჳდინებით ბერობა არ იქნება.

ანდრია. თუ არა მენახარა არ დავემოწაფებოდი.

იოანე. ეგ იმასა ჰგავს, რომ მელა ლილით შეიღება, ბერობა მოიგონა, და მამალი დაემოწაფა; სოფელში ამ გჳარი კელოვნება მრავალი რამ არის.

ანდრიამ. რაჲ ნახე მისგან ეგ გვარი კელოვნება?

იოანე. ორი უდაბნო ერთმანერთს გარდაჰკიდათ.

ანდრიამ. ვგონებ გული გეწჳთ, რომ მონასტრის მამული არ დაგანებათ.

იოანე. აჲ შენ როგორ დაურწმუნებიხარ კელოვნება ეგ არისო, მაგრამ ამილახვარიკი ვერ დაარწმუნა, ნახე დიდების სურვილმან რა შეურაც-

ხება მიაყენა, აკი გითხარ, სოფელში ბევრი რამ იქნება.

ანდრია. განრისხდა და ჰრქუა:—შენის თავისა რომ არა იცარა სოფლისა რა გეცოდინება.

იოანე. ნუ ჯავრობ; თუ თავს დაიმდაბლებ და მკითხავ ადჳლად გაცნობებ სოფელსა.

---

უპირუელესი ცნობა კაცობრივ სოფლისათჳს.

ანდრიამ გულს მოდგინეთ ჰრქუა: რაჲ არს სოფელი?

იოანე. სოფელი არის შემოკრებული ყოველთა დაბადებულთა ნივთიერებათაგან, ანუ ზოგადთა სულთაგან განცხოელებული, და უდიდესი მესანიშმა.

ანდრია. ვინ შეჰქმნა სოფელი ესე, ანუ რაჲსაგან?

იოანე. შეჰქმნა ღმერთმან, ერთითა ოდენ სიტ-ყჳთა თჳსითა, და არა-რაჲსაგან.

ანდრია. რაოდენსა დროსა შინა შეჰქმნა ღმერ-თმან სოფელი ესე?

იოანე. ექუსსა დღესა შინა: პირუელსა შინა ნათელი, მეორესა შინა სამყარო ცისა; მესამესა შინა მიწა მცენარებითურთ, ზღუა და მდინარენი, და წყარონი; მეოთხესა შინა: მზე, მთოვარე და ვარ-

სკჳლავნი, ანუ მნათობნი ცისანი; მეხუთესა შინა ფრინველნი, თევზნი, ქჳეწარმავალნი, და სხჳანი ყოველნი ჰირუტყჳნი; ხოლო მეექჳსესა შინა მხეცნი და კაცი.

ანდრია. ვითარ სახედ ჰქმნა ღმერთმან კაცი?

იოანე. მსგავსებისა და ხატებისა-მებრ თჳსისა.

ანდრია. რაჲსაგან ღმერთმა შეჰქმნა კაცი?

იოანე. უწინარეს ჰქმნა მიწისაგან სხეული მისი, შემდგომად შთაბერა მას შინა სული.

ანდრია. რასა შინა მდგომარეობს ხატი და მსგავსება ღჳთისა?

იოანე. სულსა შინა, ვინაჲდგან იგი არს უხილავი, და აქჳსცა სამი უკჳე თჳსება, ესე იგი: გულის-ხმის-ყოფა, ნება და მეხსიერება, ანუ ვსთქჳათ: გონება, სიტყჳა, და სული; მსგავსადვე,— ღმერთიცა არს უხილავი, და სამ გჳამოვანი არსება.

ანდრია. ვინა იყო სოფელსა შინა უპირველესი კაცი?

იოანე. ადამ.

ანდრია. არა ჰყავდა მას სხჳა ვითარიმე ამსანაგი?

იოანე. ჰყავდა შეეწე ევა, რომელიც ღმერთ-

მან შექმნა გუერდისაგან ადამისა.

ანდრია. განიზრახავსა ღმერთი დაბადებულისათჳს თჳსისა?

იოანე. ოდესცა დაბადნა მან, და იპყრობს ყოველსა, მაშა-სადამე განიზრახავსცა ყოველთათჳს.

ანდრია. ესე გუარითა უკუე ვითარებითა შექმნა ღმერთმან კაცი, ვითარცა გვაქუს ჩუენ დღეს, თუ უმჯობესითა?

იოანე. შეუსწორებელად უმჯობესითა, ესე იგი უბრალოჲ, წმინდა, უბიწო და უვნებელი და ამასთანავე თავისუფალი.

ანდრია. ვითარითა უკუე ხატითა მოკლებულიქმნა კაცი ესე-გუართა ვითარებათა?

იოანე. გარდასდომილებისაგამო მცნებისა ღუთისა.

ანდრია. რასა შინა მდგომარეობდა მცნებაჲ იგი ღუთისა?

იოანე. ღმერთმან აღკრძალა ადამ გემებად ნაყოფისა ხისა მისგან, რომელიცა იდგა საშუალ სამოთხისა.

ანდრია. ვითარ უკუე მიიტყუა მისთჳს ადამმან დასჯილობაჲ?

იოანე. ღმერთმან უკუე ჰსთქუა გარდახდომი-

ლებისა მისთჳს ესე ვითარი პატიჟი კაცსაზედა, რომელ თანამდებ არს იგი განტარებად შრომათა შინა ცხოვრებისა თჳსისა, და უკანასკნელ დასრულებად სიკჳდილითა.

ან. მაშ უიმისოდ ვიქმნებოდითმცა ჩჳჱნ უკჳდავნი?

იო. ყოვლითურთ.

ან. რაოდენ უკჳჱ გრძლად განფენილ იქმნა რისხჳა ღჳთისა კაცსა ზედა?

იო. ვიდრე განხორციელებადმდე მისა ღჳთისა იესოს ქრისტესა, რომელმანცა აღიხჳნა სიკჳდილითა თჳსითა ცოდჳანი პირჳჱლ ნათესავთანი.

ან. გულსავე ვიქმენ უბნობითა მაგით, გარნა განკითხჳა მონაზონთაგან უჯეროა.

იო. არც ერის კაცთ ჭშჳჱნისთ განკითხვა სხჳათა, ვითარცა გვამცნებს საღმრთო ხმა, ნუ განიკითხავ რათა არ განიკითხნეთ; გარნა მე ამისთჳს გაცნობე შენ, რათა ამსილო მას, რომელ დაივიწყოს მან ერთა შორის უჯერო მიმოთქმა, და სიძულილისა ყოფა.

ან. სიწრფოებით იქმს იგი, რაჲსაცა მისთჳს უბნობენ.

იო. პავლე მოციქული ჰსწერს თავისს მოწა-
ფესა, სიწრფოება ისწავე შენ, და ფრთხილ იყავ
ყოველსა შინა, და ამისთჳს სიმკაცრე ჯერ არს
რათა კაცმან სსჳათა არვის ამიზეზოს, და მის ძლით
უწესო არა მოსდესრა; ირწმუნე, მე დიაღ პატიო-
სნად ვრაცხ-მას, და არც მძულს იგი; შემინდევ
ესოდენ უგჳანი უბნობა: მშჳდობით ანდრიავ! და
ესრეთ დაასრულეს სადილი; კოშორიძეგ იზრუნა
მათთჳს, და წარემართნენ საციციანოსაკენ.

წარსულნი მუნით, მივიდნენ მწუხრის ჟამს
სკრასა, და აცნობეს ნაზირსა გლახას მისვლაჲ
თჳსი, და ჰსთხოვეს სადგური. ხოლო მან ცივისა
გულითა მიიღო იგინი, და ჰრქჳა: მე აწ ნაზირი
არლა ვარ და გლახადაც ვარ დაშთომილიღ,
თქჳნ იზრუნეთ თქჳნთჳს; განმკონმან ამისმან
იოანემ ჰსთქჳა: ჭეშმარიტად გლახა ყოფილხარ,
შეწყალება არა გცოდნია, და მოწყალება; და განე-
შორა; მაშინ მუნ მცხოვრებმან მოხუცმან
ვინმე გლეხთაგანმა აწჳა თჳსად, და რა შევიდა
იოანე სახლსა მისსა, ჰრქჳა, მშჳდობა სახლსა ამას,
და მშჳდობა თქჳნცა სახლის პატრონნო! მოხუ-
ცსა იამა, და სთქჳა: ჯერ ამ სახით არვინ შე-

მოსულ არს სახლსა ჩემსა, ესე სახარების სიტყჳსა-მებრ იქცევის, მითხარ, ზურაბ, ვინ არს ესე? ზურაბმან: ესე არს ქუ̂ეყნით ქიზიყით, აღზრდილი სკოლასა შინა თელავის ქალაქისასა, აწ ჰსცხოვრებს ქუ̂აბთასხევის მონასტერსა შინა, და იღუ̂აწის იმა მონასტრისათჳს, რათა მუნებურნი კრებულნი გამოჰზარდოს.—მოხუცმან: ჰი? რა ბედნიერი ვარ, რომელ ესე გუ̂არ ბრძენ—განათლებული გონებითა მოვიდა სახლად ჩემდა!—და რაოდენ მალედვა, ეგოდენ განუმზადა ვახშამი; დააწჳა საკუთარსა საჯალაბოსა სახლსა თჳსსა; მაშინ მის მოხუცისა ცოლშჳლნი მოვიდნენ, იოანეს ესალმნენ, და მან მოხუცმან აცნობა ყოველნივე; იოანემ მოიკითხნა იგინი და იწჳეს ვახშმად; რა მცირედ შეექცნენ, იოანემ აღიღო ყანწი ღჳნითა სავსე, და ჰრქუ̂ა მოხუცსა: უფალმან არა მოგაკლოს შენ, არცა ფქჳლი, არცა ზეთი, და არცა ღჳნო; აღავსოს შენ ყოველთა კეთილთაგან, და გაკურთხოს შენ თესლითი თესლადმდე;—მაშინ ზურაბმან კმა-ჰყო: კურთხეულ იყავით ამის წყევლისაგან!—იოანემ: ჰი შენ უკეთურო! რას უბნობ? უჲ ჩემს თავს! ზურაბმან: აბრაამც ესრედ ლოცჳდა.—და მუნ მსხდომარეთა

ყოველთა განიცინეს, და ქსრედ დასრულდა ვახშამი, და წარვიდნენ საპილოდ.

დღე მეორე.

ხოლო ხვალისა დღეს, მადლობელი იმა მოხუცისა, იოანე განემგზავრა ხუცურეთისაკენ, და მისვლასა შინა იხილეს ციციშვლი მომავალი; მაშინ იოანემ ჰრქუა ზურაბს: ვინ არიან ესენი? ზურაბმან--ვოლტერის მოწაფეო; იოანემ--რას ნიშნავს ესე? ზურაბ: ღუთის-უსიყუარულობას, და კაცთ დაუნდობრობასა. იოანემ--პირუტლი გაგონებაა, მაშ მე მივსცემ მცნებას მაგისთჳს, ერთად ვართ აღზრდილი რეკტორისაგან თელავს; ზურაბმან--მაშა ორნივ დიდი წმინდანი იქმნებითო, და ამ ჟამში მოვიდა, რა იცნა იოანე ჰრქუა, გვაკურთხენ მამაო!

იო. კურთხეულ იყავ საქმეთაებრ შენთა.

ცი. რაჲ საქმე მიქმნია?

იო. ვოლტერის შედგომა.

ცი. ვითარის სახით?

იო. ურწმუნოებით, ნათესავის არ დანდობით, თჳსთა და მოყუარეთა და მეზობელთა მტრობითა.

ცი. ვინ ანბობს მაგას?

იო. ყვავნი ასრე იმასიან.

ცი. სასწაული ხომ ვერა ჰქენრა, და ახლა მისანობა დაიწყე.

იო. ირწმუნე, შენთჳს კეთილი მსურს, რადგან ერთადა ვართ აღზრდილი.

ცი. ვიცი კეთილი გსურს ჩემთჳს, და მოგონებაც ბევრი იციან,— საზოგადოდ ეს სენია ჩუჩნში.

იო. მაგ სენის წამალი სიყუარულია. და ის სიყუარული—უნდა იყოს ჭეშმარიტება და უტყუელის გულით შედგომილი.

ცი. თუ მაგას მოიმიებ, ვჰგონებ ვერავინ ჰპოვო, მაგ-გუარი სრული მოსიყუარულე.

იო. და მაშა რა გუარსა?

ცი. პოლეტიკა როგორც ითხოვს.

იო. თჳთ ფილოსოფოსი იტყჳს; პოლეტიკა განმარტებსს კანონთა კეთილ-გონიერებისათა, და არათუ ზაკჳთისა და მაცთურ ყოფისა ცნობა არს.

ცი. და რაჲ არს სიყუარული?

იო. ღმერთი, ღმერთი სიყუარული არს, და რომელი ეგოს სიყუარულსა ზედა მისსა, ღმერთი მასთანა ჰგიებს, და იგი ღჳთისათანა.

კვალად. მოციქულივე ბრძანებს, რომელსა ჰსმუ-

ლდჳს მმა თჳსი, ვითარ მალუმს შეუჭ̂არებად ღუ̂თისა.

ცი. მე უნდა გამოვჰსცნო სიბრძნე შენი: მითხარ მე,--რაჲ არს ღმერთი?

იო. ღმერთი არს თჳთ მყოფი, მოქმედი, და დასაბამი ყოველთა ნივთთა, ხილულთა, და უხილავთა, არავის მიერ ხილული; არსება ყოველთა არსთაგან უპირუ̂ჵლესი, გონება საუკუნო, და მამა სულთა და ნათელთა.

ცი. ვითარნი უკუ̂ჵ არიან თჳსებანი ღუ̂თისა?

იო. თჳსებანი ღუ̂თისა არიან: ყოვლისა შემძლებელობა, ყოვლისავე უწყება, მართლ-მსაჯულება, სასიერება, მოწყალება, და მსგავსნი ამისნი და ყოვლისა სრულება.

ცი. საიდგან ჯერ არს აღმოვსებად შემცნებისა ღუ̂თისა?

იო. დაბადებულთა ყოველთა ხილულთა სხუ̂ა და სხუ̂ა გუ̂ართაგან, ერთა ღუ̂თის მცნობელთაგან, სურვილისაგან, უზენაესისა კეთილობისა და შინაგანისა სჳნიდისისაგან ჩუ̂ჵნისა; ხოლო უკანასკნელ საღმრთოთა წერილთაგან.

ცი. რაჲ არს საღმრთო წერილი?

იო. წერილნი მჳელისა და ახლისა აღთქმისანი.

ცი. ვინ აღწერა იგინი?

იო. წინასწარ-მეტყუელთა და მოციქულთა.

ცი. ვინ უკუე იყვნენ წინასწარ-მეტყუელნი?

იო. კაცნი, რომელთაც განუცხადებდა ღმერთი ნებასა თჳსსა ქადაგებისათჳს მისისა, და რომელთაცა წარმოსთქუჱს მომავალი, ანუ მყოობადი.

ცი. ვინ იყო წინასწარ-მეტყუელთა შორის უჩინებულესი?

იო. მოსე.

ცი. ვინ იყუნენ მოციქულნი?

იო. გლახაკნი უკუე კაცნი, რომელნიცა დროსა ქრისტესსა სოფელსა შინა ცხოვრებისასა იყვნენ მოწაფენი, და მწამებელნი უდიდებულესთა სასწაულთა მისთანი, ხოლო უკანასკნელ-მქადაგებელნი მისნი, თითქმის კიდითი კიდედმდე ქუეყნისა.

ცი. რასა შინა მდგომარეობს მჳელი უკუე აღთქმაჲ?

იო. აღსარებასა შინა მისსა, რაჲცაღა ბრძანა ღმერთმან, ვიდრე განკორციელებადმდე მისა თჳსისა.

ცი. ვითარ უკუე იყო მჳელსა აღთქმასა შინა საკუთარი ბრძანებაჲ ღუთისა?

იო. ათი უკჳე მცნება, და მსახურება ღჳთისა ისრაელთაგან.

ცი. რომელი არს პირჳელი მცნება, და სხჳანი მითხარ მე?

ათი მცნება.

**1**, მე ვარ უფალი ღმერთი შენი, რომელმან გამოგიყვანე ქჳეყანისაგან ეგჳპტელთასა მონებისაგან მათისა, არა იყჳნეს შენთჳს სხჳანი ღმერთნი, თჳნიერ ჩემსა.

**2**, არა ჰქმნე თავისა შენისა კერპნი, არცა ყოველი მსგავსება, რაოდენი ცათა შინაზე, და რაოდენი ქჳეყანასაზედა ქჳე, და რაოდენი წყალთა შინა და ქჳეშე ქჳეყანისა, არა თაყჳანისცე მათ, არცა ჰმსახურო მათ,-- რამეთუ მე ვარ უფალი ღმერთი შენი.

**3**, არა მოიღო სახელი უფლისა ღჳთისა შენისა ამაოდ.

**4**, მოიხსენე დღე შაბათი წმიდა ყოფად მისსა, ექჳსთა დღეთა იქმოდე, და ჰქმენ ყოველნი საქმენი შენნი; ხოლო დღე მეშჳდე შაბათი არს უფლისა ღჳთისა შენისა, არა ჰქმენ მას შინა ყოველნი

საქმენი შენნი, და მემან შენმან, დაკარაულმან შენ-
გან, რამეთუ დღე მეშჳდე წმიდა ჰჴო უფალმან.

**5**, პატივეც მამასა შენსა და დედასა შენსა, რათა კეთილ-იქმნეს შენდა და გრძელ ჟამ იყო ქუეყანასა ზედა კეთილისასა, რომელი უფალმან ღმერთმან შენმან მოგცეს შენ.

**6**, არა კაც ჰკლა.

**7**, არა იმარო.

**8**, არა იმრუშო.

**9**, არა ცილი სწამო მოყუასსა შენსა, წამებითა ცრუთათა.

**10**, არა გული გითქმიდეს ცოლსა მოყუასისა შენისასა, არცა აგარაკსა მისსა, არცა მსევალსა მისსა, არცა სარსა მისს, არცა კარაულსა მისსა, არცა ყოველსა რაოდენი რა არს მოყუასისა შენისა.

ცი. რასა შინა მდგომარეობს აღთქმაჲ ახალი?

იო. აღთქმა უკუე ახალი მდგომარეობს მომ-ღურებასა შინა ქრისტესსა, რომელნიცა იქადაგა მან მისთჳს, რომელ მჯული არა საკმაო იყო მო-პოებისათჳს ერთა ნეტარებისა. ვინადგან იგი ოდენ იპყრობდა დასჯილებასა და განპატიჟებასა და აღუთქმიდა დროვანსა უკუე ჯილდოსა,

ცი. ახალსა აღთქმასა შინა ათის მცნების ნაცჳლად რაჲ გვასწავა ქრისტემან?

იო. ქრისტეს არც ის ათი მცნება დაუყენებია რომ არ ვისწაოთ, გარნა იესოს მიერ გვესწავა ცხრა ნეტარება, რომლითა სამებამან გჳრგჳნი განგვიმზადა.

ცი. რომელი არის პირველი ნეტარება და სხუანი?

ცხრა ნეტარება.

1, ნეტარ იყვნენ გლახაკნი სულითა, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათა.

2, ნეტარ იყვნენ მგლოჳარენი გულითა, რამეთუ იგინი ნუგეშის-ცემულ იქმნენ.

3, ნეტარ იყვნენ მშჳდნი, რამეთუ მათ დაიმკჳდრონ ქუეყანა.

4, ნეტარ იყვნენვ, რომელთა ჰშიოდეს და ჰსწყუროდეს სიმართლისათჳს, რამეთუ იგინი განჰძღენ.

5, ნეტარ იყვნენ მოწყალენი, რამეთუ იგინი შეიწყალნენ.

6, ნეტარ იყვნენ წმინდანი გულითა, რამეთუ მათ ღმერთი იხილონ.

**7**, ნეტარ იყვნენ მშჳდობის-მყოფელნი, რამეთუ იგინი ძედ ღუთისად იწოდნენ.

**8**, ნეტარ იყვნენ დევნულნი სიმართლისათჳს, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათა.

**9**, ნეტარ იყვნეთ თქუენ, რაჟამს გდევნიდენ, და გყუედრიდენ, და სთქუან ყოველი სიტყუაჲ ბოროტი თქუენდა მიმართ სიცრუით ჩემთჳს გიხაროდენ და მარადის მხიარულ იყვენით, რამეთუ სასყიდელი თქუენი დიდ-არს ცათა შინა.

იო. მე ათის მცნების, და ცხრა ნეტარების განმარტებასაც გეტყოდი, მჴგრამ ორნივე მგზავრნი ვართ, სამ ნაწილედში იხილე ამათი განმარტება; და ისეც მოიქცნენ მშჳდობით და გაიყარნენ ამ სახით; წარსული იოანე მივიდა ხუცდურეთს და ჭრქუა ზურაბს, იზრუნე რამე სადილათაო; ზურაბმან,— აქ საქათალიკოზო კაცი დგას. იო. მაშ იმასთან მივიდეთ, ჩუენს წინამძღუარს, მათი უწმინდესობა დიაჴსწყალობს;—

ზურ. იქნება ეს კაცი თქუენს წინამძღუარს ვერც-კი ტცნობდეს, და ჩუენ არა დაგვდიოს-რა.

იო. ასე უთხარ: დოსითეოსის დიაკუანია.

ზურ. იქნება ვერ იცნობდეს დოსითეოსს.

იო. მაშ ასრე ჭრქუ:იოანე იშოდიაკუანია ქუაბთა-
ხევისა;—იქნება იქ ოდესმე სალოცავად ეოფილიყოს.

ზურ. ჯერ გაახლებაც არ იცის იმ მონასტ-
რისა, და რად იქნებოდა იქა.

იო. უთუოდ იქმნებოდა; იქით რომ წყაროა,
ვინც დალევს შვლი მიეცემა.

ზურ.ეგ წყარო ახლა აღმოუცენებია თქუჱნს
წინამძღუარსა. ამას მე ვიცნობ, ჩემზედ უფროსი
შვლები ჰყუანან.

იო.—მაშ ღონე რამ მოიხმარე; და მერმეთ
ზურაბმან აცნობა იოანეს ვითარება, და მი-
იწვეს სადილად. იოანემ. ჩუჱულებისა-ებრ მო-
იკითხა და აკურთხა იგინი. მოიღეს სადილი, რა
ჭამა მიჰყვეს, მოვიდა მაშინ ერთი დაბებკულით
მოსილი მღუდელი და დააწვა სახლის პატრონმან, და
ცხად უყო იოანეს მღუდლობაჲ მისი, მაშინ იოა-
ნე ეამბორა ზურაბითურთ, და დასხდენ.

იოანემ ჰკითხა სადაურობა თჳსი, ხოლო მან
აცნობა რაჭველობაჲ თჳსი, მაშინ:

ზურ. მღუდელო! რაჭველი ხარ თუ ქრისტიანე?

მღუ. ორივე.

იო. კარგა მოგიგო. იამა მღუდელსა და ჰრქუა

იოანეს, თქჳჱნ ვინ ბრძანდებით. იოანემ—კელა-შჳლი, იპოდიაკჳანი. მაშინ აღდგა ესე მღჳდელი: უკაცრავათ რომ თქჳჱნს ყოვლად სამღჳდელოესობას ამ სამუშაო ტანისამოსით ვეახელი.

იო. უჲ ჩემს თავს! მე ყოვლად სამღჳდელორად ვიქმნები.

მღ. მაშა მეტი ვინმე ბძანდები თქჳჱნ?

იო. არა მამაო. მე ნახევარ დიაკჳანი ვარ.

მღ. მართალს უბნობთ. ჩემი დიაკჳანი ბარე ორი თქჳჱნ სიგრძე იქმნება.

იო. არა მამაო. ეს სახელი ხარისხების მნიშჳნელია. იპოდიაკჳნობა, დიაკჳნობა და მთავარ-დიაკჳნობა. მერე მღჳდლობა, მასუკან არქიმანდრიტობა და მერმე მღჳდელთ-მთავრობა, და შენც ხომ ამ სახით დიაკჳანი იქმნებოდი.

მღ. კი ბატონო. ერისთვებს რომ ვახლდი მღჳდელს მიმაბარეს, წიგნი ვისწავლე. და ჟამ და-ვითნს რომ ვიტყოდი და ბიჭად ვიყავ დიაკჳანს შემახდენ, და მერე რომ დამაკურთხეს მთავარ-დიაკჳანი შევიქენი და ასლა ნიქოზელმა ბარე მღჳდლად მაკურთხა.

იო. ახლა ხომ მიხვდი?

მღ. კი ბატონო!

იოანემ წიგნში გამოსცადა, შეეძლო წარკითხვა, უთხრა მღუდელს, წიგნი გცოდნიაო.

მღ. ბატონო ნახევარ დიაკუანო! მეცნიერს გი-ხმობენ, და მეც მასწავლეთ რამე.

იო. ასე მალე რა გასწავლო.

მღ. ქუჩ რაც იყოს.

იო. სიმვოლო იცით?

მღ. სიმოვლო რა არის, საჭმელია, თუ სასმე-ლი?

იო. უჲ ჩემს თავს, მღუდელო, მრწამსი ხომ იცი?

მღ. ეგ მრწამსიც ვიცი და მამაოჩუჩნოც.

იო. მრწამსი სიმვოლო არის, რომ სარწმუ-ნოების აღსარებას ჰნიშნავს, და ესე მრწამსი, ნიკიის კრებისა, და სხუათაგან დამტკიცებული გვაქუს ჩუჩნ მოცემული, რომ მართლ მადიდებელნი ასე უნდა აღვიარებდეთ ღმერთსა, და უფალსა ჩუჩნსა იესო ქრისტესა.

მღ. მამაო ჩუჩნო რაღას ნიშნავს?

იო. მაგისი განმარტება გძელია, და ეგ ლოცვა უფალმან ჩუჩნმან იესო ქრისტემ ასწავა თჳსთა

მოწაფეთა, რომელსაც ჩუჱნ საუფლო ლოცვად უწოდთ·

მღ. ამას კარგა მივჰხუდი.

იო. შჳდი საიდუმლო იცი?

მღ. საიდუმლო ბარე ბევრი ვიცი, მაგრამ ვერავის გავამხელ, ნამუსს კარგა შევინახამ.

იო. მე მაგას არ გკითხავ.

მღ. მაშ მიბმანეთ, რომელსა?

იო. შვიდნი საიდუმლონი წმიდისა აღმოსავლეთის ეკკლესიისა არიან შემდგომნი ესე:

1, ნათლის ღება.

2, მირონის ცხება.

3, საღმრთო ლიტურღია.

4, კურთხევა მღუდლისა.

5, აღსარება.

6, კურთხევა გჳრგჳნისა.

7. ზეთის-კურთხევა.

მღ. ბატონო! სადანა ჰსწერია ეგენი?

იო. უჲ ჩემს თავს, მომიტანე კურთხევანი და კონდაკი.

მღუდელმა მოართვა იგინი იოანეს, და იოანემ ყოველივე თავები, და სარჩევი შეუნიშნა; აგრეთვე

აიაზმის კურთხევა, და აშცნო: ყოველს სამღუდე-ლოს მართებს, რომ ეს შჳდი საიდუმლო, მკჳდ-რი ანდერძის აგება, და აიაზმის კურთხევა კარ-გად იცოდესო, რომ გაუჭირებლივ აღასრულოსო და სხუა მეცნიერება თუ კინდ არ იცოდეს, იმით არა უშავსრა, და თუ ესენი არ იცის, ვალქუმშ იქმნება, და თავის სულს ავნებსო; მისცა მცნება და გაემართნენ ქარელისაკენ იმ სოფლიდამ კმა-ყოფილნი.

რა ქარელსა შინა მივიდნენ, ცხად უყუჩს ცი-ცი-შჳლს დივანბეგსა იოანეს ვინაობა; მან მეისვე მისცა სახლი, და აგრეთვე სხუა საჭიროებაჲ, და შესთუალა ვითარ ამაღამ განისუჩნეთო, და ხვალე ჩემისა შობისა დღე არის, და ინებეთ ჩემთჳს ჰა-რაკლისი, და ისადილეთცა ჩემთანაო.

იოანემ მადლობელმან, კელჰყო ხუალისათჳს შესხმასა წერად ნიკოლაოზისათჳს, და ესრეთ განემზადა, ხოლო ხუალისა დღეს შემდგომად წირვის დას-რულებისა, მივიდნენ ყოველნი მუნებურნი აზნაურ მსახურნი, და იოანეცა ზურაბითურთ. ნიკოლაოზმა შეი-ტკბო ესენი ფრიად, აწჳა თჳსთანა, მოიკითხნა და მათი მგზავრობის მიზეზნი ყოველივე გამოსცნო, და მერე

მოიღეს სადილი; რა გახშირდა ღჳნის სმა, მუნე-ბურთა დალიეს სადღეგრძელო ციციშჳლისა, და იოანესაც მოართვეს თასი შესმად სადღეგრძელოსა. მაშინ იოანე აღსდგა, და იწყო შესხმისა ამისი თქმა:

ბრწყინვალეო კნიაზო, და მდივანბეგო ციცი-შჳლო ნიკოლაოზ,

მოწყალეო კელმწიფევ!

დღეს თუმცა მოხარულ-არნ ერნი საციციანო-სანი შობასა ზედან თქუჱნისა ბრწყინვალებისასა, გარნა ქარელი ესე უსაკუთრესად ადიდებს შემოქმედსა ქჱჳეანისასა შენთჳს, და მეცა ამათთანა უგალობ გალობასა დიდებისასა, რომელმანცა მოსცა თავი შენი ემათა ამათ შენთა, სამსავე დროსა შინა, კეთილ მზრუნველი, და არცა აწ სიღრმესა შინა მოხუცებულობისასა არა დამტევებელი კეთილ-მზრუ-ნველობისა შენისა ემათა ამათ შენდამი, და ესე ადიდებს საკელსა შენსა, ესე აჩუჱნებს სიმტკიცე-სა სულისა შენისაცა, ესე ცხად ჰყოფს მშჳდობის მოყუარებასცა შენსა, და მოუჳთხრობს მხნეობასა შენსა. ღირსო ქებისაო, ღირსო გალობისაო, რო-მელმან განატარე კეთილად ცხოვრება შენი ვიდრე

სამეოცდა ათისა წლისამ, არა ებრძოლე მკეცებრთა გჳამთა, არავინ ჰკალ, არც მოიკალ, არც დააქციე სისხლი მართალი, განაგრძე სიცოცხლე შენი ბედნიერებით, და გვსურისცა ქჱ გჳარვე განტარე-ბად დანაშთთა დღეთა შენთა. ნეტარ ხარ შენ კაცო! ვსთხოვ მე ცოდჳლი ზენასა, რათამცა შჳლნიცა შენნი იყვნენ მომბაძველ კეთილისა მამისა, და შედგომილ კჳალთა შენთა. ჰსცოცხლებდი მოხუცო, და მე გიგალობ ესრეთ: მრავალჟამიერ, მრავალ-ჟამიერ, მრავალჟამიერ! და ესრეთ დაასრულა იოა-ნემ, და შეჰსჳა ღჳნო.

მაშინ მდაბლად მადლობელმან ცხად უყო მირ-თმევად ხუთის კოდისა პურისა, ხოლო იოანე დუმნა მაშინ.

ზურ. ბატონო მდივანბეგო, ნადირშაიმაც ეგდე-ნი გასცა მათ ზედა, ოდესცა ინდოეთიდამ გამარ-ჯჳებული მობრუნდა, ვინც რომ შესხმა მოახსენეს. გამგონთა ყოველთა გაეცინათ.

ნიკ. ნადირშაჰკათ დამსჳთ, და მე ოქროში ჩავსჳამთ.

იო. უჲ ჩემს თავს! რად გინდა თათრობა?

ნიკ. თეთრი რომ მექმნებოდა, მალე გამხსნიდი მე ცოდჳსაგან.

იო. არ-წარგიკითხავთ, ჰსჯობს მცირედი მართლისა მრავალსა მას სიმდიდრესა ცოდვილთასა.

ნ. არა ყოველნი ურჩიან მაგ ქადაგებასა.

იო. ვინც არ ურჩის მარცხნივ იქმნებიან მაშინ.

ზუ. შენ ხომ მარჯვნივ იქმნები, და მაგით კი მაგდენს ვერას ვიკალმასებთ, თუ საცა მისვალ, და ყველგან იქადაგე.

იო. რომელნი სოფლისაგანნი არიან, სოფლისასა ემიებენ.

ზუ. ყოველსა თავისი ჟამი აქუს,—და ამ სიტყუამან დაატევებინა უბნობაჲ მათი. გამოეთხოვნენ, და მუნცა მიიღეს კმაყოფილება, და გაემართნენ ჭალას აბაშიმისაკენ,

## დღე მესამე.

მწუხრის ჟამს მივიდნენ იგინი მუნ, და გარდახდენ კოშკისა გუწრდით, და ჰკითხეს მუნებურთა აბაშიძეების მუნ ყოფნა, სოლო აცნობეს მათ ქიზიყის მოურავის ქალის ანნასი ყოფნა, გამგონე ამისი იოანე მხიარულ-იქმნა და ჰრქუა ზურაბს: მივედ და აცნობე ჩემი ქიზიყის ქუწყანით მოსულა მონასტერს, და არქუ ლოცუა კურთხევაცა. იგი კარგა

მიგვიღებს. წარსრული ზურაბ მუნით მივიდა თავადინასთან, აცნობა იოანეს ვითარება, და მან მეისკე მიუწოდა იოანეს;-მუნ მდგომსა ამა კოშკიდამ ესმა ხმა რაჲმე მწუხარებისა, განკჳრვებული იოანე მიმოიხედებოდა და უკანასკნელ იხილა კაცი ვინმე წინაშე კოშკის კარისა მდგომარე და ჰრქუა: მმაო! რაჲ არს კმაჲ ესე მწუხარებისა? ხოლო მან ჰრქუა: მამაო ტუჵჱბი არიანო. იოანემ-სადაურნიო? მან-ოსთავანნი. იოანემ-რაჲსა შეცოდებისთჳსო. მან ჰრქუაგასაყიდლათ. იოანემ,--ჰი ღმერთო! და ამ ჟამში ზურაბმან მიუწოდა სასლსა აბაშიძისასა. ოდეს მივიდა იოანე და იხილა ანნაჲ, ჰრქუა: მჳდობა შენდა ჩუჵნის მოურავის ასულო, დღეს ვრაცხ თავსა ჩემსა ბედნიერად, რომ ბრწყინვალებასა თქუჵნსა ვიასელ, გარნა რომელიმე მწუხარებაჲ მიიღო გულმან ჩემმან.

ანნამ. ვინ რა შეცოდა?

იო. საბრალო ტუჵჱბმან.

ანნამ. ნუ იზრუნებ; მაგის საქმეს ლ. აბაშიძე განაგებს,

იო. თუ დიდი ლ. აბაშიძესავით განაგებს, ღმერთმა შენს მტერს მისცეს.

მაშინ ამილახვრის ქალმან გააშჭჳბინა სიტყუა, და უთხრა, აქეთაც მოისედე, ეგ თუ მოურავის ქალია, მე ამილახვრისა ვარო.

იო. უჲ ჩემს თავს, ვერ დაგინახეთ, მე სხუა ჭსჯაში ვიუავი და არა სარისხის შესწორებაში.

ან. ვითარს ჭსჯაში?

იო. ცოდვისა და მადლისაში.

ან. მე თქუჱნმა მზემ ცოდვილი არა ვარ.

იო. არავის გწამობ.

ან. არა, შენ რა ჩუჱნი მომლუარი ხარ?

იო. თქუჱნი მომლუარი ვჭგონებ კეთილს გამცნებდეს.

ან. ეს ბოროტი მცნება არ არის, რომ ჩუჱნ ოსებისაგან ვისარგებლოთ, და იმათაც დიდ კაცობასა და სიმდიდრესა შინა მიაწიონ.

იო. კარგი მიზეზია,–გარნა არ კმარა ეგე.

ან. დაბმანდით, დაღალული სართ. ჩუჱნი მომლუარი მოვა და ის მოგცემსთ მაგისთჳს პასუხსა. ამა უბნობასა შინა ლ. მოვიდა თავის აზნაურებითა, თავის რძალთ მიიწჳეს და მათ აცნობეს იოანე. ლ. პატივით მოიკითხა და დასხდენ: მაშინ ანამ ხუმრობით იოანეს აჩუჱნა პაპუა ორჯონიკიძე და

უთხრა: აჰა ჩუენი მომღუარი. იოანე ზე ადგა და ეანზორა; მან ჴელი გარდასწერა, გარნა არ მისცა სამთხუევლად; მაშინ ყოველთა გაიცინეს; რა იოანემ გამოსცნო მისი ერის კაცობა, ჰსთქუა: როგორც ერი, იმ გუარი ბერიო. მაშინ მოიღეს ვახშამი და რა კარგა ლხინს გაერთუნენ, ჰსთქუა:

იო. ჵი ჩუენს თავს, ჩუენ ამ განცხრომაში ვართ და ის ტყუეები მწუხარებაშია.

ორჯონიკიძემ. იმათ მწუხარეებას ბოლოს მხიარულება შეუდგება.

იო. ვითარ?

ორჯო. მისირში (ეგჳპტეს.) მთლად ბეგებად ქართუელნი არიან.

იო. იგინი ლეკთაგან მოტაცებულია და გაყიდული და არა ქართუელთაგან.

ორჯო. სულ ერთია, კაცი ვისგანაც ბედნიერებას მოიპოვებს.

იო. მაგაზე მეტი უბედურება რა იქნება რომ სულით უნდა წარწყმდეს, და სორცით თავის მშობელის მამულითგან დაიკარგნენ.

ორჯო. რომ არ გათათრდენ ხომ ცხონდებიან, ხოლო თავის მამულის მოშორვება ერთი არა არის

რა. ყოველგან ადგილია კაცისათჳს.

იო. მაგ საბრალოებს სათუოში რათ აძლევთ, ეგება ვერ მოითმინონ სატანჯუწლი.

ორჯო. თუ ვერ მოითმენენ ფაშობას მზად მიიღებენ.

იო. და რაღა ვსთქუა; სახელოც დაგინიშნავს.

ორჯო. თუ გნებავს შენც მალე გიშოვი სახელოსა მაინც მეათე გვიკლია რომ ხალვრათ შესრულდეს.

იო. ჭი თქუწნს სჳნიდისს! კიდს არა ჴსჯერდებით და ხალვრათ უნდა გასადოთ.

ლე. იმ ტუუწებს ერთი დიაკუანიც ეჭირებათ და მეტადრე შენისთანა მოქადაგე, რომ არღა გათათრდებიან.

იო. ეგ თქუწნი ჴაზრი ყოვლითურთ ჴსჯულის წინაღმდეგია.

ლე. რომლისა?

იო. სამისავე ჴსჯულისა.

ლე. ვითარ, და რომლის სახედ?

იო. პირველად ბუნებითის ჴსჯულისა, რომ რაც ჩუწნთჳს არ გვინდოდეს იგი არც სხუას უყოთ. მეორე. საღმრთო ჴსჯულიც ამასვე ამტკიცებს.

და ესრეთ შეყუარებად მოყუასისა თჳსისა, ვითარცა თავისა თჳსისა; ხოლო მესამე საკელმწიფო, და სამოქალაქო ჰსჯულ-დებაც გვაყენებს ესგუარისა უწესოს საქმისაგან, რომელიც არა ჰშუჱნის კაცსა.

ლე. ამ გუარი შური პირუტყუთაცა აქუსთ, და კაცოთაც იქიდამ აქუთ მიღებული, რადგან პირუტყჳს მსგავსებაცა გვაქუს, და რასათჳს მათ არა აქუსთ კანონი?

იო. უჲ ჩემს თავს! კაცნი თუმცა სმითა, ჭამითა და მილითა და სიზმრ მსგავსობენ პირუტყუთა, გარნა სიტყჳერებითა. და უკუდავითა სულითა მსგავს არიან ანგელოზთა, და ვითარ უსწორებ კაცსა პირუტყუთა?

ლე. და რაჲ არს კაცი? ჰსწორედ მაცნობე.

### კაცისა-თჳს.

იო. კაცი არს გულისხმიერი და მიმომქცევ-ველი დაბადებული, შედგმული მოკუდავისა სხეუ-ლისაგან, და სულისა უკუდავისა.

ლე. რაჲსათჳს დაბადა ღმერთმან კაცი?

იო. დამარხჳსათჳს ჰსჯულისა და სიმართლისა, და ჰსწავლისათჳს სოფელსა შინა კეთილის საქმისა, და დიდებისათჳს სახელისა მისისა.

ლე. რაჲსაგან შედგმულ არს სხეული კაცისა?

იო. ცეცხლისა, წყლისა, ჰაერისა, და მიწისაგან. (*)

ლე. რაჲ არს სული?

იო. სული არს ჰსიხი, რომელიცა ქამიერად კაცთა შორის მწერტელობს ყოველსავე შემემცნებასა, ჰაზრსა, მსაჯულებასა და წინასწარ-მილებასა, თჳნიერ მცირისა მონაწილეობითა სხეულისათა.

ლე. ვითარნი უკჳჱ არიან თჳსებანი სულისანი?

იო. გულის-ხმის-ყოფა, ნება და მეხსიერება.

ლე. რასა შინა ჰმსახურებს კაცსა გულის-ხმის-ყოფაჲ?

იო. ცნობისათჳს ჭეშმარიტებისა.

ლე. რაჲსათჳს ჰმსახურებს კაცსა ნებაჲ?

იო. რათა იგი ისწრაფდეს კეთილისადმი, და გარე-იქცევოდეს ბოროტისაგან.

ლე. რაჲ არს კეთილი. და რაჲ არს ბოროტი?

იო. კეთილი არს ყოველი იგი, რაჲცა შეგვიქმს ჩჳჱნ კეთილ შემისჳჱულებასა; ხოლო ბოროტი არს იგი, რომელიცა გვყოფს ჩჳჱნ უბედურად.

ლე. რაჲსადმი შემძლებელ არს მსახურებად

---

(*) ეს არის მჳჱლებური შემეცნება, ახალის მეცნიერებით დარღჳჱული და განტევებული. რედ.

მეხსიერება?

იო. განახლებისათჳს ჴაზრთა ნამყოთა ნივთ-თათჳს.

ლე. არა აქუსრა სულსა ჩუჱნსა კუალად სხუანი ვითარნიმე თჳსებანი?

იო. უეჭუელად მას აქუნ კვალად ხუთნი უკუჱ გრძნობანი: ესე იგი ხედვა, ყნოსა, სმენა, შეხება და გემება.

ლე. რაჲსადმი სახმარ არიან გრძნობანი ესე?

იო. საშუალობითა უკუჱ ამა ხუთთა გრძნობა-თაგან სული ჩუჱნი მიმღებლობს მცნობელობასა, არა თუ ოდენ მისთჳს, რაჲცა სხეულსა შინა მისსა, არამედ მისთჳსცა, რაჲცალა გარეშე მისსა იმოქმედებიან.

ლე. ვითარითა უკუჱ სატითა მიმღებლობს სული ჩუჱნი მცნობელობასა მეოფთათჳს გარეშე მისსა საგანთა?

იო. მეწევნითა მხედველობისათა განარჩევს დიდსა მცირისაგან; მენოსველობითა ჴსცნობს უკუჱ კეთილ-სუნოვნებასა, და საზიზღელთა სუნთა; სმენითა უკუჱ განარჩევს მაღალთა და მდაბალთა ხმიანობათა; შეხებისა-გამო სცნობს უთანა-

სწორობასა სხეულისასა, ამოვნებასა და უსიამო-ვნებასა, ეგრეთვე სითბოსა და სიცივესა; ხოლო გემებისა გამო ჰგრძნობს ტკბილსა და მწარესა, მჟავესა და მლაშესა, და ესე ვითართა.

ლე. ვითარითა უკუჱ ხატითა სული ჩუჱნი მიმღებლობს ესე ვითართა შემეცნებათა და ანუ სად არს ადგილი მისი?

იო. საშუალობითა ნერვებთათა (ანუ მგრძნობე-ლთა ძარღუჱბთაგან), რომელნიცა უკუჱ არიან თანა-ზიარნი კერძოთადმი გრძნობისა შემადგენელთა, რომელნიცა მიართმევენ მოქმედებათა თჳსთა გონე-ბასა, რომელიცა მდგმოებს, ფილოსოფოსთამებრ, უმეტეს ტვინსა შინა, ხოლო ტვინსა მას შინა არს უწყებული უკუჱ ადგილი, სადაცა ყოველნი უკუჱ წევრნი შეერთდებიან: და ესე არს ადგილი იგი, სადაცა ჰელმწიფებს უკუჱ სული და ამა მოქმე-დებათა ძლით მომპოვნელობს იგი ყოველთა მცნო-ბელობათა ნივთთათჳს, მყოფთა გარეშე მისა, და მიიღებს უპირჳელესსა შემემცნებასა, რომლისა შემმსგავსებელი ჰყოფს უკუჱ გამჭსჯელობასა, შეცჳასა, დამტკიცებასა და ყოველსა მას, რაჲცაღა მოისწრაფვის სისრულისადმი მცნობელობასა მისი-

სა და ესე-გჳარითა სხჳა და სხჳა უბნობითა დაასრულეს ვახშამი, და იოანეც აღდგა მთქმელი მილის ამოვნებისა და წარვიდა სადაცა განემზადათ მისთჳს სადგური. იოანე ფიქრისა გამო მოცული არა მცირესა გულის მსიტყჳტლობდა სახითა ამით: ნუ-უმე მეცა რიცხჳთა შინა ტყჳტთათა მითვალულ ვიქმნე, და ემებდა ღონესა რასამე და განიზრახსა გაპარვა მუნით; გარნა არა ცხად უყო ლამბარა-შჳლსა, ამისთჳს რომელ ნუ თუ სილარიბემან ჰსმლოს მას და მისცენ მას რამდენიმე ოქროჲ და თან-კმა ექმნას განვაჭრებასაცა ჩემსა; დამტკიცებულმან ამისამან, შემდგომად შუაღამისა შეკმაზა უნეჲ თჳსი და იდუმალ განსრული სოფლით, აღმხედრდა მას ზედა და დაიწყო ჭალასა მას შინა სიარული, და არა უწყოდა თუ სად მივალს, და უკანასკნელ იძულებული განვიდა მინდვრის კერძოდ და მიმოისედებოდა ნუ თუ მახლობელ მისა იხილოს დაბა რაჲმე შესაყრდნობელად თავისა თჳსისა, გარნა სიღამისა მალით ვერა განერჩია მას, და ოდეს მოიწია განთიადი აღსდგა ზურაბ, იხილა იოანე მუნ არღა მყოფი და აგრეთვე ცხენიცა მისი და უკანასკნელ მაღლისა

ხმითა დაიწყო ზახილი, და ოდეს ვერა მიიღო პასუხი, მაშინ გამოსცნო მან გაპარვაჲ მისი და მწრაფლ აღკაზმა ცხენი თჳსი, და ცხად-უყო აბაშიძესაც. ანნა არა მცირეს მწუხარებასა მიეცა და მსწრაფლ უბძანა მსახურსა თჳსთაგანსა, რათა ამხედრდეს იგი და ზურაბითურთ განუდგნენ კუალსა მისსა და უკუ-მოაქციონ იოანე; უკეთუ არა ინებებს იგი, მისცენ მას ხუთი ოქროჲ ბაჯაღლუსა და ცხად-უყონმცა სანდურავი კნეინასაგან, ვინადგან ეჭჳთა განივლტო იგი. და მსწრაფლ წარვიდნენ ესენი მინდვრისა კერძოდ და იქმნა რაჟრაჟ ოდენ. მაშინ მომსედველმან იოანემ იხილა ორნი უკუ ცხენოსანნი, მსწრაფლ მიმავალნი თჳს კერძოდ და ჰსთქუა: აჰა მოიწია ჟამი აღსრულებისა ჩემისა, მიხსენ მე მტერთა ჩემთაგან, ღმერთო, და მათგან, რომელნი ემიებენ სულსა ჩემსა, და მიხსენ მე საბრხისა ამის მონადირეთაგან! და ამ სიტყუასა შინა იხილა შორით კოშკი მაღალი ხაშურისა და მეის დაჰკრა ცხენსა მათრახი თჳსი და ჭენებითა წარემართა მუნ. გარნა არა უწყოდა, თუ ვისდა მივალს იგი; ჟამსა ამას შინა რა იცნეს მათ იოანე, ესენიცა რბევითა ცხენთათა

შეუდგნენ მას. და ოდეს მიესმა იოანეს ძლიერი ბგერაჲ ცხენთა ფესისა, მიიწია მყის სოფელსა მას შინა და იხილა ერთის გლეხისა სახლისა კარი განღებულ, და მსწრაფლ გარდახდა ცხენიდამ და შევარდა სახლსა მას შინა; ხოლო სხჳა კაცთაგანი არვინ იხილა, გარდა მოხუცისა ბებრისა, და ჰრქჳა: დედაო! შეიწყალე ჭაბუკობა ჩემი, მიხსენ და დამიფარე მე კელთაგან უცხო-თესლთასა, რომელთა ზედა ენებათ განვაჭრებაჲ ჩემი! ბებერი მყისვე მიჰხჳდა სიტყჳასა მისსა და ჰრქჳა: მოვედ შჳლო, და დაგმალო ამა ქვეშაგებსა ჩემსა. იოანე მსწრაფლ დაწვა მუნ, და მან მოხუცამ წააფარა დაბებკული საბანი თჳსი და ზედან დააჯდა მას; მცირესა ჟამსა შინა მოიწივნენ იგინიცა და იხილეს ცხენი იოანესი მდგომარე კარსა ზედა მუნ ბებრისასა, და მყის შევიდა მსახური იგი აბაშიძისა და ჰრქჳა: დედაო, სად არს იოანე დიაკჳანი? დედა-ბერმა ჰრქჳა მას: არა მიხილავს: შჳლო. მსახურმან. ცხენი იმისი კარსა ამას სახლისასა დგას. გარნა იგი უარს ყოფდა, და განაგრძეს უბნობა; მაშინ იოანემ: . . . . . . . . . . . . . . . .

. . . . . . . . . . . . . . . . . . .

უკეთესია ცხად ჰყო თავი ჩემი, უკეთუ განმავაჭრებენ მე ვაჭართა ზედა მადიამისათა, და ითხოვენ იგინი ჩემგან დატევებასა ჴსჯულისასა, წინა აღუდგები ნებასა მათსა. და უკეთუ მაიძულებენ ტანჯვითა, და შეუძლებ ტჳრთად, და აღვსრულდები, მეცა მოწამეთა გუნდთა შინა აღვირიცხები. ხოლო უკეთუ ვერა ვიტჳრთვებ ტანჯჳათა მათგან, მაშინ არა გულითა ჭეშმარიტითა აღვიარო ჴსჯული მათი. და მიმწევმან დიდკაცობასა შინა, ვქმნა უმეტესი კეთილობანი ქრისტიანთა ზედა. და ესრეთ წარმოჯდა ქვეშაგებისაგან იოანჱ და ჰრქჳა: რაჲცა გეგულვებოდეს აღრე ჰყავ; ხოლო მან ჰრქჳა მას, არა უფალო, მე მოვივლინე თქჳჱნდა ანნასაგან, რათა ცხად ჰყო წყინება მისი და ამასთან საჩუქარიცა მოგართვათ. ჲოანე: მითხარ, რაჲ ეწყინათ. მსახურმან: თქჳჱნი მაგ სახით წამოსვლა, მას ენება თქჳჱნთჳს მომადლებინა ტყჳჱბი და პატივით გასტუმრება თქჳჱნი.

იო. ვაჲ თუ ეგ არ მომხდარიყო; მე თავადინასაგან სარწმუნო ვარ, მაგრამ მოძღჳარ-მოწაფისაგან შევშინდი; მამა მჳლობას, შენდობა მომითხოვე და მადლობაც მოახსენე: მაშინ მოართვა

მსახურმან ხუთი იგი ოქრო, და გაშინჯა რა იოანემ, ჰსთქუა: ესე არა ჰგავს მისირის ოქროს, ბაჯაღლუა; ეს ტყუს ნავაჭრი არ არის. გამგონე ამისი ზურაბ ჰრქუა ბერსა: შენ ნუ მომიკვდე, თუ ხონთქარს ბაჯაღლუ ოქრო ჰქონდეს; რაზედ დამიკარგე ერთი ურემი ჰური.

იო. ჩემი სულის და ხორცის დაცვა ვირჩიე ერთს კოდს უკუჱ ხორბალსა, და ამა სიტყჳსა შინა წარვიდა მსახური იგი.

იოანემან მოიღო ოქრო იგი და ჰრქჳა: ჵი ოქროო! თუ რაოდენ შემძლებელ ხარი შენ, შენგან ალი-ლებიან უძლეველნი ციხენი, შენგან იძლევიან მხედრო-ბანი, შენ გუვარობენ კელმწიფენი, შენი ძალით დაეცემიან მეფენი, შენ მიიზიდავ გულსა მდიდართა და ღარიბთაცა, შენ ხარ მხიარულება ყოველთა კაცთა; მხიარულებით შეგიტკბობენ მღუდელთ-მთავა-რნი და სხუანი სამღუდელონი. მრავალგზის გაა-ადჳლებ კანონთა, მრავალ გზის გაამტყუნებ მართა-ლთა. შენ მიიზიდავ გულთა მსაჯულთა და კარის კაცთასა; შენ ასწავებ ცოდვასა ანგაარებისასა; შენ ხარ კეთილი, და აგრეთვე ბოროტი; ვინადგან ორივე ძალ გიძს, მოვედ განგიწიალო; შენ დააწუნა-რე მძრწოლარე გული ჩემი; შენ მიეც სიმტკიცე

გულსა ჩემსა; აჰა შთაგიდებ უბესა მახლობლად გულისა, განმხიარულდი გულო! აჰა წამალი ყოვლის მწუხარებისა!--და ესრეთ განსხნობილი იოანე აღსდგა, ბებერი დალოცა და გამოვიდა გარე. ოდეს იხილა საშუალ სოფლისა კოშკი და სახლნი, იკითხა ვინ ცხოვრებს აქა. და ჰრქუჱს: ხიდირბეგის შვილი. მაშინ იოანემ ჰრქუა ზურაბს, მივედ და აცნობე თავი ჩემი; მიგვიღებს იგი, ვინადგან ადრითვე მიხილავს მონასტერსა შინა. მისრული მისდა ზურაბ ცხად-უყოფს იოანეს მიერ ლოცჳა-კურთხევასა, და მამუკა მიიწვევს შეისვე.

იოანე მისრული-მისდა, ეტყჳს მას: მონაზონობის სახით მოგიკითხო ანუ ერის-კაცობით?

მამუკა: როგორც ხედავ სახესა ჩემსა. მაშინ იოანე: მშვიდობა შენდა ნაბერალო, რად განიმარცვე მონოზონთა სახე. დროს შემიებელო ყოფილხარ, და არა სულისა,

მამ. მაგით არ წავწყმდები,--და შეიწვია სახლად. შესრულნი სახლად დასხდენ და დაიწყეს სხჳა და სხჳა გუარი უბნობა, მოიღეს სადილი და რა განაგრძეს . . . . . . . . . . . . . .

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

დაასრულეს სადილი და კმაყოფილნი განემართნენ სურამისაკენ.

იოანემ მიმავლობასა შინა იხილა გზასა ზედან მრავალნი მროსა და სარნი, და ჰკითხა მწყემსთა მათ, ვისი არის ნახირი ესე? და მათ ჰრქუჩს, მოურავისა.

იო. საიდამ შეკრიბნა ესენი?

მწყემსთა. ნარბევიდგან.

იო. ვითარ?

მწ. მდევრის კაცნი, რომელნიც დააკლდნენ მდევარს, მათი ნარბევია.

იო. წაიღეს რამე ლეკებმან?

მწ. ნასირი მოიტაცეს.

იო. მაშ რაც ლეკებს გადარჩომია, მოურავს სისრულე მიუცია.

მწ. მართლად, რაც გარდავარჩინეთ, მოურავმან მივვიღო.

იო. ეს ჰსჯულდება ქისიესაც არის, მაგრამ თუ სხჳაგან სადმეა გლესი კაცი და კელ—მარ-ტოა, არ დაარბევენო.

მწ. ტფილისსაც რომ იყოს ჩუჩნგანი კელ მარტო-კაცი და აქ მდევრობა მოხდეს, ჩუჩნი მოურავი

მაინც დაგვარბევსო.

იო. ვინ გიარს მოურავი?

მწყ. არა უწყი, მე ახლა მოველ ჯავახეთით.

იო. ტყუვილსა ჰსწამებ, თავის დღეში მაგვარი არა უქნიარა მას.

მწყ. საკუთარი ყმები თჳსიც ამას უჩივიან.

იო. ვიცი შვილო; აქ არის მოურავი?

მწყ. არა, შინ წავიდა.

იოანე განეშორა და წარვიდა. გზასა ზედან ზურაბსა ჰრქჳა იოანემ: ესე ძნელი ჰსჯულდება საბრა-ლოს გლეხთა კაცთ ზედა, ასე ადჳლად და თით-ქმის შეუძლებლად დარბევა; ეს უსჯობესია, რომელ ამ სახით იყოს: ვინც გლეხთაგანი დააკლდეს ვინმე მდევარსა ან ცხენით, ან ლორით, ან ღჳნით, შეძლე-ბისა-მებრ გამოერთვას და იმ მადევრის კაცთ შეუ-მოქცევის დროს, ან ვახშამი, ან სადილი გაუ-კეთდეს და იმათ მიიღონ; უფრო გაახალისებს ხალხსა და არც გაღარიბდებიან, რომ მკის დროს და ლეწჳს დროს კარგი ერთისკვათ, და წვრილის შვილების გამომზდელი მოხჩები.

ზურაბ: უცხო-რჩევაა ესე, თუ მოხელეებიც თანხმა გვეყოფიან.

იო. სულ ცუდის მოკვლეებისაგან არის ქუჩეანა ნაკლულევანებაში.—და ამა უბნობით მივიდნენ სურა- მს; მაშინ იოანემ გაუზავნა ზურაბ მოურავის ნაიბთან და თავისი ვინაობა ცხად უყო და სთხოვა სახლი სადგური; მან უპასუხა ზურაბს: მე ვერ მივიღებ, თუთ იზრუნოს. რა ზურაბმან ესე პასუხი მოართუ იოანეს,—ეწყინა და ჰკითხა: ზურაბ, ზურაბ! მამა-შვილობამ, მოკლე ჟამის მოურავ-ნაიბი არიან, და აქა იქ სიარული დაიწყო და სახლის მებნა; ამ სიარულსა შინა იხილა ქაიხოსრომ მურვანის- შვილმან და მიუწოდა იოანეს; მეის იოანე ცხენი- დამ გარდახდა, კურთხევით მოიკითხა და ქაი- ხოსრომან წარიყვანა სახლად თჳსა, მრავალნი სხუა და სხუა გუარნი უბნობანი მოიუბნეს და უკანასკნელ ვახშმის ჟამს მოიღეს ვახშამი. იოანეს მოართვეს მარხვს სანოვაგე. ხოლო ქაიხოსროს სახსნილო. რა კელი ჰყუს--

იო. დღეს ოთხშაბათია.

ქაიხო. ვიცი.

იო. და რად ჰსჭამ?

ქაიხო. თათრებში დავეჩვიე.

იო. ახლა ხომ ქრისტიანებში ხარ?

ქაიხო. ჩუჩულება ჴსჯულთ უმტკიცესია.

იო. ვიცი, ფილოსოფოსნი ჩუჩულებას მეორე ბუნებას ეძახიან. მაგრამ კაცმა კეთილი საქმე უნდა გაიბნებაოს.

ქაიხო. მე მეფე ირაკლის ორმოცდა თუთხმეტი წელიწადი ვმსახურე და ჩემის მსახურებისათჳს ყაზახის თათრებში განმაწესა და იმათ თავაზით შევეჩვიე მარხვის ჭამას, რომ იმათ არ ვამლევდი დაბრკოლებას, და ამ სახით უფრო გაუერთგულე ის ერი მათ სიმაღლეს.

იო. ჴკავს, ისე მოქცეულხარ, ვითარცა ჴსწერია: ჭამეთ წინა დაგებული თქუჩნი და ნურარას განიკითხავთ იჭჳსაისჳს, რამეთუ უფლისა არს ქუჩყანა და სავსება მისი. მიბმანე, მათ უმაღლესობას სადა და სად მსახურეთ.

ქაიხო. რომ ცოტა ვსთქუა, მათ უმაღლესობასთან თუ სხუაგან ორმოცდა ათი ომი მეტი მიხილავს, მაგრამ სახელოვან ომებში ყოველგან ვხლებივარ მათ სიმაღლეს: აზათხანის ომში, რომ სამი ათასის ქართუჩლით თვრამეტი-ათასი კაცი დაამარცხა უზარბაზნოთ ბატონმან, და იმისი ურდო მთლად დაგვრჩა, რომ განვმდიდრდით. ოთხი ათასის კაცით,

აჯიჩალაფის შვილი თორმეტი ათასის კაცით მოსული ბორჩალოის დაამარცხა, და მრავალი ტყვე და საქონელი ვიშოვეთ. ავარიის-ხანი რვაათასის კაცით მუხრანს--ჯვარის ალვა,--დავამარცხეთ დია მცირეს ჯარით და მრავალი დავხოცეთ და დავატყვევეთ. დასლისში ქიზიყის ბოლოს ვძლიეთ ლეკის და მრავალი ამოვხოცეთ და იმ ღამეს დედოფლის წყარო-ზედ მდგომთა. დაგვესხა სხვა უდიდესი ჯარი თავსა მას გაქცეულს ლეკთან შეერთებული, და იგინიცა დავამარცხეთ, დავწყვიტეთ სურთვისა ავილევით და მრავალი ოსმალი დავხოცეთ. აბდულა ხანი ბაგრატიონანი, თორმეტი ათასის ყიზილბაშით მოვიდა, ციხეც თათრებს ეჭირა და სოღანლაგზედ დავამარცხეთ და ავწყვიტეთ ასპინძას ოსმალისა და ლეკის ჯარზედ გავიმარჯვეთ, რომ რუსები დაგვი-ბრუნდნენ, არღა გვიშველეს. და სულ ის თათრის ჯარი ძლიერად ფარაოსავით მტკვარში დავღუპეთ და მეფემან მოკლა თავისის ხელით კოსტა-ბელადი. ერევნის დიდ ომში იქ ვახლდი და რვა ათასი კაცი დავამარცხეთ მეფის გიორგის მიზეზით და გარჯი-ლობით. ავარის ხანი ოცდა ოთხი ათასის კაცით ქვართლის ციხეს შემომდგარი იყო, სამასი კაცი

წავედით დაუთალაბათ და შევედით ციხეში და გავაქციეთ მეგეოდენი ჯარი. მცხეთას მიმავალს ღამე დაგვხვდა ლეკისა ჯარი ჭსმლო მუნ ბატონმან, თავისის კელითაც მოკლა ლეკი და ჩვენ სამთ მმათა დავხოცევით ლეკები, სამთავ მივართვით თავები და მაშინ მიბოძა ჯილდოდ ჯაბადართ უხუცესობა და სხვა წყალობა. ატოცის გამარ-ჯვება ხომ შენც იცი. ქრცხინვალს, სვითებში და სხვაგან რაღა მოგახსენო; იმერსედ, ყველგან დავსწ-რებივარ მის სიმაღლესთან, ყოველგან სახელი მიქმნია, აგრეთვე საკუთრად ყაზახში და სხვაგან. და განჯის ომშიც და ალამამათხანის ომშიც თან ვახლდი და მთიულეთსაც განუშორებლად ვიყავ. და ამისთანა გამზდელს ბატონს მოვშორდი, რატომ არა მწყევ. მაგრამ მეფის გიორგისაც მადლობელი ვარ, რომ იმავე ხარისხში მყვანდი და მემკვიდრეს დავითისაცა და აწ ასლა რადგან შვილი არა მყავს, ეს ჩემი მმები და მმის--წულები მინდა ჩემსავე სიცოცხლეში განვყარო, ჩემი ქონება გაუყო და მშვიდობაში დაუტევო; ამისთჳს მოველ აქ და შემწე-დობა ამისთანა მოსამსახურე კაცს, თუ არა?

ზურაბ. ვიცი შენ მხვნელ-მთესველი კაცი არა

ხარ, რომ ჰურით შეგვეწიო, და ეგ შენდობა ერთს ხალიჩაზედ არის დამოკიდებული.

ქაიხოსრომ მეისვე მიართო იოანეს ხალიჩა და მონასტრისთჳს მროსა. იოანემ: ღმერთმა შეგინდოს შენ ცოდვაც და სსჳწბიცა.

ზურ. აკი მოგახსენეთ ქაიხოსრო, რომ შენდობას მალე მიიღებდით. და ამა უბნობაში შემოვიდა მუნებური ტერტერა და სწავლაშიაც იყო გამოცდილი. ქაიხოსრომ უთავაზა, მიიწვია და იოანეც აცნობა, ურთიერთი მოიკითხეს და აწვიეს სადილს. ტერტერასი ის კვირა ხსნილი იყო და ამანაც დაუწყო კირცს ჭამა. მაშინ იწყეს საუბარი, თუ ვითარს ჯუარსედ არს დაწყობა მარხუათა.

იო. მე არა განვაკრძობ, გარნა მხოლოდ მოკლისა სიტყჳთა გაცნობო. ესე ჰჭგონებ შენც უწყოდე, რომელ წმინდის ეკკლესიის უპირველესნი მცნებანი ცხრანი უკჳჳ არიან, და მათ შორის პირველი არს ლოცვა გულსმოდგინედ ღვთისადმი, ხოლო მეორე არს მარხუა. მარხუა ესე განაწესეს წმინდათა უკჳჳ მამათ, ვითარცა შენც უწყი, ქრისტიშობისა, რომელი იწყების ნოემბრის ათუთხმეტიდამ ვიდრე ქრისტი-შობს იცოდა ხუთამდე, რათა

განწმენდილნი ჩუჱნცა მივეგებნეთ ქრისტესა ლოცვითა და მარხვითა, მსგავსად მოსესა, ვითარცა მოეცა მას მთასა სინასა საღმრთოო იგი სჯულის ფიცა-რი, რათა იცნან მით ისრაილთა ჭეშმარიტი ღმერთი და დაიცვან მცნებანი მისნი; ხოლო უკანა-სკნელ ოდეს სათნო იჩინა ღმერთმან და იშვა უფალი ჩუჱნი იესო ქრისტე ბეთლემს ქუაბსა შინა ხორციელად ხსნისა ჩუჱნისათჳს, ჩუჱნცა თანა გვაძს, რათა განწმენდილნი სულითა მივეგებოდეთ და მოვიღოთ მადლი მისი, და დავემტკიცოთ მცნებასა მისსა. ხოლო დიდმარხუას რომელსაც უწოდთ, ესე თჳთ შენც უწყი, რომელ იმარხა თჳთ ქრისტემან ორმეოცი დღე და ორმეოცი ღამე, ვითარცა წერილი იტყჳს, და მერე შეეძინა აგრეთვე ამ დიდმარხუას შემდგომად ორმეოცისა ერთს; კვირასაც დავიჭერთ, რომელ არს ვნების-კვირა, რომელსა კვირასა შინა შეითქუნენ ურიათ მღვდელთ-მოძღუარნი და მოიბირეს იუდა გამცემელი და მისცა უფალი ჩუჱნი იესო ქრისტე კელთა ურიათა, რომელიც განკიცხეს, გვემეს და ჯვარს აცვეს, ამა-საც მოხსენებისათჳს ვნებისა უფლისათჳს, ვიმარხავთ და ესრეთ აღდგომის კვირიაკესა განვიხსნილებთ.

მოსრულნი ხსნისა ჩუენისათჳს; მესამე მარხვა მოციქულთა, რომელსაც ვიწყობთ შემდგომად ყოვე-ლთა წმინდათა კჳრიაკისა ორშაბათს ვიდრე ოცდა ცხრას ივნისამდე და მაშინ გარდვიხდით პატივის-ცემასა და დღესასწაულსა მოციქულთ თავთა პეტ-რესა და პავლესსა, და ესრეთ განვიხსნილებთ. მეოთხე მარხვას ვიწყებთ პირველის აგვისტოდამ, ღვთის მშობლის მიცვალებისასა, და ათხუთმეტსა რიცხვსავე შინა განვიხსნილებთ დღესა წმინდისა მიძინებისა ღვთის--მშობლისასა. კუალად თჳნიერ მგზეფსისა, შევინახამთ ოთხშაბათ-პარასკევსა: ოთხშაბათს ვინაჲდგან ურიანი შეითქვნენ შეპყრობად იესოსა, ხოლო პარასკევს ვინადგან ჯუარს აცვეს უფალი ჩუენი იესო ქრისტე, ვითარცა განგვიწესეს მოციქულთ, მოსახსენებლად ვნებისა უფლისა ჩუე-ნისა იესო ქრისტესსა, რომელიც დაგვიწერეს მესამეოცდა ექვსსა კანონსა შინა და კუალად მოგვეცა წმინდა აღმოსავლეთის ეკკლესიისა მიერ მარხვად სეკდემბრის ათოთხმეტსა, რომელიც დღე დახუდეს, ჯვარის ამაღლები-სასა, მოსახსენებლად ვნებისა უფლისა ჩუენი-სა იესოს ქრისტესა. კუალად წინა დღესა ნათლის-

ლებისასა ვიმარხავთ, ვინაჲდგან ათორმეტი გარდაისდების, და ესე ათორმეტი თუ არ მარხვით ხსნილში უჯეროა, პატივისათჳს წყალ-კურთხევისა და ნათლის ღებისათჳს უფლისა ჩუენისა. აგრეთვე ოცდა ცხრას აგვისტოს ვიმარხავთ ნათლიმცემლის იოანეს თავის კვეთის დღეს, ამისთჳს რომელ, ვინაჲდგან უსჯულო მეფემ იროდიმ შეიპყრა იოანე და შესვა საპყრობილესა შინა, რომელიც თანხმა არ ექმნა, რათა რძალი თჳსი შეერთო, და მერე შობისა თჳსისა დღეს, რადგან დიდის სერი გარდისადა და იმ სერში ბირებითა იროდიასითა, ასულმან იროდიასმან მოაკუეთვინა ეროდეს წმინდა იოანე, და ეს სერი იყო ერთი მართლისა სულის მოკუეთის მიზეზი, ხოლო მეორე ბილწებისა და არაწმინდებისათჳს, მოკლა მართალი იგი იროდიმ და თავი მოჰკუეთა იოანეს. ამისთჳს ჩუენ ვიმარხავთ პატივის ცემისათჳს წმინდისა და არა მიბაძვისთჳს იროდისა. კუალად ერთს კვირას წინად დიდ მარხვისა ვიმარხავთ ხორცსა. მხოლოდ მივიღებთ საყურწყაოს, რომელსაც ყველიერს უწოდთ, და ესე განწესდა ირაკლი კეისარის დროს, ოდესცა ბრძოდა სპარსთა, წმინდათა

მღუდელთ მთავართა და პატრიარხთაგან შენდობით, რათა ჯართა არ მისცემოდათ დაბრკოლება, რომელიც ის კვირაც მიეწერებოდა დიდ მარხვასა. აწ ევტუქისა და დიოსკორეს წვალება მოვიხსენიოთ: ევტუქი სამსა წვალებასა შედგომილ იყო და მოწაფენიცა მისნი: პირველად ქრისტეს ორთაგან იტყოდა, არამედ არა ორითა ბუნებითა ყოფად, რამეთუ კაცობრივსა ბუნებასა ღვთაებისა ბუნებისა თანა შერევნილად იტყოდა.

პეტრე მკაწვნელმან «წმინდაო ღმერთის» გალობას შესძინა «წმინდაო უკვდაო, რომელი მოჰკვედ და დამოეკიდე ჯვარსა ზედა, შეგვიწყალენ ჩუენ», და ესე დიდი გმობა არს, რომელ ღუთაებასა ვნებად, ჯვარცმულად და მომკვდრად იტყჳთ, რომელ ხორცი ქრისტესი არა არს ჩუენი ერთი არსება, და ესეც მემდგომად აღდგომისა, ისევ ღუთაებისა ბუნება ახვიდა ზეცას და არა კაცისა. და კაცისა ესრეთ აღერივნეს, ვითარცა ერთი წუეთი ძმრისა შთაავწუეთო უკიანესა ზღუასა შინა და არღა იქმნების იგი თჳსებასა შინა ძმრისასა. ესჱანიცა განყოფილებანი წმინდისა ეკკლესიისანი მრავალნი არიან ურთიერთისა შორის.

იოანე ღჳთის-მეტყველი მახარებელი იტყვის ესრეთ: რომელმან აღიაროს იესო-ქრისტე ხორციელად მოსრული, იგი ღჳთისაგან არს, და ყოველმან სულმან, რომელმან არა აღიაროს იესო-ქრისტე კორციელად მოსრული, იგი არა ღჳთისაგან არს და ესე ჯრს ანტი-ქრისტე.

გრიგოლ ღჳთის მეტყჳელმან სთქჳა ესრეთ: ბუნებანი ორნი, ღმერთი და კაცი, ვინაჲდგან სულიცა და ხორცნი. ხოლო მენი არა ორნი, არცა ღმერთნი. ორი ბუნება, ჰსთქჳა ნერსეს შნოჭრალმან, სომეხთ კათოლიკოზმან, ესრეთ: მჳწლი ადამ ემვილა ახალსა ადამს, ხოლო ქალწულისაგან ღმერთი და კაცი ერთ იქმნა, რამეთუ ორივ გამოუთქმელად ერთ იქმნეს, არამედ ბუნებანი ორნი არა შეიცვალნეს.

ქაისხოსრომ. იოანეს აკოცა და უთხრა: მიხარის, რომ კარგად გისწავლია და წერილშიაც დაღალულხარ. გთხოვ, რომ საკუთარი მეგობარი შეიქმნა ჩემი, და ამანაც მადლობისა მთქმელმან დალოცა და ესრეთ დაასრულეს სადილი, და იმ დღეს მუნ განისვენა და დაიარა სურამი, გაშინჯა ყოველივე და სასვა-

ლიოდ განემზადა მაღინისაკენ წასასვლელად,

დღე მეოთხე.

იოანე კმაყოფილი განემართა მაღინისაკენ და მწუხრის ჟამსა მიიწია მუნ, და იოანემ ჰრქუა ზურაბს: იზრუნე ჩუენთჳს სადგური. ზურაბ მისრული ფალავანდიანთთან, მოიკითხავს იოანეს მიერ და მაშინ ელიაზარ მიიწჳევს მას; მისრული, იოანე წინა წარდგების და ეტყვის: მშვიდობა შენდა, ბრწყინვალეო მდივანო!

ელიაზარ: მე მდივანი არღა ვარ.

იო. ადრევ უნდა გეფიქრა.

ელიაზ. მე ჰასლანიკობა აღვირჩიე.

იო. მე ეგ ლექსი არა უწყი.

ელიაზ. დესპანობა, ანუ ელჩობა.

იო. საით?

ელიაზ. ყეენის ქუეყნის კაცის ამხანაგად.

იო. ილისოსაკენ აპირებთ დესპანობას?

ელიაზ. არა.

იო. მაშა საით?

ელიაზ. ევროპიისკენ.

იო. ჭკუ

ელიაზ. და რად გიკვირს?

იო. ამისთჳს, რომელ იცია იქაური ყოფა-ქცევა, ანუ ენები, ანუ ღეოღრაფია?

ელიაზ. თვალიც დაგიდგება; სხუამ ვინ იცის ჩუჱნი, რომ მე ვიცოდე, და თუ მაგას მიხედა ჩუჱნმა ბატონმა, ელჩს ველარსად გაგზავნის,

იო. უა ჩემსთჳს. მართლად ბძანებთ, მაგრამ ილისოის სულთანთან ელჩობასა და ევროპიაში დია დიდი დანასჯთქი უქევს.

ელიაზ. მე ვისაც მივსდევ, ამით მესამედ ყოფილა.

იო. სამი დიდი მტერიც გვიშოვა.

ელიაზ. ვინა?

იო. ხონთქარი, ეჱენი და დაღისტანი.

ელიაზ. რა ქნეს იმათ ლირსი ხსოვნისა?

იო. ტფილისი დახატეს და ახტალა ფასანი-თურთ.

ელიაზ. ახლა ჩუჱნ დესპანობა იქნება ბედნიერი მაგათთჳს.

იო. ნეტამც ეგრე იყოს.

ელიაზ. შენ ილოცე ჩემთჳს, უდაბნოს ბერი ხარ, და ყოველივე იქნების კეთილი.

იო. სარწმუნოებისა შენისა მებრ გეყავნ.

ელიაზ. მე ურწმუნო არა ვარ.

იო. ღმერთმა გაშოროს ურწმუნოება, გარნა დესპანსა თანა ამს სარწმუნო ყოფა.

ელიაზ. დესპანი ვითარ უნდა იყოს სარწმუნო და როგორი?

იო. პირველად უნდა იყოს მტკიცე თჳსსა სარწმუნოებასა ზედა და ფიცსა; მეორე უნდა იყოს ერთგული მამულისა და მეპატრონისა თჳსისა; მესამე არ იყოს ანგარი და ქრთამის მოყვარე; სოლო მეოთხე, ჴსწავლული, ჭკვიანი და მდიდარი, რომ სხვის კელს არ შესთხოვდეს.

ელიაზ. ნამდვილ ეგრეთ, გარნა მითხარ მე: რაჲ არს სარწმუნოება?

**სარწმუნოებისათჳს.**

იო. სარწმუნოება არს თაყუანისცემა ჭეშმარიტისა ღუთისა, შემოქმედისა ყოვლისა არსისა, აღვლენა სულისა და გულისა, ჭეშმარიტებით მოქმედება თანამდებობათა ჩუჱნთა, ვითარცა შინაგანთა, ეგრეთვე გარეგანთა და დამარხუა ეკკლესიისა

წესთაცა, რომელნიცა წარუწერა თჳთ ღმერთმან კაცთა და უბრძანა.

ელიაზ. გარდა სარწმუნოებისა, კიდე რაჲ ჯერ არს ქმნაჲ?

იო. კეთილი საქმე, რამეთუ სარწმუნოება თჳნიერ კეთილისა საქმისა მკუდარ არს.

ელიაზ. მრავალნი არიან ღმერთნი სხუანიცა, რომელთაცა თაყუანის-სცემენ კაცნი?

იო. ჭეშმარიტი უკუე ღმერთი არს ერთი, შემოქმედი ცათა და ქუეყანისა, ხილულთა ყოველთა და არა ხილულთა, ხოლო სხუანი უკუე ყოველნივე ტყუილ, რომელთაცა წარმართნი თაყუანის-ჰსცემ ნ, რომელნიცა არიან მრავალ და იგინი არა არიან ღმერთნი, არამედ კერპნი.

ელიაზ. ვითარ იწოდებიან ერნი იგი, რომელნიცა თაყუანის-სცემენ ტყუილთა ღმერთებთა?

იო. კერპთ თაყუანის მცემლად.

ელიაზ. ამაოდ შურებიან იგინი?

იო. ამაოდ, ამისთჳს რომელ თაყუანისცემა აღვლენილი, ანუ შეწირვა კერპთადმი, არა არს ჭეშმარიტი ღუთის პატივის ცემა, არამედ ამაოდ მორწმუნოება და კერპთ თაყუანის მცემლობა.

ელიაზ. მრავალნი არიან სოფელსა შინა სხუა და სხუა გუარნი უკუჱ სარწმუნოებანი?

იო. მრავალნი.

ელიაზ. რომელნი არიან უპირველესნი სარწმუნოებანი ამათ შორის?

იო. უპირველესნი სარწმუნოებანი არიან უკუჱ ოთხნი: ესე იგი, სარწმუნოება ქრისტიანეთა, ისრაელთა, ანუ ურიათა, წარმართთა და მაჰმადიანთა.

ელიაზ. ვითარ ვჰმსგავსებით ჩუენ ქრისტიანენი სარწმუნოებისა ზემოხსენებულთა ნათესავთა?

იო. ერთისა ღვთისა მცნობელობითა, ესრეთ ვითარცა ჩუენ გურწამს ღმერთი, ყოვლად ძრიელი, ყოვლისა შემძლებელი და ყოვლისა დამბადებელი.

ელიაზ. სხუებრ, ვითარ განვეყოფით მათ?

იო. ოდეს მოვალთ განგებულებისადმი, ესე იგი განხორციელებისათჳს სიტყჳსა ღჳთისა და უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი, და აღვიარებთ ღჳთად სრულად და კაცად სრულად, მაშინ ურიანი, თათარნი და წარმართნი არა არიან ჩუენდა თანახმად, ამისთჳს, რომელ ურიათ არა ჰსწამთ განხორციელება სიტყჳსა ღჳთისა და იტყვიან: ჯერ არ მოსრულარს იესო ქრისტე, და ამით

უარ ჰყოფენ; მახმადიანნი, იტყვიან სულად ღმერთისა ქრისტესა, და არა მღჳთად, არამედ პირველ წინასწარ-მეტყველად, და დიდ კაცად, და სასწაულ-მოქმედად; ხოლო წარმართნი, არცალათუ შეიწყნარებენ.

ელიაზარმან. რადგან ჩჳჱნ, გვრწამს იესო ქრისტე, ღჳთად სრულად, და კაცად სრულად, რასათჳს ერთნი არღავართ სხჳათა თანა ქრისტიანეთა.

იო. ჩჳჱნ მართლ-მადიდებელთა, ქრისტიანეთა რაჲცა მოგვეცა, თჳთ ქრისტესაგან, და მოციქულთაგან, და სხჳათა წმინდათა მამათაგან, შვიდთა კრებათა შინა შეკრებულთაგან, ჩჳჱნ მასსავე ზედან ვჰსდგევართ, და გჳრწამს ეგრეთცა, ხოლო სომეხთა და ფრანგთა, რომელიმე მოსპეს და რომელიმე დართეს მათსა მოცემულსა და ამის გამო მოხდა განხეთქილება.

ელიაზ. ვითარ?

იო. სომეხნი, წმინდისა სამების აღსარებასა შინა ერთ არიან ჩჳჱნთანა, ვითარცა ჩჳჱნ გვრწამს, მამა, ძე და სული წმინდა, სამ გვამოვნებით, და ერთარსებით, მამა უშობელად, ძე მამისაგან შობილად, ხოლო სული წმინდა მამისაგან გამოსრულად.

ფრანგნი ექვსავე კრებასა შინა თანა ხმა იყვნენ ჩუენნი, გარნა მეშვიდესა კრებასა შინა, შემოიღეს გმობა წმინდასა სამებასა შინა, ესრეთ: სული წმინდა მამისაცან და ძისაგან გამოსრულად აღიარეს, და სხჳანიცა კანონნი ჩუენისა წმინდისა ეკლესიისა გარყვნეს და შეამსუბუქეს, და ნათლის ღებასა შინაცა არა აღმოშობენ წყალსა შინა, არამედ თავსე ოდენ მოუსხმენ წყალსა.

ელია. კჳალად სხჳა გვარნიცა არიან ქრისტი-ანენი?

იო. არიან.

ელიაზარმან. მითხარ რომელნი?

იო. ლუტერანნი, რეფორმატნი, ყიფონი გინა იაკობითნი, ანუ აბაშნი, ნესტორიანნი თომანიანნი, და სხჳანნი მრავალნი, მსგავსნი ამათნი.

ელიაზ. ვინ იყო ლუტერ ანუ რა სარწმუნოე-ბა განაჩინა?

იო. ლუტერ იყო ვიტტენბერგის დოკტორი, წოდებული მარტინ ლუტერად, ამან დასდო წმინდასა სამებასა შინა ვითარცა ფრანგნი აღიარებენ, სულიწმინდა მამისა და ძისაგან გამოსრულად, მარხვისა ყრაოდეს დაშურობად, ქორწინება, მღვდე-

ლოა და მღვდელმთავართა, ვიდრე სამ გზის, ერის კაცნი ოდესმე ჰიროობით იქორწინებენ, და მერე გაუშვებენ, ოდესმე ეკკლესიასა შინა დასწერს პასტორი მათ ჯვარსა, და რაოდენიც ნებავს გაუშვებს და სხვას შეირთავს. შეირთვენ ბიძაშვილს, რძლისა, ცოლის დასა და სხვასა მახლობელთა ნათესავთა. არა ჰსწამთ წმინდათ მეოხება ღმრთისადმი, არცა ღმრთის მშობლის ხატს თაყვანსცემენ, წირვა აქვთ წელიწადში ერთისელ, ანუ როცა ეჭირებათ, და დიად მოკლედ. ნათლობაც აქვთ ფრანგსავით. სხვა ეკლესიის დღესასწაულებს, ანუ საუფლოთ, მცირედ გარდიხდიან და მასცა მხოლოდ ფსალმუნითა და ქადაგებითა, საეკკლესიო წიგნი ფსალმუნისა და სახარებისა მეტი არა აქვთრა, გარდა კვირისა, ეკკლესიაში არ ილოცვენ, არც ხალხი მივა, თუ არ კვირით. და ოდენ შობასა და სხვა საუფლოთა დღეთა, არა აქვთ ცისკრის ლოცვა, არცა მწუხრი.

ელიაზარ. მითხარ რეფორმატებრივი ჰსჯული და სხვათა?

იო. რეფორმატი, შემდგომი, მოძღვარი ცინგლიევური, იყო შედგომილი მოძღვრებისა, კარლსტა-

დევისა და კალვინისასა. ამათ უფრო მსუბუქად აქუთ სარწმუნოება, ვიდრე ლუტერთა, და სხუაზ მჴსნავსნივე არიან მათნივე. გარნა არა ჰსწამთ ამათ, სრულ ხორცად და სისხლად, პური და ღვინო შეწირული ქრისტესად, არამედ აქუთ მათთაც ზიარება ერთა.

იაკობიტნი, აბაშისა ქვეყანისანი, არიან შედგომილნი უფროს იაკობ მოციქულისა, გარნა ესენი წინა დაიცვეთენ და მერე ნათელს იღებენ, და გაცეცხლებულისა რკინისა შანთითა, ყრმათა დანიშვნენ, და იტყვიან ესრეთ მიზეზსა მისსა, რომელ ნათლისცემა აქუს წყლითა და ცეცხლითა; წირვას აღასრულებენ იაკობისავე კონდაკითა, გარნა შერთვენ სების კვერსა შინა ზეთსაცა, და იტყვიან სიპოხისა თჳს სრულისა ხორცისა, დღესასწაულობენ ყოველსა, თითქმის ბერძენთადმი ერთად, სოლო რომელნი მეყიფთნი და არაბნი არიან მრავალნი ჩუენისა სარწმუნოებისანიცა.

ელია. მითხარ მე ნესტორიისაცა:

იო. ნესტორ იყო, ანტიოქის ქუეყანით და მერე იქმნა პატრიაქი კონსტანტინე-პოლისა, ესე ვიდოდა შავითა შესამოსლითა, პირი აქუნდა შეჭუ-

ხვილი, ფერმისდილი, და ესე გუარ მეცადინეობდა, რათა აჩუენოს თავი თჳსი მარხუელად ერთა, გარნა იყო სწავლული და მშუენიერ მოუბარი, რიტორი ძველთა და ახალთა წერილთა შინა გამოცდილი, ესე მეგობარ იყო, ანასტასი მღუდლისა კოსტანტინე პოლურისა, რომელმანცა მისცა ჭაზრი წვალებისა ამის, რომელ ორთა გვამთა ანუ ორთა პირთა აღვიარებდა ქრისტეს შორის ერთსა ღუთისასა, ხოლო მეორისა მისა მარიამისასა იტყოდა, რამეთუ ძემან ღუთისამან შეიერთა თავისად ძე მარიამისა, არა ერთითა გუამითა, არამედ ოთხითა სხვითა სახითა, და პირუელთა უკუე მადლითა შინაგან მოსვენებულითა იტყოდა, ვითარცა ღმერთი წმინდათა თანა შეერთბამების, არამედ ქრისტესთანა ღუთისა შეთანაერთბამებულსა იტყოდა, უფროს ყოველთა ზედა, აგრეთუე სხუათაცა წვალებათა მრავალთა იტყოდა, ღუთის მშობელი არა სწამდა ღუთის მშობლად, არამედ კაცისა მშობლად, და ამა მიზეზისათჳს იქმნა შეჩვენებულ და განდევნილ და აწ იპოვებიან კიდე მრავალნი ნესტორიანნი, უმეტეს აზიის მხარეს.

**ელია. თომაიანნი ვითარ არიან?**

რო, თომაიანნი არიან უმეტეს ინდოეთსა შინა მილიონებად წოდებულნი, და სწამთ მათ, უმეტეს ყოველთა თომა მოციქული, ესვენ ჯვარსა ქრისტე-სსა, ოთხის თითითა გამშლილით გამოისახვენ ჯვარის სახედ პირჯვარსა, შევლენ ეკკლესიათა შინაცა და მუხლდრეკით მოისმენენ წირვასა, შუბლსა ზედან დაისმენ ჯვარის სახეს, მურდასანცს ქალესილსა ქვითლად; ყოველდღე ვიდრე დიდს მოხუცებულებამდე და უკანასკნელ არღარა. ამათ ჰსწამთ ქრისტე და მეფე გასპარ, რომელიც მივიდა ბეთლემს შობას ქრისტესასა, კვალად ჰსწამთ სპილო დახატული სულ-კაცის სახედ და ზედ მჯდო-მი ვინმე კაცი, ჯინგრად წოდებული, რომლისაც იტყვიან იყო მეფე და ამ სპილოზედ მეცვალაო ევროპულ ცხენი, დახატული მშვენიერის ქალებით. ზედ ზის მშვენიერივე ქალი; უპყრიეს ხელთა შინა მშვილდის ისარი და უწოდებენ ლქმის დედასა. გარნა მკვდარსა არა დამარხვენ, არამედ დასწვენ ცეცხლი-თა და განაბნევენ ნაცარსა მისსა ჰაერსა შინა, თეთრსა ეცდებიან მრავლის შეკრებასა და დაფვლენ დამწვარსა ნაცარისა თანა თვისთა მიწასა შინა, რაოდენსამე თეთრსა მათგანსა რომელ იტყვიან ესე,

სატიქიოს გამოგვადგება სასარჯულოთ; გარნა სჯირთ ერთი კარგი, რომელ ვაჭრობასა შინა არა მოატყუებენ კაცთა, და არცა თეთრის გასესხებას დროს მეტს სარგებელს აღიღებენ, ჴორცსა ყოველდღე არა ჭამენ, არამედ წელიწადში სამჯერ, მხოლოდ უკრო ერბოთი მოხელილს ხმიადს მიიღებენ, არცა სხვათა სჯულის კაცის ნამცხვარს, პურს ანუ სხვასა რასამე არა სჭამენ.

ელია. კიდევ არიან სხვა გვარნიცა, ესე თომაიანნი?

არიან უკუმ კიდევ სხვანიცა, რომელნიც ესვენ ჯვარსა და ამათ უწოდებენ მცირე თომაინად. ესენი შუბლსაზედან მკრთულად ყვითელსა მურდასანგსა და წითელსა წამალსა სალებავსა დაისმენ; ამათა და თომაიანთა აქუთ ერთმანერთსა შორის განყოფილება ვითარცა ჩუენა და სომეხთა შორის და არა მოვლენან ერთი მეორესა სალოცავსა შინა, არცა პურისა საჭმელად.

ელია. არიან ვინმე კვალად სხვანიც ქრისტიანენი?

იო. არიან რუსეთსა შინა მრავალ გუარნი სტაროვერად წოდებულნი და რასკოლნიკებად და სხვადა, რომელ ერთ გუარნი არიან მართლმადი-

დებულნი და მტკიცენი ჰსჯულსა ზედან და სულ ძველთა დროთამებრ იქცევიან, ხოლო სხუანი არიან რომელთა არა ჰყავთ სამღუდელო კაცნი, არამედ რამდენიმე აღრჩეული მოხუცებულნი კაცნი და იგინი ულოცვენ ნათვლენ, აქორწინებენ და მკვდარსაც იგინი დაუფლვენ და ყოველთჳს ჰსჯულის საქმეს იგინი განაგებენ.

და არიან სხუა გუარნიცა, რომელთა ჰყავთ ქალები სამღუდელოდ ანუ ქალწულნი, და ანუ კეთილნი ქვრივნი იგინი მომღვრიან მათ, და ულოცვენ, ნათვლენ და ყოველსავე წესსა აღასრულებენ თჳსისა ჰსჯულისასა.

და არიან კვალად რომელნიმე, არა ჰსჭამენ სრულებით ხორცსა და არცავის ვისმე თჳისთა საჭმელთაგან აჭმევენ, არცა თჳსთა სასმელთაგან ასმევენ და ესრეთ ნაჯიშნი არიან რომელ სპარსთაუარყესნი, სხუათა ყოველთა ნათესავთა ზედა ეგრეთუე ციგანნიცა, რომელ არიან ბოშანი, ისინიც არიან მრავალ გუარ და ჰსჯულითაც მჰსგავს, ქრისტიანეთაცა, რასკოლნიკთაცა და სხუათა წარმართთაცა.

ელია. ურიანი, ანუ ისრაელნიც არიან მრავალ გუარნი სხუა და სხუა გუარ მორწმუნენი?

იო. ურიანი არიან შვიდ გვარნი, რომელთაცა სხუა და სხუა გვარად აქუთ სჯულდება, გარნა ამათ შორის არიან ორნი გვარნი უპირველესი, ესე იგი: ფარისეველნი და სადუკეველნი. ესე ორნივე შეიწყნარებენ ხუთსა წიგნსა მოსესა სხუათა წერილთა ზედან უმეტეს და ეგრეთუე სხუათა წინასწარმეტყველთასაც, გარნა ფარისეველნი აღიარებენ მკვდართა აღდგომასა, ხოლო სადუკეველნი უარჰყოფენ და მათ შინაცა არს ამას ზედან განხეთქილება. რომელნიმე არიან ყოველ დღე ნათელმღებელნი, ხოლო სხუანიც მსგავსი მათივე, გარნა განყოფილნი.

ელია. მახმადიანი რაოდენ გვარნი არიან ანუ მახმად ვინ იყო, ანუ რა სჯულდება გამოსცა?

იო. საუკუნოსა მეშვიდესა გამოჩნდა მაჰმად მე დავრდომილისა კაცისა სახელით აბდალას წარმართისა, ხოლო დედისა ემინისა იუდიანისა არაბიასა შინა ქალაქსა მაქასა, შობილი ქრ. აქ. **615**. ესე ყრმობასა შინა განიზარდა სასწავლებელსა შინა იუდიანთასა და ქრისტიანობისა სჯულისა სწავლასა მიიღებს მონოზონისა სერგიისაგან, უფრორე არიოზიანულსა და ნესტორიანულსა

ჰსწავლასა, უკანასკნელ მუნებურ ვისამე დიდვაჭრისა აქლემთა მხილავ იქმნა და რაოდენსამე წელსუკან მივიდა ეგვიპტეს შინა გლახაკად მცხოვრები, გარნა სახითა იყო არა დუხჭირი, და ამას ეტრფიალა მდიდარი ვინმე დედაკაცი ეგვიპტელი, და შეირთო მან ქმრად ესე მაჰმადი და იქმნა მერე ვაჭარ. შემდგომად ამან რა იხილა მრავალი განხეთქილება ქრისტიანეთა შორის, და მრავალ ჰსჯულად განწვალება და მწვალებელთაგან განყენება ერთა და აღრეულობა, ამანაც იწყო მოქმედება ამა წარმართთა შორის, და უქადაგა რომელ მისდა მოივლინების მარადის ღჳთისაგან ანგელოსი გაბრიელ და მიიღოცა მან წინასწარმეტყველებისა მადლი. და რომლისაცა გონება აღორძინდა, და უქადაგებდა ერთა, და ამასთანაცა აღზარდა მან ხუნდი ტრედისა და აჭმევდის მას ფეტვსა ყურთა შინა თჳსთა მთათესილსა და ოდეს ჯდის იგი ერთა შორის იცნოს და მოფრინდებოდის, შეაჯდებოდის მკარსა ზედან და ყურსა შინა ჰკორტნიდის, და ოდეს განფრინდის ტრედი იგი იტყოდის, რომელ სული წმინდა მოვიდა ჩემდა და მამცნო მე, ქადაგებად ერთა შორის, და ესრეთ დაჯერებულ ჰყო მან ერნი

მრავალნი, და უკანასკნელ მოუწოდა თჳსთანა მეგობარსა თჳსსა, სერგის მონოზონსა, ნესტორიანსა და ვარრის სპარსსა ევტუქიანსა, და ვიეთთამე იუდიანთა, და ამათ მჳელთა და ასულთა ჰსჯულთაგან, და სხჳათა არიოზნულთა წვალებათაგანცა და თჳთცა დართეს და შეკრიბეს, და შეაწყვეს წიგნი ალყურანად წოდებული და ამას შინაცა მოიხსენეს, რომელ აბრამ იყო მამა ლაზარესი, და ღმრთის მშობელი მარიამ დაჲ მოსესი, და მოიხსენა წიგნსა მას შინა, შედგომილთა თჳსთათჳს, ეს გჳარისა სამოთხისა ყოფა რომელსა შინა დაემკვიდრდებიან შემდგომად სიკვდილისა შედგომილნი მისნი, რომელსა შინა ჰსჯდის ოთხი უკჳე მდინარენი, ესე იგი: რძისა, თაფლისა, ღვინისა და წყლისა, და ამას შინა არიან პალატნი ფრთასსაგან აღშენებული, ოქროთაგან დავარყებულნი, ყოველთა გჳართა ფრინველთაგან უტკბილესნი ხორცნი საჭმელად მათდა, და უმეტეს ფარშავანგებთა, ხილნი ყოველნი გჳარნი, დიდროანთა კეთა ქჳეშე დაჩრდილებულნი, შჳენიერთა ქალებთა თანა განცხრომილნი, თჳსად საკუთრად ცოლებად წოდებულნი, და მათთანა გორციელისა გულის თქმისა დამაცხრობე-

ლნი. და ესე გჳართა საჭმელთა, რომელნიცა აღმვრენ გულისთქმად, და ამა სოფელსა შინა, ოთხის ცოლისა ყოლა, და ხარაჭთა რაოდენთაცა შეემლოთ შენასჳა, და ამასთანავე დაუდო, ათისა მცნებისა ნაცვლად შემდგომნი ესე:

ა) ერთისა ღჳთისა პატივის ცემა.

ბ) მშობელთა ღირსეულთა პატივისცემა.

გ) რაჲცა შენ არა გინდეს, სხჳათა შენისა ჰსჯულისა კაცთა ნუ უყოფ.

დ) დათქმულსა ჟამსა მეჩითსა შინა შიხვიდოდეთ.

ე) ყოველ წლივ წელიწადში ორჯელ იმარხევ-დეთ. ერთს თჳჱს ორჯერა, რომელსა შინა, დღე ნუ სვამთ წყალსა, და ნურარას ჰსჭამთ, ხოლო ღამე ყოველსავე საჭმელს ისმევდეთ სახსნილოსა და ვის რა გნებავთ. აგრეთჳჱ ათსა დღესა რამა-ზან შეინახევდეთ, და ორჯელ მსხჳჱრპლს შესწირევდეთ.

ვ) მოწყალებას მისცემდეთ, გლახაკი ვინემდის გთხოვდეს.

ზ) ყოველი გიყვარდეს ქორწილსა შინა და არა სხვის შეუღლებული.

ჱ) არავინ მოკლათ უსამართლოთ.

თ) გრწამდეთ მოსეს სუთი წიგნი, დავითნი,

სახარება და ალუუარნი უმეტეს მათზედ.

ღ̃თაებასა შინა იტყვიან ერთსა პირსა ღ̃თისა მამისასა შემოქმედს, სოფლისასა ქრისტესა სულად ღ̃თისა იტყვიან, და პირველ წინასწარმეტყველად და არა ღ̃თად, არცა ვნებულად და არცა აღდგომილად, არამედ ამაღლებულად. ხოლო სულსა წმინდასა განუყოფენ ოთხთა გჳამთა, ღ̃თაებით გამზრახველსა მოსესადმი, დავით წინასწარმეტყველისადმი, ქრისტესადმი და მამადისადმი. ღ̃თის მშობელი ჰსწამთ ქალწულად.

ჰსწამთ, რომელ ღმერთმან ამცნო მამადას, რათა მახჳილითა მოაქციოს თჳსად ერნი.

ლოცვასა დღესაშინა ხუთგზის ილოცვენ, პიველ ილოცვიდენ მამაოჩჳენოს, ხოლო ან იტყვიან სალავათსა, გარნა ყოველთჳს დაიბანენ კელთა და . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . ლოცვისა წინა.

ნათლის ღებისა მაგიერ, წინადასცვეთენ ჩჩვილთა ზიარების წილ, დალევენ წყლითა მიწასა ქაბისასა საფლავისაგან მამადის და აგრეთჳე ჰსჭამენ მსხჳერპლისა შეწირულსა.

მკვდრის დამარხჳაზედ, გასჭრიან მკვდარსა, გარეცხენ, და ეგრეთ ყურანის მკითხველნი მოლანი

მიიტანენ საფლავად, პირს უზმენ სამხრეთისაკენ და ვინც მთლად წარუკითხავს ყურანსა მკუდარსა იქვე აღარა აქუთ წარწყმედისა.

მოლათ კურთხევა არა აქუთ, ვინც ყურანს მთლად გარდიკითხავს მათში ნაკურთხი იქნება.

უკეთუ იმულებული იქმნას ვინმე მამადიანი დატევებისა თჳს ჭსჯულისა, შენდობა აქუს დაუტე-ვოს ჭსჯული. ცოდვასა რასაცა იქმონენ ანუ არა-წმინდებასა, ანუ სხუჳბ განიცდებიან, უნდა განიბან-ნენ წყლითა ესრეთ, რომელ ორსავე ყურში თითები ჩაირჭონ, შევიდენ წყალში, მარჯუჳნე ფეხი სამხრეთისაკენ გაიშვირონ და წყალში ჩაიყურყუმე-ლაონ, მაშინ განიბანებიან ცოდვისაგან.

შეირთუჳნ მეორე ნათესავს, ესე იგი, ბიძაშჳლ-სა, რძალსა, ოდეს ძმა მოუკვდეთ. სამნი ძმანი სამთა დათა, თჳთო თჳთოდ შეირთუჳნ.

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

ჭსწამთ აჯალი, (რომელ არი სწერა,) და იტყვიან წერა არის კაცისაო.

ელია. ამ თათრებშიაც არის განყოფილება ვითარცა ქრისტიანებში?

იო. არის. აღმოსავლეთის მხრის თათარნი ესე იგი სპარსნი, არიან მახმადიანნი, ყურანიცა ჰსწამთ და შემდგომად მაჰმადისა მოადგილედ ალია; იმათაც თუმცა ჰსწამთ აჯალი, გარნა ბოროტი არა სწამთ, რომ ღუთისა მიერ იყოს. ესენი უარყოფენ ოსმანსა, ომარსა, აბუბაქარს და სხუათა, რომელიცა ჰსწამთ ოსმალთა. შემდგომად მამადისა წმინდად სპარსთა ჰსწამთ კუალად, ქალბალაჲ, ჯაფარ, ასეინ, უსეინ, რომელთა ორთა დღესასწაულსაც გარდისდიან რამდენსამე დღეს და მოწამედ რაცხუენ ვითამ თავის მამამან დახოცა მამულის გულისათჳს უსამართლოდ, და ამის გულისათჳს თავებსაც დაისერვენ სამართებლით და მრავალს სისხლს იდენენ, იგლოვენ და იტირებენ, და ესენი იწოდებიან, შეიდად, და მისთჳს ჰსძაგთ ერთმანეთი ოსმალთა და ყიზილბაშთა, და არც დამოყვრდებიან ერთმანერთში და მწვალებელს ეძახიან ერთი მეორესა.

აგრეთუე ოსმალნი შემდგომად მამადისა, იტყვიან მემკვიდრედ, და წმინდად ოსმანთა ჰსწამთ ომარ

აბუბაქარ, მეეთი და სხუანი, ჭსწამთ, ავიცა და კარგიცა ღუთისა მიერ იქნებოდეს, და თუმც არ ნებავდეს არ შეემლოს კაცს ავის ქმნა; ესენი გმობენ ალიასა და ზემოხსენებულთა სჰარსთა წმინდათა და ამისთჳს არს მათ შორის განხეთქილება და იწოდებიან სუნად.

ელია. დია განუსვენე აზრსა ჩემსა; და კერპთმსახურნიც მრავალ გუარნი არიან?

იო. მრავალ გუარნი, და უფრო ინდოეთსა და კიტაიასა შინა, ინდოეთს ცეცხლის თაყვანისმცემელნი, აგრეთუჱ წყლისა, რომელნიც ყოველდღე შევლენ წელამდინ წყალში და დგანან განთიადიდამ მზის ამოსვლამდინ, და ევედრებიან; ოდეს მზე ალმოვა, გამოვლენ ხმელად.

არიან კვალად ჩამოხსხმულთა სჰილენძთაგან, კაცთა სახითა, მაიმუნთა, თხათა და ეს ვითართა ზედან ილოცვენ აგრეთუჱ ამერიკასაშინაცა.

ქურთნი მზეს თაყვანისცემენ, ყოველ დღე და ესენიც მზგავსნი არიან კერპთ თაყვანის მცემელთა.

ელია. ამა სარწმუნოებათა შინა, რომელი არს უპირველესი სარწმუნოება?

იო. ქრისტიანეთა.

ელია. ვინ უკჳე არს დამაფუძნებელი ქრისტიანე-ბრივისა სარწმუნოებისა?

იო. იესო ქრისტე, ძე ღმრთისა, მშობელი ქალწულისა-გან, ჩუენთჳს განხორციელებული, დამთმენი ვნებისა და სიკვდილისა, გამოხსნისათჳს კაცთა ნათესავისა, რომელმანცა გამოირჩია დასაფუძნელად სარწმუნოე-ბისა და ეკლესიათათჳს, ათორმეტნი მოწაფენი, მდაბიოთა ერთაგანი იუდიანთა, რათამცა მით ეჩუე-ნებინა, ყოვლად შემძლებელობაჲ თჳსი და გამოე-ცხადებინა საქმე ღმრთისა.

ელია. ვითარ სარგებელობათა მისცემს, გულს მოდგინებით ჰყრობა სარწმუნოებისა, მოქალაქეთა და სხუათა უკჳე ერთა?

იო. ფრიად დიდსა სარგებლობასა.

ელია. ვითარ?

იო. ჭეშმარიტი უკჳე სარწმუნოებაჲ აღსრულე-ბული თჳთ საქმით, დამკვიდრებულ ჰყოფს ყოველთა კაცთა შორის ჰატიოსნებასა, კელმწიფეთა ჰყოფს მართლ--მსაჯულად, ქუეშევრდომთა ერდგულად, მმართებელთა და მთავართა ერისათა მორჩილებად და ჰატივისმცემელ მათ შინა, მდაბალთა მონებად და გულს-მოდგინედ მსახურებად; ვაჭართა ვაჭრობასა

შინა დაადრგენს დამარხჳად პატიოსნებასა, მეუღლეობასა შინა თანხმობითსა, პირობასა დამცჳელ ექმნების, მშვიდობასა მოუპოვებს სახლეულთა შორის, და უკანასკნელ ასწავებს სიმართლესა და მოიყვანს ყოველთა კაცთა მოყჳარებისადმი, ხოლო შეურაცხება სარწმუნოებისა შობს ფიცის მტეხელობასა, და ყოველთა ამა ზემოხსენებულთა კეთილობათა ექმნების დამხსნელი, და წინა აღმდეგ ყოველთა და შემამწიკჳლებელი პატიოსნებათა.

ზურაბმა. ეგეცა კმარა ქადაგებად თუ დამიჯერებს ვინმე და ახლა ვახშამი ვჭამოთ. და მოიღეს ვახშამი, ამდროს ერთი მორთული მანდილოსანი შემოვიდა, ყოველნი სხჳანი ფალავანდის-შჳლები აღჰსდგნენ და სალამი მიართჳეს, მაშინ ელიზბარმან აცნობა მეუღლეობა თჳსი, იოანე წარდგა, სალამი მიართო და რქჳა: მშჳდობა თქჳენდა ბრწყინვალეო თავადინავ! მან მადლი უბმანა, და დასხდნენ. რა მცირეს საჭმელსა კელ ჰყჳეს, მაშინ იოანემ ჰსთქჳა: ბრწყინვალეო თავადინავ! თქჳენც მიბმანდებით ევროპიასა შინა?

თავადინამ. არა მამაო.

იო. ევროპიაში, რადგან ჩჳეულება არს დესპან-

თაგან თჳსთა მეუღლეთა თანა წარყვანა, ამისთჳს ვიკადნიერე.

თავადინამ. ამისთჳსაც ვჰსწუხარ, არათუ მეც წავიდე.

იო. ურთიერთარს სიმძიმე უნდა იტჳრთოთ.

თავადინამ. უჩემობას დაითმენს.

იო. მაშა სადამე ჰსჩანს სარწმუნო ბრძანდებით თქუჱნის მეუღლისა.

თავადინამ. უეჭველად.

იო. ესე დიაღ კეთილი საქმეა და ჰსჯულის დაცვა.

თავადინამ. აქ ასე ვიცნობ.

იო. ვაი თუ ეგ მცნება დაავიწყდეს; იქ დიაღ მრიელი ქუჱყანაა.

თავადინამ. ვითარ?

იო. ასეთი ჰაერია მუნ, რომ გულს გაუგრილებს კაცსა.

თავადინამ. კაცისაგან ყოველივე შესაძლებელი არს, მაგრამ ვსასოებ კარგი ამხანაგნი მიზდევენ და მცნებას არ დააკლებენ.

იო. გლეხური ანდაზაა, ცხენი ცხენთან დააბით

ან ზნეს გამოიცვლის ან ფერსაო.

თავადინამ. ფერისა რა მოგახსენო და ზნეობა-შიკი არა უჭირსრა, ვიცნობ მათ.

იო. ზნეობითის ფილასოფიიდამ კი იციან ესე, ჰქმენ იგი, რაჲცალა სრულ გყოფს შენ და მდგომარეობასა შენსა; ამ სიტყვს ჰაზრის განმარტებისაკი რა მოგახსენო.

თავადინამ. მაშა ესეც უნდა იცოდნენ, ნუ იქმ მას, რაჲცალა შენ და მდგომარეობასა შენსა არა სრულ ჰყოფდეს.

იო. ჭეშმარიტად მომიგე, ვაქებ გონიერებასა თქუჱნსა მე, ამა მცნებისათჳს მეუღლისა თქჳჱნისა დასამარხველად და მერეთ შესვა ღჳნო იოანემ სადღეგრძელო მაგი, და ესრეთ უბნობითა ამით დაასრულეს ვახშამი და, წარვიდა იოანე თჳსსა გამზადებულსა სადგომსა შინა.

დღე ჳ.

ხოლო ხვალისა დღეს, იოანე განემზადა რუ-ისისაკენ, გამოესალმა მდივანს და წარემართა საჩუ-ქრიანი, იოანემ უთხრა ზურაბს; სად ვისადი-ლოთ? ზურაბმან! სადოლაშენს მინბაშ ამირეჯიბ-

თანა. და წარემართნენ მუნით; რა მიიწივნენ სოფელსა შინა, იოანემ გაგზავნა ზურაბ მინბაშთანა და შესთვალაცა ლოცვა კურთხევა. ზურაბ მისრული, მოიკითხამს მათ, და იგინი აჩჳენებენ საჯინიბოსა, რომელსა შინა იყო ოთხი სტუმართ სადგურად. შესრული მუნ იოანე, უწყებს ცხენთა შინჯჳასა და იხილავს, რომელ თითოსა ცხენსა თითო კაცი ჰყავთ მიჩენილნი, რომელნიც ჰსწმენდენ ცხენებთა და ქჳეშე უგჳან, და უმშრალებენ მიწათა და უცხოდ სუფთათ ინახვენ, ესე განკარგულება მოეწონა იოანეს, და უკანასკნელ იხილა ორნი ყმაწჳლნი, ნეხვსა ზედა მსხდომარენი, ტალახით შესვრილნი, ნაგავ გარდაყრილნი, გარნა სახითა კარგნი, უკაცროდ მოთამაშენი ურთიერთისადმი და ჰსთქჳა: ვინ არიან ესე ყრმანი? მაშინ მუნ მდგომარეთაგანმან ვინმე რქჳა: ძენი ამირეჯიბისანიო.

იო. უჲ ჩემს თავს! ამ ქჳეყანაში პირუტყვთ უფრო პატივი ჰსდებიათ პირ მეტყჳელზედ, და უკუნ იქცა. ამ ჟამად მინბაშიც მოვიდა, იოანემ მშჳდობით მოიკითხა და მანცა შეიტკბო, და დასხდენ. მაშინ მინბაშმან ჰკითხა თჳსი მგზავრობის მიზეზი, და ყოველივე მიუგო იოანემ. და უკანას-

კნელ, მინბაშმან ჰკითხა იოანეს: როგორ მოგწონთ ჩემი ცხენები? რადგან ხიზიყელი ხარ, ისინიც კაი ცხენებს ეწყობიანო.

იო. ცხენებიც უცხოდ მომწონს და მოვლაცა, მაგრამ, ემაწუნლებისაკი რა მოგახსენო.

მინბაშმან. ვითარ?

იო. თითო ცხენს ოროლი მომლელი ჰყავს და ორს თქუჱნს შჳლებს არცა ერთიო.

მინ. ჩუჱნც მაგ სახით ვჰყვანდით მშობელთა ჩუჱნთა.

იო. ცუდი მაგალითი გიჰსწავლიათ.

მინ. ცხენები, ჩუჱნნი მაცოცხლებელნი და საკელის მომპოვებელნი არიანო.

იო. ვითარ?

მინ. ჩუჱნ მრავალნი მტერნი გვებძჳან და ომში თუ დავმარცხდებით, სიკუჱდილისაგან მოგვარჩენენ, და თუ გავიმარჯუჱბთ, ჩუჱნ მტერს მივეწევნ, მოვკლამთ და შევიპყრობთო.

იო. შჳლები რომ კარგად დაზარდოთ და ასწავლოთ, უფრო ბევრს კარგს საკელსა იქმთ, და მაშინ ჯოგსაც გაიჩენთ.

მინ. ჭეშმარიტს ბძანებთ, მაგრამ ურჩნი არიან

შჳლნი ჩუჱნი, აჰა ეს უფროსი შჳლები, არც არას ესენი მიჯერებენ.

იო. და მართებთ მორჩილება შჳლთა მშობელთა თჳსთა.

მაშინ მინბაშის შჳლთა თავი იმართლეს და სთქუჱს; რა ვჰყოთ, არავინ არ გვასწავლის, და არცა თქუჱნისთანა ვინმე მოსცა აქა, და რასაც მცნებას მოგვცემ ვეცდებით დამარხუასა. ეგრეთვე მინბაშმან ჰსთხოვა, რომ მცირე რამ ზნეობისა უბმანოთ რამეო, ვინადგან მესმის თქუჱნი ეგე მეცნიერება. მაშინ იოანემ, მოიღო საწერელი, ქაღალდი და დაუწერა შემდგომნი ესე შემოკლებით ზნეობის ჰსწავლა:

ა) იყავ კეთილ მსახურ და მართმადიდებელ.

ბ) სასოებდე ღუთისა ზედა, და გიყვარდეს ყოვლითა გულითა შენითა.

გ) იყავ ერთგულ წინაშე ეკკლესიისა და ყოველი განწესება მისი წმინდად დაიცევ, და წმინდათა მამათა განწესება კეთილად შერაცხე.

დ) გიყვარდეს მშობელნი შენნი და დღეგრძელ იქმნე.

ე) შეუდეგ კეთილმოქმედებასა და ივლტოდე

ბოროტისაგან.

ვ) იყავ ერთგულ მეფისა შენისა, მამულისა და სჯულისა.

ზ) იყავ კეთილ გონიერ; ჰსწჳრეტდე დასასრულსა საქმარსა; განჰსჭჳრიკე საშუალი მისი და ნუ უტევებ პატიოსანთა საქმეთა შინა დროსა.

ჱ) იყავ პატივისმცემელ და მორჩილ მოძღჳრისა შენისა და მღჳდელ მთავრისა შენისა.

თ) ნურა-რასა ჰყოფ განუჰსჯელად, და ოდეს განსაჯო კეთილად, ნუ იქმნები მას შინა დაყოვნებულ.

ი) გიყვარდეთ ძმებთა ერთმანეთი, ვინადგან ერთის მამისაგან წარმოებულნი ვართ, და ერთის დედისა მუცლიდგან გამოსულნი; გიყვარდენ კეთილის მყოფელნი თქჳჱნნი, და მოძულეთა თქჳჱნთა ულოცევდით.

ია) რაოდენ მალ გედვათ, ილოცევდით და მაშინც ყოველ დღივ იტყოდეთ საუფლო ლოცვასა მამაო ჩუჱნოსა.

იბ) ნუ ყოველსა იტყჳ, რაჲცა იცი, ანუ გაგეგონოს, არამედ თჳსსა დროსა და ჟამსა ზედა.

იგ) ნუ მოუმატებ დაბარებულსა საქმესა ზედან,

სიტყუა, ნურცა გარდაცვლი, და ნურცა გაგონილსა ზედან სხუასა რასამე მეტსა შეჰსძინებ.

იე) ნუ ყოველსა სიტყუასა ზედა ერწმუნები.

ივ) ნუ ყოველი, გსურინ რაჲცა ისილო.

იზ) ნუ ყოველსა იქმ, რაჲცა ძალგიძს, არამედ ჰქმენ იგი, რაჲცა ჯერ იყოს.

იჱ) ნუ შეებმი ეს გუარ საქმესა, რომლისა აღსრულება არა ძალგედვას.

ით) რაჲცა არა იცოდე ნუ დაამტკიცებ, და უარჰყოფ და უფრორე მაშინ, ოდეს კითხუა იყოს შენდამი, რომლითა იქმნე კეთილ გონიერი.

კ) იყავ მომთმინე, კრძალულ და დამჭერობელ თავისა თჳსისა, და ამისა ჰსმლით ჰსცნობ თავსა თჳსსა.

კა) ნუ იქმნები მეშურნე და ნურცარავისიმე შეგშურდების.

კბ) ცილსა ნურავის შესწამებ, და ნურცა ვისმე შენს უფროსთან დააბეზღებ, გარდა ჰსჯულისა, მამულისა და მეფისა მუსანათისა კიდე,

კგ) უჯეროდ ნურასა ჰსჭამ, და ბევრს სამთვრალოს სასმელს ერიდე, ვითარცა საწამლავსა.

კდ) თუ არ გშიოდეს მალად ნუ ჰსჭამ.

კე) თუ არ გწყუროდეს, ბევრს წყალს ნუ დალევ.

კვ) გაუფრთხილებლობისა გამო და ცუდის ყოფაქცევისა მიზეზითა წარმოდგებიან სხვა და სხვა ჭირნი სნეულობანი და ამასთან სიკვდილი.

კზ) დამპყრობნი თავისა თჳსისა და წადილისა თჳსისანი, ჰსცოცხლობენ კეთილად და ხანგრძელად.

კჱ) იყავ მშვიდ და ნუ იქმნები კადნიერ.

კთ) იყავ მდუმარ, ვიდრე მოუბარ.

ოდეს იწყოს ვინმე უბნობად, მაშინ შენ ჰსდუმენ.

ლ) ოდეს შენდამი უბნობდენ, გონიერად უსმენდე.

ლა) ოდეს გიბრძანებდენ მთავარნი შენნი, მორჩილ ექმენ.

ლბ) ნუ იქმნები მოქადულ.

ლგ) ნუ იქმნები ზვავ და ამპარტავან.

ლდ) ყოველთადმი იყავ ალერსით, და ნუ პირ მოთნეობით.

ლე) იყავ მართალ და სარწმუნო.

ლვ) ნურარა გსურინ სხვისა და უფროს, ნუ იპარავ.

ლზ) რაჲსაცა შინა გაქუნდეს საჭიროება, მოი-

ჰოვე იგი შრომითა.

ლჱ) უკეთუ დაგლახაკდე და ვინც რაჲ მოგცეს მიიღე მადლობით.

ლთ) რაჲცა იყიდო, ანუ ისესხო კუალადვე მიეც აღნათქუამსა დროსა, რათა საჭიროებისა დროს სხუათაგანცა მიიღო შეწევნა.

მ) უკეთუ არა მალ გედვას ნუ აღუთქუამ, და რაჲცა აღუთქუა აღასრულე.

მა) იქმენ მხნე და შრომის მოყუარე; ხოლო მცონარება უტევე უქმოა, ვინაჲდგან მცონარება არს დასაბამი ყოვლისა უბედურებისა.

მბ) გიყუარდეს სწავლა და უკეთუ არას ისწავლი, დიდის კაცის შვილს უსწავლელს, ფილასოფოსნი ოქროს ვერძს უძახიან.

მგ) უკეთუ ვნებოს რაჲსამე წყენა, პირველად გამოიცადე ძალი შენი, და უკრე განაგრძე იგი, და ნუ მიმედრეკები მას მანა.

მდ) უბედურობასა შინა ნუ შესწუხდები.

ბედნიერებასა შინა ნუ მოუძლურდები.

მე) ბედნიერებასა შინა, ნუ დაივიწყებ კაცობრიობასა, რამეთუ კაცნი ქვემდებარე არიან ბედნიერებისა და უბედურებისა, ვინაჲდგან ბედნიერება არს

დაუდგრომელი, რომელი ამიზეზებს სხჳა და სხჳას შემთხჳევასა და სშირად მწუხარებასა.

მვ) რასაცა სულგრძელებით მოითმენ, მისთჳს სულ მოკლენი ოხვრენ, სტირიან და ვაებენ.

მზ) იყავ გულ კეთილ და მოწყალე.

მჱ) მთხოველთა მიეც რაოდენ ძალგედვას და უკეთუ არა გაქუნდეს კარგისა სიტყვით გაისტუმრე.

მთ) დავრდომილთა შეეწიე.

ნ) თუ შეგაწუხოს ვინმე, მიუტევე მას.

ნა) თუ შეაწუხო ვინმე, მშვიდობა ჰყავ მისთანა.

ნბ) საქებელ არს, დაპყრობა რისხვისა და მიტევება შეცოდებისა.

ნგ) ყმათა შენთა, უდიერად ნურას დასდებ ხარჯს.

ნდ) ყმანი შენნი შეძლებისა მებრ იმსახურე, და უსამართლოდ ნურას წაართმევ.

ნე) ყმათა შენთა მსახურებისა მებრ მათისა უწყალობე. დანაშაულსა შინა იყავ მოწყალე. გარნა ყოვლთჳს ნუ მიუტევებ რათა არა განირყუნნეს.

ნვ) ოდეს იქმნე კაცთ მოყვარე, იქმნეცა შეყვარებულ ყოველთა

ნზ) იყავ უმაღლესთა შენთა მორჩილ, თანა

სწორთა. კეთილად მომქცევი, და უმდაბლესთადმა თავაზიანი.

ნჱ) ვინც მოგეგებოს მოიკითხე, და ვინც მოგიკითხოს ნაცვალი აგე.

ნთ) ვინცა დაგპატიჟოს, მადლობა ჰკადრე და შენც მიიწვიე.

ჲ) მკითხველთა მიუგე.

ჲა) უმეცართა ასწავე.

ჲბ) მწუხარებულთა ნუგეში ეც.

ჲგ) უკეთუ შეძლება არა აქუნდეს მკვდრის პატრონს, დამარხვად შეეწიე.

ჲდ) ნუ ვინმე გშურს, არამედ ყოველთადმი კეთილ მსურვე იყავ.

ჲე) გიყვარდეს მეზობელნი შენნი, და უსამართლოდ ნუ ებრძვი მამულთათჳს.

ჲვ) მსახურე ვისიცა თანაგიძს რაოდენ შეგეძლოს, რომელითა ათნებდე ყოველთა.

ჲზ) მოყვარეთა იქმენ საყვარელ, და მაშინ მტერთაცა არღა ძალუძსთ მოძულება.

ჲჱ) იტყოდე მარადის სიმართლესა და ნურაოდეს იუბნებ ცრუდ.

ჲთ) ნუ იქმ უსამართლოებასა.

თ) ქვრივთა და ობოლთა ნუგეში ეც.

თა) სნეულთა მოუარე.

თბ) უცხოთ შეიწყნარე.

თგ) საპყრობილესა მყოფთა მოიკითხამდე და ნახევდე.

ესე დაიცევ და იქმნე კეთილ მამოსწავლი. და ესრეთ წარუკითხა იოანემ, მინბაშმან მადლობა მოახსენა, ესე წიგნი ჩამოართო და მიიღეს სადილი, მაშინ მინბაშმან იწყო მატაკარანობა (სუფრაჯობა) და რადგან სუფრაჯის რიგია ქართლში, პირველად გარიგების დროს საჭმლისა თვითონ დაისხამს და მერე სხვათა მიართმევს, მინბაში დია სწყალობდა საჭმლისა და უყვარდა, და თავისთჳს ევედრენი დაისხა, რომელ თვითონ ზურაბს დია მცირე ერგო და მაშინ ზურაბმან ჰრქუა: ბატონო მინბაშო, რადგან არიგებთ მაგ საჭმელთ, ბარემ სულ თქვენ მიირთვით.

მინბაშმა. აწ გაგიგონია ჯერ თავო და თავო, მერეთ ცოლო და შვილოო.

ზურაბმა. აწც ეგრეთ უნდა, და მაშინ იოანემ შერისხა ზურაბს და დააჩუმა.

მინბაშმან იოანეს უთხრა: არა ჰსცოდნია თქჳჱნს მოწაფეს რომელ საზრდელი არს მაასლი კაცთა ძალისა ცხოველობისა.

იო. კეთილად ბრძანებ, ვარნა ნაყროვნება უჯერო არს და ცოდვა.

მან. რაჲ არს ნაყროვნება?

იო. ნაყროვნება არს, ერთი შვიდთა მომაკვდინებელთა ცოდვათაგანი კაცთა ძალისა ცხოველობისა დამაკლებელი და უკანასკნელ სულისა წარმწყმენდელი; ხოლო ნაყროვნება ნიშნავს უწესოდ სიმაძღრესა.

მინ. რა ვჰქო, არც მე მინდა, მაგრამ ჩემს აღსარებას გეტყვი: თჳთქმის ვერ გავძლები, და თუ გავძღე, კიდე მალე მომინდება საჭმელი.

იო. ეგე კუჭისა სიკეთე არის, რომ მალე ხარშავს საჭმელსა და ინელებს; აგრეთჳე ექიმობის გჳარით, თქჳჱნ გჳარს, ევრეთ შჭამელისას, იტყვიან, ვითამც მგლის გჳარად აქჳნდეს კუჭი და იმ სასიათისა, და ამისგამო არ მოეკიდოს გაძღომა.

მინბაშმან. მაშა ვითა ჯერ არს, რომ კაცი სასმელ საჭმელში იქცეოდეს,

იო. რაც ჩჳჱნს ცხოელობას შეეწიოს, ეგე-

ოდენი უნდა მიიღოს, და არა მეტი. აჰა მე მოგახსენებ: თუ კაცმან უჯეროდ და ურიგოდ ჭარბობით მიირთვას ბოსტანი, ბაღი, ვენახი, ანუ სხუა მოსავალი და მალმალ როცა არ ეჭირება, ხომ წაუხდება იგი მოსავალი და არღა რიგიან გამოსცემს ნაყოფსა, ეგრეთვე კაცნიც მოზრდობით მსგავსნი მათნი ვართ, და თუ დამეტებით მივიღებთ სასმელსა, საჭმელსა და უჯეროდ, მაშინ დაამძიმებს კუჭსა, შეუქმს ინთილასა, შემოიტანს მოჭჳალსა, მუცლის ჩხუჳრასა, ციებასა, სნებასა, თავის ტკივილსა და სხუათა მრავალთა სნეულებათა; და ურიგო სმითა და ჭამითა და უკრძალველობითა ემაწვილობის გამო, უკანასკნელ სიბერეში, სიჭაბუკეში ურიგო ცხოვრებისა გესლი მოასწრობს მას, ესრეთ სნეულობით განატარებს ცხოვრებასა თჳსსა.

მინ. ყოვლითურთ კმაყოფილ ვიქმენ თქუენგან და ახლა გთხოვ მიბძანოთ, ამირეჯიბობა რასა ნიშნავს, აბა თუ ამას განმარტებ.

იო. ეჯიბი ხომ ქორწილებშიაც გაგიგონიათ, რომ პირველ ღვინოს ვინც შესვამს, დაუძახებს: ეჯიბო, შენ მეფეს გაუმარჯოს, და ის სიტყუას მიუგებს და მადლობას ეტყვის.

ეჯიბი ძჳელათ მეფეთა შორის საქართჳელოსათა იყო სახელი, ანუ კარისხი ეს გჳარი, რომელ ამ ეჯიბის ჴელით იყვნენ ყოველნი ტაძრეულნი მეფისანი და ნადიმსა შინა იგივე მიუგებდა მეფისა წილ დარბაისელთა, და მას ეტყოდენ დარბაზის-ერნი რაჲ ენებათ მეფისა მოხსენებად, და ამის მიერ მიეცემოდათ პასუხი, და მის წინა პირველ ვერვინ შევიდის თჳნიერ მისა. ხოლო ამირეჯიბობა ნიშნავს უპირველესსა ეჯიფსა, და ამის მიხედვით ვინც ქორწილსა იქმს მამა კაცს სამდღეს მეფეს ეძახიან, და მის მაგიერ მოლაპარაკეს, ეჯიბს. გარნა თქჳენ ამა მიზეზით გაგიკვირდათ, ვინაჲდგან იყვნენ მეფეთა ეჯიბნი წინაპარნი თქჳენნი, თორე კართ ძჳელად ფალავანდიანთ გჳარი. და ამა სიტყვით დაასრულეს სადილი. იოანეს კჳალად მადლი უთხრეს ესოდენ ჴსწავლებისათჳს და იყვეს კმა ყოფილი. იოანე გამოესალმა და წავიდა რუისისაკენ. სალამო ხანს მიიწივნენ რუისს, იოანემ ზურაბს: ილვაწე ჩჳენთჳს სადგური. მივედ ყოვლად სამღვდელოს მიტროპოლიტთან, ჩემ კერძო ეამბორე და უმდაბლესად ჴსთხოვე სადგური. ზურაბ მისრული მროველთან შეიწუნარებს;

უბძანებს სადგურის მიცემას, და ვახშმად თჳსთან მიიწვევს. იოანე მცნობი ამისა მივალს მისთჳს გამზადებულსა სახლსა შინა, განიხდის საგზაოსა ტანისამოსსა, შთაიცუამს სხუასა და ესრეთ წარვალს მიტროპოლიტთან. ოდეს მივალს მიტროპოლიტთან, იოანე უყოფს მეტანიას, და კრძალვით მოსასხოვს ჴელსა და იტყჳს: გვაკურთხე ყოვლად სამღუდელო მეუფეო მიტროპოლიტო. კურთხეულ იყავ, და იოანე ეამბორა ჴელსა მაშინ.

მიტროპოლიტი უბძანებს: საიდამ გიძლჳს უფალი?

იო. კავთის ქუაბთახევის მონასტრიდამ, და ან მალინით.

მიტ. მოგივლიეს ცასა ქუეშე.

იო. არა ეგრეთ, გარნა აქა ვარ უფალო.

გაეცინა მიტროპოლიტს და უბძანა დაჯდომა, და მერეთ ჰკითხა თჳსი ვინაობა, და ყოველივე ცხად უყო იოანემ, და უბძანა მიტროპოლიტმან: თარხნიანთაც შემძლოთ ყმქუენი გამოზრდა, რომ ესე ოდენი შრომა არ მოეცათ თქუენთჳს,

მაშინ მოიღეს ვახშამი, რა მცირეს შეექცნენ, მიტროპოლიტმა: იოანე, იპოდიაკვანი ხარო, თუ მთელი დიაკვანი?

იო. იპოდიაკვანი.

მიტრო. დიაკვანობა რა არს?

იო. დიაკვანი სამღჳდელო მსახურს ნიშნავს. ხოლო დიაკვანობა არს კარისსი, რომელიცა წჳრიკითხვის, წირვასა და ლოცვასა შინა, მშჳდობიანსა, და წირვასა ზედან სახარებასა, კჳალად საკელითა ამით დიაკვანობა, ოდესმე იგულისხმების საკუთარი წიგნი, რომელსა შინა არს შეკრებული ყოველი იკი, რაჲცა თჳს ეჳკს თანამდებობასა დიაკვანისასა, მღჳდელ მოქმედებასა შინა და სხჳათაც სახმარობათა ეკკლესიისათა. იხილეთ კურთხევანსა შინა!

მიტრო. დიაკჳანნი, ძჳელადაც იყვნენ თუ, ოდეს განიწესნენ?

იო. ძველადვე იყვნენ, ვითარცა მსახურებდნენ შემწედ ლევიტელთა მღჳდელთა, მღჳდელ მოქმედებასაშინა, აგრეთვე მოციქულთ, საქმე მოციქულთა შინა. «აწ გამოირჩიეთ ძმანო კაცნი თქჳენგანნი, «რომელნი წამებულ იყვნენ შჳდნი, სავსენი სულ-«თა წმინდითა და სიბრძნით, რომელნი დავად-«გინნეთ სახმარსა ამას ზედან, და გამოირჩიეს «სტეფანე და სხჳანი, რომელ სტეფანე იყო პირ-

«ველი დიაკვანი, ვითარცა წერილ არს მის-
«თჳს.»

მიტრო. დია კეთილი სთქჳ. მითხარ, მღუდელობა რაჲ არს?

იო. მღუდელობა ნიშნავს თანამდებობასა, ანუ ხარისხსა სამღუდელოთასა, ლე. 1, 9, მსგავსად ჩუეულებისა მღუდელობისა, ჰხუდა მას საკმეველისა კმევა, და შევიდა ტაძარსა უფლისასა. ესრეთვე მღუდელობა არს შეკრებულება მღუდელთა, ანუ უპირველეს სამღუდელოთა შორის, ესე იგი, ეპისკოპოსთა, 1. ტიმოთეოსთა, 4. 14. ნუ უდებ ჰყოფ, რომელი ეგე არს შენთანა მადლი, რომელი მოგეცა შენ წინასწარმეტყუელებითა და ჴსმითა ჴელთა ხუცობისათა, და ამისთჳს ეპისკოპოსი შემძლებელ არს ჴელდასხმად მღუდელთა, ანუ ხუცესთა, გარნა განწესებისამებრ მოციქულისა, ეპისკოპოსი ეპისკოპოსსა ვერ ჴელ დასხმულ ჰყოფს მარტო, გარდა უმცირეს სამთა ეპისკოპოსთა. კიდე, სხუაბრ მღუდელობა ნიშნავს განმწმენდილობასა და დამფარველობასა.

მიტრა. არხიმანდრიტი, ვითარ განიმარტების.

იო. არხიმანდრიტი (ბერძულია) ესე იგი პირვე-

ლი მეზღუდე, ანუ მმართებელი მეუფეთ კრებულთა უდაბნოთა ანუ სხუათა ადგილთა შინა. მიტრაპოლიტი, ეპისკოპოსი.

იღ. ეპისკოპოსი არს უპირველესი მწყემსი თჳსისა სამწყსოჲსა, მზრუნველი კეთილად დაწესებისათჳს წმინდისა ეკკლესიისა, და მმართებელი არა თუ მხოლოდ მდაბალთა კარისხოვანთა სამღუდელოთა, არამედ ყოველთა რწმუნებულთა მისდა ღუთისაგან სიტყვიერებათა ცხოვართა, ვითარცა ისილვების საქმე მოციქულთა შინა **20. 28.** ეკრძალენით უკუჱ თავთა იქუჱნთა და ყოველსავე სამწყსოსა, რომელსა ეგე თქუჱნ სულმან წმინდამან დაგადგინნა მოღვაწედ დამწყსად ეკკლესიასა უფლისა ღუთისასა, რომელი მოიგო სისხლითა თჳსითა, და ამით ჰსცანით, თუ ვითარი გული მოდგინება უნდა აქუნდეს ეპისკოპოსსა თჳსსა სამწყსოსი, ვითარცა სწერია ამავე თავსა შინა მუხლსა **19.** და **30.** ეგრეთუჱ პეტრე მოციქული პირველსა ეპისტოლესა შინა იტყვის **5,1,2,** და **3** ჰმწყესიდი თქუჱნ შორის სამწყსოსა მას ღუთისასა, ილვწიდით, ნუ იძულებით, არამედ ნეფსით, ნუცა სამაგელით შეგინებით, არამედ გულს

მოდგინედ. ნუცა ვითამცა ეუფლებოდეს მწყეთა მათ, არამედ სახე ექმნენით სამწყსოსა მას. ხოლო ეპის-კოპოსი ბერძულად ნიშნავს ზედა მხედავსა, სიტყვი-სამებრ ბერძულისა არს ესრეთ: ეპისკოპეო, ზედა ვმხედველობ, და ამისგან წარმოებს ეპისკოპოსობა. ეგ სახელვე ნიშნავს ეპისკოპოსი კელმწიფებას სული-ერი, როიცა უნდა განხსნის, და როიცა უნდეს შე-კრავს, სიტყვისამებრ უფლისა. გინდ რომლისამე უნდა ჰსწყევს, ვითარცა წერილ არს ფსალმუნსა შინა, რიც. 108 და მუ. 8 იყვნედ შვილნი მისნი ობოლ და ცოლი მისი ქვრივ. ეგრეთვე იყავნ სამკვიდრებელი მისი ოხერ, და ნუ იყოფინ მკვიდრი მას შინა და განსაგებელი მისი სხვამან მიიღენ.

მაშინ ზურაბმან. იოანე ბერო! კარგი დალოცვა ასწავეთ მაგათ ყოვლად სამღვდელოესობას მამაცა-შვლებისათვის, რატომ აღრევ არ ნატრობდენ შენ მოხვლას?

იო. მე უკეთურო, თუ წყევა შეუძლიან, განა დალოცვას ვერ შეიძლებს ამათი ყოვლად სამღვდე-ლოება.

მიტრაპოლიტმან. რაჲ არს არხიეპისკოპოსობა?

იო. არხიეპისკოპოსი (ბერძულია) მმართებელი, არჩეთა ქრისტესი, (ანუ ერთა), ესე ჭ̂არითავე მალითა არქიერი არს დასაბამი მღ̂დელობის დაწყებისა, ეგრეთვე არქიელი არს მთავარი მღ̂დელთა ზედა, ანუ მღ̂დელთ მთავარი, გინა მწყემსთ მთავარი.

არხიერი, გინა მღ̂დელმთავარი, მომავალი კეთილთა, ესე ჭ̂არსა წოდებასა აძლევს წმინდა მოციქული პავლე მაცხოვარსა ჩ̂ნსა იესო ქრისტესა. ებრაელთა. **6, 11**, ხოლო ქრისტე მოვიდა მღ̂დელმთავარი იგი ყოფადთა მათ კეთილთა, უფროსითა მით და უსრულესითა კარვითა ჴელით უქმნელითა, ესე იგი, არს არა ამის დაბადებულისათა; ვინაჲდგან იგი არს ნამდვილ მღ̂დელმთავარი, სახედ არქიერად. ძველისა ჰსჯულისა, ვითარცა ჰსჩანს ეპისტოლესა შინა ებრაელთა საკუთრად » **7. 8. 9** და აქა რომელნი იგი მოჰსწყდებიან, კაცნი ათეულსა მიიღებენ. ხოლო მუნ წამებულ არს ვითარმედ ცხად არს, და რათა მოკლედ ვჰსთქუათ აბრაამისთჳს, და ლევისთჳს და რომელი ათეულსა მიიღებს ათეულადვე შეწირულ-არს: და ამათ ყოველთა ზედა განსხუავებისათჳს

იზედწოდების მღჳდელმთავრად, მომავალთა კეთი-
ლობათა; ხოლო მომავალი კეთილობაჲ აწინდე-
ლსა ცხოვრებასა შინა არა სხჳა რაჲმე არს,
ვითარცა დიდება ზეციური, და ცხოვრება საუკუნო.
ხოლო ძჳელისა აღთქმისა მებრ, (სადაცა უფროს
მოიღებს მოციქული, და რომელთათჳსცა ქრისტე
არს მღვდელმთავარი,) იმემცნების უკჳე ახლად
მომმადლებელი კეთილი, ესრეთ, რომელ მოტევება
ცოდვათა. **2**, მოყვარება საუკუნოთა სიმართლეთა.
**3**, სჳნიდისი სრული, ხოლო უწარჩინებულესი
ღჳთის მცნობელობა გამოხატე გულთა ზედა
ჭსჯულისა. **6**, ნიჭი სულისა წმინდისა, **7** სარწმუ-
ნოება პირისპირ დადებული, სასოებად ძველთა
უკჳე კაცთა. **8**, მედჭეოფა, ანუ მძლება. **9**.
მშჳდობა. **10**, თავის უფლება, ამათ შინა მდგო-
მარეობს უდიდესი მაცხოვარებაჲ ებრაელთა **2, 3,**
ვითარმე ჩჳენ განვერეთ უკეთუ ესე ოდენი ესე
უდებ-ჰყოთ ცხოვრებაჲ, რომელმან იგი დასაბამი
მიიღო სიტყჳად უფლისა მიერ, მსმენელთა მათგან
ჩჳენდა მომართ დაამტკიცა. ამა კეთილობათა მიერ
არა დაჰსტკბებოდიან წმინდანი, ძჳელსა აღთქმასა
შინა საშუალობითა მღჳდელთ მთავართა მსახურებელთა

საგრილობელისათა. მომავალი, ესე იგი მყობადი კეთილობანი იწოდებოდიან მუნ დრომდე, ვიდრე-მდის ქრისტე არა მოვიდა ქუეყანასა ზედა და მუნ დრომდის ჰსდგა ძუელისა აღთქმისა კარავი მსხუერპლითურთ თჳსით.

მიტრაპოლიტმან. შჳლო იოანე! რაჲ არს მიტრა-პოლიტი?

იო. მიტროპოლია (არს ბერძული) ესე იგი დედა ქალაქთა, რომელსამე მხარესა შინა არს უპირველესი ქალაქი, ანუ სატახტო ქალაქი, საკელ-მწიფო, მუნ მჯდომარესა ეპისკოპოზსა უწოდებენ მიტრაპოლიტად უაღმატებულობისა გამო სხუათა ეპისკოპოზთა ზედა.

მიტრ. მონოზონობა რაღასა ნიშნავს?

იო. მონახ, ლექსი ბერძულია, და ჩუენ გაგვი-ქართუელებია მონაზონად. ნიშნავს მარტოდ მცხოვ-რებსა განშორებულსა, შაოსანსა, უმეუღლოსა, ანუ ქვრივსა; ხოლო სამღუდელოსა კარისხსა შინა საკუ-თარითა ეკკლესიისა წესითა ნიშნავს, თჳსისა ნები-სა გამო აღკუეცილად. აგრეთუე კლემაკსი, სხუებრ ამლევს საზღუართა მონოზონთა.

მიტრ. ძველადცა იყვნენ მონოზონნი?

იო. უკეთუ გნებავთ ცნობად, შემძლებელ იქმნე-ბით სილვად, რომელ იყვნენ მველად. იხილეთ სოკრატის შორის, სოზომონისა, ფეოდორიტისა, პალადიისა, კასიანისა და სხჳათა ესე ვითართა წერილთა შორის. ხოლო დედათა სქესი განშორ-ვებით მცხოვრებელი, იწოდების მონასინა და ქართულად მონოზონა. და ამა უბნობით დაასრუ-ლეს ვახშამი და წარვიდნენ თჳს თჳსსა სადგუ-რსა.

მეორე დღეს იოანე აღდგა და წარვიდა ეკკლე-სიად. რა კარგა გაშინჯა, ჰსთქუა ესრეთ მწუხარედ: სამიტროპოლიტოს ეკკლესიას არა შჳჵნის ეს გჳარ განწყობილობაო. მაშინ მამაცა-შჳლი გამოეც-ნაურა, და რქუა: აჰა მამაო, ჩჳჵნ მაგისთჳსა გვწყევს, რომ შემოსავალი აქჳს და არას ახმარებენ.

იო. არა შჳლო, უნდა მოუთმინოთ თქჳჵნ მწყემს მთავარს და არა სთქჳათ მვირი, ვითარცა წერილარს « არ ჰსთქჳა მთავართა შენისათჳს მვირი.»

მამაცა. მაგაზედ დანაშაული გჳაქვს. გულფიცხე-ლობით გვჭირს ეგე.

იო. კათოლიკოზი გვავთ, და თუ უსამართლო

მოგაბდგეთ რამ, იმას უნდა მოახსენოთ.

მამაცა. ჟვეც ბევრჯელ ვქენით.

იო. თქჳენ გუჯრები არა გაქჳთ? ვითარ გიწე-რიათ სარგებლობა მუნ, მაჩვენეთ მე.

მამაცა. მოგართმევ. იოანე წარვიდა მროველთან და ყოველივე მამაცაანთ დარიგება მოახსენა და გუჯართა გაშინჯვის ნება ჰსთხოვა. მან ინება, და მოიღო მამაცა შჳლმა. ეწერა მუნ ათას თავისა აღება, რადგან სალთხუცესი იყო, სოლო სსჳენ არა იყო გარჩეულ თუ რომლის შემოსავლიდამ აელოთ, და ამაზედ აქუნდათ სამდურავი და აგრე-თვე უჯეროდ თავის სამოურაოს ხალხს ამუშავე-ბდენ.

იოანემ. გაშინჯა ესე ყოველი, და მოახსენა ყოვ-ლად სამღვდელოს: ამა გუჯრითა ყოველთჳს გექმნებათ სანდურავიო, ამისთჳს, რომ რომელიმე კი უნდა ერგოს ამ სალთხუცეს და რომელიმე კი არაო. მროელმან, მსაჯულობა მომიცია და შენ გაგვი-კვლიეო.

იო. მამაცა შჳლო! აჰა სწორე სამართალი: რაც ახვნევინო, ათესინო, ბაღი, ვენახი აკეთებინო მროვლისათჳს, რაც შემოსავალი მოვიდეს, ან ღალა

ან კულუსი და გლესთ დებულება, აქედამ გერგე-ბათ ათის თავი, აგრეთუჱ მუშა ეკკლესიის ყმისა, რადგან მოურავი ხარ, ერთს დღეს გიხნან, ერთს დღეს გიმკონ, და ერთს დღეს ვენახი გიმუშაონ, ესეც ინებოს ცროველმან, სხჳჱბ ნუ შეაწუხებ. თავის ნებით ვინც მღჳჱნს მოგიტანს, ამას არც ყოვლად სამღვდელო დაუშლის.

სხჳჱბ რაც კონდაკით მოიგებს ამათი ყოვლად სამღჳდელოება, ან აწირვინებს ვინმე, ან ისე მოა-რთმევს ვინმე რასმე, ამაში საქმე არა გაქჳს. აგრე-თუჱ თავადს ვისაც დამარხავს, ამათ ყოვლად სამღვდელოება საიმტვერიოს და საწირავს ეს მიი-ღებს, ხოლო ნიშანი რაც იქნება და საფლავის ფასი, უნდა გაიყიდოს და ეკკლესიას შეენახოს და სადაც რა წახდეს გააკეთოთ. აგრეთუჱ, რაც შემო-სავალია იქიდამ, შენი ათის თავი ვითარცა ზეით დავსწერეთ, დეკანოზის ულუფა, კანდელაკისა და სხჳათა ეკკლესიისა მსახურთა უნდა გარდაიდოს, აგრეთუჱ მროვლისათჳს სადილ ვახშმისა თჳსთა მოსამსახურეთა და სტუმართათჳსცა, იკონომია. ხოლო სხჳა რაც დაშთეს, პურიცა, ღვინოცა და სხჳა ნივთნი, უნდა ყველა გაიყიდოს და ეკკლესი-

ას მოხმარდეს შესამოსლად თუ სხჳსად. აგრეთჳე შენი შეწევნა უნდა აჩვენო ამათ სამღჳდელოესობას სტუმარზედაც, ჯარში, მუშაობაში, აქეთ იქით საქმეზე გაგზავნით და ესრეთ მშვიდობა მოიგევით. მე ამაზედ მეტი არღა მალმიმს რომ ვიკადნიერო. მაშინ ყოველთა მოეწონათ ეს განკარგულება, და დააზავნა მამაცაანი მროველს და მუნით მადლობელი იოანე წარვიდა გორისაკენ,

### დღე მეექუსე.

იოანე მივალს გორს და ზურაბ მიიწვევს თჳსსა სადგომსა. მცირე ხანს უკან, იოანე დაივლის ამა გორის ქალაქსა, ციხესა და მდებარეობა მისი დია მოეწონება და უკანასკნელ მივალს ამილახვართანა და აცნობებს თჳსსა ვითარებასა. ამილახვარი მიიღებს მას კარგად და სადილათაც არღა უტევებსა, და მერეთ ჰკითხავს თჳსსა ვითარებასა, და იოანე ცხად უყოფს ყოველსავე და ეტყვის ამილახვარი: გიჟი ზურაბა რათ გაიამხანაგეთო. მაშინ

ზურაბმა. ესე მეცნიერი კაცია და თუ გიჟი არა ხლებოდა, ეს ვით გამოჩნდებოდა ჭკვიანათაო.

ამილახვარმან. თავის წინა მმღჳართან როგორღა

ჩამს?

ზურ. რაგჳარადცა ჩემთანა.

იო. უი ჩემთავს, ჩემი წინამძღვარი გიჟი გგო-ნიათ?

ამილა. ერნი ასე უბნობენ.

იო. იმათ კი დაეჯერებათ?

ამილ. ასე სწერია: ორისა და სამისა მოწა-მითა დაემტკიცოს ყოველიო.

იო. მდივანბეგიც ბძანდებით, მაგრამ მოწმები, მტერნი და მეშურნენი არ უნდა იყვნენ.

ამილა. თარსნიანიც ასე ამბობენ.

იო. გიჟთ ყოველი ჭკვიანი გიჟათ ეჩემებათ.

ამილ. ზურაბ! თქჳთ როგორ გგონიათ?

იო. მე ხომ გიჟი არავარ.

ამი. მაშა სადამე ზურაბა გიჟი ყოფილა. და გაეცინათ ამაზედა და მერე უთხრა ამილახვარმან იოანესა. გორი ვითარ მოგეწონათო?

იოანემ. უცხო მდებარეობა აქჳს და შემკობი-ლია ადგილით. შენობეებიც ქვიტკირით ბევრია, მაგრამ სუროთ მოძღრულად ვერ არის ნაშენი და განკარგული, და არც სასწავლებელის და კელო-ვნების მასწავლელნი ყოფილან აქ.

ამილა. ქართლში სხჳაგან სად ყოფილა ჴსწავლა და კელოვნება, რომ აქ იყოს.

იო. რომ არ ყოფილა კიდეც ეტყობა.

ამილა. ასეა თქმული: ცოდნამ დააქცია ქვეყანაო.

იო. უი ჩემსთავს, მაგას ნუ ბმანებთ. ნარი აღიღევით ცოდნიდამ და ვინი დართევით, მაშინ ჴსცნობთ თუ რომელს დაუქცევია.

ამილასხჳარმან. ვერ მივხჳდი მაგას.

იო. როდესაც ნარს მოუსპობთ და დავრთავთ ვინსა, მაშინ ცოდნა, ცოდვად გამოვა, და ამან დაგვაქცივა. და თუ გვეცოდინება რამე, ცოდვასაც მოვშორდებით.

ამილა. ბევრი მეცნიერია რომ ცოდვაშიაც იყოს და ავსაც ასწავლიდეს კაცსა.

იო. მაგისთანა კაცსა ფილასოფოსნი, მერალს ჭურჭელს ემახიან. რომ მასშინა იდვეს მირონი სურნელი, ცუდს სუნს მიიღებს მისგან. ეგ სახედ, მეცნიერებისაცა ცუდად მხმარებელი, განრყვნის თავსა თჳსსაცა და სხჳსათაცა. მართალსა ბმანებთ.

სწავლისა და კელოვნებისათჳს.

ამილა. დიჰ მათნე, და მითხარ: რაჲ არს ჴსწავლა და კელოვნება?

იო. სწავლა არს ცხადი მცნობელობა ჭეშმარიტებისა, განმანათლებელი გულის-ხმის ყოფისა, უბიწო მხიარულება ცხოვრებასა შინა, ქება ჭაბუკისა და შესაყრდნობელი მოხუცებულისა, ნუგეშინის მცემელი უბედობასა შინა, ხოლო ბედნიერებასა შინა განმაშუენებელი.

ამილა. რაოდენნი არიან უპირველესნი ჴსწავლანი?

იო. რვანი, ესე იგი: ღჳთის მეტყველება, იურის-პრუდენცია, ფილოსოფია, მედიცინა, რიტორიკა, პოეზია, ანუ ლექსთ-მთხუზჳლობა, ფიზიკა და მათემატიკა.

ამილა. ვითარ სახე არიან ეგე ჴსწავლანი, ანუ რას შემეცნებას მოგვცემენ ჩუენ?

1) იო. ღჳთის მეტყველება არის ჴწავლა ღჳთისათჳს, და საღმრთოთა ნივთებთათჳს.

2) იურისპრუდენცია არს ჴსწავლა სიმართლისა და მართლიადობისა ჩუეულებათა, და ჴსჯულთა შესახებელთა ვიდრე მართლ მჴსაჯულობისადმი.

3) ფილოსოფია არს სიბრძნის მოყუარება, რომლისა ძალით შევემცნებით საღმრთოთა და კაცობრივთა საქმეთა.

**4**) მედიცინა ანუ მკურნალობა არს სახმარი დაცვისათჳს კაცობრივისა სიმრთელისა.

**5**) რიტორიკა არს ჴსწავლა, რომელიცა ასწავებს გუარზედ უბნობასა და წერასა, ქებასა და დიდებასა, შეთანასწორებასა, ვითარცა წერილით, ეგრეთვე სიტყუათაცა მიდრეკად და სხუათა თჳსდამი კერძოდსა.

**6**) პოეზია, ანუ მელექსეობა არს ჴელოვნება გამოთქმად ენითა ვნებათა თჳსთა, აგრეთვე საქებრად ანუ საკიცხველად, შეწყობა კანონიერად ხმოვანთა და უხმოთა მარცვალთაგან ლექსისა და განწყობით დაბოლოებად სიტყვათა და გამოსატყუა საგანთა ცხოვლად, რათამცა მის ძლით აღძრულ ჴყოს გული და სული.

**7**) ფისიკა არს ჴსწავლა, რომელიცა ცხად გვიყოფს ჩუჱნ ბუნებითთა გამოცხადებათა, გვასწავებს მცნობელობასა თჳსებათა სხეულთასა, თუ ვითარ იგინი მოქმედებენ ნაცვალ გებობით და სხუჱბრ. — ამას შორის იგი განსხუავდების ბუნებითისა ისტორიისაგან, რომელიცა მხოლოდ გუასწავებს ჩუჱნ მცნობელობასა ბუნებისა წარმოებისასა, და გვაჩუჱნებსცა მაგალითთა მათ, რომელთაგნცა იგინი გან-

სხუავდებიან.

**8**) მათემატიკა, არს ჰსწავლა, რომლისა ძლით განერთვის მცნობელობითა, რაოდენობათა და განზომათა სხეულთა შორის, და იგი არს პირველი და უმთავრესი სწავლა ყოველთაგან ჰსწავლათა მით, რამეთუ იგი მდგომარეობს მხოლოდ ერთის ოდენ დამტკიცებასა შინა, ხოლო ესე შეიცავს თჳს შორის არითმეტიკასა, გეომეტრიასა, შტერეომეტრიასა, ტრიგონომეტრიასა და ალგებრასა, რომელსაც მე თჳსსა ჟამსა შინა ყოველსავე ნათლად განცხადებულ ვჰყოფ, და მაშინ ჰსცნობთ სახელებით, თუ რაჲ სარგებლობა აქჳს ამა ზემოხსენებულთა ჰსწავლათა.

ამილახვარი. დია კარგა მაცნობეთ. ჴელოვნებაცა მიბძანეთ.

იო. ჴელოვნება ორ გვარია: საქმითი და ხედვითი. ხედჳთი უკვე ჴელოვნება არის ღჳთის მეტყველება, ფილასოფოსებობა, ვარსკჳლავთ-მრიცხჳელობა და სხუანი, ხოლო საქმით არის, გამოცდილებითი და მესსიერებითი ჰსწავლა ჴელით მოქმედებითი, ესე იგი, მესაკრაობა, მხაზველობა, მხატრობა, ოქრომჭედლობა, მესაათობა, შაბაქთ

მოშჳრელი, გამოქანდაკება, მქსოველობა, მოთამაშობა ანუ მროკველობა, და ამათვე სცნობთ გარჩევით თჳსთა დროთა შინა.

დღე მეშჳდე.

ამა უბნობით დაასრულეს სადილი. იოანე კმაყოფილი გამოეთხოვა ამილახვარს და წარვიდა სადგურსა თჳსსა, იმ ღამეს მუნ განისვენეს.

ხოლო ხვალისა დღეს წარვიდენ ქრცხინვალსა, მისრული იოანე და ზურაბ ეძებდენ სადგურსა, დასავანებლად მუნ, და მაშინ იხილა მაჩაბელმან ჰორტიშჳლმან, და იცნა ზურაბი, და რქჳა: ზურაბ! ვინა არს ეგე შენთან მყოფი ბერი? ზურაბმან-ესე არს ქჳაბთა ხევის მონასტრიდამ, ჴსწავლული კაცი და ვრონინებთ საკალმასოდ. მაშინ მაჩაბელმან: მწერალს ვეძებდი და უკეთეს ვის ვიშოვნი, გთხოვთ ჩემთან წარმოსჳდეთ, და მე ვიზრუნვებ თქჳრნთჳსა. ამათ ნება ჰსცეს, და უბძანა მსახურსა თჳსსა წარყვანება მათი სადგურსა თჳსსა, წარვიდენ ესენი, მიიღეს უცხოდ, და მოვიდა მაჩაბელი და იოანე მოიკითხა ალერსით და იოანემაც მადლობა ჰკადრა და უკანასკნელ დია მეატყო

მაჩაბელსა სახეზედან მწუხარება. იოანემან ჰრქუა: ბრწყინვალეო თავადო, ვგრძნობ სახესა ზედან თქუჱნსა, მწუხარებასა.

მაჩაბელი. მართალს ბძანებთ.

იო. შეიძლება მიბძანოთ.

მაჩაბელი. მეც ამისთჳს მოგიწჳეთ.

იო. მიბძანეთ.

მაჩაბელი. ჩემი უფროსი შჳლი, ჩემ უნებურად გლეხის ქალს ირთავს და ეს არის კაცი მომივიდა, რომ თუ არას უშველით ამ კჳრას ჯუარს დაიწერსო, და ამ სიბერის დროს ამ სირცხჳლში მაგდებს.

იო. რატომ თავადის ქალზედ არავისზედ რთავთ.

მაჩაბელი. რამდენი გამოურჩიე, მაგრამ ის გლეხის ქალი შეჰყვარებია.

იო. სიყვარულს ბევრი რამ შეუძლიან, მაგრამ შჳლსკი არ უჯობს თავის დედმამის ურჩება. ამისთჳს სულითაც მავნებელ ექმნების და ხორცითაც.

მაჩაბელი. გთხოვ, ასე გვარათ მიმი-წეროთ წიგნი, რომ საკდებელი იყოს მისთჳს, ეგების თავის უგუნურებითი ფიქრი განაგდოს.

იო. დიახ უფალო, მიბოძეთ ქაღალდი და საწე-

რელი. მჴსწრაფლ მოართვეს იოანეს და იოანემ კელ ჰყო შემდგომითა სახითა ამით მიწერა:

«საყვარელო მეო, გარნა ურჩო მამადედისაო! «მრწოდე განუჴსჯელობისათჳს შენისა, მრწოდე წყე-«ვისაგან მშობელთა შენთა, გეშინოდეს ღჳთისა, «და უკანასკნელ გეენნისა, რომელსაცა სირცხჳლე-«ულნი საქმენი შენნი გიმზადებენ შენ.—შენ მიგი-«ღებიეს გონება, ოდესცა უგუნურებითსა სურვილსა «აღუტყინებიეს შენ შორის ქორწინებისა ყოფად, და «გწადნოდეს მდაბიოსა და არც რაჲსამე ქალისათანა «შეუღლება, რომელიცა თჳნიერ გმობისა და კიც-«სჳსა კიდე არა რაჲსამე შემძლებელ არს მორთ-«მევად შენდა და გვარისადმი ჩჳენისა.—გწერ მამა-«შჳლურად, უკეთუ სრულ ჰყოფ სამაგელსა განზრა-«ხვასა შენსა, მაშინ არღა იწოდები მედ ჩემდა.—«წყევა ჩემი ყოველგან შეგიდგების შენ, და იწოდე-«ბი ვითარცა ურჩი და განრყვნილი მე, ვითარცა «უძღები შჳლი, მრონინე უდაბურთა ადგილთა შინა «მშიერი, და შიშველი. ვიდრე უკანასკნელ აღმოფ-«შჳნვადმდე შენდა, არა გექმნების შენ შესაურდნობე-«ლად, არცა სახლი მამისა შენისა, არცა გუარეულთა «შენთა და არცა სახლი ემათა შენთა, არამედ ციხე

«საპყრობილოდ, და კოშკში ბნელი საუკუნოდ სამ-«ყოფად, თხოვითა მისისა სიმაღლისადმი. და ეს-«რეთ შევედ თავსა შორის თჳსსა, მოიგე გონება, გან-«საჯე, და ნუ იყოფი ურჩ მამისა შენისა, რო-«მელიცა მოგელის შენ დამორჩილებულად.»

ოდეს მიუვიდა წიგნი ესე, მყის უმაწჳლი მო-ეგო გონებასა და მოვიდა მამისა თჳსისათანა, მაშინ მაჩაბელმან, იოანეს მადლი უბმანა, და კარ-გად მოიმადრიალა, იოანემაც კარგად დააზავნა იგინი, და ის დღე და ღამე მუნ დაათივა, ყო-ველგან მოიარა, მოიწონა ადგილი და ხვალისა დღეს გაემართა მეჯურის ხევისაკენ.

დღე მერვე.

მისრული მუნ, იოანე და ზურაბ მივლენ ერ-თისა ქურივისა დედაკაცისა სახლად, და სთხოვენ სადგურსა. ხოლო იგი მიიღებს მათ, და იოანე რა შევალს სახლსა მას შინა იტყჳს: მშჳდობა სა-ხლის პატრონაო! იგი უჩუენებს ერთსა მუტლსა ნაბადსა დაგებულსა ცეცხლის პირად, და ეტყჳს: დაბძანდით მამაო. იოანე დაჯდება, განიხდის ფერ-ხთა, და ჰკითხავს დედაკაცსა: ეს შჳდი ყრმანი

ვისნი არიან? იგი ეტყჳს ჩემი.

იო. ქმარი გივის?

დედაკაცი. არა მამაო. არც ქმარი, არც მაზლი, არც დედამთილი, მხოლოდ მე ვზრდი ამა ჩემთა ობოლთა.

იო. გაქჳს რამე ქონება?

დედაკაცი. მხოლოდ ესე სახლი და მცირე საბოსტნე ადგილი და უფრო მოწყალებით ვიზრდები

იო. ვინ არის შენი მებატონე?

დედაკაცი. აქამდინ ბატონის შჳლისა ვიყავით, ახლა საერისთაოდ დაგვდეს.

იო. მაინც ვის ეკუთვნით?

დედაკაცი. ჯერ არა ვართ მიჩემებით ვისდამე, საერთოთ ვექვართ.

იოანემ. მაშა ხარჯი ერთი გექმნებათ აქაურთ გლეხთა?

დედაკაცი. ოღონდაც.

ამ ჟამად ერთი მსახური შემოვიდა და უთხრა ერისთჳს სალთხუცესმა და ნაზირმა მღუდელნი გააკეთე და გამოგზავნეო. იოანემ: ქურივი დედაკაცია და ობლების პატრონი, ამას მღუდელნს როგორა სთხოვო და ამ გვარი ბევრი სიტყუები ჰსთქუა

ერისთვიანთზედა და იმათ მოხელეებზედა, რომელიც ერისთვიანთა და იმათ მოხელებს უსიამოვნოთ შეექმნებოდათ. იმ კაცმა იოანეს ვინაობა იკითხა.

ზურაბმა. დოსითეოს არქიმანდრიტის დიაკვანია, იმისგან გამოგზავნილი სათხოვრად. კაცმან მიუგო: მაშ ერისთჳანთ მტრისაგან ყოფილა გამოგზავნილი და ერისთჳანთზედ მაგისთანას ლანძღვას უბნობს ფიცხელაურების გულისათჳს. წავიდა კაცი იგი და უამბო თავის ბატონებს ერისთჳანთა, ამ ჟამად მუნებურმან მღუდელთაგანმა სცნო იოანეს მუნ ყოფა, მსწრაფლ მოვიდა იოანესთან, ვინადგან იცნობდა წინამძღვარსა; იოანემ უთავაზა, ერთმანერთს ეამბორნენ და სიყვარულით მოიკითხეს ურთიერთი და თავის ვინაობაც აცნობა იოანემ და მიზეზი თჳსის სიარულისა; რა მცირე იმუსაიბეს, მღუდელმან იოანე მიიპატიჟა სახლად თჳსსა, საბრალო ქვრივი ობლები ვერ გიმასპინძლებენო; წარვიდნენ მღუდლის სადგომისაკენ. იმ დროს ერთი ერისთვის მჳლი შემოხვდა და უთხრა იოანეს: ფიცხელაური ბერი ჩუენის მტრობისაგან არ დაცხრა და ახლა ჩუენს მამულში შენ დიაკვანი ჩუენ სა-

ლანძღავათ გამოუგზავნიხართო. უთხრა და ჰსცა კუნკულსა, კუნკული გააგდებინა.--შიშნეული იოანე განივლტო ბარბაცით თავ სისხლიანი და მისძახა; ახლავ დაიკარგე შენ ფიცხელაურის დიაკვანო, აქ მოსულხარ და ჩუჱნ გვლანძღაო.

იოანემ დაუძახა ზურაბს, ცხენი მოიყვანეო, შეჯდა და სთქუა: განვეშორნეთ ამ ბარბაროზთა და წარვიდნენ ჭალისაკენ: გარნა დიდად შეაწუხა თავის გატეხილობამა იოანე და მაშინ ზურაბმა შეუხჳა თჳსითა სარტყლითა თავი და ესრეთ მიიწივნენ მწუხრის დროს ჭალასა და ემიებდნენ სადგურს; ამ ძებნაში იხილა ერასტიმ ამილახვარის შჳლმან ზურაბ, დაუძახა თჳსთანა და იოანეც მიიპატიჟა. ერასტის ადრევე შეეტყო მუნ დასწრებულისა მსახურისაგან, რომელსაცა ეანბო იოანე ბერის გალახვა და იოანე მიახლოვდა და ერასტიმ იხილა ბორბლად თავ შეხვეული, მაშინ ერასტიმ: ვინ მოგართვათ ეგ მიტრაო?

იოანე. ვმადლობ ღმერთსა, რომ ამ საჩუქრით განვერე ჴელთაგან მათთა და ერასტიმ შეიწვივა სახლსა შინა;მოიკითხეს ურთიერთი და მერე ყოველივე თჳსი ვითარება უანბო იოანემ და ამ ჟამად

შემოვიდა გიორგი ამილახვარი ქაიხოსროსი და რა თავ შეხვეული იოანე იხილა, ჰრქუა ერასტის; ვის მიურთმევია თეთრი ბარტყულა ამ ბერისათჳს?

ერასტიმ. ერისთჳანთა.

გიორგიმ იოანეს. რომელმან გცა უჴრმალსა? იო. არა უწყი; მაგრამ ვინ დასხნა იგინი ერისთავად?

გიორგი. მემკჳდრემ.

იო. არა სცოდნია ეს, თუ სამღუდელოთ კაცთ ასე შეურაცხ ჰყოფდენ ვითა მე, ჩემი არქიმანდრიტიც ბევრი ლანძღეს.

ერასტიმ. კარგა მორჩომილხარ, რომ ფეხებიც არ შემოგამტვრიეს.

ამ ჟამად მოიღეს ვახშამი; სხჳანიცა ამილახვრის შჳლები მოვიდნენ და დასხდნენ ვახშმათ; ამ ჟამად შემოვიდა გიორგი, რომელსა უწოდებდენ გოდად, უთავაზეს სხჳათა და უთხრეს, მობძანდი მმაო გოდაო.

იოანემ. ვის დაურქმევია ავაზაკის კაცის სახელი? ასე მსმენია, რომ გოდა იყო ოსი, ავაზაკი კაცის და ტჳჳს მეიდავი, რომელიც მეფე ირაკლიმ გარდააგდებინა ავაზაკობისგანო.

ერასტიმ. მართალს ბძანებთ და ამასაც ავაზაკობით უწოდეს ასე,

იო. რა უქნია ღირსი მაგის წოდებისა?

ერასტიმ. ყოველნი თჳსნი სახლის კაცნი, მომდურავნი, ნაჩსუბნი და დალახულნი, ამასთან მღუდელ მთავარი ჩუჱნი სამთავნელი, აგრეთვე გლეხნი, უკანასაჩელ განწირულებაში, და სხუა რაღა მოგახსენოთ.

იო. ბატონო გიორგი გოდად წოდებულო! თუმცა უმაწჳლი კაცი ბძანდებით, მაგრამ აღარც ისე უმაწჳლი ხართ, რომ ავისა და კარგის გარჩევა არა გქონდეს,—ჰხედავ ამათ? შენზედ ხნით უფროსნი არიან, ნამსახურნი მეფეთა და ომსა შინა დაჭრილნი და გარჯილნი მამულისათჳს და ამათ ვითარცა მშობელსა შენსა ისე პატივს უნდა უყოფდე, აგრეთვე თქუჱნ მღუდელ მთავარს ვითარ უნდა ჰკადრო რამე, რადგან ქრისტეს სახე არის; იფიქრე თუ როგორი კელმწიფება აქუთ, განხსნისა და შეკვრისა მიცემული, და ამისთჳს ხომ არ არის თქუჱნთჳს დადგინებული, რომ შეურაცხ ჰყოთ. მაშინ გიორგიმ უთხრა; ჰსწორედ მაცნობეთ ვითარის სახით არის ჩუჱნი მღუდელთ მთავარი

სამთავნელი?

იო. ამ სახით, მე გეტყჳ, ჯერ არც ამილახვარობა იყო თქუჱნ გვარში და არც ეს საამილახვარო გეჭირათ, რომ ათცამეტნი მამანი, რომელნიც მოვიდნენ ასერასტნიდამ საქადაგებლად ქრისტესა, დროსა მეფისა ფარსმანისასა, ქრისტეს აქეთ, **566**. მაშინ ამა ათცამეთაგანი, მამა ისიდორე, დასვეს სამთავნელად, ეკკლესიასა ამას შინა სამთავისად წოდებულსა, რომელიცა, აღაშენა ვახტანგ გორგასლან მეფემან, და მუნიდგან იწოდებიან, ამა ეკკლესიისა მოსაყდრენი-სამთავნელად.

გიორ. სამთავისი რასთჳს უწოდეს ამა ეკკლესიასა?

იო. ვახტანგ გორგასლან მეფემან საქართველოსამან, აღაშენნა ოთხნი ეკკლესიანი. წილკანისა, სამთავისისა, მეტეხისა გალმამხარსა და რუისისა; და ოდეს გაშინჯეს, ეს ეკკლესიები, მაშინ ხუროთ მოძღჳრებით და აღშენებულებით უფრო აქეს სამთავისი, და უწოდა ესრეთ სამთავ ეკკლესიათა, ესე სამთავესი უმჯობესიაო და მუნითგან ეწოდება სამთავისი.

გიორგი. ვითარ არის ჩუჱნი ეკკლესია ახლა?

იო. ოდეს იორამ ზედგინიძემ, თქუჱნმან დიდ-მან პაპამან, განარინა მოღალატეთაგან მეფე გიორგი მე ალექსანდრე მეფისა, სიკუდილისაგან, და მან დასდო სული თჳსი მეფისათჳს, მაშინ მეფემ მიუბოძა მათ შჳლებს ამილახვრობა, ქართლს სპასპეტობა, გორის მოურაობა. გორიჯუარი, ციხე, და სამთავისის ეკკლესია სასაფლაოდ, ქრისტეს აქ. **1465**, და მუნითგან, თქუჱნნი მთამომავლობანი მუნ ესაფლავებიან.

გიორგი. მღჳმე ვითარ არის ჩუჱნი?

იო. მღჳმე მონასტერია, და არა საყმო. ხოლო მღჳმის ეკკლესიასა შინა, მეფემან სჳმონ ინება თქუჱნის გუარისა დასაფლავება, რომელნიცა მძევჳს, მეფის წინაშე დაიხოცნენ, ოსმალოს ომში ექვსნი თქუჱნგანნი, და სამნი ტუსიანნი, რომელნიც ზედგინიძეობდენ მველად, და ბძანა სჳმონ მეფემან, ასტივით მათი დამარხვა, დიდსა ეკკლესიასა შინა, შიო მღჳმელის მონასტრისასა, და მუნჟამიდგან ჴფლობთ მას დროსა მებრ.

გიორგი. დია კარგათ გვაცნობეთო რაც გჳბძანეთ, და გორის ჯუარს ვერცხლის ნაწილებით, ჯუარი ვისგან არს ქმნული?

იო. ოთხი ჯუარიც კიდევ ვახტანგ გორგასლან მეფემან გააკეთებინა, თავის ტანის სიგრძე, რაც სიგძე თჳთ ვახტანგ იყო იმ სიმაღლით და თითოს თავის აღშენებულს ზემოხსენებულს ეკკლესიებში დაასუჩნა. და დღესასწაულობაც განუწესა, ვითარცა აწ არს გორის ჯუარში, ხალხის მისვლა. გარნა სამი იგი ჯუარი აღარსადა ჩანს, და ერთი იგი აწ რომელიც გორის ჯუარს ასვენია იგი არს. იტყჳან, ოდეს დიდი ლაშქრობა იქნებოდა და ძლიერი მტერი მოვიდოდა, ამ ოთხს ჯუარს გაასვენებდენ, ჯუარის მტვრთველნი ლაშკარნი ამას შეუდგებოდნენ. ერთს, იმერეთ აფხაზითურთ გაუძღვანებდენ, მეორეს ქართველთ, მესამეს სამცხე საათაბაგოს, მეოთხეს კახელთ, და ამის სასოებით, ძლევას შეიმოსდენ ყოველთჳს.

გიორგი. ესეც გაგვიმარტე, აგი კაცის სახელი რომ სხუას ერქუას, მაგით ავიკაცი რად იქნება?

იო. მე მაგ გვარი არ მომხსენებია. იუდა განმცემელსაც ერქუა, და ძმასა უფლისა ჩუჩნისა იესო ქრისტესა, გარნა პირუჩლი იყო უსჯულო, ხოლო მეორე წმინდა, და ახლა ვინც იმ გამცემელის იუდასავით მოიქცევა, და იმ კაცს რომ

დაუმახონ იუდა, უნდა ჰსცნო, რომ იუდას გამცემელის სახელი მიაწერეს, ვითარცა თქჳ́ნ, ვინადგან იგიცა მისი მობაძავი იქმნა, და ამისთჳს რადგან ეს გიორგი ავაზაკობს, ამისთჳს გოდა უწოდეს. და ესრეთ მართებს კაცს, რომ კარგის კაცის სახელი თჳთ მიიწეროს, კარგის უოფაქცევით, ვითარცა ჰსწერს წმინდა პავლე «მობაძავ ჩემდა იყვენით, ვითარცა მე ქრისტესი.»

გიორგი. განუსვენე ჰაზრსა ჩემსა და მიბმანეთ ესეცა თუ, თჳსნი მებატონენი ვითარ უნდა ექცეოდნენ თჳსთა ყმათა, ანუ ყმანი თჳსთა მებატონეთა.

მონათათჳს.

**1**) იო. რადგან ნებითა ღმრთისათა მიეცა კაცსა მონება უფლისა თჳსისა, მართებს მას მონასა, რათა არღა ოხვრიდეს მისთჳს, და არცა განწესებულისა მისისა უღელისათჳს, და გულს მოდგინებით აღასრულებდეს განწესებულსა თჳსსა.

**2**) პატიოსანთა მსახურთა თანა ამსთ, ერთგულება ცხადნი, სიმდაბლე, მორჩილება და მოთმინება, ოდესაც ამხილებდეს უფალი მათი სიტყჳთ

და რისხჳასა შინა არა ნაცვალი სიტყჳს გებით, არამედ მდუმარებით ყოფა, რომელიც უკანასკნელ სარგებელ ექმნების მათ. ეგრეთვე, ჭირთა შინა, დადევნულებათა, და ნაკლულევანებათა შინა, თჳსთა მებატონეთა თანა, ტჳრთვა და დათმენა, და გულს მოდგინედ მსახურება.

3) ესეცა თანა ამს მსახურსა და მონასა, რათა ფრთხილ იყოს და მოცალე სარგებლობისათჳს უფლისა თჳსისა, იყოს ერთგულ, და გულს მოდგინე მისგან რწმუნებულსა საქმესა შინა, და ეგრეთვე, დაცემულებასა შინა შეწევნა ყმათაგან უფლისა თჳსისა, რაოდენ მალედვას.

4) დროსა მუშაკობისასა, თჳსისა უფლისა სამუშაოსა, უნდა გულს მოდგინედ უმუშავებდეს, და არცა ცრუოდეს საქმესა შინა, და ამის მლით, მიიღებს უფლისა თჳსისაგან მადლობასა და წყალობასა, კეთილად მსახურებისათჳს.

### უფლისათჳს.

1) უფალთა თანა ამთ, თჳსთა ყმათა ზედა, რათა იყვნენ მყვარებელ, და ბძანება მათი იყოს მრთელითა განმსჯელობითა, და სამართლიანის საქმითა

რომლისა ძლით უფრორე ადჳლად მოიყვანს მორ-ჩილებასა შინა.

**2**) არა შესაბამ არს, რათა ფიცხელად ექცე-ოდეს უფალი ქვეშევრდომთა თჳსთა, არცა უჯე-როდ ართმევდეს და სტაცებდეს, ანუ ამუშავებდეს, ვინაჲდგან იგიცა კაცი არს გულის ხმიერი და აქუს გრძნობა შეწუხებისაცა, რათა არა ამის ძლით შთაიგდოს გულსა თჳსსა შიში და სიმულვილი, რომლისაგამო არღა ექმნების შთანერგულ ჩჳს შორის ჭეშმარიტისა სიყვარულისა და ერთგულებისა.

**3**) ოდესცა ამსილო სიტყჳთ ანუ საქმით, სხუათა შენთა, მერეთ მასთანავე შეაერთე, მოწყალე-ბაცა და სიმართლე ისმარე კელმწიფებასა შინა, და ესე ვითარითა ხატითა, სიტყუა შენი ამსილებს გულსა მისსა, და თანამდებობასა თჳსსა ჰყოფს მხიარულებით.

**4**) ოდეს ნაკლულევან იქმნენ, მოსავლითა, ანუ ჴაერისა გამო, ანუ სხჳთა, შეეწიე ნაკლულევა-ნებასა მათსა, და მის ძლით გაიერთგულებ გულსა მათსა.

**5**) აგრეთვე ნაკლულევანებასა ზედა საქონელ-თა, ანუ სართა, ანუ ძროხათა ზედა იხილო ვინმე

მონათა შენთაგანი, და მალგედვას, შეეწიე მათ მი-ცემითა მათთა, რათა მის ძლით შეიძლონ მუშა-ობა. გამოზრდა თავთა თჳსთა დამსახურებაცა შენი, ერთგულად მსახურებისათჳს, მათსა გაქუნდეს ნაცვლად წყალობა, რომლისა ძლით, უმეტეს მასცა და სხუათაცა განაღჳძებ ერთგულობისათჳს შენისა, მორჩილებისა და მსახურებისათჳს.

6) ნუ გექმნების შური, ნურცა თუალღები, რაჲცა აქუნდეს ანუ ჰყუანდეს, რათამცა აგრძნობინო მას, სურვილი მისი და მწადვნელობა ნივთისა მის.

7) მეძლუნეთა და შემომწირველთა, აჴმევდე შენთანა პურსა, და მადლობით გაისტუმრებდე.

8) მუშაკთა, ნუ დაუტევებ მშიერს.

9) გარდა დებულებისა, ნუ წაართმევ მსახურს.

10) ნუ გული გითქუამს ცოლსა ანუ ქალსა ყმისა შენისასა ზედა, რომლისა-ძლით უმეტეს გაი-მუსანათებ.

11) დებულებასა კიდე, სხუასა ნურას წაართ-მევ მეტსა და უკეთუ დაგჭირდეს რამე სიტკბოებით სთხოვე იგი, რომელიცა შეძლებისამებრ სისრულით მოგართმევს.

12) ყოველნი მოსამსახურენი შენნი, გაშინთე,

და ვისრა მალედვას, მას საქმესა შინა განაწესენ, და სხჳათა ნურღა აცილებ, და იგი ერთგულად მოუვლის რწმუნებულსა თჳსსა, და ოდეს იხილო რომელ კეთილად მართებს, მაშინ შენცა ნაცვლად მიანიჭე წყალობა და ესრეთ ყოველნი იქმნებიან გულს მოდგინე.

**13**) საზოგადოს მტერთა ზედა, და მდევარსა შინა ყოველივე განამხნე, და ნუ უტევებ მომედგრებად. და ყოველთა აქონიე საჭურველი, ტყჳა და წამალი, და ვისაცა არა მალედვას შეეწიე.

**14**) ავად მყოფს მოუარე, მკუდრის პატრონს ნუგეშ ეც.

**15**) ვაჭრობასა და საკუთარსა მუშაკობასა შინა თჳსთა ნუ დაამცონარებ, რათა მის ძლით მოიპოვონ მცირე რამ სიმდიდრე და უკანასკნელ ესრეთ გიყვარდენ ყმანი შენნი, ვითარცა მენი შენნი.

გიორგიმ ჰრქუა: იოანე ვაქებ სიბრძნესა შენსა და ჰსწავლასა, და შესო სადღეგრძელო, და აგრეთვე იოანემ დალოცა. და ესრეთ დაასრულეს ვახშამი, და წარვიდნენ თჳს თჳსსა სადგურსა. იმ ღამეს მჳნ განისვენა იოანემ, მეორე დღეს, გამოესალმა

ამილახვრიანთ. და წასასვლელად განემზადა.

## დღე მეცხრე.

მადლობელი იოანე ამილახვარიანთი, წარვიდა მუხრანისაკენ, რა ოკმისა მინდორს მივიდა, იხილა რაოდენიმე ცხენოსანი მომავალი, რა ახლოს მი-იწივა, იცნა იოანემ, გიორგი ერისთჳს შჳლი, ენება იოჲნეს გზის აქცევა, გარნა გიორგის ადრევე ეცნო იოანეს შემთხჳეულნი საქ-მენი და თჳთ მოვიდა იოანესთან და რქჳა: დი-აკვანო იოანე, ჩემგან რათ ივლტჳ, მე არა რას შემცოდე ვარ.

იო. არა უფალო, გარნა მეშინის, თქჳენც მა-თი მმა ბმანდებით.

გიორგი. გლეხური ანდაზაა «ერთის სისა, ბა-რიც ვამოვა და ნიჩაბიცაო.»

იო. რუსთაველი ჰსწერს: «კოკასა შინა რაცა დგას, იგივე წარმოდინდება.»

გიორგი. ბერო, რა შენი საქმეა, საარშიუო წიგ-ნების ჰსწავლა, ნუთუ თქჳენმან წინამძღვარმან გასწავათ.

იო. არა, «ვეფხჳს ტყაოსანი» სწორედ ზნეთ

ჴსწავლულება არს, და ვინც როგორ იხმარებს, იმ ნაყოფს გამოიღებს, როგორც თქუენ ხმარობთ საერისთოს......

გიორგი. არ მოგწონს ჩუენი მართებლობა?

იო. ეგ ასეთი მართებლობა არს, რომ თუ ხანი გაგრძელდა, სამართებლო მადგენი არღარა დაშთებარა.

გიორგი. მაშ როგორ უნდა მოვიქცეთ. ის იმ გვარი ხალხია, თუ ისე არ უყო კაცმან, მალა არ უჩუენა, არ დამორჩილდებიან.

იო. ბატონის-შვილი იოანე როგორ იმორჩილებდა?

გიორგი. ის მეფის შვილია და შეძლო.

იო. თქუენ მეფის მე ხართ, და თქუენც შეიძლეთ.

გიორგი. ვითარ, მასწავლე.

იო. მოგახსენებ.

გიორგი. ჴსთქჳ.

იო. თქუენი ერისთობა დაცემული იყო, მაგრამ იოანე ბატონის-შვილის თანხმობით, დავით მეფემ, მემკჳდრემ მოგცათ ერისთობა, გარნა თჳსსა მმასა უბმანა ჴსჯულ დება, თუ ვითარ უნდა მოქცეოდით თქუენ კელ ქუეშეთთა და საკუთართა

ემებთა.

გიორგი. ჩუჱნ ბატონის შჳლის მადლობელნი ვართ, ბმანება და დარიგება იმისი აღუჳსრულებია.

იოანე. მაშ აზნაურნი რათ გიჩივიან?

გიორგი. თქუჱნი არქიმანდრიტი გვრევს.

იოანე. ვითარ?

გიორგი. მოგახსენებ.

იოანე. მიბძანე.

გიორგი. თავისის ძმების ჩუჱნი ყმობა სათაკილოდ სჩანს.

იოანე. უჲ ჩემ თავს! ბერს ეგ ამპარტავნება ვითარ ექნება.

გიორგი. ეგ თქუჱნ განსაჯეთ.

იოანე. სხუანი აზნაურნი რაღათ გიჩივიან?

გიორგი. აზნაური გლეხ კაცებს უსამართლოდ ექცევოდნენ, ჩუჱნ ნება არ მივეცით, ამისათჳს გჳჩივიან.

იონე. მაშ წინამძღვარს რათ აბრალებთ?

გიორგი. მეც მაგას ვანბობ, დოსითეოსმა გაამბედვინა სხუათა აზნაურთაც, თორემ აზნაურნი ვერ გაბედავდნენ საჩივარს.

იოანე. თუ უსამართლოს უზამდით, გიჩივლებდენ.

გიორგი. გლეხ კაცნი, ჩუ́ენი ყმანი, არ ავაკლებინეთ და ეს რა უსამართოლება არის.

იოანე. მაშ საჩუქარში არიან?

გიორგი. დიახ არიან ზოგნი, რომელნიც დოსითეოსმა აიყოლია.

იოანე. ჯერ გარდაწყდა საქმე, თუ ისევ სამართალში არიან?

გიორგი. ჯერ არ გადაწყვეტილა, თქუ́ენი წინამძღუ́არი ცდილობს, რომ დაგვიანდეს საქმე. შემინდე, გრძლად ვეღარ მოვიცდი. მადლობელი ვარ ბატონი შვლისა, რომ კეთილი ნებავს ჩუ́ენთჳს და ეგრეთვე შენიც. აჩუქა რამდენიმე ოქრო და გაიყარნენ.

იოანე. ზურაბ! აჲ, გიორგი სჳნიდისიანი კაცი ყოფილა; მეცნიერებამ ეს იცის!

ზურაბ. რასაკჳრველია აქებ, ქისიყელი არა ხარ? თავიც რომ მოეჭრათ ორის ოქროსათჳს, არას ინაღვლიდი.

იოანე. შე გიჟო! ოქროები რაღას მარგებდა, თუკი მომკლავდენ.

ზურაბ. თავის მოჭრაზედ უარესია, რომ თქუ́ენ-

ნის დიაკონობის და მონაზონების პატივი ორ ოქროზედ გაჰყიდეთ.

იოანე. უჲ ჩემს თავს! არა გსმენია «მიუტევეთ და მოგეტევნენო.»

ზურაბ. თუ ოქროები არ გენახა, მე ვიცი რასაც მიუტევებდი. მაშინ იოანე განრისხდა და აღმოიღო ოქროები და ენებს გარდაყრა, გარნა რა დახედა ველარ გაჰბედა და მსწრაფლ ზურაბმა დაუმახა რასა იქმ, მართლა მალიან: საშოვრით გამოგისტუმრეს და ეგეც დააბნიე, მუხრანში ბევრს იშოვნიო.

იოანე. ვითარ? სტუმართ მოყვარენი არ არიან მუნებულნი თუ?

ზურაბ. მცხეთელების სულს გალოცჳნებენ.

იოანე. მართალ-არს სიტყუა შენი?

და ამ უბნობით მივიდნენ მუხრანს, მრავალს სახლს მივიდნენ, მაგრამ არავინ შეიწყნარა; უკანასკნელ ენება იოანეს წარსვლა მუნიდამ და ამ ჟამში ერმია შეხვდა მუხრანბატონი-შჳლი, იცნო ზურაბ და რქუა: ვინ არის ეგ ბერი?

ზურაბ. ქუაბთის-ხეველი.

ერმიამ მიიწვია თჳსთანა სადილათ პოლსა

მინა. იოანე კურთხევით მოიკითხა და მანცა მადლობა უთხრა და მცირე რომ იუბნეს და მერე მოიღეს სადილი.——პირველად რადგან სამღუდელოდ წესი იყო, ერმიამ იოანეს უთავაზა საჭმელ სასმელი, გარნა იოანემ არა კელ ჰყო, და უყურებდა ერმიას.

ერმიმ. რად არ მიირთმევ დიაკვანო.

იო. პირველად თქუჴნგან არის რიგი, აზიელთ ჩუჴულებით.

ერმია. მიხუდა, და უთხრა, შენ არც ჩემი ბატონი კარ, და არც მე შენი ყმაო, და ეგ აზიელთ მებატონეთ იციან, რომ პირველ თჳსსა, მოჴელეს ანუ მსახურს, აჭმევს, და ასმევს, ეჭჳს გულისათჳს.

იო. თქუჴნვე აღიარეთ.

ერმი. შენ ჩემი ბატონი არ ბძანდები, არც სახლის კაცი.

იო. სიკუდილი თანასწორეა, მებატონისაცა და ყმისათჳსცა.

ერმი. რას იჭუნეულობ.

იო. კავკასიელნი ასე უბნობენ.

ერმი. ეგ ერისთვიანთგან გამოხდა.

იო. მაშა მართებს კაცსა, რომ ასეთი ურიგო საქმე არა ქმნას. რომ თჳსსა ოჯახსა საკიცხჳარი საქმე დაუგდოს.

ერმი. საღმრთო პირი ბმანებს უკეთუ სასიკჳდინე რაჲმე სვათ არარაჲ გვევნოსთო.

იო. დიაჭეშმარიტია, ვინც ქრისტესთჳს მიიღებს, ჭეშმარიტის გულით, და მე რამგამა მენის გულისთჳს შევსო, უწინ.

ერმი. განრისხდა, და რქჳა. შენ ვითარ კადნიერებ. არ იცი პოლკოვნიკი ვარ.

იო. პოლკოვნიკი რასა ნიშნავს?

ერმი. ათასის თავი ანუ მინბაში.

იო. სადაური პოლკოვნიკი ხართ?

ერმი. აქაური.

იო. მუხრანში ერთი პოლკი არ გამოვა.

ერმი. ორი პოლკიც გამოვაო.

იო. პოლკი, რავდენის კაცით უნდა შედგეს, და ან მოხელენი, და სხჳა სამსახურის კაცნი, და ანუ სხჳა სახმარობანი რა უნდა აქჳნდეს.

ერმი. თუკი არ იცით ვერც პოლკოვნიკობასა იქმთ.

ერმი. მაშ თქჳნ განმიმარტეთ.

იო. დიაღ.

ერმი ბმანეთ.

### პოლკისათჳს.

იო. ერთი პოლკი სამი ბატალიონია. ხოლო თითო ბატალიონი, ათას-ათასი კაცია.

ოდესაც ფრუნტში, დადგებიან, (დასტად რომ დადგებიან, მაშინ თითო ბატალიონში შვიდას ორმოც და ათი კაცი დადგება. ხოლო სხჳანი დანაშთნი მუზიკანტნი, (მოსაკრავენი) გელოსანნი. მეჯინიბენი, და მეურმენი არიან.

თითო ბატალიონი ოთხოთხი, როტა არის (გუნდია.)

თითო როლი ზვოდია (მწყობრი), თითო ზვოდი ოთხმოცდა ათი კაცია, რომელიც სამკეც მწკრივად დადგება, ანუ სამ პირად თითო მწკრივი, ოცდა ათათია.

თითო როტას ჰყავს ოთხი აფიცარი, (ანუ ჯარის მოხელე) კაპიტანი. (ასის თავი) პორუჩიკი (ერგარის თავი) პოტპორუჩიკი (ოცდა ხუთის კაცის უფროსი, ანუ შემდეგი პორუჩიკისა) პრაპორშიკი (მცირე ხარისხოვანი.)

თითო ბატალიონს ჰყავს ოროლი შტაბ აფ
ცარი, რომელნიც, ან ჰოლკოვნიკნი იქმნებიან, ან
ჰოტჰოლკოვნიკნი. (ხუთასის თავი) ანუ მაიორნი
(ასერვასის თავნი, და ვიდრე ორას ორმოცდა ათა-
მდის კაცისაც უფროსნი.

ჰოლკის კამანდირი, ანუ იარნალი ერთი, რო-
მელიც იწოდება ჰოლკოვოი კამანდირად. (სარდა-
ლი, ანუ სპასპეტი.)

თითო ბატალიონში, უნდერ აფიცარი ორმოცდა
ცხრა (ათის თავი, ანუ დალბაში.)

თითო როტას, ჰყავს თითო ფეთფებელი, (რო-
მელიც უფროსია მენდრე აფიცრებზედ) (ათის თავთ
ზედამდევი).

თითო ბატალიონს, სამსამი ლეკრი ჰყავთ.
(მკურნალი ანუ ექიმი.)

თითო ბატალიონს, ოცოცი, ცირულნიკი (და-
ლაქი).

თითო ბატალიონს, ათათი მჭედელი, და ნალ-
ბანდი.

ხუთი დურგალი.

ხუთი მეკარეტე, (ანუ მეეტლე).

ხუთი მეთოფე.

(ხუთი, მკერვალი.

ხუთი, ჩილინდარი.

მღუდელი ერთი.

კვარტერ მეისტერი ერთი, ასის თავზედ ნაკუ-ლები, გინა კაპიტანზედ, სასელოფი.

სამი ატუტენტი (ეშკალაბაში.)

კაზნაჩეი ერთი. (ხაზინადარი.)

მწერალი თითო როტას.

ბატალიონის კამანდირს, ოროლი მწერალი.

ღარნანალის სამწერლო სხუა არის.

ინჟინერი, რომელ არს კოლონ ვაკატი, ერთი (მხაზველი.)

თითო როტასა აქუს თითო იაშჩიკი (ყუთი) ტყუა წამლითა და პატრონითა (მასრებით) სამყო-ფად, ანუ საკმაოდ.

თითო სალდათს სამოც, სამოცი სროლა ტყუა წამალი აქუთ ომის დროს. და ისეც, სამსამი ტა-ლი, მეტი და თითო მამალი. და ტყვის ამოსალები

თითო როტას, თითო დიდი ურემი აქუთ პუ-რისათჳს, მსუბუქად ტარების დროს. ეყოლებათ ბარგისთჳს და ისე ას ორმოცდა ათ ცხენამდის, მთლად პოლკს, ზარბაზნები, პოლკს როგორც

დაჰსჭირდება ისე მისცემენ ომის დროს, რიცხჳთ არ არის გადაჭრილი, და თუ არ შეხუდა, ბატა-ლიონეზედ ორზედ ნაკლებს ზარბაზანს თავის გაწ-ყობილობით მაინც არ მიჰსცემენ. მძიმეს ბარგი-სათჳს სხუა მეტი თადარიკი აქუთ.

ეს გაწყობილობა ვგონებ არა გქონდეს. მაგ თქუჱნს ჯარში.

ერმი. ეს მთელს სამუხრანოსაც არ შეუძლიან არა თუ მუხრანს. ასე წვრილად არ ვიცოდი.

იო. უნდა პირუჱლად ისწავლო სამსახური, ყოფაქცევა, და მერე შეხჳდე საქმეში.

ერმი. არცარა ჩუჱნ წინიპართა იცოდნენ რამე.

იო. ამ ქუჱყანას რაც გაეწყობოდა, ისინივე გვჯობდენ ჩუჱნ, საქმითაც და ვაჟკაცობითაც.

ერმი. ვითარ?

იო. მე გეტყჳ. გარდაცვალებული მამა თქუჱნი, სჳმონ ნასახჩიბაში, დია ნამსახური იყო, მათის სიმაღლის მეფის ირაკლისა ოდეს ასპინძას, ბძან-დებოდა ბატონი ჯარით. მაშინ მამაშენი. ბორჩა-ლუს აღალარი და სახელოვანი ვაჟკაცი სუდია, და სხუანი ოც და ათამდან კაცნი, წავიდნენ და-უთალაბად, ასპინძის მტკვარზედ ხიდი ჩაუქციეს

ოსმალოს ჯარს სასიკუდილოს ადგილს მისცეს თავი. და ჩუენი ჯარი იმ განსაცდელისაგან და-იხსნეს. რომ გაღმიდამ დიდი ჯარი ოსმალისა ვერღა გამოუვიდა მტკუარს, და გამოღმა რაც ჯა-რი დაშთა, ეკვეთა მეფე ირაკლი, ჰსმლო, და რა ხილისა მოიმედენთა მიმართეს განსარინებლად სულ წყალსა შინა მოიშუთვნენ, რომელ ვერცა თუ ერთი განერა კელთაგან ჩუენთა მხედრობათა-სა, და ესრეთ სახელი მიიწერა მამა შენმან, შენც ასე უნდა იყო მომჰირნე მამულისა და შენის მებატონისა და მონათესავესათჳს.

ერმი. გმადლობ მაგა მცნებეებისა მოცემისათჳს და იოანე მოიმადრიელა, და გაიყარნენ ამ სახით, იოანე გამოესალმა, და წარვიდა მცხეთისაკენ, რა მიიწივნენ მუნ, იოანემ ჰკითხა ერთსა გლეხთაგანსა. ძმაო ვინ არის აქა უფროსად.

გლეხი. მუნმკლი.

იო. უი ჩემს თავს, მაღლი გყოლიათ მოურა-ვად.

გლეხი. არა ბატონო, გედევანი მჳლი ბეცია.

იო. და რასთჳს გამალანძღჳნე პატიოსანი კაცი.

გლეხი. ჩემი დანაშაული არ არის, ხალხი ასე

ემასის.

იო. ზერათ ხომ არ შემდგარა რომ სახელი გამოუცვლია.

გლეხი. თქუენც ბერი ბმანდებით, და რა დაგარქუეს.

იო. უი ჩემს თავს, აკი გამლანძღა ამ კაცმა.

გლეხი. არა ბატონო სიტყუამ მოიტანა.

ио. ზურაბ აქაური ხალხი განათლებული ყოფილა.

ზურ. რასაკჳრველია მჴული ნაქალაქევია ეს ადგილი.

ио. ჭჳავს რომ ძველად დარჩომიათ აქ ზნეობა, და იოანე წარვიდა გალავანისაკენ, რა კარებთან მივიდა იხილა რაოდენიმე კაცნი, და მათ შორის იცნა ბეცია, გარდახდა იოანე ცხენიდამ, მივიდა ბეციასთან, და რქუა მმჯდრბა შენდა მოურავთ მოურავო.

ბეცია. სულისაცა შენისათანა და წინამძღუართ წინამძღვარო.

იო: მე ჯერეთ რჳოდიაკვანი ვარ, და რათ მკიცხავთ.

ბეცია. მაშ როგორათაც თქუენ არა ხართ

წინამძღვარი არც მე მოურავთ მოურავი ვარ, და შენ რად გამკიცხე.

იო. რადგან ეს მცხეთა პირველი დედა ქალაქი იყო უწინდელსა დროსა შინა, ამ ქალაქის მოურავნი, სხვათა მოურავებთა ზედან უფროსნი იყვნენ და მე იმავე ტიტულით მოგიკითხეთ, და არა კიცხვით.

ბეციამ. გმადლობ, მაგრამ, ახლა ერთი სოფლის ამხანაგიც მლივლა არის ეს ადგილი.

იო. მაგას თავისი პატივი არ მიესდება.

ბეცია. ვითარ?

იო. რადგან ეს წმიდა ეკკლესია სვეტის ცხოველისა წმინდა პეტრეს მოციქულის და პავლეს მოციქულის სახელზედ აღშენებული, აქა დგას, ამას ეს პატივი აქვს რომ, ვერც მეფე საქართველოსა სხვას ეკკლესიაში ეკურთხება, და ვერცა მღვდელთ მთავარნი, რომ ამით უმეტეს პატივცემულია ეკკლესია მველადვე. და აგრეთვე სასაფლაოც მეფეთა, და კათალიკოზთა არს, ამისთჳს სხვა სოფლებს არ შეესწორება.

ბეცია. რად არის ეს ეკკლესია სხვათა ზედან უმეტეს პატივცემული?

იო. ამისთჳს რომელ, პირველად აქ მიიღო მირიან მეფემან ქრისტიანობა წმინდის ნინოსაგან, და ეკკლესიაც აქ აღშენდა უწინარეს სხჳათა ზედა გარდა მანგლისისა, აქედამ მიეფინა ყოველთა მართმადიდებლობა საქართველოს ერთა, და აქ გამობჩნდა კუართი იესო ქრისტესი ისევ თქუჱნის გუართაგან მოტანილი, წმინდა სუეტი აქ აღიმართა, საღმრთო განგებითა, და წმინდა მირონი აქ აღმოსცენდა, და სასწაულნი, და ნიშნი აქ იქმნეს პირველ.

ბეცია. დია კარგად მაცნობე, და მითხარ ეს სუეტი ცხოველი რომლის ხისა იყო.

სუეტის ცხოველისათჳს.

იო. ესე ჰსწორეთ, საღმრთო წერილებშიაც, რომ ჰსწერია სარო, რომელსა კიპაროზს უწოდებენ ის ხე, საღმრთო განგებით აღმოსრული აქა, ნიშნად საღმრთოს კუართისა, ვინაჲდგან ქრისტე ურიათა საროსა ნაძვსა და ფიჭჳსა ზედან ჯუარს აცუეს, ეს ხეც მის საღმრთოს კუართის მოპოვების მიზეზი იყო, და მოქცევისა ჩუჱნისა ნიშანი. რომელიცა, იქმოდა სასწაულებსა, ესრეთ, რომელ-

ოდესაც დაჭრილი ნადირი შეეხებოდა ამა ხესა განიკურნებოდა: აგრეთვე ავად მყოფნი, ანუ ფრინველნი, მტკივნეულნი განიკურნებოდნენ, და ოდეს მოაქცია წმინდა ნინომან აქაურობა და ენებათ ეკკლესიისა აღშენება, ამა ხის ადგილს აღაშენეს ეკკლესია, და ეს ხე რომ მოჰკვეთეს, ვერღა უძლეს აღმართვად, მაშინ წმინდას ნინოს ლოცვით ანგელოზთაგან აღიმართა, და ჰაერსა ზედა იყო აღმართულ რაოდენსამე ხანსა, და მერე თჳთვე დაეყრდნო მირსა ზედან თჳსსა აღმოსცენდა მირონი, მირსა მისგან, და მრავალსა სასწაულსა იქმოდა, ვითარცა ჰსწერია ვრცელსა ცხოვრებასა შინა, და ამისგამო მუნიდგან ეწოდა სვეტიცხოველი, მირიან მეფეც აქ ეკურთხა მეფედ, კათალიკოზნიც სხუა სამღუდელონიც და ამისგამო, მუნიდგან შეიქმნა უპირველესი ეკკლესია.

ბეციას დია იმა ამისი უბნობა და მუნებურს ხალხსაც, ბინა მისცა იოანეს და ვასშმად თჳსთან მიიწჳა.

იოანემ მადლობა ჰკადრა. წარვიდა ბინაზედ, და მერე მოილოცა ეკკლესია, და ვახშმად მივიდა ბეციასთან, რა ვახშმად დასხდენ, ბეციამ ჰკითხა

იოანეს, იმ სვეტიცხოველის სის ნარჩომები რაც შქვესო.

იო. იმ ხიდვან სამი დიდრონი ჯჳარი შექმნეს, ერთი დაჰსდვეს გაღმა ამ ჯაჭვს ეკკლესიის ადგილს, რომელსაც ზედა ყოველთჳს ნათელი ისილვებოდა, და მრავალს სასწაულს იქმოდა, მეორე დასდვეს თოხთის მთაზედ, რომელი აწ უღელ ტეხილად იწოდება, სადაც რომ მირიან მეფეს დღე დაუბნელდა და შიშით აღუთქჳა გაქრისტიანება, და კიდეც მოიქცა. იმის მოსახსენებლად დადვეს იმ მთაზედ. ხოლო მესამე დასდვეს, უჯარმის მთაზედ, და ისიც ამ სახით სასწაულს იქმოდა.

ბეცრა. მაგ ჯჳარებს რომელნი სალხნი ესვიდენ.

იო. ამ ჯაჭვს საყდარზედ რომ ჯჳარი ესვენა და თოხთის მთაზედ მთლად ქართლი, გაღმა მხარი და გამოღმა მხარი, სასომხეთი, და მთები არაგვი და ქსანი და სხჳანი აქ მოვიდოდენ სალოცავად, და სნეულნი აქ განიკურნებოდენ. უჯარმას, ერწო თიანეთითურთ ფშავით, ახმეტით, მარტყოფით და გვერდის მირით, ესე იგი, ვიდრე ჯიმითადმდე, აქ მოვიდოდნენ და ილოცევდენ. ქიზი-

ეიც, მთლად კასეთი შიგნითი და გალმა მხარი, და ჯიმითს აქეთ მოსახლე მუნ ილოცვენდენ, და ასე იყო განწყესებული. ხოლო ქიზიყი მთლად ნინომ მოაქცია და მუნვე გარდიცვალა და მას აქეთაც მუნ დღესასწაულობენ.

იო. იტყჳან რომელნიმე ვითამც, ბოჭორმის ჯუარი ჩოლაყაანთ აქვნდეთ; ასეც იტყჳან, იმ ხისა იყოს და ის რომელიც უჯარმას იყო. მეორე, რომელიც აქ ჯაჭჳს იყო, ამ მცხეთას დარჩა. იტყჳან სამივე სამად რომ განიყო, იმერეთის მეფეს მისცეს წმინდის გიორგის ნაწილით ჯუარი, რომელიც ახლა არგვეთში ჩხარის ეკკლესიაში ასვენია; კვალად იმ ხის ნარჩომიდამ შექმნეს სამნი წვრილი ჯვრები ერთი ახლა თელავს ჯვარ პატიოსანს ასვენია და სხუანიკი არა ჩანს. გორის ჯვარსაც იყო ამ ხიდამ ერთი მომცრო ჯუარი.

ბეცია. მე ასე გარჩევით ვერვისაგანა ვცანი; ვმადლობ იოანე. და ესეც მიბძანე, ამ მცხეთის ბაჟს აღარ მანებებენ, და რა მიზეზია.

იო. რადგან მოურავი ბძანდებით ამ ადგილისა, თქუენგან უფრო რიგი იყო, ამ ჯვარები ჩუენ გვესწავა, მაგრამ რადგან მიბძანეთ მოგახსენებ.

ბეცია. სად უნდა მესწავლა ამ გვარები.

იო. ორთა კათალიკოზთა, მოურავი ბძანდებო-დით და სართ, და ამაზედ უკეთესი მეცნიერნი ჩუჱნსა ქუჱყანასა შინა არავინ იპოებიან და იქ უნდა გესწავათ.

ზურაბ. ბერო, რამოდენიც კაცი კათალიკოზებს ახლდათ, თუ ყოველს მეცნიერება ესწავათ, ვგონებ ნახევარი ქართლი მეცნიერი იქმნებოდა.

იო. ზურაბ. ეგკი არ იქმნებოდა, მაგრამ ეს რადგანც აზნაურიც არის და მოხელეც იმასკი უნდა ესწავლა რამე,

ზურაბ. ათის თხვის აღებაკი უსწავლია, და სხუა მეტი რა უნდა, ახლა ბაჟის საქმე შენ ასწავლეო. მაშინ, იოანემ, აჰა ვეტყჳ ბაჟის საქ-მესაც. ძველად ოდეს ქალაქი იყო ეს მცხეთა, ბაჟიც იჯარებიც, ზვერიც, და სხუა შემოსავლები აქ იყო განწესებული აღებად. და ოდეს გარდი-ტანეს ტფილისს, ახლა იქ არის, ამ ხიდის ბაჟისა ასე მოისმენეთ. მეფე ერეკლემ რა მეფობა მიიღო, დიდი ლეკიანობა და აღრეულობა იყო ქართლსა და კახეთსა შინა ასე რომ დაღისტნიდამ ჯარი რომ წამოვიდოდა, საგურამოს თუ ყარაიაზედ

ამოივლიდა. მტკუარს თუ ვერ გავიდოდნენ, არაგვს გამოვიდოდნენ. ამ მცხეთას თავს გარდივლიდნენ, და ხიდზედ გავიდოდიან. ზოგნი ახალციხეს აღჳ-დოდენ, ზოგნი არმაზის წყალს, და მეკჳხაკენ შე-კრავდენ და ზოგნი მუხათ გვერდსა, და ესრეთ ახდენდნენ მგზავრთა. მეფემან ირაკლიმ ეს ღონე ისმარა რომ, ამ ხიდის გაღმა და გამოღმა, კოშ-კები გაასლებინა, შიგ კარგი ვაჟკაცნი დააყენა, რომელნიც ამ გზებსაც ჰსცჳდენ, მგზავრთაც მშჳ-დობიანათ ატარებდენ და ველარც ამ ხიდზედ ლე-კნი გადიოდნენ, და ამათთჳს, მეფემან, ურემზედ შაური განუწესა, და ფქჳლი ერთი ჩანახი, და ამ ყარაულებს ეძლეოდათ და ოდეს მეფემან სიმხნითა თჳსითა, მრავალს ადგილს ჰსძლო ლეკთა და შიშსა შინა მოიყვანნა, დამშჳდდა ქუეყანა, ეს ხი-დის ბაჟი არ მოიშალა, მაინც რამდენიმე კაცნი განაწესნა, და ქარავანსა და ვაჭარსა ზედან იღე-ბდენ ორ შაურს, და ამ ეკკლესიის გასაახლებლად იღებდენ, და ესრეთ ნელნელა აახლებდენ რომე-ლიც თითქმის ორს თუმნამდინ შემოსავალი დგე-ბოდა. და არა მიხედეთ რომელს მოურავსა აქუს, ამდენი ბაჟის ადგილი, რომ ესე ოდენი ფული

შემოუვიდეს და მე რადგან მკითხეთ ეცადეთ, ისევ ათისთავი გაირიგოთ, და არა სრულიად იდაოთ, რომ ეგ ათის თავიც არ დაგვეკარგოთ. გამგონე ამისი ბეცია შეწუხდა, და თქუა ალილე ბიჭო ვასმამი, და თითონ აღსდგა გავიდა სხუა სახლში; იოანეც მშიერი შინათკემ წამოვიდა.

ზურაბ. ბერო, რა მოანგარიშე იყავ, რაზედ დაგვაგდე უვასმმო.

იო. გამღომისათჳს სიცრუეს ხომ ვერ ვიტყოდი.

ზურ. არ იცი ეს ასეთი ქუეყანაა, თუ არ ჰირ მოთნეობითი მჭადსაც არავინ გაჭმევს, მაშინ იოანე დუმნა და დაწვნენ მშიერნი, იმ ღამეს დაღალულობამ და შიმშილმან ვერ მისცა კარგი ძილი და დილას ადრე აღჴსდგნენ და ცდილობდენ საუზმის რასმე გაკეთებასა, ამ ჟამში, ერთი კავთისხეველი კაცი მოვიდა, იოანე იკითხა აჩუენეს სადგურთ. რა სახლსა შინა შემოვიდა, სახლის პატრონმა იცნა, რომ თავისი სიძე იყო, წინ მიეგება, აკოცა და იოანეს უთხრა: ეს კაცი ჩემი სიძეა; იმ კაცმან წიგნი ამოიღო წინამძღვრისა და იოანეს მიართო, იოანემ მოიკითხა კაცი იგი,

და გახსნა წიგნი, და იწყო კითხვად. რომელსა შინა ეწერა ესრეთ. ყოველი წინამძღუარი ქუაბთა-ხევის მონასტრისა, საყუარელსა შჳლსა ჩემსა იოანეს ქრისტეს მიერ მოგიკითხავ, მესმის შენი ეგე შრომა და სჯულიერი ღვაწუა, რომელიც იქმნები გჳრგჳნებულ ჩუჱნ მიერისა მადლობითა. გთხოვ ამასთანა თავს იდვა ესეცა, მიიღო შრომა. წარვედ კახეთსა და რადგან მუნ არს ჟამი მოწევნილი ჴსთლობისა, მუნცა მოირეწო ღჳნოჲ, ვინაჲდგან უფრო საჭირო არს მონასტრისათჳს ჩუჱნისა, რადგან ახლად ვაშენებთ ვენახებს მანდ ნაშოვარის ღჳნითა წარვმართოთ კეთილად საქმე ჩუჱნი და ამასთან მომიკითხე საყვარელი თანა ძმა შენი ზურაბ, და ხთხოე მაგას რათამცა მიიღოს შრომა შენთანა მონასტრისათჳს, იყავით მშჳდობით. უფალი თქუჱნთანა. (დო). წარმკითხველი წიგნისა ამის იოანე, არა მცირესა მხიარულებასა მიეცა, და სთქუა, ვმადლობ წინამძღვარსა ჩემსა ამა კეთილისა ჴაზრისათჳს და ამასთჳსცა რადგან ვისილავ მშობელსა მამულსა ჩემსა და დასწერაცა ჰასუხი.

სახლის პატრონმან იოანესამან, რა იხილა სიმეი თჳსი, მეისვე დაკლა ქათამი და ამასთანავე

გოჭი, მიუო კელი და უცხო საუზმე განუმზადა, და იოანესაც სთხოვა საუზმედ. იოანე ამაზედ გამხიარულდა და სთქო ზურაბ ძმაო, აჰა ღმერთმან მოგუვლინა კაცი ესე, რომელ განვჰსმდებით მომუმარნი, ისილე მოთმინება ასე კარგია.

ზურაბ. ბერო თუ სიმე არ მოსლოდა ამ სახლის პატრონს მე ვიცი როგორც გამამღარი წასჯდოდი. მაშინ დასსდნენ საუზმედ და ამ სახლის პატრონმან უთხრა თავის შჳლს. შჳლო კარი დაუმცხეთურე. იოანეს დია ეუცხოვა ეს ლექსი და რქჳა სახლის პატრონო რასა ნიშნავს ეგ ლექსი, მითხარი.

სახლის პატრონმან. როცა არავის მიღება გჳნდა, კარებს დაუგდებთ, და ვიტყჳთ დაუმცხეთურეთო.

იო, მაგ მიზეზით სტუმართ მოუვარებაზედ კელი არ უნდა აგელოთ.

სახლის პატრონმან. ჩუჱნ ასლა ასე ვიქცევით.

იო. ნუ მამაო, რაც შეგეძლოთ სტუმართ მოუვარე იევით.

ზურ. იოანე! შენ ხომ კარგა გამოძელ, და რას დასდევ ვინც უნდა მიიღოს, ვინც უნდა არა, და

ესრეთ დაასრულეს საუზმე. იოანე მადლობელი გამოესალმა სასლის პატრონს წიგნი მისცა წინამძღჳრისა მას კაცსა, და თითონ გაემართა მარტუოფისაკენ.

დღე მეათე.

სადილის დროს მიიწივნენ, მარტყოფს იოანემ აცნობა მოურავს თჳსი ვინაობა, მჴსწრაფლ მოურავმან მიუწოდა თჳსთანა, იოანემ მშჳდობა შენდა მხნეო მოურაო, მოურავმან, მე რა მცნეობა მიქმნია.

იო. სხეულსა ზედან გაქჳთ გამოწერილი.

მოურავი. მე ღირსი სახსოვრისა არა მიქნიარა.

იო. უკეთუ თქჳჵნ დაიდუმოთ ქჳანიცა ღაღადებენ.

მორავი. ერთ მამულის შჳლობით მაქებთ, თორე მე ღირსი არავარ.

იო. ჭეშმარიტს ვიტყვი, სწორედ პატიოსანი მუშაკობა მოგეწერებათ.

მოურავი. ვითარ?

იო. ას ოც ომში დასწრებიხართ თჳთქმის, და ას მტერზედ მეტი მოგიკლავთ, და ეგ დაჭ-

რილობაც აბდულაბეგის ომში შეგემთხჳათ, და ქმდგ-
ნამსახურს ქჳჭენის კაცს გვმართებს რომ ვაქებდეთ.

ზაალ ზურაბის შჳლს მოურავს, არ უყვარდა
თავისი ქება, და უთხრა წავიდეთ რუსთველთან სა-
დილად იქა ვარ. მაშინ ზურაბამ უთხრა: ბატონო
მოურაო! ამ ბერის ლაქლაქს მართლა სადილი
ჴსჯობია, და ამა სიტყჳსა ზედან გაეცინათ, და
მივიდნენ რუსთველთან.

იო. რა რუსთველი იხილა, წინ წარდგა
და მეტანია უყო და რქჳა გვაკურთხენ ყოვლად
სამღვდელოო, მან კელი უბოძა და მოიკითხა,
და უკანასკნელ დასხდენ, მაშინ რუსთველმან, ვინა
ბძანდებით თქჳჭნ?

იო. ყოვლად სამღჳდელოო ვერლა მიცნობთ
კელა შჳლს იოანეს, დიაკვანს ქვაბთა კევის მო-
ნასტერსა შინა მცხოვრებსა?

რუსთ. ახ, ვერლა გიცან; ცალის თვალით ვერ-
ღარას ვხედავ თჳთქმის.

იო. რაჲ მოგეცათ მიზეზი?

რუსთ. სამსახურსა ზედა წარსრულსა ცხენმან
მიბრყჲა.

იო. სამეფოსა სამსახურსა ზედან, ანუ კათო-

ლიკოზისასა, ანუ თქუჱნისა სამწყსოსა ან ეკკლესიის გულისათჳს.

რუსთ. არა ასტალელისათჳს.

მაშინ. ზურაბამ. მაგ მსახურებისათჳს, მადანჩიბაში ბევრს ვერცხლს მოგართმევსთ.

რუსთ. ღმერთმანი ვერცხლი ვერ გამოაქჳსთ.

ზურაბ. გამოდნობა კარგათ იცი.

რუსთ. ოღონდაც.

იო. ეგეც მამულის მსახურებისათჳს შეგმთხვევიათ, მიიღეთ რამე ჯილდო.

რუსთ. ვგონებ ჩემი ეჰარსიაც გამომართონ.

იო. ზოგიერთის ამა სოფელში ყველა გჯეროდეთ. და ამასობაში მოიღეს სადილი, და ესე გვარსა უზნობითა, განატარეს და ოდეს დაასრულეს სადილი იოანე გამოეთხოვა, ხაშმისაკენ და კმაყოფილი გაისტუმრეს.

წარსულნი მუნით მივიდნენ ხაშმზედ, იოანემ ზურაბ! იასელ მათ მაღალ ღირსებას წინამძღუარს და ჩემ მაგიერ თაყვანება მოახსენე და სადგური ჰსთხოვე. ზურაბ რა მივალს წინამძღვართან, მყისვე იცნობს წინამძღვარი და ეტყჳს ქრისტეს ვენახისა ნასხლევო, საიდამ მოხვალ.

ზურაბ. მე ნასხლევი ვარ ასეთი რომ ვაზად შევიქმენ და ნაყოფიც კეთილი გამოვიღე.

წინამძღუჴარმან ვითარ?

ზურაბ. აწ მართმადიდებელი ვარ მეც.

წინამ. აღსდგა პირს აკოცა, დალოცა, და უთხრა აწ ხარ საკუთარი შჳლი ჩემი, რა გნებავს.

ზურაბ. იოანე კელაშჳლმან გაასხლოთ ამაზედ თავი ჩემი, რომელ კახეთს მიდის წინამძღვრის საქმეზედ და ამალამისათჳს სადგური გთხოვათ.

წინა. ლოცვა მაკლია. შევისრულებ მომიცადე და მოგცემ სახლსა.

ზურაბ. მე დალოცჳლო ეხლა რომ ლოცვას მოუვევთ ოცდა ოთხი საათი კარში დავრჩებით. მე თქუჱნი ანბავი კარგა ვიცი ჯერ სახლი გვიბოძე და ვასშამი და მერე გინდ გაოენებამდინ ილოცე.

წინამძღუჴარს. გაეცინა და უთხრა, რადგან მართმადიდებელი შეიქმენ მუცელ ღმერთობაზედ კელი უნდა აიღო.

ზურაბ. შე დალოცჳლო სულ მუცლის კასამღობად დავდივართ, ქართლი მოვირბინეთ, და ახლა კახეთში მივალთ.

წინამძღუჴარს გაეცინა, უბოძა სახლი და უბძა-

მა იოანეც და შენც ჩუმთან მოდით ვახშმად. და ერთად შევექცეთ ზურაბ მადლობელი წარვიდა, იოანე დაბინავდა და ვახშმის დროს მოვიდნენ წინამძღუართან. წინამძღვარს ეანბორა იოანე, მან მშჯდობით მოიკითხა, და ამისი ვინაობა იკითხა ამან ყოველივე ცხად უყო, და უკანასკნელ მოიღეს ვახშამი, რა მცირეს შეექცნენ. წინამძღუარმან გამოსცადა იოანე საღმრთო წერილებში და მონოზონთ ყოფაქცევისა საქმენიცა გამოჰკითხა, ყოველივე კარგად მიუგო, და მერე რქუა.

ანგელოსთათჳს.

წინამძღუარმან. ვინადგან პირველ ყოველთასა ღმერთსა მიერ შეიქმნნეს ანგელოსნი ჩუჱნ მიერ ვითარ გულის ხმა იყოფების მათთჳს,

იო. ანგელოსნი არიან არა რაჲსაგან ყოფისა არსად შექმნილნი ღუთისა მიერ, რომელნიმე გუარნი უსხეულესნი სულითა, მარტივნი, და სავსე არსებანი, ვითარცა იტყვის წინასწარმეტყველი, რომელმან შექმენ ანგელოსნი შენნი სულად, და მსახურნი მისნი ალად ცეცხლისა, ღმერთმან შექმნა საკუთრად მონებისა მსახურებისა და ქებისათჳს

თჳსისა რომელნიცა თანამდებ არიან აღსრულებად ყოველსა ქუეყანასა ზედა ბმანებისა ღუთისა, და კუალად რათა უარ ყოფდენ სოფლისათჳს და მკვიდრთა მას შინა, და მსახურებდენ კაცთა და წინა უმღოლიან მათ სასუფევლისა მიმართ ღუთისა, და კუალად მიცემულ არიან დაცვად ქალაქთა სამეფოთა, დაბათა სამზრუნველოთა, ეკკლესიათა და კაცთა მონოზონთა, ერისაგანთა, რომელთა მიერ რწმუნებიესთ ზრუნვა სარგებლობისა, ჩუენისა, გამოხსნა ცოდვათაგან და შეწევნა განსაცდელთა შინა ვითარცა დასწერს საღმრთო მოციქული. ხოლო ანგელოსმან უფლისამან ღამე განუხუნა კარნი საპყრობილისანი და გამოიყვანნა იგინი და რქუა მივედით და დადეგით და ეტყოდეთ ტაძართა შინა ერსა მას ყოველთა მათ «სიტყუათა ამის ცხოვრებისათა. (სამოციქ. **5**, **19** და **10**,) და კუალად «ჰრქუა პეტრეს ანგელოსმა მოირტყ და შეიხსენ «სანდალნი და შეიმოსე სამოსელი შენი და შე«მომიდეგ მე, და პეტრე მოეგო გონებასა თჳსსა «და თქუა აწ უწყი ჭეშმარიტად რამეთუ მოავლინა «ღმერთმან ანგელოსი თჳსი და განმარინა მე ჴელთაგან ჰეროდესითა და ყოვლისაგან მოლოდებისა

«ერისა მის ურიათასა (საქმე 12, 8 და 11) და კჳალად მფარველ არიან ყრმათათჳს მცირეთა, ვითარცა ბძანებს «თჳთ უფალი ჩუენი და მაცხოვარი, რამეთუ ანგელოზნი მათნი მარადის ხედვენ პირსა მამისა ჩემისასა, რომელ არს ცათა შინა» (მათე. 18, 10) მარადის მეოხ არიან წინაშე ღუთისა და შესწირვენ მისსა ლოცვათა მოწყალებისათა ჩუენთათჳს და ყოველთა ზედა საქმეთა კეთილთა.

წინამძ. მაშ ღმერთი არა ხედავს მოწყალებათა ჩუენთა, ანუ კეთილთა საქმეთა ჩუენთა, ანუ ლოცვათა ჩუენთა?

იო. გარნა ხოლო თუ ღმერთი არა ხედავს მოწყალებათა ჩუენთა, ანუ არა გრძნობს კეთილთა ლოცვათა ჩუენთა, მან ყოველივე იცის და უწყის, რომელი განიხილავს გულსა და თირკმელსა, არამედ იგინი შეამდგომელობენ ჩუენთჳს, და ძველთა მათ შინა ჰსჯულთა ვიდრე მოსეს მიერ მოცემოდა ჰსჯული იგი ღუთისა, ანგელოზისა მიერ ისწავეს ჰსჯული და ნება ღუთისა პირველთა მათ მამათა ჩუენთა და ასწავებდეს გზათა ცხოვრებისათა, ვითარცა ჰსწამებს საღმრთო დი-

ონოსიოს, «და ოდეს მოეცა ჰსჯული ასწავებდეს და წინა უძღოდიან კეთილისა მიმართ» ხოლო ამასვე ცხად ჰყოფს საღმრთო წერილი, ვითარმედ ჩუჱნებათა მიერ ანგელოზისათა წინასწარ ჰყოფდეს, წინასწარ მეტყველებდეს, ვითარცა ესწავა იოსებს ანგელოზისა მიერ კრძალვად «ჰეროდესაგან, რომელსა იტყჳს მახარებელი «აჰა ანგელოზი უფლისა გამოუჩნდა ჩუჱნებით იოსებს და რქუა: აღდეგ და წარიყვანე ყრმა ეგე და დედა მაგისი და ივლტოდე ეგჳპტედ და იყავ მუნ ვიდრემდის გრქუა შენ, რამეთუ ეგულვების ჰეროდეს მოძიებად ყრმისა მაგისა და წარწყმენდად ეგე. (მათე **2. 13.**

წინამძღუარი. ანგელოზნი გვფარვენ შიშისაგან და ანუ თუ ისილა ვინმე ვითარ არ შემრწუნდებიან.

იო. ვითარცა ჰსწერსსაღმრთო მახარებელი ზაქარიასას «მჰსგავსად ჩუჱულებისა მღუდელობისა ჰხუდა მას საკმეველისა კმევა და შევიდა ტაძარსა უფლისასა, და ეჩუჱნა ანგელოსი უფლისა მდგომარე მარჯუჱნით საკურთხეველისა, და შემრწუნდა ზაქარია ისილა რა იგი და შიში დაეცა, ჰრქუა მას ანგელოსმან მან «ნუ გეშინია, ზაქარია, რამეთუ

შეესმეს მენნი, ვედრებანი და სხჳანი, (ლუკა. **1**, **9** მუხლი. **11**, **12**, **15**,) ხოლო აქჳთ კაცთა შიში და მორიდება ანგელოსთა; რადგან მსახურნი არი-ან ღჳთისა და მისთჳს შემრწუნდებიან.

წინამ. ღჳთის მშობელი რაღად შემრწუნდა ანგელოზისამიერ, კარებაზედ?

იო. ამისთჳს, ვინაჲდგან პირველი დედა ევა შეჰსცდა ეშმაკისაგან, და გამოვარდა სამოთხიდამ, ამისმან მიმსედმან მარიამ ნუ თუ ესე მოკითხვა მისვე იყოსო და ამისთჳს შემრწუნდა, და მერე ანგელოსმან კადნიერ ჰყო და ასწავა, სული წმი-ნდა მოვიდეს შენზედა და ძალი მაღლისა გფარ-ვიდეს შენ, და ჰრქჳა: მარიამ ვარ მხევალი უფ-ლისა, მეყავნ მე სიტყჳსაებრ შენისა. (მასჳვ თავში ისილე მუხლში **56** და **23**. და აგრეთვე სხჳა-თაცა საღმრთოთა საქმეთა ცხად ჰყოფენ, ვითარცა გამოეცხადნეს მწყემსთა, ოდეს იშჳა უფალი ჩჳენ-ნი იესო ქრისტე ბეთლემს ქჳაბსა შინა და სხჳანი (ლუკას. **1**, **10**, **11**.) ხოლო ჭირთაგან ხსნა ოდესცა, მხურვალის გულით შევევედრებით ანგელოზთა, მაშინ იოტებენ მტერთა მათ სულთა ჩჳენთასა, ოდეს გულის ხმის ყოფით ვხადოთ

მათ, რამეთუ ღჳთისა მიერ მოცემულ არიან მფარველად და მცველად ჩჳენდა, ვითარცა იტყვის მეფსალმუნე, რომელნი სადოდეს უფალსა «რამეთუ ანგელოზთა მისთა და უბძანებიეს შენთჳს დაცჳად შენდა ყოველთა შინა გზათა შენთა ჴელთა მათთა ზედა, აღგიპყრან შენ ნუსადა წარჰკსცე ქჳასა ფერხი შენი. (ფსალმ. **90**, **11**.)

წინამ. რავდენ გვარად განიყოფებიან ანგეგელოსნი?

იო. დიონოსიოს იტყჳს, არიან განყოფანი მათნი ცხრად დასად, და ცხრა ესე დასნი სამად ნაწილად, პირველნი იგი მდგომარე არიან უმახლობელეს წინაშე ღჳთისა, რომელ ესე არიან, საყდარნი, სერაბინნი და ქერაბინნი. მეორედ უფლებანი, ძალნი და კელმწიფებანი: ხოლო მესამედ მთავრობანი, მთავარ ანგელოსნი და ანგელოსნი, ესრეთ მდგომარე არიან, რამეთუ უმაღლესთაგან მიიღებენ ბრწყინვალებასა და მადლსა საღმრთოსა, უქჳემოეს მდგომარენი იგი ანგელოსნი; ესე ანგელოსნი დაემტკიცნეს მადლითა ღჳთისათა საუკუნოდ, ამისთჳს მიიღეს მადლი ესე, რამეთუ ვერ შემძლებელ არიან შეცოდებად არათუ ბუნებისაგან

თჳსისა, არამედ მადლისაგან საღმრთოსა.

წინა. მთავარ ანგელოსობა რასა ნიშნავს?

იო. უფროსობას ანგელოსთა ზედა, გინა პირველობას, გინა მთავრობას.

წინამ. ვის მიეწერება ესე?

იო. მისაილს და გაბრიელს, საღმრთოთა წერილთა შინა ძველისა და ახლისა ჴსჯულისათა.

წინამ. კჳალად არიან ვინმე სახულსა ქვემე დაწესებულნი ანგელოსნი.

იო. არიან: რაფაელ, იოელ და ურიელ, შემდეგნი ამათნი გამოცხადებულსივე საღმრთოსა წერილსა შინა.

წინამ. მისაილს რა მნიშვნელობა აქჳს, და ანუ ვითარსა მსახურებასა შინა არს?

იო. მიქაილ ნიშნავს მალთა ერის მთავარსა, ანუ ღმერთი მლიერებისა, ესე ლექსი წარმოებს, ებრაულისაგან მისაილ, აგრეთვე ბერძნულადცა, ხოლო ესე უფროსე ბრძოლისა ანგელოსი არს, ვითარცა ჴსწერია ბიბლიასა შინა, ვითარცა ისრაილთ შეეწია და წინა უძღოდა ხონას, და სასწაული მისი გამოჩნდა, და სსჭანი. (4. მეფე. 19, 35.)

წინა. გაბრიელ რაღას ნიშნავს?

იო· გაბრიელ კაცი ღჳთისა, ანუ სახე ღჳთისა. ეს არს მშჳდობისა მახარებელი, და კეთილთა მაუწყებელი ღჳთისა მიერ, ვითარცა მოივლინა ზაქარია წინასწარმეტყველისა, და ღჳთის მშობლისა მიმართ. (იხილე ლუკას. **1**, **9**, **11**. კჳალად მუხლში. **56**, **38**.)

წინამ. რაფაელ, იოელ და ურიელ რას ნიშნენ?

იო. რაფაელ,--კურნება ღჳთისა, ესე არს ნუგეშინის ცემის ანგელოსი (*) იოელ, ნების მოქმედი, გინა საყვარელი ღჳთისა, გინა წინამძღჳარი, ესე არს კაცთა შემწე მილთა შინა, და მფარველი. ურიელ, ცხოველი საღმრთო, ესე არს კაცთა, ცოდვისა დამაბრკოლებელი და განსაცდელთა შინა შემწე.

წინამ· ვითარჯერ-არს ჩჳენდა გულის-ხმის-ყოფად ბოროტთა მათთჳს ანგელოსთა?

---

(*) ვითარცა ტობიას მიმართ მოივლინა, და მან მიჰსცა მცნება და ჰსცა ნუგეში. (წიგნი ტობია **6**, **16**. და შემდეგნი ამისი იხილე.)

### ბოროტთა ანგელოსთათჳს.

იჲ. ბოროტნი იგი ანგელოსნი ღ̃თისაგან კეთილად შეიქმნეს, რამეთუ ღმერთმან კეთილად ჰქმნა იგინი, არამედ იგინი ნებით თჳსით იქმნეს ბოროტ, ვითარცა სწამებს უფალი ჩუ̃ნი მთავართა მათთჳს, რამეთუ იგი კაცის მკვლელი იყო დასაბამიდგან და ჭეშმარიტებასა არა დაადგრა, და ჭეშმარიტება არა არს მასთანა, ოდეს იტყჳან ტყუილსა, თჳსისაგან გულსა იტყჳან, რამეთუ მტყუარ არს და მამა სიცრუისა. (იოანე სახარება **3**, **4**.) ესენი არიან დასაბამნი ყოვლისა ბოროტისა, და მგმობარნი საღმრთოსა დიდებისანი, და ორღანონი საცთურთანი, ესენი აცთუნებენ კაცთა და მოაკვდინებენ სულთა, ვითარცა გვასწავებს წერილი, განიფრთხვეთ მღჳძარე იყვენით, რამეთუ წინა მოსაჯული თქუ̃ნი ეშმაკი, ვითარცა ლომი მყჳრალი მიმოვალს და ეძიებს ვინმცა შენთქუ̃ა იგი, (ა. პეტრე **5**, **8**.) არამედ ჯერ არს ცნობად, რამეთუ ვერ მალუძს ეშმაკთა მსილებად კაცთა ძალითა თჳსითა, გინა სხვისა რომლისამე დაბადებულისა შეხებად თჳნიერ მიშვებითა ღ̃თისათა, რომლისათჳს ჰსწამებს წერილი.

ხოლო ეშმაკნი ევედრებოდეს მას და ეტყოდეს, უკეთუ განგვასხამ ჩუენ, მიბმანე მისვლად კოლ-ტსა მას ღორთასა, და რქუა: მივედით. (9, 11.) ესეცა სათანადო არს ცნობად ყოველთა მიერ, რამეთუ ვერ მალუმთ მოყვანებად კაცთა მალითა ცოდვისა მიმართ, არამედ აქუსთ, მალი განსაც-დელისა მიღებად კაცთა ზედა, რამეთუ თჳთ კელმწიფად დაებადა კაცი, ვინაჲდგან რომელნი მიეცემიან სასჯელსა საუკუნოდ აღარა მიითვალ-ვენ ნიჭსა სალმრთო მადლისასა, ვითარცა იტ-ყჳს წერილი, წარვედით ჩემგან წყეულნო ცეცხლსა მას საუკუნოსა, რომელი გამზადებულ არს ეშმაკ-თათჳს და ანგელოზთა მისთათჳს. (მათე. 25, 41)

წინამ. ეშმაკი ვითარ იგულისხმების?

იო. ეშმაკი ბერმულად ნიშნავს შემასმენელს, ხოლო საზოგადოდ სახელი ბოროტსა სულსა და სხუჵბრ მოღებულ არს მთავრად ეშმაკთა, მა-თე. (4, 1.) (მათეს. 45 41) კვალად საწუთოდ, გინა ჟამიერად, გინა ჭმუნვად, «აგრეთვე ავი კა-ცი დაიდებს, მსგავსად, დასასჯელსა, ნუ ასალ ნერგთათა არა განლაღნეს, დასასჯელსა შევარდეს ეშმაკისასა.»

რომელმან ჰქმნეს ცოდვაჲ, იგი ეშმაკისაგან არს, ამის მიერ ცხად არიან შჳლნი ღუთისანი და შჳლნი ეშმაკისანი. (ტიმოთ. 3, 6. იოანეს ეპის. 3, 8, 7, 9.) კვალად ისილე ზემორე, მათეს თავში. 15, 41.

წინამძღვარი. ეშმაკთ მთავარნი რაოდენნი არიან და ანუ ვითარ იცნობებიან ჩუჱნგან?

იო. სამნი არიან მთავარნი ეშმაკთანი, სატანა, სამიელი და ველიარ, ანუ ბელიერ.

წინა· რა მნიშვნელობა აქუს მაგათ?

იო. სატანა არს ლექსი სირიული, რომელიცა საკუთრად ითარგმნების წინააღმდეგად. ესრეთ წერილთაცა შინა იწოდების მთავრად ბოროტთა ანგელოსთა. კვალად საზოგადოდ ნიშნავს წინააღმდეგსა ნებისა ღუთისასა ბოროტებისაგამო, ესრეთ, ვითარცა იუდა გამცემელი. და შემდგომად მიღებისა იუდასა პურისა მის, შევიდა მისსა ეშმაკი, (იოანე 13, 17.) და ანუ რომლისამე სიმარტივისაგამო და მიუმხუდარობისა ვითარცა პეტრე მოციქული, ხოლო თავადი მიექცა პეტრეს და ჰრქუა: წარვედ ჩემგან სატანა. (მათე. 16, 23). აგრეთვე ვითარცა ჰსწერს მოციქული, მიცემად

ეგე ვითარი იგი ეშმაკსა, (კორინ. 5, 6). ესე იგი: მოკლებად ზიარებისა ეკკლესიისაგან და განგდებად კრებათაგან მართალთა.

სამიელი, უკეთურად, ანუ უფროს უგრძნეულეს დევისა იგულისხმების, ვითარცა ხმარობენ სიტყუასა შინა ევედრებისასა, რომელ დევი შესრულ არს შენ შორის. ესე იგი სამიელ კვალად ვითარცა იტყვის ისაია; ვხედავ ადგილსა ამას დევთა სამკჳდრებელად, ესე იგი სამიელისა და შემდგომთა მისთა.

ბელიარ, ანუ ველურ არს ბერძული, რომელიც ნიშნავს არა რაჲსადმი სასმარსა კაცსა; სოლო ებრაულად უვარგსა, რომელსცა არავისდამი სარგებელ ეყოფვის, არამედ წინა აღმდეგ მისა, სოლო სხჳანი რომელნიმე აწარმოებენ ლექსსა ბელიერისასა ებრაულად, რომელიცა ნიშნავს, ნიშნოვანსა უღელსა, ესრეთ, რომელ რათამცა გამოხატულ ჰყოფს კაცი არა დასჯილი, რომელიცა ნიშნავს ბერძულად სახელი ესე ველიერიასა საკუთრად ეშმაკსა, ვითარცა ჰსწერს მოციქული: ანუ რა შეტყვება არს ქრისტესი ბელიერისთანა. (კორ. 6, 15)

წინამ. ეშმაკნი რასთჳს გარდმოსცვივდენ ზეცით,

და შემდგომ გარდმოსცვივნისა სადა მკჳდრობენ?

იო. ამპარტავნებისა და შურისა გამო, ვინადგან ეშმაკნი იყვნენ მეოთხე მეწესენი, რომ ვითარცა ზემორე ანგელოსთათჳს სთქვი და ესენი იყვნენ ქვემორე მდგომარე ყოველთა, მაშინ მთავარმან ამათმან სატანამ განიზრახა სხუათა თანა და ჰსთქუა, ვითარცა ჰსწერს წინასწარმეტყველი «აღჳდე ღრუბელთაზედა და დავსდგა საყდარი ჩემი ვარსკვლავთაზედა და ვიქმნე მჰსგავს მაღლისა.» და ამა განზრახჳთ განარისხეს ღმერთი და მყისვე განსქდნენ და გარდმოსცჳვდენ. (ესაიჲ **12**, **15** და **14**.) და კვალად ვითარცა ჰსწერს მოციქული «ანგელოსნი, რომელთა იგი არა დაიმარხეს თჳსი იგი სამთავროჲ, არამედ დაუტევეს სამკჳდრებელი მათი, სასჯელად დიდისა მის დღისა, საკვირველებითა მით სამარადისოჲთა, წყვდიადსა ქუეშე დაჰმარხნა. (იუდა . **1**, **6**). სხოლო სხუანი საღმრთო წერილნი ამტკიცებენ, რომელ სამ წილად დაშთნენ გარდმოცვივნულნი იგი ეშმაკნი. ჰაერსა ზედა, ქუეყანასა და ქუესკნელსა ქუეშე,

წინამძღვარი. მიხარის შენთჳს, იოანე, კარგა მიგიღია ჰსწავლა, და უბძანა მეძარნეს: მოართვი იოანეს ჭაშნიკი პირჯუ̂არის ქვევრიდამ, ღირსია დალიოს იმ ღჳნიდგან. რა მოართვეს იოანეს, მეის აღდგა და შესო სადღეგრძელო წინამძღვრისა; დიდად მოეწონა და ჰრქუ̂ა: სამართლად გიწოდე-ბიათ სახელი ესე.

წინამ. გამოსცან თუ რაჲსათჳს უწოდეთ სახე-ლი ესე?

იო. ვგონებ სათნოდ მეფეთა, და დიდებულ-თათჳს.

წინამ. ვითარ?

იო. ვინაჲდგან მეფენი ჩუ̂ენნი და დიდებულნი მათნი დიდად მორწმუნენი არიან, და გიცნობენ ღორს კაცად; თქუ̂ენგან მირთმეულს ამ ქვევრის საჴელით ღჳნოს უფროს სიამოვნით მიიღებენ, ვიდრე სხუ̂ათა ღჳნოთა.

წინამ. არა შორს ხარ.

იო. ამ გვარი ყოფა ქცევა უფრო მძიმე ხრ არს მონაზონთათჳს.

წინამ. სხუ̂ანიც ბევრს რასმე მწამობენ, მაგრამ თუ ასე არა ვქმენ, მონასტერი ნაკლულევანებაში

მოვა. და ამ საქმით ეს სოფელი აღვუშენე, წის-ქვლი, ზვარი და სხჳა მამულები ბევრი შევმატე ჩემს მონასტერს.

იო. კადნიერება ნუ იქნება, ოჯახების წახდე-ნით და ქალაქ მოსვეჭით უკანონოდ· რა სარგე-ბელ არს.

წინამ. მე უწინ არ მინდოდა მსოფლიურს საქ-მეში გარევა, და რადგან გავერიე, და არ მომეშ-ვნენ, მცირე რამ მსოფლიურიც უნდა ვისმარო, თორემ მე ერთი გლეხის შვლი ვარ, რა პატივი მექნება თუ ამ სახით არ ვიყო.

იო. უი ჩემ თავს! ეგე მონაზონთ არა შჳე-ნის, თჳთ თავისი ღირსება არ დაუკარგავს პატი-ვსა, ვისიც შვლი უნდა იყოს.

ზურაბ. უფალო წინამძღჳარო, მეც მაჩჳენეთ პირჯჳარის ქჳევრის ღჳნო. მისცეს ჯამი სამსე, რა შესვა ზურაბმან, აღდგა და მეტანია უყო წინამძღჳარს, და ჰსთქჳა: ეს არათუ პირჯჳარის სახელის ღირსია, არამედ მეტანიის წოდების ღი-რსიც ყოფილაო. რას ანბობს ეს ბერი, რატომ თავის წინამძღვარს არ აძლევს მცნებას. თჳთო კიდე გჳბოძე ამ ღჳნისა, და შენდობას მოგცემთ.

თქუჱნ როგორც გეწიროთ ისე ჰსწირეთ.

წინამძღვარმან გაიცინა და ამა სიტყჳთ დაასრულეს ვახშამი. იოანე აღსდგა, მადლობა მოახსენა, და სვალისათჳს თელავს წასასვლელად გამოეთხოვა. წინამძღუარმან აღუთქუა ჩუქება ღჳნისა და იოანე მადლობელი წარვიდა სადგურსა თჳსსა. იმ ღამეს მუნ განისვენა და ხუალისა დღეს ადრე აღსდგნენ, საგზალი მოიმზადეს, და თელავისაკენ განემგზავრნენ, სადილი გომბორის მთაზედ მიიღეს, და ვახშმისათჳს თელავს დაამტკიცეს მისვლა.

### დღე მეათერთმეტე.

წარსული მუნით მივიდნენ თელავს, იოანეს ჰყვანდა მუნ მცნობი მოსახლე, მასთან მივიდა, მშჳდობით მოიკითხა, მათ მაშინვე მიიღეს იოანე, მცირე ხანს განისვენა მუნ, იოანემ საგზოტანისამოსი გამოიცვალა, ზურაბს უთხრა, მე წავალ რეკტორს დავითთან და შენ აქ მომიცადე. და ესრეთ წავიდა იოანე. რა მივალს სკოლად, სკოლისა კარსა ზედა მდგომარეს იხილავს ერთსა მოწაფეთა მისთაგანსა, და ეტყჳს იოანე: ძმაო! რეკტორი შინ ბძანდება და ანუ რასა იქმს? ინა-

ხება? მან მოუგო: შევედ და იხილავ. იოანემ მსწრაფლ კარი გაალო, და შევიდა სახლსა მას შინა, სადაცა რექტორი მეოფობდა, იხილა ზურგით კერძო მჯდომარე, მამით და ამასთან კატა ერთი თაბალა შეერილი ფეხებში, და უწყალოდ ცემული, რომელიცა საწყლად ჩხაოდა, და ესმოდა ხმა ამასთან «კვალად იქმ ქურდობას?» გარნა რექტორმან ვერა ჰსცნო იოანეს მუნ მისვლა. რა იოანემ კატა ეს გჭარსა მდგომარეობასა შინა იხილა, ჰსთქუა: გმადლობ შენ უფალო, ჩუჩნი ფეხები მოწაფეობის დროს ამ ეოფაში იეკნენ, და ახლა ეს საბრალო კატა დამოწაფებია, და ნეტარ გამოვსცნა თუ რაჲსა სასწაულისათჳს ასე უწყალოდ ჰსტანჯავს. და მაშინ შემბრალე იოანე წინ წარდგა, და რქუა: მომღუარო! რა შეცოდება აქუს მაგ საბრალოს, მაპატივეთ! რა რექტორი იხილავს იოანეს, დაუტევებს ცემას და ეტყჳს: ბიჭო დიაკვანო, საიდამ მოხვალ, და ანუ ამა კართა ხშულში ვით შემოხველ? თუ ხმა არ გაგეცა, სული რაჲმე მეგონებოდი.

იო. ბოროტი თუ კეთილი?

რექტორი ეგ შენს ეოფაქცევაზედ არის დამო-

კიდებული.

იო. მე თქუენი აღზრდილი ვარ.

რექტორი. კარგი, მერე ვიუბნათ ამ გვარებისთჳს. მითხარ, საიდამ მოსვალ?

იოანე. წინამძღუარმან გამომგზავნა, სთლობისდროს ღჳნოს სათხოვნელად, ქუაბთახევის მონასტრისათჳს, და აქ გიახელ, თქუენის პატივის საცემლად და დარიგებაც უნდა მომცეთ თუ ვითარ მოვიქცე.

რექტორი. კარგი, დაჯექ ბიჭო.

იოანე დაჯდა რა, მცირე იმუსაიფეს იოანემ რქუა: კადნიერება ნუ იქნება უფალო მოძღუარო, კატას რათა ჰსცემდით და ანუ რას ასწავლიდით?

რექტორი. თევზი მოიპარა და შეჭამა, და ამისთჳს ვცემდი, ქურდობა მოვაშლევინო.

იო. მშიერს რატომ ინახამ, მაგის მიზეზით შესჭამდა იმ თევზს.

რექტორი, ამისი ვალია თაგვი უნდა ინადიროს და იმით დარჩეს.

იო. კატის თჳსება არის, რაგინდ მაძღარიც იყოს ერთი ანტიპატია აქუს თაგვზედ, რომ

მაინც ინადირებს და შეუტევს.

რეკტორი. იცი ბიჭო ანტიპატია თუ რა არს?

იო. ვიცი.

რეკტორი. ჰსთქვი!

ანტიპატიისათჳს.

იო. ანტიპატია, არს ბერძული ლექსი, რომელიცა ნიშნავს სიძულვილსა ერთის ნივთისას მეორისადმი წინააღმდეგ; და ითქმის გონებით, რა გვარიცა ბუნებითად, ეგრეთვე, ზნეობითად. პირველად იგი არს ესე გვარი თჳსება სხეულისა, რომლისაცა იგი ბუნებისამებრ სხჳათა წინააღმდეგ და მომულე არს ესრეთ, რომელ ერთი მეორესა ვერაოდეს მოუთმენს, ვითარცა სხჳა და სხჳა გვარი გამოცდილებაცა გვაჩჳენებს: მაგალითისამებრ, მგელსა არ ძალუძს დათმენად, უკეთუ იხილოს სადმე განმარტოებით ცხოვარი, რომელმანც არა მიმართოს განსარყვნელად. ეს სახედვე ძაღლსა კურდღელისადმი, კატას თაგვისადმა. ეს სახედვე მოიღების კაცზედაც. რომელ ჰსძულდეს რამე ნივთი ანუ საჭმელი, ანუ სხჳა რაჲმე ცხოველი ესრეთ ბუნებით, რომელ არ შეეძლოს მისა

მიახლოება, ეგ სახედვე ოდესცა აუვავდების ასკილი; და აქუს ვისმე შენახული ვარდის წყალი, მაშინ სუნსა დაჰკარგავს იმ აუვაების დროს, ეგრეთვე ღჳნო ქუწვრსა შინა, და ლუდის წყალი ქერის აუვავების დროს აიმღვრევის. ხოლო ზნეობითი ანტიპატია არს გონებით წინააღმდეგ ბუნებისა ჩუჳულებითა ესრეთ, რომელ ოდესცა ვინმე ერთსა უკუჳ ნივთსა მოიწონებს, შესაძლებელია მეორემ დაუწუნოს. ეს სახედვე, ერთმან ვინმე კეთილად ჰსცეს მცნება მეორესა, ხოლო მან არ შეიწყნაროს, ერთს უნდა მშჳდობა, ხოლო მეორეს შფოთი და ამისგამო ერთსა მეორის დათმენა არ შეეძლოს, და ესრეთ უშორეს. რეკტორმან მოუწონა. კუალად იოანემ ჰკითხა, მამა რასათჳს გაცჳათ ვინ გარდაგცუალებიათ?

რეკტორმან ღჳმლითაგან აღმოიოხრა, და ჰსთქუა: არ გებრალები, ჩემი საყვარელი მეუღლე, ჩემი დამტირებელი ახუა ხმალამეს ასული კეთილშობილა, უწყალოს სიკვდილის ნამგლით განამგლულ იქმნა და დავიწყებისა სამარეს შეეყენა. იოანემ. უჲ, ჩემს თავს! ვწუხ, რომ ამ მდგომარეობაში გხედავ, და უკაცრავადაც დაგრჩით, რომ საქმიმარი

ვერ მოგახსენეთ. რექტორმან მადლი უთხრა, და აღმოიღო სამძიმარის წიგნი, რომელიც მიეწერა თავის ცოლის ძმისათჳს და უთხრა: აჰა იოანე, ყური მოუგდე ამ წიგნს, ამით ჰსცნობ ჩემგან იმ გარდაცვალებულის სიყვარულს. და იწყო კითხვად, რომელსა შინა ეწერა შემდგომითა ხატითა ესრეთ:

«კეთილშობილს ჳმალაძე გოგიას.

გასაწყლებული, გამაღლებული, ცხოვრება გასამსალებული, მყეფარი, გასქეზრებული, პირველად ჩემის თავის ჩემის კელით მკვლელი, მეორედ ჩემის მშუჱნიერის უცხოს უამხანაგოს, უცხოს სდილის ჩემის სასურველის, ჩემის თვალის სინათლის, ჩემის გულის ლხინების, ჩემის ამ სოფლის დიდების, ჩემის სიცოცხლის ცხოვრების, ჩემის უცხოდ მოცინარის, ასუას მკჳლელი, მესამედ ჩემის დამმარხველად გამოსალოდებელი ძმა მუჴანდი, შენი მკვლელი, ვაჲმე, ვაჲმე, რატომ არ მომკლავ, რატომ ქჳთ არ ჩამქოლავ, მე გონება ქჳა ქმნილი და ასურასტნელი მოუქცეველი, ვაჲმე ბაბილოვნელი უკურნებული» და ველარ მოითმინა, თვალნი ცრემლით აემსო და დაიწყო ტირილი და თავის თავის ლანძღვა.

იოანე ნუგეშსა ჰსცემდა, და ეუბნებოდა: თქუენ მეცნიერი ბძანდებით, და ეგ გვარი ლანძღვა და შეურაცხ ყოფა თავისა თქუენისა არა გშვენისთ. ჰსჯულის კანონი ხო კარგად იცით, ორი ცოლი კიდევ გერგებათ, და ამ მწუხარებით რომ მოიკლათ თავი, ხომ კიდეც წარწყმდებით, და ამ ლაპარაკში, სჯმონ მდივანიც შემოვიდა და დაატყებინეს დავითს წიგნის წაკითხვა და ტირილი და უთხრა მდივანმან: ჯერ არ გაგვიგონია, ახალია მაგ წიგნის წარკითხვა, რა არის, ვინც მოვა შენს სანახავად მაშინვე მაგას წაუკითხავ, ვინ უნდა მოატყუო, თუ გევარებოდა შენი მეუღლე, შენთან გეყოლებოდა. გამგონე ამისი რეკტორ, წამოსტა, მამის ტოლომა იქ გააგდო, და მეორე სახლში გაიჭრა, და ავის ლანძლჯთ დაუწყო გინება მდივანს. უკანასკნელ რითაც ღონით იყო დაამშჯდა რეკტორი იოანემ, და ვახშმის დრომაც მოაწია. მდივანმან მოალებინა თჳსი ვახშამი, აგრეთვე რეკტორმან და დასხდნენ ვახშმად, მცირე ხან შემდგომ, მდივანმან იოანეს თავისი ვინაობის ანბავი გამოჰკითხა, მერე ჰრქუა: ბატონს რეკტორს რომ ებარენით, ვიცი მაშინ ზოგი რამ

ისწავლეთ და დანაშთი ჴსწავლაცა შეისრულეთ თუ არა? იოანემ. ჵჱ მადლითა ღმთისათა.

მდივანი. ვისთან?

იო. იასტოსთან და სხუათაგან.

მდივანი. რაჲ არს ფილოსოფია?

### ფილოსოფიისათჳს

იო. ფილოსოფია არს მცნობელობა, ბუნებისა და თჳსებისა დამაფუძნებელი მცნობელობათა ზედა გამოცდილებათა და განზრახულობათა ჩუჱნთა.

მდივან. რასა ნიშნავს ლექსი ფილოსოფია?

იო. ბერძულებ ნიშნავს სიბრძნის მოყვარებასა.

მდივან. რაოდენ ნაწილად განიყოფების ფილოსოფია?

იო. ოთხად: ესე იგი ლოღიკა, ზნეთ ჴსწავლულება ანუ ითიკა, ფიზიკა და მეტაფიზიკა.

მდივანი. რაჲ არს საზღვარი ფილოსოფიისა?

იო. ფილოსოფია არს ცნობა საღმრთოთა და კაცობრივთა საქმეთა და მიზეზთა მათთა. გინდ ესრეთ ვჴსთქუათ. ფილოსოფია არს მჴსგავსება ღმთისა რაოდენ მალუძს კაცსა.

მდივან. კარგათ მომიგე. მითხარ, რაჲ არს

ლოღიკა?

ლოღიკისათჳს.

იო. ლოღიკა არს ჴსწავლა, მაჩვენებელი კანონისა, რომლისა ძლით გონებაჲ ჩუჱნი მოქმედებად თანამდებ არს, მცნობელობათა შინა ნივთთასა, ვითარცა საკუთარისა მოძღვრებისათჳს თავისა თჳსისა, ეგ სახედ სხუათა მოძღვრებათა თჳსცა. ეგრეთვე იგი მოგუცემს ჩუჱნ ნამდჳლთა კანონთა განსაზვრებად ყოვლისა ჩუჱნ საგნისა, განაწილებად, განსჯად, და აღმოჩენად კანონიერითა შედრგინებათა.

მდივანი. რასა შინა მდგომარეობს ჴსწალა[illegible]ესე?

იო. იგი მდგომარეობს განსილვასა შინა ოთხთა მოქმედებათა კაცისა გონებისათა, სახელდობ: შემემცნებასა, განმსჯელობასა, გონების შემცველობასა და მეტოდისასა,

მდივან. რაოდენ ჴგუარობს ზედ მიწევნილება კაცისა?

იო. სამგვარობას: . ცნობა ისტორიებ, ანუ ლიტონი ცნობა. 2. ფილოსოფოსებრ. ხოლო 3. მათემატიკებრი.

მდივანი. მითსარ თუ ვითარ სასედ?

იო. ოდესაც ნასროლის ზარბაზნის ხმა მოვესმის, ესე საზოგადო ცნობა არს, და ესე არს ლიტონი. და ოდეს, ვსცნობთ თუ რაჲსა მიზეზისათჳს, ესრეთ ძლიერ განვარდა და ხმამან მისმან შეჰსძრა ადგილი, ესე ცნობა ფილოსოფოსებრია.

ხოლო ოდეს გამოვჰსცნობთ: თუ რაოდენმან თოფის წამალმან, რაოდენი ტყჳა, რაოდენს სანზედ განტყორცა, მაშინ ეს გვარი ცნობა, მათემატიკებრია.

მდივან, რაჲ არს შესმენილი?

იო. შესმენილება არს მისისა ქუწმდებარისადმი მოღება, ანუ დართუა სიტყუათა, ანუ საქმეთა, ესე იგი, ანუ ნათესავი არს, ანუ სხუაობა სასეთა, ანუ სასე არს განუკვეთელთა, ანუ შემთხვევითნი არიან შესმენილნი მის აზრებისანი, რომელსაცა შინა მდგომარეობენ, და შეისმინებიან ქუწმდებარისადმი მათისა; მაგალითად: კაცი არს ცხოველი, აჰა ნათესავი შესმენილი სასისა მიმართ თჳსისა ანუ ქუწმდებარისადმი თჳსისა. კაცი არს გულისხმის ყოფით ნიჭებული, აჰა სხუაობა სასისა, შესმენილი ქუწმდებარისადმი თჳსისა;

ესე იგი სახისა. კაცი არს შეუწყნარებელი ზედ მიწევნილებისა და კელოვნებისა, აჳა თჳსება არსებისა. ხოლო განუკვეთელთა შემთხვევითნი შესმენილნი არიან ესრეთ: პეტრე არის მოციქული, ციცერონ რიტორი კეთილ, ევგენიოს კეთილ მხედარ მმღვანი, არმან მშჳნიერი, იოანე საეარელი მოწაფე, იუდა გამცემელი და სხჳანი მჴსგავსნი ამისნი, აჳა შემთხვევითნი შესმენილნი ქუმდებარისადმი თჳსისა მის არსებისანი, რომელსაც შორის, ანუ რომელსაცა ზედა მდგომარეობენ. კვალად იქმენბის არსებითივე თჳსება მას რომელსამე სახესა შინა, და განუკვეთელთა მისთა, რომელიცა შესმენილებაცა არსებისადმი თჳსისა, და ქუმდებარისაცა გარემოქცევისამებრ შეესმინების; მაგალ: ყოველი კაცი მოცინარ, აჳა მოცინარობა შესმენილი თჳსსა არსებასა ზედა. კვალად ყოველი მოცინარი არს კაცი, აჳა ქუმდებარმობა არსებითისა თჳსებისა, და არსებისა შესმენილება.

ამ ჟამად შემოვიდა ზურაბ, და სალამი მიართო დავითს ალექსის მესა, და სჳმონ მღივანსა, მათ დიდად იამათ, მოიკითხეს, და მიიწვიეს ვახშმად, და მერე ჰკითხეს: თუ საიდამ მოვალს?

მან მოახსენა იოანესთან მოგზაურობა და ამასთან ესეცა, რომელ: მე წინამძღვარმან დოსითეოს ლალად დამადგინა ამა ბერისა, და რა დრო გადავიდა და ღარ მოვიდა სადგურსა ჩჳჱნსა, შემეშინა ნუ უმე ქალებთან განერთო სადმე და მძებნელმან აქა-იქ ვჰპოე თქჳჱნთანა. ამაზედ დიდად განეცინათ.

იო. უი ჩემ თავს! შე უკეთურო, რომ გაიგონონ რას იტყჳან.

ზურაბ. ამას, დიაკვანი ქალს მიჰპარვიათ.

იო. დააცხრჳჱ ენა შენი ბოროტისაგან. დავით რეკტორმანც შეჰსმინა ესე, და ბაგენი შენნი ნუ იტყჳან ზაკვასა. და ამასთან სხჳჱბ სუმრობა განგრძელდა, დაიწყეს სიცილი, მაშინ

ზურაბ. უფალო რეკტორო! არა ჰგევსართ იმ ერთს დადიანს გლოვაში. (*)

მღივანმან. ოღონდაც მაშინ გაწყრა რეკტორი,

---

(*) იტყვიან, რომელსამე დადიანისათჳს, რომელსაც ცოლი მოუკჳდა, და რომელმანც ესრედ გრძლად იგლოვა, რომელ შემდგომად მესამისა წლისა ძლივ მიაღებინეს საჭმელად ცერცჳს სირსვალი, და ერთი მათ მარცვალთაგანი გაუგორდა პირშია, და ჰსთქჳა: რა ბურთაობისა რიგია ჩემგან, და მაშინ იწყო ტირილი და გლოვა ჴჳალად.

ზურაბ კარში გამოაგდო, მღივანი გალანძღა, და იოანეს უთხრა: არ იცი გიჟის ამხანაგი გიჟი იქნებაო და რათ გაუამხანაგდი. იოანემ. ჩემი დანაშაული არ არის, წინამძღვარმან ინება მისი ჩემთან ყოფნა. რეკტორმან. ის რა დიდი ჭკვანი გგონია, და უკანასკნელ დაასრულეს ვახშამი, რეკტორმან უთხრა იოანეს, ხვალე მოდი მეცხრე საათსა აქ ჩუენის მოწაფების ეგზამინიაა (გამოცდა) და უნდა შენ გებაასნენ და იმათ სიტყუა მიუგო. იოანე აღსდგა, გამოესალმა და თავის სახლისაკენ წარმოვიდა, იმ ღამეს იოანემ კარგად განისვენა და ხვალისათჳს ადრიან აღჴსდგა და მოემზადა სკოლად წასვლისათჳს. რა მეცხრე საათი შეიქმნა იოანე მივიდა სკოლად და ნახა მუნ შეკრებულნი თავადნი და სამღუდელონი, და ცალკერმო მოწაფენი, რეკტორი, შუა ადგილს თავს მჯდომელი. რა ეს კანკარგულება იოანემ იხილა მოიწონა, და პირველ დაიწერა პირსჯუარი და თაყვანისცა ხატსა, უკანასკნელ მიართო სალამი რეკტორსა, მერე სამღუდელოთა და მერეთ თავადთა, აგრეთვე მოწაფეთა, იოანეს აჩუენეს მარჯუენით სკამი მდგომელი, და მიიწვიეს მუნ, წინ დაუდგეს

სტოლი და დაუწყვეს სამეცნიერო წიგნები. რა ყოველნი შემოკრბენ სკოლად, მაშინ რეკტორმან მცირე ზარი დააწკარუნა, და მაშინ წინ წარმოსდგა ნიკოლაოს კელაშვლი, თაყვანი სცა ხატსა, წართქვა ლოცვა, რომელსაც მოწაფენი იტყჳან და მერეთ დაუკრა რეკტორს თავი, და აქეთ იქით, აგრეთვე იოანეს, და მერე დაიწყო კითხვად იოანესა, და რქუა, ნიკოლაოზმან. იოანე, ვითარ გრწამს მართლმადიდებელთა სარწმუნოება?

იო. მრწამსი ჴსთქუა ზეპირ.

ნიკო. რაოდენის მუსლით შედგება ეგე?

იო. ათორმეტის მუხლით, და სხუანიც მრავალი იუბნეს და ყოველივე კარგა მიუგო იოანემ, და მერე ჰრქუა ნიკოლაოსმან, ყოველ დაწყებასა ღრამმატიკისასა, რაჲ სახმარ არს ცნობად?

ღრამმატიკისათჳს.

იო. ოთხნი იგი გვარნი მოძღვრებიისნი, რომელნიცა შეუდგებიან, დაემდევრებიან ღრამმატიკასა.

ნიკო. რაჲ არს სახელები მათი?

იო. განსაზღვრება, განწვალება, აღმოჩენა, და აღლევა.

ნიკო. კვალად რაჲ სახმარ არს ცნობად?

იო. ესე, ვითარმედ ყოველი რამ არსობითი მკითხველი, საზღვარს ემიებს.

ნიკო. მესამედ რაჲ სახმარ არს ცნობად?

იო. საზღვარსა შინა უნდა ჰსჩნდენ სამნი რაჲმენი, ესე იგი: სახე, ნათესავი და განყოფილება.

ნიკო. რაჲ არს ღრამმატიკა, და ანუ საზღვარი მისი?

იო. ღრამმატიკა, ბერძული ლექსია, ნიშნავს მწიგნობრობასა. არისტოტელი საზღრავს ესრეთ: ღრამმატიკა არს ცნობა, ვითარცა წერისა, ეგსახედ უწყება წარკითხულისა, და იგი არს ყოველთა კელოვნებათა საფუძველი.

ვირგილია საზღრავს ქსსახედ: ღრამმატიკა არს უმჯრფასესი თჳთქმის სსჴათა ყოველთა თავისუფლებითთა კელოვნებათა მცნობელობათა ზედა.

ხოლო ჩჳჱნ ვსაზღრავთ ეს გვარ: ღრამმატიკა არს შემძლებლობა, მართლ უბნობად და წესიერ.

ნიკო. რაჲ არს უბნობა?

იო. უბნობა არს ჰაზრისა თჳსისა ხმითა ცხად

ჟოვა, დაწერჳა მასივე ჰაზრისა ასოებითა გამოსატვა, სოლო კითხჳა ანუ წაკითხჳა არს ასოთა გამოსა-ტულისა მის ჰაზრისა აღმოცნობა.

ნიკო. უმთავრესნი შემადგენელნი ნაწილნი გრა-მმატიკისანი, რაოდენნი არიან?

იო. ოთხნი, ესე იგი, წიგნი, მარცვალი, ლე-ქსი და სიტყჳა.

ნიკოლ. რაჲ არს წიგნი?

## წიგნისათჳს.

იო. წიგნი არს წერილი რაჲმე მნიშვნელი ასოჲსა·

ნიკოლ. რაჲ არს ასო?

იო. ასო არს ოხჳრა რაჲმე ნაწევრობითი, რამეთუ შეკვრისცა და ენების სხვისათანა ასო-სა და სრულსა ხმასა გამოიღებს.

ნიკოლ. ასონი ქართულისა ენისანი, რაოდე-ნნი არიან?

იო. ორმეოცნი, რომელთაცა უწოდთ ჩჳენ ან-ბანად, რომელთაცა სახენი და სახელნი არიან შემდგომნი ესე:

ა, ბ, გ, დ, ე, ვ, ზ, ჱ, თ, ი, კ, ლ, მ, ნ, ჲ,

ო, პ, ჟ, რ, ს, ტ, უ, ჳ, ფ, ქ, ღ, ყ, შ, ჩ, ც, ძ, წ, ჭ ხ, ჴ, ჯ, ჰ, ჵ, ჶ, ჷ.

ნიკოლ. რაოდენ ჩმოვანად განიყოფებიან ეს ასონი?

იო. სამად კმოვანად, ესე იგი კმოვანად, ორ-კმოვანად ანუ თანკმოვანად და უკმოდ.

ნიკოლ. ვითარ?

იო. კმოვანნი ასონი არიან ხუთ. ა, ე, ი, ო, უ, და კმოვანად ამისთჳს იწოდებიან, ვითარმედ თა-ჰისუფლად გამოჰსცემენ სულის კვეთითა კმათა.

ოთხკმოვანიცა არიან ექჳს. ჱ, ჲ, ჳ, ჵ, ჰ, ჶ, და აგრეთვე ჷ ხოლო ორკმოვანად ამისთჳს იწოდებიან, ვითარმედ სულისა კჳჱთითთა კმათა შორის გამოსცემენ ბრჯგუდ ორკმოვანთა კმათა, მაგალითი, ჱ, ვითარცა ბრჯგუდ ეე. ჲ, ვითარცა იე. ბრჯგუდვე და სხჳანი. ხოლო სხჳანი დანაშ-თნი ასონი იწოდებიან უკმოდ, ამისთჳს რომელ, თჳნიერ შეერთებისა კმოვანთათანა ვერ შემძლებელ არიან თავისუფლად სულის კვეთითთა კმათა გა-მოცემად და არიან ესენი, ბ, გ, დ, ვ, ზ, თ, კ, ლ, მ. და სხჳანი.

ნიკოლაოზ. არიან სხჳანიცა წერილობითნი

ნიშანნი?

იო. არიან ნიშანნი მართლ წერისანი, რომელნიცა ცხადსა ბრწყინვალებასა მოგვცემენ, ანუ სიტყუჳსა, ანუ ლექსისა, ანუ ასოსა, რომელთაცა ნიშანნი და სახელნი არიან ესენი: , ამას ეწოდების მძიმე; . ამას წერტილი, : ორი წერტილი, ? ამას საკითხავი, ˘ ამას შემკვრელი. - ამას გარდასატანი, ( ) ამას ფრჩხილი, * ამას სწორლიო ‡ ამას მახჳლი. ˆ) ამას ბრჯგუ. O ამას კრებული. ! ამას განსაკჳრველი. აგრეთვე ქარაგმანწოდებულთაცა აქჳსთ ადგილი აღრიცხვად ამათ შორის, რომელთაცა ნიშანნი და სახელნი არიან ესენი: ~ ამას ეწოდება საუფლო, ʚ ამას სასამთავრულო, ⎵ ამას საზოგადო. და მე აღარ განვაგრძობ ამა ნიშანთა კმარებასა, თუ რაჲსა შინა სახმარ არს, ისილე დიდსა ღრამმატიკასა შინა. (კათალიკოზის ანტონის მიერ ქმნილსა).

ნიკოლა. სულის კჳფთით, ანუ ოხვრით წარმოებული კმა რაოდენად იცვალება.

იო. ორად: კმად და არაკმად. კმანი არიან კაცთა და პირუტყვთანი, არაკმანი არიან უსუ-

ლოთა მიერ გამოცემულნი; ესე იგი ფოთოლთ შრიალი, ქუსილთ გრიალნი, ზართა ბგერანი, წყალთა ჩქერანი და მსგავსნი ამათნი.

ნიკოლ. კმანი რამდენად იცვალებიან?

იო. ნაწევროვანად და უნაწევროდ. ნაწევროვანი კმანი არიან კაცთანი, ვინაჲდგან დაიწერებიან. უნაწევრონი კმანი არიან პირუტყვთა და ფრინველთა ამად, რომელ არა დაიწერებიან.

ნიკოლა. რაოდენად იცვალებიან ნაწევროვანი კმანი?

იო. ორად, ნიშნვანად და უნიშნოდ. ნიშნოვანი არს, რომელიც დაიწერება, ვითარცა ცხენი, ლომი, კაცი და სხუანი, უნიშნო არს, რომელი თუმცა დაიწერება, მაგრამ ნიშნავს არა რას, ვითარცა, ჯპეკქერტავრო, მით რამეთუ არ გვამოვნებს. კვალად არიან კმანი, რომელნიცა დაიწერებიან, გარნა არა ითქმიან ნიშნოვანად გარნა ნიშნოვანისა მიმართად, რომელ არიან ესენი: და, სოლო, რამეთუ და სხუანი.

ნიკოლ. რაჲ არს მარცვალი.

### მარცვლისათჳს.

იო. მარცვალი არის მარტივი სულის კუწ-

თითი ჴმა რაჲმე, რომელი ერთითა ოხჳრითა გამოიღების პირისაგან კაცისა, და არს შედგმული ერთისა ანუ მრავალთა ასოთა ძლით, მაგალითი: უფალი, მამა, დედა და ხსჳანი.

ნიკოლ. ვითარ განიყოფების მარცვალი, ლექსსა და სიტყუჲსა?

იო. მარცჳალი ერთითა ოხვრითა გამოიღების, ხოლო იგინი არა.

ნიკოლ. რაოდენად იცვალება მარცჳალი?

იო. ერთ ასოდ და მრავალ ასოდ, ერთ ასოდ ითქმის, მაგალითი: ა. და მრავალ ასოდ, დამ. ესე იგი, ადამ.

ნიკო. ასონი ჴმოვანნი და უხმონი ერთი მეორეს ვითარ ეხმარებიან?

იო. ესრეთ, ვითარ იგი კაცი არს შენადგ სულისაგან და ჴორცისა, და თჳნიერ სულისა ვერა მალუძს ჴორცსა გამოღება ჴმისა. ეს ფერვე ასონი არიან შენადგ ჴმოვანთა მიერ და უჴმოთა, და ამისგამო ვერ მალუცს უჴმოსა ასოსა თავის თავად გამოღებად ჴმისა, და ოდეს შეეკვრის ჴმოვანი ასო და დაწესდებიან ერთი ერთისათანა, მაშინ სრულსა და ნიშნოვანსა ჴმასა გამოჰსცემენ.

ნიკო. რაჲ არს ლექსი?

ლექსისათჳს.

იო. ლექსი არს მარტივი ანუ რთული სულის კჳნთითი კმა, შედგმული ერთისა ანუ მრავალთა მარცჳალთაგან, მნიშვნელად რაჲსამე ნივთისა ანუ საქმისა, მაგალ: მე, სე, მმა, კაცი, მე ვჴსწერ. ხოლო რიცხვნი მარცჳალთანი აღირიცხვიან, რიცხვითვე მლით კმოვანთა ასოთასა.

ნიკო. რომლითა განეყოფის ლექსი ასოსა და მარცვალსა?

იო. ამით, ვითარმედ ლექსი კმა არს სანიშნო, ხოლო იგინი არა არიან სანიშნო.

ნიკო. რაოდენად იცვალების ლექსი?

იო. ერთ-მარცჳალოვანად და მრავალ-მარცჳალოვანად; მაგალითი: ცა, სე, მე და სხჳანი. ხოლო მრავალ-მარცჳლოვანი: მეფე, ეკკლესია, კელმწიფე, და სხჳანი.

ნიკოლ. რომლითა არიან ლექსი და სიტყჳა ზიარ, და რომლითა განყოფილ?

იო. ზიარ ამით არის ლექსი სიტყჳსა, ვინაჲდგან ესეცა უმთავრესი ნაწილია ღრამმატიკისა,

ხოლო განყოფილი ამით, რამეთუ ლექსი უკუჱ არს კმა ერთი, ხოლო სიტყჳა მრავალი, ვინაჲდგან თხზულება ლექსთა, მაგალითი: მასწავლელთა კეთილთა ჰსწავლულნიცა კეთილ არიან. ამით დაინიშნა, ვითარმედ კმა მრავალი, არს სიტყჳა, გარნა არა ყოველი კმა, არამედ ესე გვარი, რომელიც წარმოაჩენს აზრსა კაცისას.

ნიკოლ. ლექსი ესეცაჲ რაჲარს ღრამმატიკისამებრ?

იო. არს ვიდრემე ლექსი, რომელ არს კმა სანიშნო.

ნიკოლ. ლექსი ესე: სე ღრამმატიკისამებრ რაჲარს?

იო. არს ვიდრემე ლექსი, ვინაჲდგან არს სანიშნო, და არს მარცვალიცა, ვინაჲდგან არს კმა რადმე ერთითა ოსვრითა გამოღებული და ესფერვე გაიგონე სხუანიცა.

ნიკოლ. რაჲ არს სიტყჳა?

## სიტყჳსათჳს.

იო. სიტყჳა არს მარტივი ანუ შედგომილი ლექსთა მლით, მნიშვნელად აზრისა მის, რომელიცა

უბნობს, მაგალითი: შვილნი თანამდებ არიან შეყვარებად და პატივისცემად მშობელთა. აგრეთვე ეს სახედ: ვჰსწავლობ, ვესავ, მიყვარს, ვაქებ და სხვანი.

ნიკოლ. თხზულება სიტყვსა, რაოდენ სახედ იცვალების?

იო. ორ სახედ: სარჩინოდ და უჩინოდ. სარჩინო არს ესე, მაგალ: უფალსა ვესავ, არა შემეშინოს მე, რაჲ მიყოს კაცმან. ხოლო უჩინო: უფალო ბავენი ჩემნი...

ნიკოლ. რომელია უნაწევრო, და ნაწევროვანი თხზულება?

იო. უნაწევრო თხზულება არს, ქსოვა დიბისა, ყალამქრისა, სფირიდისა და ესე ვითართა, ხოლო ნაწევროვანი თხზულება არს, რომელიც სიტყუა დაიწერება, ესრეთ: დასაბამი სიბრძნისა, შიში უფლისა, და სხვანი.

ნიკოლ. ვითარ არიან განყოფილნი, სიტყუა და ლექსი?

იო. ამით, რომ მრავალი თხზულება ლექსთა სიტყუასა და აზრსა წარმოადგენენ კაცისას, ხოლო მარტოდ ვერ შემძლებელ არს წარმოჩენად

აზრისა და თხზულება ლექსთა ამით განეყოფა სიტყჳასა.

ნიკოლ. რაოდენად იცვალება სიტყჳა?

იო. ორად, ესე იგი სრულად და უსრულოდ. სრული სიტყჳა არს ესე, მაგალითი: სიბრძნე და გონიერება ჴელმწიფებენ ქჳჱყანასაზედა. ხოლო უსრული სიტყჳა არს ესე, გარეშე გონიერებისა და ესე შეასრულებს: არა არს ცხოვრება რიგიანი.

ნიკოლ. რაჲ არს წარმოჩენილი სიტყჳა, და შინაგან მდებარე?

იო. წარმოჩენილი სიტყჳა არს, უბნობა ცხადად ანუ საიდუმლოდ აზრთა ჩჳჱნთა, ხოლო შინაგან მდებარე სიტყჳა არს რომელსა გონებით ვჰმსჯელობთ და ესე მხოლოდ უწყის სულმან კაცისამან და ღმერთმან.

ნიკოლ. რაოდენად იცვალების კვალად სიტყჳა?

იო. ხუთად: **1** საზღვრებითად, **2** ბძანებითად, **3** საწადად, **4** იპოტეტიკად ანუ უკეთუობითად, **5** განუსაზღვრებელად. ხოლო საზღვრებითი სიტყჳა დაიდების სამად. აწმყო არს უკჳჱდ ესე, მაგალ: ვხედავ კაცთა, ვითარცა ხეთა მიმოვალთა. სიტყჳა

ნამყო: ისილა იესო: ნათანაელ მომავალი მისა. ხოლო მყოობადი: უფროსი ამათსა ისილო.

ნიკოლ. რომელი არს სიტყუა ბრძანებითი?

იო. ნუ შეიწყალებთ ყოველთა მოქმედთა უს-ჯულოებისათა.

ნიკოლ. მითხარ საწადი და სხუანიცა.

იო. სიტყუა საწადი, არს ესე: ნეტარ იყვნენ მოწყალენი, რამეთუ იგინი შეიწყალნენ. იპოტეტი-კა, ანუ უკეთუებითი არს ესე: უფალო, უკე-თუმცა აქა ყოფილიყავ, არამცა მომკუდარიყო ძმა იგი ჩემი. განუსაზღვრებელი დროებითი არს რომელი ქუემდებარესა არცა ერთსა ცვალებასა შინა განარჩევს პირებითად; მაგალ: შეყვარებად ღმერთი; ქმნად სიმართლე; დამარხუად მცნებანი. ხოლო ესე გვარნი ვიდრემე სიტყვანი, ითხოვენ ნიადაგ მოკიდებასა საზღვრებითთა მიმართ, ანუ ბმანებითთა, რათა სავსედ გაიგონებოდენმცა; მა-გალ: სათანადო არს შეყუარებად, ღირს ქმნად სი-მართლეჲ, დამარხუად მცნებანი და სხუანი.

ნიკო. კვალად არიან ნაწილნი სიტყჳსანი?

იო. არიან უკუჱ ნაწილნი სიტყჳსანი რვანი, ესე იგი: სახელი, ნაცვალ სახელი, ზმნა, მიმღე-

ობა, თანდებული, ზმნისზედა, კავშირი და შორისდებული.

ნიკოლ. რაჲ არს საჴელი?

### საჴელისათჳს რომელი არს პირველი ნაწილი.

იო. საჴელი არს ნაწილი სიტყჳსა მნიშვნელი არსებისა, გინა ნივთისა, ანუ პირისა რაჲსამე, მაგალ: უფალი, ცა, ქუეყანა, კაცი, ცხენი, თეთრი და სხუანი.

ნიკოლ. რაოდენად იცვალების საჴელი?

იო. არსებითად და ზედშესრულად. საჴელი არსებითი არს, რომელიცა თავით თჳსით მდგომარეობს და არა არს მოქენე სხჳსა შემტკიცებისა სიტყუასა და ზრახვასა შინა, მაგალითი: ღმერთი, მზე, კაცი, პეტრე, ქალაქი, ლომი და სხუანი. კვალად არსებითი საჴელი განიყოფების სამად; ესე იგი, საზოგადოდ, სათჳთოდ ანუ კერძობითად და შემკრებელობითად. საზოგადო არსებითი საჴელი იგი არს, რომელიცა ნიშნავს ნივთსა, საზოგადოსა ანუ საყოველთაოს, მაგალ: არსება, ცხოველი, კაცი, ნერგი, ქუა და სხუანი. სათჳთო ანუ კერძოებითი საჴელი იგი არს, რო-

მელიცა დანიშნავს პირსა ანუ ნივთსა სათჳთოდ განრჩევით. მაგალ: პეტრე, პავლე, ვარდი, მარგალიტი და სხუანი. ხოლო შემკრებელობითი არსებითი სახელი იგი არს, რომელიცა დანიშნავს ნივთთა, ანუ პირთა მრავალთა ერთად შეკრებულთა; მაგალ: ხვავი, არვე, კრებული, გუნდი, ჯოგი და სხუანი.

ზედშესრული სახელი არს იგი, რომელიც თავით თჳსით თჳნიერ არსებითისა სახელისა რომელსაცა ზედა შევალს იგი, ვერ მოსცემს სწორედ შემეცნებასა მის ნივთისა ანუ პირისას, მაგალ: თეთრი, შავი, მშჳდი, მოკლე, გრძელი და სხუანი.

ნიკოლ. მითხარ დადებითი სახელი?

იო. დადებითი ზედშესრული სახელი შეისმინების მნიშვნელად ოდენ მარტივისა ვითარებისა რაოდენობა; მაგალ: კაცი მჴნე, ლომი მძჳნვარე, კეთილი, ბოროტი, გრძელი, მოკლე და სხუანი.

ნიკოლ. შემსგავსებითი ზედშესრული სახელი ვითარ არს?

იო. შემსგავსებითი ზედშესრული სახელი არს, ოდეს ორთა ნივთთა შეამსგავსებ ურთიერთისადმი, და ერთსა შემსგავსებულად აღმოაჩენ მეორისადმი, დართჳთა მარცვლებითა ესრედ: ებრი, მა-

ნამყოჲ უსრულესი.

მხოლ. დამიწერინებინებიეს. დაგიწერინებინებიეს. დაუწერინებინებიეს.

მრავ. დავიწერინებინებიეს. დაგიწერინებინებიესთ. დაუწერინებინებიესთ.

ნამყო უუსრულესი.

მხოლ. დამიწერინებინებია. დაგიწერინებინებია. დაუწერინებინებია.

მრავ. დაგიწერინებინებია. დაგიწერინებინებია. დაუწერინებინებია.

მყოობადი.

მხოლ. დავაწერინებინებინო. დააწერინებინებინო. დააწერინებინებინოს.

მრავლ. დავაწერინებინებინოთ. დააწერინებინებინოთ. დააწერინებინებინონ.

ბძანებითისა სქესისა აწმყოჲ.

მხოლ. დააწერინებინებინე. ნუ დააწერინებინებინებ. დააწერინებინებინოს, ნუ დააწერინებინებინებს.

მრავ. დააწერინებინებინეთ. ნუ დააწერინებინებინებთ. დააწერინებინებინონ. ნუ დააწერინებინებინებენ.

მყოობადი.

მხოლ. დააწერინებინებდე. ნუ დააწერინებინებდე. დააწერინებინებდეს. ნუ დააწერინებინებდეს.

მრავ. დავაწერინებინებდეთ. ნუ დავაწერინებინებდეთ. დააწერინებინებდეთ. ნუ დააწერინებინებდეთ. დააწერინებინებდენ, ნუ დააწერინებინებდენ. იპოტეტიკაჲსა სქესისა აწმყოჲ და მყოობადი. მაგალ:

ვაშათუ დავაწერინებინებდე. დააწერინებინებდე. დაწერინებინებდეს.

უკეთუ დავაწერინებინებდეთ. დააწერინებინებდეთ.
დააწერინებინებდენ.

ნამყო უსრული.

ვამათუ. დავაწერინებინებდი. დააწერინებინებდი. დაწერინებინებდა.

უკეთუ დავაწერინებინებდით. დააწერინებინებდით.
დააწერინებინებდიან.

ნამყო სრული და უსრულესი.

ვამათუ დამიწერინებინებიეს. დაგიწერინებინებიეს.
დაუწერინებინებიეს.

უკეთუ. დაგვიწერინებინებიეს. დაგიწერინებინებიესთ.

ნამყო უუსრულესი.

ვამათუ. დამიწერინებინებია. დაგიწერინებინებია.
დაუწერინებინებია.

უკეთუ დაგვიწერინებინებია. დაგიწერინებინებიათ.
დაუწერინებინებიათ.

განუსაზღვრებელისა სქესისა აწმყოდ. დაწერინებინებდა. მიმღეობა, აწმყოდ. დამწერინებინებელი.

ნამყოდ. დაწერინებინებული. მყოობადი. დასაწერინებელი, დაწერინებინებადი. სახელ ზმნა. დაწერინებინება, დაწერინებინებინებასა. ესე უწყოდეთ, რომელ განუსაზღვრებელნი, მიმღეობანი და ზმნა-

წი რაჲცა სხმით გარდასვლითისანი არიან, იგინივე იხმარებიან მრჩობლ-სხმით გარდასვლითსა შინა. გარნა, ოდესმე ეს სახელცა მოხდების გმარება იმულებით ქართულსა უბნობასა შინა, და ამისთჳს ესეც დავსდევით, ვითარცა ზემორე სჩანს.

მიმოხრანი ვნებათთა მრჩობლ სხმით გარდასვლითთა ზმნათანი, რომელნიცა მისვე აზრისათჳს იმულებით არიან მოუჴანილ და არასადა სმარებულ. მაგალ:

საზღჳრებითისა სქესისა. აწმყოჲ.

მხოლ. ვიწერებინები. იწერებინები. იწერებინება.
მრავ. ვიწერებინებით. იწერებინებით. იწერებინებიან.

ნამყო უუსრული.

მხოლ. ვიწერებინებოდი. იწერებინებოდი. იწერებინებოდა.
მრავ. ვიწერინებინებოდი. იწერინებინებოდი. იწერინებინებოდიან.

ნამყო სრული.

მხოლ. დავიწერინებინებინე. დაიწერინებინებინე. დაიწერინებინებინა.
მრავ. დავიწერინებინებინეთ. დაიწერინებინებინეთ. დაიწერებინებინნენ.

ნამყო უუსრულესი.

მხოლ. დაწერინებინებულვარ. დაწერინებინებულხარ. დაწერინებინებულარს,

მრავ. დაწერინებინებულვართ. დაწერინებინებულხართ. დაწერინებინებულ არიან.

ნამყო უუსრულესი.

მხოლ. დაწერინებინებულ ვიყავ: დაწერინებინებულ-იყავ. დაწერინებინებულ იყო.

მრავ. დაწერინებინებულ ვიყავით. დაწერინებინებულ-იყავით. დაწერინებინებულ იყვნენ.

ბძანებითისა სქესისა აწმყოჲ.

მხო. დააწერინებინებინე. ნუ დააწერინებინებ.

დაიწერინებინებინოს ნუ დაიწერინებინებინოს.

მრავლ. დაიწერინებინებინეთ. ნუ დაიწერინებინებით.

დაი ერინებინებინნენ. ნუ დაიწერინებინებიან.

მყოფადი.

მხოლ. დაიწერინებინებოდა. ნუ დაიწერინებინებოდი.

დაიწერინებინებოდის. ნუ დაიწერინებინებოდე.

მრავ. დაიწერინებინებოდეთ. ნუ დაიწერინებინებოდეთ.

დაიწერინებინებოდნენ. ნუ დაიწერინებინებოდნენ.

იმოტეტიკაძსა სქესისა აწმყოჲ და მყოობადი.

ვამათუ დავიწერინებინებოდე. დაწერინებინებოდე.
დაიწერინებინებოდეს.

უკეთუ დავიწერინებინებოდეთ. დაიწერინებინებოდეთ.
დაიწერინებინებოდნენ

ნამყო უსრული.

ვამათუ დავიწერინებინებოდი. დაიწერინებინებოდი.
დაიწერინებინებოდა.

უკეთუ დავიწერინებინებოდით. დაიწერინებინებო-
დით. დაიწერინებინებოდიან.

ნამყო სრული და უსრული.

ვამათუ დაწერინებინებულვარ. დაწერინებინებულხარ.
დაწერინებინებულ არს.

უკეთუ დაწერინებინებულვართ. დაწერინებინებულ-
ხართ. დაწერინებინებულ არიან.

ნამყო უუსრულესი.

ვამათუ დაწერინებულ ვიყავ. დაწერინებინებულ იყავ.
დაწერინებინებულ იყო.

უკეთუ დაწერინებინებულ ვიყავით. დაწერინებინე-
ბულ იყავით. დაწერინებინებულ იყვნენ.

ყოველნი ზმნანი უღულილებისანი იქმნებიან
ხმით-გარდასლვითად და მიმოიქურიან, მჴსგავსად

პირველისა უღვლილებისა სქესისა შემოქმედებით-თა შინა და ვნებითთა. სხუანიც ყოველნი ზმნანი ყოველსა უღვლილებისანი შესაძლებელ არს სხ-მით გარდასვლითისა სახით მიმოსრად, რომელ-ნიცა მიმოისრებიან მსგავსად პირველისავე უღვ-ლილებისა სქესისა, შემოქმედებითცა და ვნები-თთა შინა.

უკანონო ზმნანი არა სხუა რაჲმე არიან გარდა ამისა, რომელნიცა ვერა განვლიან კანონი-ერად სქესთა შინა და დროთა სრულებით, ვი-თარცა ზემორე ნათქვნი იგი ზმნანი.

ამა უკანონოთა ზმნათანი არიან რომელნიმე, სხუათა ზმნათაგან აღვსებულნი, და არიან რო-მელნიმე ნაკლობითნი, რომელთაც აკლთ სრულე-ბით რომელნიმე დრონი და ვერც აღივსებიან.

უსწორებითად იწოდებიან იგინი, რომელნიცა ერთი და იგივენი ზმნა-ნი სხჳსა და სხჳსა უღვლილებისა ქუეშე დაიწერებიან და აქუსთ ერთნი და იგივე ნამ-ყონი და მყოობადნი, და ეგრეთვე დრონი ვნე-ბითთანი.

უპირნაკლნი ზმნანი არა სხუა რაჲმე არიან,

გარდა რომელთაცა აქუნ პირსი ანუ პირველნი, და ანუ მეორე, და ანუ ორნივე.

ხოლო ესეცა უწყოდე რომელ, ყოველნი ზმნანი პიროვანნი შესაძლებელ არიან პირველნი ყოფად, ვინაჲდგან ქართულსა ენასა აქუს დიდად ნიჭად თჳსება ესეცა, რომლისაგანაცა სხუანი მრავალნი ენანი დაკლებულ არიან, და ამისთჳს ნეტართა მამათა მთარგმნელთა ჩუენთა უხმარებიესთ იგი უმეტეს ბრძანებითისა, ანუ ვედრებითისა, ანუ აღთქმისა სქესსა შინა.

აქა განვაჩინებ მაგალითს: უკანონო ზმნასა, არსებითსა, ვარ, და ესე მიმოხრება, ვითარცა ზემორე აღწერილა იხილებენ, ამის ბძანებითს,იყავ. აპოტეტიკა--ვაშათუ ვიყოფოდე. განუსაზღვრებელი-ყოფად, მიმღეობა--მყოფელი. ნამყო--ყოფილი. მყობადი--ყოფადი, სახელ ზმნა--ყოფა. ესენი იმ სახედ განვლიან, ვითარცა ზემო ჴსწერია.

მიმოხრა უკანონოს უმეშაობითისა ზმნისა სა ზ. აწმ. ვალ. ესეც ისე განატარე, ვითარცა ზმნისა რიგია. ბძანებითი. ვლე, ნუ სვალ. იპოტეტიკა, ვაშათუ ვლიდე. განუსაზღვრებელი, სვლად, მიმღეობა; მსვლელი, მავალი. ნამყო--გავლილი,

მყოობადი, სავლელი, წასასვლელი. სახელ ზმნა, სჳლად.

პირნაკლი ზმნა, რომლისა აკლს პირველი პირი. მწერ, მწერს, მწერთ. მწერენ და სხჳანი. ბრძანებითი, დამწერე, ნუ დამწერ და სხჳანი.

იპოტეტიკა, ვაშათუ დამწერდე. ხოლო ამასა შინა განუსაზღვრებელს, მიმღეობა და სახელ ზმნა, პირნაკლთა ზმნათა მსახურებენ თჳსთა პიროვანთა ზმნათა განუსაზღვრებელნი მიმღეობანი და სახელ ზმნანი.

მეორე პირი, რომელსაცა აკლს დაგწერ, დაგწერს. და სხჳანი. ბრძანებითი. დაგწერე ნუ დაგწერს.

იპოკეტიკა. ვაშათუ დაგწერდე და სხჳანი.

ნაკლოვანნი ზმნანიც იმცენ ესრეთ, ვიცი, რომელსაცა აკლს დრონი და არა აღივსება სხჳს ზმნისაგან, მაგალ. აწმყო და ნამყო სრული, ვიცი. ნამყო უსრული, ვიცოდი. ნამყო უსრულესი, და უუსრულესი, მცოდნიეს, მცოდნია. ბრძანებითისა და იპოტეტიკაჲსა სქესისა მყოობადი ვიცოდე. ხოლო ლექსი ესე ვესავ, რომელსაც გარდა აწმყოსა და ნამყოს უსრულისა სხჳა არა რაჲმე აქჳს დროჲ.

ხოლო უკეთუ იძულებით ინებებს ვინმე აღვსებასა, მაშინ იქნების უგემურ, ვითარცა ესე: ვიესევ, ვი-ესვო.

და ვნებითი ამისი არს--ვიესვები. და ამისთჳს ესეცა იძულებულ არს, ვინაჲდგან არა სადა იპო-ების წერილთა შინა ჩუჱნთა ეს გუარად ლექსი და სხუანი.

უსვებითნი ზმნანი, კნინღა ყოველნი ზმნანი მეორისა უღვლილებისანი, რომელთაცა აქუთ ოდენ ორნი დრონი აწმყონი და ნამყო უსრულნი, ხო-ლო სხუათა დროთა შინა აღივსებიან; ანუ მესუ-თისა უღვლილებისა ზმნათაგან, ანუ ვნებითთა ზმ-ნათაგან. მაგალ: მრცხუჱნის, ვირცხუნი, და ესე აღივსების, ვნებითსა ამის ზმნისაგან--ვირცხუნები, სრული--შევირცხვნე. მყოობადი--შევირცხვინო. მს-გავსადვე: მასხომს, მძინავს, მესმის, მღვიძავს და სხუანი. პირნაკლნი ზმნანი უკეთუ ნებავს ვისმე შესაძლებელ არის აღვსებად ეს სახედ, რათა ყო-ველთა დროთა შინა და სქესთა, განირთოთ. მაგალ: ვჴსწერ, ჴსწერ, ჴსწერს. ესსახედვე და ესრეთვე შესაძ-ლებელ არს ნაკლ ყოფად, ვითარცა პირველისა სახისანი, ეგრეთვე სხმით გარდასვლითისანი, რო-

მელსაცა აკლნ პირნი პირველი და მეორე, ვითა-რცა ზემორე მოვიხსენეთ. ხოლო ეს გვარი პი-რნაკლის ზმნის დადება შესაძლებელ არს დროსა აწმყოსა და მეობადისასა, სამსავე პირად ითქმს ესრედ. აწმყოჲ: ჯერ არს ჩემდა, ჯერ არს შენდა, ჯერ არს მისდა. მეობადი: ჯერ იყო ჩემდა, ჯერ იყო შენდა, ჯერ იყო მისდა. აგრეთვე აწმყოს და ნამყოს უსრულის დროსნი ოდენ: ჰშჳენის ჩემდა, ჰშჳენის შენდა, ჰშჳენის მისდა. აგრეთვე შეჰგავს ჩემდა და სხჳანი.

უსრული: ჰშჳენოდა ჩემდა, ჰშჳენოდა შენდა, ჰშჳენოდა მისდა. შეჰგვანდა ჩემდა და სხჳანი. ჰმსგავსადვე სასმარ არს, სასმარ იყო, სათანადო არს, სათანადო იყო და სხჳანი.

ნიკოლაოს. მიბმანეთ, თუ ვითარ იქმნების მი-მოხრა, უმეშაობითისა ზმნისა?

იო. ვითარცა სხჳანი ზმნანი, გარნა ეს გჳა-რი ლექსი უნდა ვისმაროთ, რომელსაცა არა სრულიად მიეჩემებოდეს, არცა მოქმედება სრული, არცა ვნება სრული, არამედ იყოს ორთავეშინა საზოგადო. მაგალ. საზღვრებითისა სქესისა აწმ-ყო. ვჰსციქჳ, ჰსციქჳ, ჰსციქჳს და სხჳანიც ეს სა-

სედ განატარე, ვითარცა სრული ზმნა.

ბმანებითი ჰსციქუწდი, ნუ სციქუ, ჰსციქვიდეს ნუ სციქუს, და სხუანი. იპოტეტიკალსა, ვაჲთუ ვჰსციქუდე და სხუანი.

განუსაზღურებელი, ანუ უჩინო ზმნაჲ. მციქვე-ლი. ნამყო სრული, უსრული და უუსრულესი.--ციქული, მყოობადი--საციქუწლი.

სახელ ზმნა--ციქუა, ციქუწბა, ციქვისა.

ნიკოლაოს. რომელთა ეწოდების ზმნათა შო-რის გარე სვლითი?

იო. იმათ უკუწ ეწოდების, რომელნიცა ზმნანი ჰსხუაობენ, სრულსა შინა ე-სა და მყოობადსა შინა უ-სა, არა განიკიდურებენ. მაგალ: ვჰეუფარობდ, ვჰეუფარობდე; აღვისუ, აღვისუა და სხუანი. ხოლო სხუასა შინა დროსა ითქმის ესრედ. მაგალ: გან-ვჰბანე, და მყოობადსა შინა--განვჰბანო და სხუანი. იხილე ვითარცა ზემორე აღვჰსწერეთ.

ნიკოლ. კუალად ზმნათა შორის, რაჲდენი იც-ნობებიან?

იო. ოთხნი რაჲმენი. ესე იგი, პირველად ძი-რი ზმნისა, მეორედ ასონი მაუღლებელნი, მესა-მედ წიგნი მაპიროვნენი, მეოთხედ ნიშანნი გამრავ-

ლნი. მაგალ: შევჰკრავ, ესე არს ძირი ზმნისა, ამისი კვრვა, მაუღლებელი--ა. მაპიროვნე პირველისა პირისა--ვ. ვჰკრავ. და მამრავლე. მაგალ: შევჰკრავთ. და ეს გჳარ გაიგონე სხჳანიც.

ნიკოლ. საზღჳრებითისა სქესისა აწმყოსა დროსა შინა ზმნანი, რომელნიცა მაპიროვნებენ პირჳელსა პირსა, მხოლოობითად უხმოჲთა ასოჲთა რომელ არს მ. ანუ სხჳა უხმოჲ ასონი; მაგალ: მრწამს, მწადს, მიყჳარს, და სხჳანი:

მეორესა და მესამესა რაჲ აპიროვნებს, გინა ამრავლებს, მითხარ, მე?

იო. რომელსაცა ზმნასა აწმყოსა შინა დროსა საზღვრებითისა სქესისასა აპიროვნებს პირსა პირველსა მხოლოობითად, მ. მეორესა შინა აპიროვნებს, გ. და მესამესა შინა ჰ და სხ. მაგალ: მრწამს, გრწამს, ჰსწამს, ანუ სწამს და სხჳანი. აგრეთვე ესეცა ვსთქჳათ მაგალითი. მიყჳარს, გიყჳარს, უყჳარს: მიხრის, გიხრის, უხრის, და ესე უწყოდე: ოდესაც ორი პირი პირველი და მეორე, უხმოს ასოთი მოვალს, მესამე ყოველთჳს ხმოვანით იქმნების, ვითარცა ზემო დავსწერეთ: მიყჳარს, გიყჳარს, უყჳარს და სხჳანი.

ხოლო მამრავლედ და მაპიროვნედ პირველისა პირისი აქჳს, მარცჳალნი ესე. გჳ. გვ, მაგალ: გჳრწამს, გვყჳარს და მეორესა პირსა მამრავლედ აქჳს, თ-ნი და მაპიროვნედ გ-ნი. მაგალ: გრწამსთ, გიყჳარსთ. ხოლო მესამესა პირსა მამრავლედ აქჳს თ-ნი, მაპიროვნედ ჰ-ე და უ-ნი. მაგალ: ჰსწამთ, უყჳართ და სხჳანი.

ნიკოლ. გულ სავსე ვიქმენ. მიბძანეთ ღრამმატიკისამებრ, რაჲ არს ლექსი: ესე მიიღო?

იო. არს ვიდრემე სიტყჳს ნაწილისამებრ ზმნაჲ კანონსა ქჳეშე შემკრდომი. ნათესავისამებრ, შემოქმედებითი. ნაკჳეთისამებრ, მარტივი. სახისამებრ, პირველი სახე. რიცხვისამებრ, მხოლოობითი. პირისამებრ, პირი მეორე. დროსამებრ მყოობადი. სქესისამებრ საზღჳრებითი. უღჳლილებისამებრ, მეორისა უღჳლილებისა.

ნიკოლ. «არა მიიღო» ლექსი ესე, არს სრულისა ჟამისა მესამისა პირისა?

იო. წინამე ეგრეთ არს, გარნა არა თუ იგივეობისამებრ, არამედ სახელ მოდგამობითისამებრ ჴმისა. გარნა ესე უწყოდე: რომელ არა არს კანონიერი უკჳე ზმნა ლექსი ესე, მიიღო, მით რა-

მეოუ, ნიშნავს მეორესა და მესამესა პირსაცა. ოდესცა იტყჳ ესრეთ--მან მიიღო. აჰა მეორე პირი. ხოლო მესამე--იმან მიიღო. და ამისთჳს იწოდა სახელ მოდგამად.

ნიკოლ. რაჲ არს ლექსი ეს--განვასჳწნებინებდეთ?

იო. არს ვიდრემე ზმნაჲ კანონიერი, ნათესავისამებრ შემოქმედებითი. ნაკჳწთისამებრ მარტივი. სახისამებრ მრჩობლ-სხმითი გარდასვლითი. რიცხვისამებრ მრავლობითი. პირისამებრ, პირი პირჳწლი. დროსამებრ, მყოობადი, სქესისამებრ ბმანებითი, უღვლილებისამებრ მეორეს უღვლილებისა, რომელ არს განვასჳწნებინებ.

ნიკო. რაჲ არს ლექსი ეს--ისარა?

იო. არს ვიდრე ზმნაჲ კანონიერი, ნათესავისამებრ უმეშაობითი. ნაკვეთისამებრ მარტივი. სახისამებრ პირველი სახე. რიცხვისამებრ მხოლოობითი. პირისამებრ პირი მესამე. ჟამისამებრ ნამყო სრული. სქესისამებრ საზღჳრებითი. უღჳლილებისამებრ მეორის უღვლილებისა, რომელიცაა, ვისარებ.

ნიკოლ. რაჲ არს ლექსი ესე--გამკე?

იო. არის ვიდრემე ზმნაჲ პირნაკლი პირველისა ხატისა, რომელსა აკლს პირი მეორე. ხოლო ნათესავისამებრ არს ესე შემოქმედებითი. ნაკჳჱთისამერ მარტივი. სახისამებრ პირველი სახე. რიცხვისამებრ მხოლოობითი. პირისამებრ პირი პირველი. დროსამებრ ნამყო სრული. სქესისამებრ საზღჳრებითი. უღვლილებისამებრ მეხუთისა უღვლილებისა, რომელ არს--გამკობ.

ნიკოლ. რაჲ არს ლექსი ესე--მიხსნი?

იო. არს ზმნაჲ უკანანო, რომელ არს პირნაკლი და რომელსა აკლს პირი პირჳჱლი.ნათესავისამებრ შემოქმედებითი. ნაკჳჱთისამებრ მარტივი. სახისამებრ პირველი სახე. რიცხვისამებრ, მხოლოობითი, პირისამებრ პირი მეორე. ჟამისა ანუ დროჲსამებრ, აწმყოჲ. სქესისამებრ საზღვრებითი. უღჳლილებისამებრ მეოთხე უღჳლილებისა, რომელ არს--მიხსნი და მიხსნის.

ნიკოლ. რაჲ არს ლექსი ესე თოვს?

იო. არს ვიდრემე ზმნაჲ პირნაკლი. ხატი მექჳსე, რომელსა აკლს პირი პირველი და მეორე. ხოლო არს ესე ნათესავისამებრ უმეშაობითი. ნა-

კჳფთისამებრ მარტივი, სახისამებრ პირველი სახე, რიცხვისამებრ მხოლოობითი, პირისამებრ პირი მესამე, ჟამისამებრ აწმყო, სქესისამებრ საზღჳრებითი. უღჳლილებისამებრ, მერვის უღჳლილებისა, რომელ არს მაგალითი: თოვს და ესყერ გაიგონე სხჳანიცა.

### სახელ ზმნისათჳს.

ნიკოლ. დია კეთილ. მიბძანეთ მე, თუ რაჲ არს სახელ ზმნა?

იო. საკელ ზმნა არს განრჩევა წოდებით მნიშჳნელი, ქმნისა ანუ ვნებისა და მდგომარე, საშჳალ ზმნისა და საკელისა.

ნიკოლ. ვინადგან არს სახელისაცა და ზმნისაცა საკელ ზმნა ესე, მაშა მდევართა სახელისათა, ანუ ზმნისათა რაოდენთა შეიწყნარებს.

იო. შეიწყნარებს მდევართა სახელისათა ყოველთავე გარდა ნათესავისა, ხოლო ზმნისათა ნათესავისა და ნაკჳფთისა.

ნიკოლ, რომელნი არიან სახელ ზმნანი?

იო. სახელ ზმნანი არიან, ესე ვითარნი ლექსნი, მაგალ: ჭამა, სმა, ქცევა, მოძღჳრება, სუფე-

ვა, ქება და სხუანი.

ნიკოლ. ვინაჲთგან სახელ-ზმნაჲ შეიწყნარებს ნათესავსა ზმნისასა, ვითარ ითქმის მაშინ სახელ-ზმნა შემოქმედებითად, ვნებითად და უმეშაობითად ნათესავისამებრ?

იო. შემოქმედებითად ესრეთ, მაგალ. შეწირვა, მღუდელ-მოქმედება, წერა, კუეთა და სხუანი. ხოლო ვნებითად. ნათლის-ღება, მწერლობა ანუ წერვა, მირონცხება და სხუანი. ხოლო უმეშაობითად ესე გუარ: სუფევა, სლვა, ჯდომა, დგომა და სხუანი.

ნიკოლ. სახელ-ზმნაჲ ვითარ მიიღებს ნიშანთა განმავითარებელთა სქესთამებრ ზმნათასა?

იო. ესრეთ, მაგალ. აღწერა, წარსვლა, მიღ-მოგონება და სხ.

განუსაზღვრებელისა ანუ უჩინოისა სქესისა.

ნიკოლ. ვითარ სხუაობს განუსაზღურებელი ანუ უჩინო ზმნაჲ, სხუათა ზმნათაგან და ანუ ვითარ გუარჳტნებს იგი ქმნასა და ვნებასა თჳსსა და რაჲსათჳს წოდებულ არს განუსაზღვრებელად, ანუ უჩინოდ?

იო. განუსაზღჳრებელად ანუ უჩინოდ ამისთჳს წოდებულ ჰყოფენ, ვინაჲდგან პირსა რომელსამე ვნებასა ანუ მოქმედებისასა ქჳჱ მდებარედ ვერ განუსაზღჳრებელ ჰყოფს. მაშასადამე განუსაზღჳ-რებელი არს. ხოლო წარმოებს ესე სახელ-ზმნი-საგან, რომელიცა ესე განიცჳალების უკჳჱ აწმყოდ და მყოობადად, და გჳაჩჳჱნებს ესე აწმყოსა შინა დროსა ქმნასა ნიშნითა ამით, რომელ არს—ად. ესე იგი. შეყჳარებად, შეკრჳად, აღსოცად და სხჳანი: ხოლო ვნებისა აწმყოსავე დროსა შინა გჳაჩჳჱნებს დამტკიცებითა უსმოჲსა ამის ასოჲსა-თა ვ. მაგალ. აღსოცჳად, შეკრვად და სხჳანი. ხოლო უმეშაობითნი იცნობებიან ეს გჳარ, მაგალ. ხარებად, სუფევად, მიმოსვლად და სხჳანი. და მყოობადსა შინა ნიადაგ ვნებითად წარმოდგების ნიშნითა ამით დი. რომელ არს მაგალ. წერადი, კჳრვადი, შემინებადი და სხჳანი. გარნა სხჳაჲცა უკჳჱ არს ნიშანი უჩინოჲსა აწმყოსა დროსა შინა, რომელ არს, ის. მაგალ. უკეთუ გნებავს შეწყნარების იგი არს ილია, რომელი მოვალს (მატთე: ია. იდ)

### მიმღეობისათჳს, ნაწილი სიტყჳსა 4.

ნიკოლ. რაჲ არს მიმღეობა?

ი.ო. მიმღეობა არს ნაწილი სიტყჳსა, რომელი-
ცა სახელობით დანიშნავს არსებისა საქმეთა, ქმ-
ნათა ანუ მოქმედებათა, გინა ვნებათა არსებითსა
ჟამსა ქუეშე უპიროდ.

მიმღეობა მექონ არს სახელისა და ზმნისა
თჳსებისაცა; მაგალითი. შემოქმედი, დამბადებელი,
ცხოვნებადი, დასაწერელი და სხუანი.

ნიკოლ. მიმღეობა რომლითა ეზიარების ყოველ-
თა ნაწილთა სიტყჳსათა და რომლითა განეყოფის?

იო. ოდესაც ვიტყვით, რომელ მიმღეობა არს
ნაწილი სიტყვისა, მაშინ თქმითა ამით ეზიარე-
ბის სხუათა ყოველთა სიტყვის ნაწილთა: ხოლო
თქმითა ამით, რომელიცა არსებისა საქმეთა, მერ-
მეცა ქმნათა ანუ ვნებათა არსებათასა დაჰნიშნავს
ქუეშე ჟამისა ანუ დროჲსა, ამით განეყოფის სა-
ხელსა, ნაცუალ სახელსა და სახელ ზმნასა და
კუალად ოთხთა მათ უნიშნოთაცა, მით რამეთუ,
სახელი ნაცუალი, და ოთხნიცა იგი უნიშნონი,
არა არიან არსებისა ქმნათა და ვნებათა მნიშვ-

ნელნი, ხოლო სახელ ზმნა დალათუ მნიშვნელ არს ზმნათა და ვნებათაცა არსებისათა, არამედ არა ჟამისა ქცევაშე, ხოლო დართვითა მით უპიროდ განეყოფის ზმნასა, ამად რომელ ზმნასა აქვს უკუქცევ პირი, ხოლო მიმღეობა არა ითქმის პიროვნად, ვინაჲდგან არა ნიშნავს არსებითად პირისა.

ნიკოლ. რაოდენნი არიან თჳსებანი ანუ მდევარნი მიმღეობისანი?

იო. ექვს: ნათესავი, ნაკუევთი, სახე, რიცხვი, დრო და ბრუნვა. ნაკუევთი მიმღეობისა ეგოდენი და ეგე ვითარივე არს, ვითარცა სახელისა და ზმნისა. მარტივი, მაგალ. მეტყუელი. ხოლო ჭრთული მაგალ. წინასწარმეტყუელი, აღწერილი და სხუანი.

სახეცა ეგოდენივე და ეგე ვითარივე, ვითარიცა სახელისა და ზმნისა, პირუელი სახე მაგალ. მოქმედი; მაწუინებელი: სხმით გარდასვლითი მაგალ. მაწუინებელი, მოქმედებითი და სხუანი.

რიცხვი. მხოლოობითი, მაგალ. მეტყუელი, ნაქმარი, საწერი და სხუანი. მრავლობითი მაგალ. მეტყუელნი, ნაქმარნი, საწერნი და სხუანი.

დრონი უჴუჱ მიმღეობისანი არიან სამ: აწმყოჲ, ნამყოჲ და მყოობადი. აწმყოჲს დროჲსა არს შემოქმედებითი, რომლისაცა ნიშანნი არიან მარცჳალავნი ესე თავად დასმულნი. მე, მმ, მო, მაგალ. მეტყუჱლი, მმქმი, მორბედი და სხჳანი. ხოლო ბოლოდ მოსრულნი მარცჳალავნი არიან ესე: ჭი, დი, ვითარცა ზეით, ჭსწერი, მეტყუჱლი, მორბედი და სხჳანი. ხოლო ნამყოჲსა და მყოობადისა დროსანი არიან ვნებითნი; ნიშანნი ნამყოჲსა დროსანი, თავადა ნა. ბოლოდ რი, დი, ჭი, მაგალ. ნაქმარი, ნაწერი, ნამზიდი, დაწერილი, ნამკი, ნახნავი და სხჳანი. ნიშანნი მყოობადისა დროსანი, თავად სა. ბოლოდ ი, ელი, ადი. მაგალთი საწერი, საქები, სანუკარი, სამღერელი, საცმელი, ქმნადი, სჳნადი, სწავლადი და სხჳანი.

ბრუნჳა აქჳს მიმღეობასა ეგოდენივე, რაოდენიცა სახელსა, და იბრუნვის ჭირველისამებრ ვითარცა ბრუნჳაჲ სახელისა. მაგალ. შემოქმედი, შემოქმედისა, შემოქმედს; ქმნილი, ქმნილისა, ქმნილსა: საქები, საქებისა, საქებსა და სხჳანი.

ხოლო უწყოდე ესეცა, ოდეს სახელ-ზმნაჲ იქნების უმეშაობითად, მიმღეობაცა იქმნების უმეშა-

ობითად მაგალ. მეტყჳჱლი, მჯდომარე და სხჳანი. და ოდეს სახელ-ზმნა იქმნების შემოქმედებითად, მიმღეობაცა იქმნების შემოქმედებითი, მაგალ. ჭსჯა, მჭსჯელი, კჳჱთა, მკჳჱთელი და სხჳანი.

ნიკოლ. ვითარ იქცევის მიმღეობა ზმნებრ ხმით-გარდასვლითად?

იო. ესრეთ მაგალ. მავასხებელი, მავასხებინებელი და სხჳანი. და ესე გჳარნი ყოველნი ხმით გარდასვლითნი არიან შემოქმედებითნი და არა უმეშაობითნი. ხოლო თუმცალა მიითვალავს განმავითარებელთა მიმღეობა ვითარცა ზმნაჲ ეს გჳარ: აღმწერელი, წარმსვლელი და სხჳანი. მაგ-რამ ყოველნი მიმღეობანი არიან, ვითა სახელნი ზედ შესრულნი.

ნიკოლ. კითხვისამებრ ღრამმატიკისა რაჲ არს ლექსი ესე თქმულად?

იო. არს მიმღეობაჲ. ულად განკიდურებული. ნათესავისამებრ. ვნებითი. ნაკჳჱთისამებრ, მარტივი. სახისამებრ, პირველი სახე. რიცხვისამებრ, მხო-ლოობითი, ბრუნვისამებრ, წრფელობითი, ჟამისა-მებრ, ნამყოჲ, ხოლო იბრუნვის ეს, მაგალ. თქ-მული თქმულისა.

ნიკოლ. რაჲ არს ლექსი ესე მაწუხებელთა?

იო. არს ვიდრემე მიმღეობაჲ, ვლად განკიდურებული. ნათესავისამებრ, მოქმედებითი. ნაკუჱთისამებრ, მარტივი. სახისამებრ, სხმით-გარდასვლითი. რიცვისამებრ, მრავლობითი. ბრუნვისამებრ, მიცემითი და ჟამისამებრ აწმყოჲ.

ნიკოლ. რაჲ არს ლექსი ესე ღუთის მეტყუელებულად?

იო. ესე ვიდრემე ჰნიშნავს მიმღეობასა, ულად განკიდურებულსა, რომელიცა არს ნათესავისამებრ, ვნებითი. ნაკუჱთისამებრ, რთული. სახისამებრ პირველი სახე. რიცხვისამებრ, მხოლოობითი. ბრუნვისამებრ, მიცემითი. ჟამისამერ, ნამყოჲ.

ნიკოლ. რაჲ არს ლექსი ესე საწერელად? (ანუ საწერელსა)?

იო. არს მიმღეობა, ელად განკიდურებული, რომელიცა არს ნათესავისამებრ, ვნებითი. ნაკუჱთისამებრ, მარტივი. სახისამებრ პირველი სახე. რიცხვისამებრ მხოლოობითი. დროსამებრ მყოობადი და ბრუნვისამებრ, მიცემითი. გარნა იბრუნვის ესრეთ. საწერელი, საწერელისა, საწერელსა.

ნიკოლ. ნუ უმე მიმღეობათა ჰქონან ყოველ-

სა ადგილსა ჟამი და ნათესავი ვითა ზმნასა?

იო. არა. რამეთუ ოდესმე არა იქცევის ვითა ზმნაჱ, არამედ ვითა სახელი, და ითქმიან მაშინ სახელად-ზედშე-სრულად და აქუთ მხოლოდ გარე-მონი სახელისანი, ვითა ზემო გარდმოველით სა-ხელისათჳს.

### თანდებულისათჳს 8-სა სიტყჳს ნაწილისა.

ნიკოლ. რაჱ არს თანდებული?

იო. არს ვიდრემე ნაწილი სიტყჳსა, რომე-ლიცა ნიშნავს გარემოთა არსებათასა, და რო-მელიცა მოეკიდების სახელსა ბრუნვითა და ჰყოფს ცვალებულ მდგომარეობასა მისისა ვედრებისასა, მაგალ. ცათა შინა და ქუეყანასა ზედა არს დი-დება მისი.

ნიკოლ. რომლითა ეზიარების თან-დებული, სხუათა უკუე სიტყჳს ნაწილთა და რომლითა განეყოფვის?

იო. ოდეს ვიტყვით სიტყჳს ნაწილად, ამითი უკუე ეზიარების სხუათა სიტყჳს ნაწილთა. მხო-ლოდ განეყოფვის ამით სხუათა ამათ ყოველთა, რამეთუ ესე არსებისა, გარემოთა დანიშნულ არს

ხოლო სხჳანი რომელნიმე თჳთ თავადისა არსებისა და რომელნიმე ქმნათა და ვნებათა და სულის კვეთებათა ანუ ვნებათა და სხჳანი, სხჳათა და სხჳათა გჳართა მნიშვნელ არიან.

ნიკოლ. თანდებულნი კანონიერთა წერათა შინა ვითარ ისმარებიან?

იო. რომელნიმე წინადაედებიან სახელთა, და რომელნიმე უკან. ხოლო თანდებულნი რომელნიცა წინად მოვლენან და უკან ანუ ბოლოს, დაედებიან სახელთა, მოიკიდებენ სახელთა მათ ანუ ნათესაობითად ანუ მიცემითად, ანუ დაწყებითად ბრუნვილთა. მაგალ. უწინარეს დიდისა მის დღესასწაულისა; წინაშე საყდრისა ღჳთისა; გარეგან ჯოჯოხეთისა და სხჳანი.

ნიკოლ. რომელნი არიან თანდებულნი იგი, რომელნიცა წინა დაიდებიან და რომელნიცა უკან?

იო. არიან შემდგომნი:

| | | |
|---|---|---|
| უწინარეს. | უკან. | წინაშე. |
| ქჳემო. | წინა. | ქჳეშე. |
| გარემო. | შინაგან. | მგრგჳლივ, |
| შორის. | ამიერ. | შემდგომად. |
| იმიერ. | კერძოდ. | პირისპირ. |

ახლოს, გარეგან, ვიდრე და სხუანი.

თანდებულნი, რომელნიც უკან დაესხმიან სახელთა არიან ესენი: არამედ, დამი, დმი, მდე, და, თანა, თჳს, ზა, ხოლო, ესე ორნი: თჳს და ზედა, თავადაც მოვლენ და ბოლოდცა.

ხოლო მარცჳალნი ესე ზემო კსენებულნი, თუმცა არიან აღრიცხულ თანდებულთა შორის, გარნა არიან მაკეთ მიცემითისა ბრუნვისა ნაცჳალსახელთასა.

თანდებულნი, რომელნიცა უკანონოდ დაესხმიან სახელთა, მოიკიდებენ მათ ანუ მიცემითად, ანუ ნათესაობითად ბრუნვილთა. მაგალ. სიყუარული ღუთისა კაცთადმი; ქუწლის მოქმედება მისა მისისა ცოდვილისადმი კაცისა.

ნიკოლ. რაოდენად იცჳალების თანდებული?

იო. სამად: რომელნიმე მაკეთ ბრუნვათა, და რომელნიმე მიმდე ბრუნვისა. ხოლო რომელნიმე რეცა მამკობელ, გარნა არა მხოლოდ სახელთა ზედა, არამედ სხუათაცა ნაწილთა სიტყვისათა დაერთვიან. მაკეთნი ბრუნვათანი არიან ესენი. მაგალ. გან, გამო, მიერ, ესე იგი, მამისაგან, შენგამო, ჩემ მიერ.

მიმღენი ბრუნვისანი არიან ესე. მაგალ. შორის, ზედა, ქუჱშე, ნაცჳლად, მებრ, ახლობრე, გარემზოგ, მარჯულ, ვითარცა, ეგსახედვე. რეცა ესერა, კიდე, შორს, ფარულად, თურთ და სხჳანი მაგალითი. შორის ეკკლესიისა, ზედა საყდრისა, ქუჱშე ჴსჯულისა, სახისა ნაცჳლად. მებრ იოანესა, ახლორე იერუსალიმისად, განრემზომ სიმართლისა, მარჯულ ჩემსა. ვითარცა ნათელი, ეგ სახედ კაცი, რეცა მომღჳარი, ესერა ქალაქი, კიდე პეტრესგან, შორის ჩემგან, ფარულად მისგან, ზედითურთ და სხჳანი.

მამკობელ სახელთა, ანუ სხჳათა ნაწილთა სიტყვისათა, რომელნიცა დაერთვიან არიან შემდგომნი ესე. მაგალ. ცა, ღა, მიღმო, წარ და სხჳანი. ესრეთ, პეტრეცა, უჴფროსღა, მიმოგონება, მიღმოება, მიღმოგონება, წართქმა და სხჳანი. ხოლო ოდესმე ზმნის ზედანიცა დაიდებიან ესე გვარ. მაგალ. აღჳარებცა, წარსულვარღა, მიმოსვრით და სხჳანი.

ნიკოლ. რაოდენნი არიან გარემონი (ესე იგი მდევარნი) თანდებულისანი?

იო. თანდებული უკუჱ არა არს მქონ მდე-

ვართა, მით რამეთუ თჳთ იგი არს მექონ მდე-ვართა, გარნა ოდესმე მიეცემის ნაკჳეთი, მარტი-ვისა, ად, რეთ, ესე იგი, წინად, წინარე, ხოლო ჰრთულისა, დმი, ესე იგი კაცთადმი და სხჳანი. და სხვ. ეს გვარად. მაგალ პირველისა სახისა, წინარე. ხოლო სხმით გარდასვლითისა უწინარეს და სხჳანი. აგრეთვე, რომელნიმე თანდებულნი ის-მარებიან ზმნის ზედათაც და მასლობლობასა კავ-შირსა და შორის დებულსაცა. მაგალ. შორს ჰყავ-ჩემგან საქმე ეგე. უწინარეს უწყოდით თქჳენ და სხჳანი.

## ზმნის ზედისათჳს სიტყჳს ნაწილისა.

ნიკოლ. რაჲ არს ზმნის ზედა?

იო. ზმნის ზედა არს ნაწილი სიტყვისა, რო-მელიცა სქესსა ქმნათა, და ვნებათასა ნიშნავს, და რომელიცა მოეკიდების ზმნასა და განვითა-რებასა მოქმედებასა ანუ ვნებასა მისსა. მაგალ. «უკეთუმცა აქა იყავ, არამც მომკჳდარ იყო ძმა იგი ჩემი.» მრავალ არიან, ჩინებულ და მცირე-დნი რჩეულ; სადა გნებავს და მოგიმზადოთ შენ პასქა იგი: რომელმან, ფრიად შეიყჳაროს, ფრი-

აღცა მიეტევოს და რომელმან მცირედ შეიყუა-როს, მცირედცა მიეტევოს: აწ სული ჩემი შენიჳს დავჴსდევა, და სხუანი.

ნიკოლ. რომელნითა არს ზიარ ზმნის ზედა სხუათა მათ ნაწილთა სიტყჳსათა, და რომელითა განყოფილ?

იო. ზიარ უქუს მათდა არს, ვინაჲდგან ესე-ცა სიტყვის ნაწილი არს, ხოლო განეყოფის ამით, რამეთუ ესე არსებისა ქმნისა და ვნებისა დამნი-შვნელ არს. ხოლო სხუანი არა.

ნიკოლ. გარემოებითნი და მნიშვნელობითნი ზმნის ზედისანი რაოდენნი არიან?

იო. ოცდა ექუს. ესე იგი: 1) ვითარებითი, 2) რაოდენობითი ანუ რიცხობითი, 3) ჟამობითი, ანუ დროებითი, 4) ადგილობითი, 5) შემკრებე-ლობითი, 6) განკიდებულებითი, 7) წართქმითი ანუ დამტკიცებითი, 8) უკუთქმითი. 9) განცხადები-თი, 10) უცხადობითი, 11) კითხვითი, 12) მკსწ-რაფლობითი, 15) სპირობითი, 14) წესებითი, 15) ჩუჳნებითი, 16) იჭჳნობითი, 17) მრჩობლო-ბითი, 18) წინა აღრჩევით, 19) დაყენებითი, 20) უთანამდებლობითი, 21) ანაზღობითი, 22)

მეუდროებითი, **23**) მჴსვავსებითი, **24**) მიმჳწბითი, **25**) საწადი, **26**) განსმნობითი.

ნიკოლ. აღმომიჩინენ?

იო. ვითარებითი: ღამე წავიდა ქალაქად, იდუმალ განუტევა, ცრემლით ევედრებოდა, მე თჳთ უწყი. კეთილად წარემართა და სხუანი. სოლო თჳთო სიტყჳთ შეინიშუნიან ვითარებითნი ესრეთ: ეგრეთ, ესრეთ, სხუწბრ, კარგათ, უმჯობესად, უკეთესად, კეთილად, ავად, ცუდად, უკეთესად, მსუბუქად, მოულოდებელად, გულს მოდგინედ, მჳწნიერად, თურმანობითი ანუ თავაზით, სიფრთხილით, მოყვარულად, კადნიერად, კადნიერებით, გონიერად, სამართლით, ამაოდ, ნამდჳლ, ქებით, ჭეშმარიტად, სიმართლით, უშიშრად, მეუდროდ, მჴნედ, დაჴსჯით, დაუსჯელად, სწრაფად, ქურდობით, ზეპირ, ცხადად, ურთიერთ არს, მარტივად, მრჩობლად, სრულებით სხუა და სხუად; მაგრამ, სამაგელად, მეგობრულად. მტრულად. დასჯილად და სხუანი

რაოდენობითი ანუ რიცხობითი. მაგალ. რაოდენ დამდაბლდა, ეგოდენ ამაღლდა; რაზომ შეიყუარა, ერთჯერ ჴსთქუა ღმერთმან, და ორი ესე მესმა მე... ათასეულნი და ბევრეულნი და სხუანი.

და კჳალად ესეცა, რაოდენ, რაოდენგზის, რაოდენცა, რამითობით, ადლობით, ჟამობით, მოთხრობით, მინუტობითი, სეკუნდობით, გრეობით, ჭიტრობით, ჩრექობით, რაფომით, საპალნობით, კოდობით, სარწყლობით, ეგეოდენ, ეგეოდენმზის, რაოდენმე, იშჳთ, იშჳთად, ხშირად, მოხშირებით, უმეტესად, ყოვლად, მეორედ, მესამედ, ერთ გზის, რიცხჳჱულად, აწეულად, ასეულად, ათეულად, ათასეულად, მრავლად, ბევრეულად, გრძელად, მოკლედ, ვრცლად, ვიწროდ, მჭიდროდ, სქლად, თხლად ზომიერად, უზომოდ, თანასწორედ, უსწოროდ, უხჳად, მჴსთჳად, კმად, საკმაოდ, საყოფად, ბლუჯობით, წონის, და სხჳანი.

დროებითი ანუ ჟამობითი. მაგალ. ოდეს მოხჳჱდ. რა ჟამს გარდამოხედ. მაშინ გაგვანათლენ, აწ შეგვიერთენ, მოლან ბრძანეთ, შარშან აღესრულა, შუაღამეს აღდგა, დილას წარვიდა, შუადღეს მოვიდა და სხჳანი. ეგრეთვე ესენიცა არს დროებითნი. მაგალ. აწ, დღეს, გუშინწინ, ხჳალე, ზეგ, მაზეგ, საღამოს, განთიად, ოდესმე, არაოდეს, ვითარ, რამსწრაფლ, მჳჱლად, ახლად, დილას, იმ დროს, ახლა, შემდგომად, მჴსწრაფლ, მეის, გჳან,

მეოვარ კნინღა, ვიდრემდის, გრძლად, ადრიდგან, უკუნისამდე, საუკუნოდ, უკუნითი, მარადღე, დაუც-რსომელად, დროზედ, ჟამზედ, დროთი, ჯერეთ, დიდხანს. დღისი. ღამე. მწუხრ და სხჳანი.

ადგილობითი. სადა ემიებდა მუნ ჰპოვა. ზეს-თა ამაღლდა. ქჳეშკნელს ჰმთავიდა. ზე ადგა. ქჳე დაჯდა და სხჳანი.

ეგრეთვე: სადა. სადამე. მუნ. მუნვე. სხჳაგან. შინაგან. ქჳე. ქჳემო. სითსე. წინათ. ცალკე. პი-რისპირ, ზე. ზემო. მზე. გარეთ, გარეგან. ორ-გნითვე, შორს, ყოველგან, მარჯჳნივ, მარცხნივ, წინათვე. საკუთრად: მიერით, გარეგან, გარეთ, არა-სადა, მახლობელ, ახლოს, შორით, ბოლოს, და-სასრულ, მარჯჳენით, მარცხენით, წინარე, სწორედ, ამიერ და სხჳანი.

შემკრებელობითი. მაგალ. ერთად ჰსდგეს, ერ-თად ისმარებდეს, ზოგად-იშვებდეს, მრავლად აღმოსცენდეს, ზორად ჰგალობდეს. მწყობრად და სხჳანი. ხოლო თჳთეულად ესრეთ. ერთად, ერთობით, საზოგადოდ, გაურჩეველად, ურთიერთ არს, შეგროებით, მოკლედ, საზოგადოდ, გუნდად, დასად და სხჳანი.

განკიდებულებითნი, ანუ განკერმოებითი. მაგალ. პირად-პირადად შეიმკო, სხჳა და სხჳა გუარ იჩინა. შორის ჴსდგა. ცალცალკე განსაზღვრა. თჳთო-თჳთოდ აღრიცხნა, ერთმანერთს მოარიგა და სხჳანი. და თჳთოეულად ესრეჲ: განყოფით, ცალკე, ცალ-ცალკე, ოდენ, საკუთრად, თჳთოდ, თჳთო-თჳთოდ, კარითი-კარად, ქალაქ--ქალაქად, უბან და უბან, კიდის კიდე, რაოდენმე, მარტოობით, მწირობით და სხჳანი.

დამტკიცებითი ანუ დაფიცებითი. მაგალ. ნუ იყავნ, ესრეთ ჴსთქუა, მართლიად მოუთხრო, ჭეშმარიტად აღმოაჩინა, ნანდვილ დაამტკიცა, ცხადად ასილოგიზმოვა, ამინ ამინ და სხჳანი. და ესრეთცა, ჴო, ნე ნე, ნანდვილ, მართლა, უთუოდ, უსაცილოდ, ესე იგი არს. ჭეშმარიტად და სხჳანი. და ესრედ, დიად, განაღამცა, საკჳრველად.

უკუთქმითი, ანუ დამაყენებლობითი მაგალ. არა შეიყუარა, არა მოვიდა, ნუ იყოფინ, ნუ სადა ჴსთქუას მტერმან, არსად ავნო, არვინ შეურაცხჴყო, არაოდეს მისილავს, ვერ დაგაბჭრობს და სხჳანი. ესე, არა, არა რაჲთმე, ცხადათ, ცუდად, არცა, არაოდენ, ნუ უბრალოდ და სხჳანი.

განცხადებითი. მაგალ. ცხად იქმნა, ცხადად ისაჩინოა, ანჯმნად გამოჴსჩნდა, საჩინოდრე ჴზრასვიდა და სხჳანი. სოლო თჳთ, გულად, ცხადად, დაუფარავად, საჩინოდ, სააჯმნოდ, სასალხოდ და სხ.

უცხადოებითი ანუ საიდუმლოებითი. მაგალ. საიდუმლოდ ამცნო, იდუმალ წარგზავნა, ფარულად იშჳა, ჩჳჱნებით ეზრახა, მდუმიად ეგო, დამალვით დამთა და სხჳანი. ეს სახედვე, თჳთოულად, უცხადოდ, საიდუმლოდ, ფარულად, დამარხულად, მდუმრად, დაცულად, უაჯმნოდ და სხჳანი.

კითხჳთი, მაგალ. რაჲთი მოვიდა? რაჲ ჴსცნა? რაჲ არს? ვითარ რაჲთამე გჳარითა აღესხნა? ნუ უკჳჱ განსწავლულ არს? ნუ უმე ეთქჳას? ანუ არა იტყოდა? მართლად უთქჳამს? და სხჳანი. აგრეთვე ესენიცა ესრეთ. ვითარ, ნუ უკჳჱ, ნუ უმე, რაჲსათჳს, სად, სადით, ოდეს, ვიდრე, ვიდრემდის, რაოდენ, რაოდენგზის, სადამდის, ან რაგჳარ, ვითარ და სხჳანი.

მჴსწრაფლობითი. მაგალ. მჴსწრაფლ წარივლტოდა, მეის განიდევნა, მალე წარიოტა, სწრაფად აღმოიდო, იჩქითად მოიწია და სხჳანი. და ესეცა, თჳთეულად სათქმელი, მსწრაფლიად, მკვირცხლად,

მალიად, ჩქარად, ფიცხად, მყის, დაუყოვნებლად, უგვიანოდ და სხჳანი.

ჴშირობითი. მაგალ. ფრიად ამცნებდა, წევრად იდვა, ხშირად ესხა, დიდრონად ჴსდიოდა, უსჳად მიმადლა, ბლომად აჩუქა და სხჳანი. ესეც: ფრიად დიდად; ყოვლითურთ, მრავლად და სხჳანი.

წესებითი გინა აღსავალობითი. მაგალ. პირ-ველ მიმართა ღმერთსა, პირჳელად არარაჲ სთქჳა, მეორედ ემოძღჳრა, უწინარეს განემზადა, წინად აუწყო, რაჟამს მიიწია, ღირსად მიიღო, სამართ-ლად დაისაჯა, დას-დასად დაადგინა, მწყობრად განაწყო, შემდგომითი შემდგომად განაცხადა და სხჳანი. ეგრეთვე. მაგალ. უპირველეს, უწინარეს, შემდგომად, უზესთაესად, უკანასკნელ, უქჳემოეს და სხჳანი.

ჩჳენებითი. მაგალ. აჰა მოვალს, აჰა ეგერა გეუბნების, ესრეთ არს, ესე ვითარითა სახითა და სხჳანი. აჰა ეგ არს, შესედე და სხჳანი.

იჭჳნობითი. მაგალ. ნუთუ გონებდა, სადმე გან-ვარდა, სადმე გამოიცხადა, თურე იცოდა, კჳალად მოკჳდა, მართლა გასთენდა, ეგების იცოდეს და სხჳანი. ესე, მაგა, ნუ უკჳე, ნუთუ, ნუსადმე, ეგე-

ბის, ნუუმე და სხუანი.

მრჩობლობითი. მაგალ, მრჩობლადრე მოიღო, დატყუბილი იშუა, მერმეცა აღმოიცისკრა, მერმე და მერმე აწარმოა და სხუანი. მაგალ. მრჩობლად, ტყუბად, ლუწად, შეგრეხით, მერმეღა და სხუანი.

წინა აღრჩევითი. უფროს განითქუა, უმჯობეს აღუჩნდა, უმწუჵრვალეს შეირაცხა, უკეთეს იზოვა, კარგა არჩია, კეთილად ჰყო და სხუანი. ეგრეთუჵ ეს გუარ, ამ სახედ, ასე, ამ რიგად, უფრორე, ვითომცა, სამჯობინარად და სხუანი.

დაყენებითი. მაგალ. ნუ გშურს, ნუღარ ჰსცოდავ, ნუვინ ნურარათ დააბრკოლებთ, ნუსადა იგმოს, არვინ ჰსთქუას და სხუანი. ეგრეთცა ნუვინ, ნუსადა, ნუღარა, ჰსდეგინ, წუნარად, უტკენლად და სხუანი.

უთანამდებობითი. მაგალ. ცუდად დაშურა, ამაოდ იქცეოდა, უჯეროდ წარაგო, უმჰსგავსოდ ჰრბიოდა და სხუანი. ესსახედ თჳთვეულად, რად, რასთჳს, ცუდად, ამაოდ, მეტიჩქარად, უბმანებლად, უთქმელად, უჯეროდ, უგუანად და სხუანი.

ანაზდობითი. მაგალ. ანაზდად წარვიდა, იჩქიათად განცოცხლდა. მყის აღსდგა, მუნ თუჵსვე

ამაღლდა, მჴსთჳად აწჳმა, მოულოდნელად დაესხა და სხჳანი. აგრეთვე ესენიცა, მაგალ. მეისად, იჩქითად, ანაზდად, მოულოდნელად, უცებად, მოუგონლად, მჴსთჳად და სხჳანი.

მყუდროებითი. მაგალ. მყუდროდ ვიდოდა, ნელად რბიოდა, მნიად განერა, მლივ ჴსწერდა, მალით აღიარა და სხჳანი. ეგრეთვე მნიად, მჴლი მყუდროდ, წყნარად, მდაბლად, მშჳდად და სხჳანი.

მსგავსებითნი. მჴსგავსად საწმისისა, გარდმოხდა ხატი მონისა, მიიღო სახე მისი ვითარცა კაცისა და სხჳანი. ესე: ვითარცა, ეგრეთ, ეგრეთცა, როგორც, რაგჳარცა, მჴსგავსად და სხჳანი.

მიშვებითნი. წყნარად რონინებდა, ნელნელა ჴრბიოდა, თჳთქმის იქცეოდა, კნინღა დაეცა და სხჳანი. ესე მცირედ, ნელა, ნელიად, ნელნელა, თჳთქმის, კნინღა და სხჳანი.

საწადნი. ნეტართუ გისილო შენ, უკეთუ გინდეს მალგიმს გაწმენდა ჩემი. ვაშა ვაშა ვგალობდე და ვისხენებდე და სხჳანი. ესე, ნეტარ, ნეტართუმცა, უკეთუ, უკეთუმცა, ვაშათუ, ვაშათუმცა და სხჳანი. რაბამ, რაბამად, სატრფოდ და სხჳანი.

განხმნობითნი. ეჴა ესე რა სიმე მოვალს შუა-

ღამესა. ესე არს დღე უფლისა ვიხარებდეთ და ვიშუ̂ჱბდეთ ამას შინა. შაბაშ შაბაშ შენისა მკლავისა ძლიერებასა და სხუ̂ანი. ეგრეთვე, ჰო, ეგ არის, კარგად, კარგია, შაბაშ დ სხუ̂ანი. ხოლო ესენი დალათუ არიან ოცდა ექუ̂ს, გარნა ოთხისა ამას ნათესავისა ქუ̂ჱმე შემოვალნ, რომელ არიან ესენი მაგალ. 1) ვითარებითი. 2) რაოდენობითი. 3) ოდესობითი და 4) სადაობითი.

ზმნის ზედასა აქუ̂ნ მდევარნი ორნი: ნაკუ̂ჱთი და სახჳ. მაგალ. პირველის სახისა, ღამე, დღე. მაგალ. ზმნით გარდასვლითისა. სალამოს, დღისით. მაგალითი მარტივისა, თჳთოდ, ცალკე. მაგალითი ჰრთულისა, თჳთოთჳთოდ, ცალცალკე.

ზმნის ზედანი სახეთა შორის თჳსთა ურთისა წილ დაიდებიან, გარნა მის სახისად ითქმის მაშინ, რომელსაცა გარემოებასა ცხად ჰყოფს.

სახეთა შორის ზმნის-ზედათასა არიან ხმარებულ, თანდებულნიცა, კავშირნი, და შორის დებულნი, გარნა ოდესცა ცხადად ჰყოფენ ვითარებასა ზმნისასა, მაშინ არიან ზმნის ზედად წოდებულნი.

თჳს მეშჳდისა სიტყჳს ნაწილისა, რომელ არს კავშირი.

ნიკოლ. რაჲ არს კავშირი?

იო. კავშირი არს ნაწილი სიტყვისა, რომელიცა მოჰკიდებს ურთიერთს ლექსთა, ანუ სიტყუჳათა და მით წესიერად აღმოჩენილ ჰყოფს. მაგალ. პეტრე და იოანე აღვიდოდეს ტაძრად. მე და მამა ერთ ვართ. პატივ ეც მამასა შენსა და დედასა შენსა, რათა დღეგრძელ იქმნე ქჳჱყანასა ზედა. ნუ ფუცავ ცასა, ნუცა ქჳჱყანასა. პატივ ეც სიბრძნესა, რათა საუკუნოდ მეფობდე.

ნიკოლ. რომლითა არს კავშირი სხჳათა უკჳჱ სიტყჳს ნაწილთა ზიარ, რომლითა განყოფილ?

იო. ზიარ არს ამით, რომელ ესეცა სიტყჳს ნაწილი არს. ხოლო განყოფილ ამით სხჳათაგან, ვითარმედ ესე მოჰკიდებს ურთიერთ არს სიტყჳათა და ნაწილთა მისთა, ხოლო იგინი ვერა.

ნიკოლ. რაოდენად იწვალების კავშირი?

იო. ათორმეტ სახედ, ესე იგი: 1) საერთწმაჴნო, ანუ წმასვნი. 2) განწჳალებითნი, 3) გარმიმღეობითნი ანუ პირისპირ პირობითნი. 4) დაწყებითი. 5) უსრულოებითნი ანუ მიმჳჱბითნი. 6)

წინაღრჩევითი. 7) მიზეზობითი. 8) უკეთუობითი. 9) განმარტებითი. 10) ზედ მოლებითი, 11) მეტნობითი. 12) იჭნობითი.

ა. საერთწმასნო: (*) და, ხოლო, ესრეთუე, ეგრეთუე, ესრეთი, ვითარცა, არცა, ვერცა, ცა, უკუე კუალად, მერმე, მერმეცა, მერმელა, განა, ანუ. ხოლო წერათა ანუ უბნობათა შინა ესე ზემოხსენებულნი უკუე ნიშანნი აკავშირებენ ესრეთ: მივიღეთ წყალობა მეფისა მიერ ჩუენ და ძმათა ჩუენთა. ხოლო ჩუენდა ნუ იყოფინ სიქადულ, გარნა ჯუარითა უფლისათა. ჩუენ ვჰსდგევართ ესრეთუე, ვითარცა პირველ. და თქუენცა ეგრეთუე ეგენით ვითარცა აღთქუთ. ესრეთ მიყო მე უფალმან, ვერცა ამან სოფელმან და არცა სხუამან დაბადებულმან განმაშოროს სიყუარულსა მას ქრისტესსა. მე უკუე ჭირი დავითმინე ვითარცა კეთილმან მოძღუარმან. მორავიდე მე კუალად თქუენდა და სხუანიცა მოვიყუანენ ჩემთანა. განგიტეო შენ მერეი მალგვიძს ქმნად მაგისა მერმეცა. ისილავთ

(*) საერთწმასხნო კავშირად ამისთჳს წოდებულ არს, რამეთუ თჳნიერ წმახჳნისა არა რაჲ დაჰნიშნულ არს, რამეთუ წინა სიტყჳსთანა წმახჳნილიარს შემდგომი სიტყუჲა, ვითარ იგი ცხად არს ზემორე.

თქჳჱნ მერმელა ერთისა და მასვე სახესა. ვჰსდგეთ ანუ წარვიდეთ, გინა კიდე დავაცალოთ და სხჳანი.

განწჳალებითნი: (*) გინა, გინათუ, ანუ, ანუთუ, არამედ, ანუ ხოლოთუ, უკეთუ, ხოლო უკეთუ და სხჳანი.

ხოლო ესენიცა აკავშირებენ ესრეთ: სოფელსა შინა, გონიერი, გინა უგუნური, ორნივე ითხოვენ საზრდოსა. უმადლო არაოდეს იქმნების მადლობელ, გინათუ მისცე ყოველი მონაგრები. ჩჳჱნგან ანუ მეგობართა ჩჳჱნთაგან ჰსცნათ ეგე, ანუ თუ სხჳათა ვისთაგანმე. ვინადგან სწავლა ჰსცჳალებს გონებასა კაცთასა ანუ ისწავე ჩჳჱნგან, ანუ ხოლოთუ გნებავს სხჳათაგან. უკეთუ ითნო განზრახვაჲ ესე სარგებელ-არს შენდა, ხოლო უკეთუ არა ითნო, მიიღო უკვე დაკლებაჲ და სხჳანი.

გარე მიმღეობითნი (*) (*) ანუ პირის პირო-

(*) განწჳალვითად კავშირად ამისთჳს წოდებულ არს, რამეთუ ანუ განჰსწჳალავს საქმესა და ანუ გჳამსა, ხოლო ოდეს რა განჰსწჳალოს საქმე შეიერთოს გჳამი, და ოდეს განჰსწჳალოს გჳამი შეიერთოს საქმე, ვითა იგი ცხად არს ზემორე.

(*) (*) გარ მიმღეობითად ამისთჳს წოდებულ არს, რამეთუ მეორესა სიტყუასა შეჰსცვლის აზრისაგან პირველისა, და ეგრეთ მოჰკიდულ-ჰყოფს მისთანა, და იხსენების შემდგომი იგი სიტ-

ბითნი არიან ესე, მაგალ. არამედ, გარნა, თჳნიერ, მხოლოდ, მარტოდ, სოლო მარტოდ, სოლო არამედ, გარნა, გარნა-სოლო, ვიდრე, ვიდრელა, ვითარმედ და სხჳანი. სოლო აკავშირებენ ესრეთ: უკუჱ ჴსჯულსა ჴსჯი, არა სარ მყოფელ ჴსჯულისა, არამედ განმკითხველ. არავინ არს ღმერთი სხჳა, გარნა მხოლო იგი ერთი ღმერთი. მნებავს თქუჱნ ყოველთა ენათა სიტყჳას უფროსღა, რათა წინასწარმეტყველებდეთ. რამეთუ უფროჲს არს, რომელ წინასწარმეტყუჱლებდეს, ვიდრელა, რომელი იტყოდეს ენათა გარნათუ რათა გამოსთარგმნებდეს, რათა კრებული აღაშენოს. სარწმუნოება თჳნიერ საქმისა კეთილისა მკუდარ არს.

მსახურება კელმწიფეთა კეთილ-არს შენდა, მაგრამ თანა გაძს, რათა ფრთხილ იყო უწყსოსა საქმისათჳს. არა რაჲმე ბოროტი მოატყო თავსა შენსა. იქმოდე მარადის კეთილსა მხოლოდ, და ნურაოდეს იქმ ბოროტსა, ნუ ეძიებ მარტოდ სარგებლობასა შენთჳს, არამედ საზოგადოებისათჳსცა. მონაზონსა თანა აძს მხოლოდ მარტოდ ჴგება

---

უჳაჲ გარემოღებულად წინაჲსა მის შორის სიტყჳაჲსა, ვითარცა ზემორე ცხად არს.

სცნაკსა შინა თჳსსა, და არა არევა ერთათანა. ნუ გსურის მარტოდ სარგებლობაჲ თავისა შენისა-თჳს, ხოლო არამედ მოყვსისათჳსცა. თუმცა ჴელ-მწიფენი მოქადულობენ ძალითა თჳსითა, გარნა ხოლო იგინიცა მოკუდავ არიან. მიეც მოწყალება გლახაკსა უწინარეს ვიდრე თხოვისა. არა მნებავს მოსვლაჲ თქუენთანა, ვიდრელა ყოველნი შევიგინე. მოსე დაჰსწერს სიმართლესა მსაჯულისაგანსა, ვითარმედ რომელმან ჰქმნეს იგი კაცმან ჰსცხონ-დეს მას შინა.

დაწყებითნი (*) არიან ესენი,მაგალ.აწ, ან უკუე, ან ვიდრემე, აწ სადმე, ხოლო აკავშირებენ ესრეთ:

დაჰსცხერ და დაუტევე ამაოებითი გულის თქმა შენი, ვინაჲდგან აწ ჟამი მოწევნულ-არს სიბერისა შენისა. ხოლო კეთილისა საქმე ნუმცა გუეწყინე-ბის, რამეთუ თჳსს ჟამსა მოვიმკით, არათუ მო-ვმედრკეთ; აწ უკუე ვიდრე ჟამი გუაქუსლა ვიქმო-დეთ კეთილსა ყოველთა მიმართ. ვინაჲდგან მე-

(*) დაწყებითად ამისთჳს წოდებულ არს, რამეთუ შემდგომად დასრულებასა ერთისა უკუე ჰაზრისა, დაიწყების პირუელსა ჰაზრსა ზედა. და ამის მეორისა სიტყჳსა თჳთ იქმნების დაწყებაცა, გარნა დასაბამიცა, ვითარცა ზემორე ცხად არს.

ცადინოება ქმნად სხჳათადმი კეთილისა, აწ ვიდრემე ჟამი არს რათა შეუდგე მას. წარსულსა დღეთა შინა გვასწავებდი ჩჳჱნ სულიერსა ჰსწავლასა, ისწრაფე აწ სადმე განმეორებად მისსა.

ე. სასრულონი (*) ანუ მიმჳჱბითნი. მაგალ. დალათუ. დალაცათუ, არათუ, თუმცალა, უკეთუმცა, ხოლო თუმცალა, ხოლო დალათუ, მართალ-არს, ვითარმედ და სხჳანი. ხოლო აკავშირებს ესრეთ: რამეთუ დალათუ, შეგაწუხებენ თქჳჱნ წიგნითა მით არა ვინანი, დალათუმცა ვინანდი, ვხედავ რამეთუ წიგნმან მან დალათუ შეგაწუხნა თქჳჱნ ჟამ ერთ. დალაცათუ ნებსით თჳსით საფლავად შთახედ უკჳდავო, არამედ ჯოჯოხეთისა ძალი დაარღჳე. არათუ ბრძანებით გეტყჳ, არამედ სხჳათა მოსწრაფებისათჳს. თუმცალა ითნებთ ჩემ მიერ წინა დადებასა და გნებავსთ აღსრულებაცა მისი, გარნა ვეჭუ ამასზედა, რომელ სხჳათა სათნო ყოფითა დაუტეოთ იგი. უკეთუმცა უფალო ჩჳჱნო ინებოთ ესე, მაშინ იქნებით მადლობელ ჩემდა.

---

(*) სასრულოდ ამისთჳს წოდებულ არს, რამეთუ ჰაზრსა და სიტყჳსა უტევებენ უსრულად, და შემდგომისთჳსს სხჳასა რაჲმესა სიტყჳსა ითხოვს, და ეძიებს, რათა მით სრულ იქმნეს ჰაზრი.

ვ. წინა აღრჩევითნი (*) ანუ მიშჳებითნი. მაგალ. ვიდრეღა, ვიდრე, ვირე, უკეთუმცა და სხჳანი. ხოლო აკავშირებენ ესრეთ: სიმდაბლეჲ უფროჲს შჳენის დიდ შემძლესა, ვიდრეღა ამპარტავნებაჲ. უმჯობეს არს ქორწინება, ვიდრე განხურვება. აცადეთ მაგას საქმესა, ვიდრე მოვიდეს მეგობარი შენი. რომელი იგი არავინ მთავართაგანმან ამის სოფლისამან იცნა, რამეთუ უკეთუმცა ეცნა, არამცა, უფალი იგი დიდებისა ჯჳარს ეცჳა და სხჳანი.

ზ. მიზეზობითნი (*) (*) მაგალ. რამეთუ, ამისთჳს, ნაცჳლად, ნაცჳალწილ, მებრ, მსგავს, ვინაჲცა, ნუ უკჳე, ნუ უმე, ოდეს, სადა ოდესმე, ვიდრემე, ვიდრემდის, ვინაჲდგან, რათა არა, რათა, მაგისთჳს, მით რამეთუ, ამისთჳს ვიდრემედ, მით რო-

---

(*) წინა აღრჩევითად ამისთჳს წოდებულ არს, რამეთუ წინათ თქმულსა საქმესა უმჯობეს კეთილ აღხარჩევს და აჩჳენებს ვიდრე მეორესა.

(*) (*) მიზეზობითად ამისთჳს წოდებულ არს, რამეთუ შემდგომსა სიტყჳასა ეგრეთ გჳაჩჳენებს, ვითარმედ იყოს მიზეზი პირველისა სიტყჳსა, მაგალ. იხარებდით ჩჳენთანა, რამეთუ იპოვა წარწყმედული დრაჰმა. აქა შემდგომი სიტყჳაჲ, რომელი «იპოვა» არს მიზეზი წინაჲსა სიტყვისა, რომელ არს «იხარებდით.»

მელი, ამად, რომელი, რათამცა, რათამცა არა და სხუანი. სოლო აკავშირებენ ესრეთ: რამეთუ ჩუენ ყოველნი წარდგომად ვართ წინაშე საყდარად ღმრთისათა, და ამისთჳს თანა გუამს, რათა ნაცულად ბოროტისა ვიქმოდეთ კეთილსა. ნუ ექმნები კაცსა ცრუსა თავდებ საქმეთა შინა, რათა არა ნაცუალ მისა მიგიღონ შენ აღნათქუამი იგი. მწუალებელთა უმეტეს წესად აქუსთ სიმდაბლისა წილ მზუაობრობაჲ, სოლო მართმადიდებელთა მზუაობრობისა სიმდაბლე. იქმოდე ყოველსავე საქმესა პატიოსანთამებრ კაცთა და არა ცრუთამებრ. ნუ მსგავს იქნები ურმათა მონებით, არამედ სისწრფოებით. მიუგებდე ჭეშმარიტად ოდეს გკითხჳდეს მეგობარი შენი. ჰრქუა მას, პირისა შენისაგან გსაჯო შენ მონაო ბოროტო, იცოდი რამეთუ მე კაცი ვარ სასტიკი, მოვიღი სადა არა დავსდვი, და მოვიმკი სადა არა დავთესდი. რამეთუ იყუენით ოდესმე ბნელ, სოლო აწ ნათელ ხართ უფლისამიერ. აცადეთ აქა ვიდრემე მოვიდე და მოვიუხნენ სხუანიცა ჩემთანა. ისწავეთ სიბრძნე ვიდრემდის ვიყო თქუენთანა. მუშაკი ღირს არს სასყიდლისა თჳსისა, ვინაჲდგან ესოდენ დაშურა ამას

შინა. მომეცა მე საწერტელ ხორცთა ანგე-ლოს სატანა რათა არა აღვიმაღლო. რამეთუ ყო-ველივე თქჳჱნთჳს არს, რათა მადლი იგი აღე-მატოს მრავალთათჳს, და მადლობა იგი გარდაე-რიოს სადიდებელად ღჳთისა. მესმის თქჳჱნი უკ-ჳჱ გულს მოდგინება სწავლათა სიბრძნისა, და მაგისთჳს მოვივლინეთ თქჳჱნ მომღჳარი ესე, რათა უმეტეს მოგცეს თქჳჱნ შემეცნებაჲ სიბრძ-ნისა. მემთვრალესა არა მალუმს ჰატიოსანთა გჳამ-თადამი ქცევაჲ, მით რამეთუ ვნებანი იგი მისნი არ უტევებჱნ მას. მცონარება არს დასაბამი ყოვლისა უბედურებისა, ამისთჳს ვითარმედ იგი ვითარცა მოაუძლურებს ჴორცსა, ეგრეთვე სულსა. მიუტევჱნ კაცთა შეცოდებანი მათნი, მით რომელ შენცა კა-ცივე ხარ. შეგიყჳარა შენ სულმან ამად, რომელ-კაცი ხარ სასიერი. ვიქმოდეთ უკჳჱ კეთილსა, რათამცა სათნო ეყოს ღმერთსა. ნუ ვიქმთ ბო-როტსა, რათამცა არა გვგმობდენ მოყჳარენი ჩჳჱ-ნნი და სხჳანი.

ნ. უკეთურობითნი (*) (თურობითნი ანუ ჰირობი-

(*) უკეთურობითად ამისთჳს წოდებულ არს, რამეთუ უკეთურდ სახებენ სიტყჳსა, და უკეთურდ უტევებენ.

თნი) არიან ესე: თუ, თუ სამე, უკეთუ, ოდეს, ოდესცა, ოდენ, სხჳებრ, უკეთუ არა, ხოლო თუ მერმელა, ხოლო უკეთუ, არა, უკეთუ არა და სხჳანი. ხოლო აკავშირებენ ესრეთ: ისწავებ სიბ-რძნესა თუ არა. გინდეს თუ სადმე სცხონდე. არა გჳრგჳნოსან იქმნების, უკეთუ ჴსჯულიერად არა იღჳაწოს. და ოდეს ისადილეს ჰრქჳა სჳმონ პეტრეს იესო, სჳმონ იონასო! გიყჳარ მეა უფროს ამათსა? მე მაშინ შევრაცხ თავსა ჩემსა ბედნიერ, ოდესცაოდენ ვიქნები ყოველთა უკვე კაცთაგან საყჳარელ. ჭეშმარიტი მოძღჳარი სხჳა და სხჳე-ბრ ასწავებს კეთილსა მოწაფესა თჳსსა. ნუ იქმ მალიად საქმესა, უკეთუ არა განიცადო იგი მარ-თლად. არა მნებავს ცილობის, ხოლო თუ ცი-ლობის მინდეს ვიტყოდე კადნიერად. პირჳელ სხჳათ მიერ გამცენ და მერმელა მე და არცა ერთსა გჳსმინე სარგებელი შენი. ხოლო უკეთუ ვინმე გსადის თქჳენ ურწმუნოთაგანი, და ნებავს მისვლაჲ, ყოველივე წინა დაგებული თქჳენი ჴსა-ჭეთ და ნურარას განიკითხვით იჭვისათჳს. არა ვინ არს მართალ, გარნა ღმერთი მხოლო. უკეთუ ისმინოთ ჩემი, კეთილსა ქჳეყანასა ჴსჭამდეთ.

ხოლო უკეთუ არა ისმინოთ ჩემი, მახვილმან შეგ-ჭამნეს თქჳჱნ, რამეთუ პირი უფლისა იტყოდა ამას.

თ. განმარტებითნი (*) არიან შემდგომნი ესე, მაგალ. ესე იგი, რეცა, ესე იგი არს, ესე არს, ესე არს ესე, ანუ, გინა, მაგალითებრ. რომლითა მაგალითითა, ვითარცა, ვითა, რომელ, რომელ-არს, და სხჳანი. ხოლო აკავშირებს ესრეთ: მაგალ. რომელი გარდმოხდა ზეცით ჩჳჱნთჳს ძე ღჳთისა იესო ქრისტე. ესე იგი: მაცხოვარი ცხებული და ესე აღადგენს მკჳდართა ვითარმედ რეცა ღმერთ ყოფს მათ. იქმნა ორთაგან ერთი, ესე იგი არს ღჳთაებისაგან და კაცებისა. ხოლო ერთი იგი ორთავე შინა ბუნებათა იცნობა ჭეშმარიტებით. ესე არს ესე საღმრთოსა შინა, და კაცობრივსა. ესე არს დღე უფლისა, ვიხარებდეთ და ვიშჳჱბ-დეთ ამას შინა. სიყჳარული არასადა დავარდების გინათუ წინასწარმეტყველებანი განქარდნენ, თუ ენანი დაჲსცხრნენ, გინათუ მეცნიერებანი განქარდნენ. ნე-ბა ღჳთისა ერთ არს და ნებებულ მრავალ. ვი-თარცა მაგალითი: ხედვა თჳალისაგან ერთ არს

(*) განმარტებითად ამისთჳს წოდებულ არს, რამეთუ შემდგომი-სა სიტყჳსა ვითარ ცხადმყოფელად პირჳჱლისა სიტყჳსა მაჩ-ჳჱნებელ არს.

და სილულ მრავალ. სიმდიდრე თუ გარდაგერეოდეს ნუ შეაპყრობ გულსა შენსა, მით რამეთუ ანგაარება არს ძირი ყოვლისა ცოდვისა, ვითარცა იტყვის მოციქული. მაგალითებრ, ვერცა ანგაართა სასუფეველი ღჳთისა დაიმკჳდრონ. უბნობ თქჳჱნ, რომელ მჳჱლთა წერილთა უმჯობეს არიან ახალნი წერილნი. მითხარ მე, თუ რომლითა მაგალითითა დამიმტკიცეთ მე. ვითარ განდიდნენ საქმენი შენი ღმერთო, და ყოველივე სიბრძნით ჰქმენ სოფლისა ამის ამოვნებაჲ. ესრეთ სათანადო არს შერაცხჳად, ვითა განქარვებადი. საღმრთოსა ალითა აღტყინებულმან წმინდამან დედოფალმან ქეთევან, არარად რაცხა ქადილი ბილწისა შაჰბაზისნი და არცა ჰრიდა რისხჳასა მისსა, და ვადიდოთ ჩჳჱნ ღჳაწლი მისი, რომელ არს მეოხ წინაშე ღჳთისა ჩჳჱნ ყოველთათჳს და სხჳანი.

ი. ზედმოღებითნი, (*) ანუ კიდურმდგომებითნი მაგალ, სადამე, სამე, აწ, მაშასადამე. აწ სადამე, ანუ არა, მაშა, ვინა, ამისთჳს და სხჳანი. სოლო აკავშირებენ ესრეთ: ვინაჲდგან განბანილ სარ

(*) ზედ-მოღებულად ამისთჳს, წოდებულ არს რამეთუ შემდგომსა სიტყჳსა საჭიროდ შედგომილად და ზედ-მოღებულად პირველისა სიტყჳსა იჩჳჱნებს.

წმიდითა საბანელითა, გიღირს სადამე შეუმწიკვლად დაცუაჲ საბანელისა. ხოლო ვინაჲდგან შეუმწიკვლოდ ღირს შენდა დაცუაჲ საბანელისა, ბეჭედიცა სამე კამს შენდა შეუმწიკვლოდ. ხოლო აწ ქრისტეს იესოს მიერ თქუჱნ, რომელნი ეგე ოდესმე იყჳჱნით შორს, იქმნენით მახლობელ სისხლითა მით ქრისტესითა. და ვინაჲდგან აწ არა შორავ შენ, მაშა სადამე განგიმზადებიეს კონებაჲ შენ დაახლოებად მისა. ხოლო აწ სადამე თანაგამს, რათა იყო ფრთხილ, რათა არა იპოოს მტერი ეშმაკმან და განგაშოროს მას. ვინაჲდგან ნანდჳლ მეობაჲ მივიღებიეს ღუთისა, ანუ არა ვიტყჳთ? მამაო ჩუჱნო რომელი ხარ ცათა შინა, აჰა მადლით მეობილნი ვართ სადამე ღუთისა. მაშა ვეგნეთ მეობასა ღუთისა და ნუ ვიქნებით მე ეშმაკისა, და შეუდგეთ მას, ვინა გვიხსნა ჩუჱნ სიკუდილისაგან და ივნო ჩუჱნთჳს, ჩუჱნცა ამისთჳს თანა გუამს, რათა ვივნოთ მისთჳს.

ია. მეტნობითნი (*) არიან ესენი, მაგალ. უკუჱ, ვიდრემე, ვინა, ხოლო, რა, ლა, სადამე, მცა,

(*) მეტნობითად ამისთჳს წოდებულ არს, რამეთუ არა რაჲსამე დამნიშვნელარიან სიტყჳსა, რომელისაცა არიან მაკავშირებელნი, გარნა არცა დაისმიან განურჩეველად სახმარ ჭყოფად არამედ არი-

რე. ხოლო აკავშირებენ ესრეთ: არა მცირე უკჳჱ შრომაჲ მივიღე ჴსწავლასა შინა ფილოსოფოსობის, რათა ზედ მიწევნით გამოვსცნო მალი მისი, და შენცა ვიდრე: თანა გამს შრომაჲ ჩემთანა ამას ზედა, ვინა და სხჳათაცა ეკმს ჩჳჱნთანა მოწაფე ყოფად, მე მაშინ ხოლო ვიქცეოდე სასწავლოთა შინა, ვისწავებთ და ვასწავებთ. ხოლო ოდეს რა ვიქცეოდი მომღჳართათანა, ვაქებდი და ვიქებოდი. შესჳლასაველა ჩემსა გაქჳნდა ეს გჳარი გულს მოდგინება, რომელ მოკლესა ოდენ ჟამსა, სრულ სადამე მეცნავი ვიქმენ ყოველთა სწავლათა და მესმნამცა მიზეზ გულს მოდგინესა იგი სხჳათაცა უკჳჱ სწავლათა, და უფრორე ამით გაბრმანდა მონებაჲ ჩემი.

იბ. იჭნობითნი, (*) ანუ მიმყოვრებითნი. მაგალ. ნუ უკჳჱ, ნუ უმე, ნუ სადა, გარდა, გარდა ამისა, სხჳჱბრ, კჳალად, შემდგომად, უკანასკნელ და

---

ან მეტნობითად, ანუ ჩჳჱულობისათჳს, ანუ კმთილ-წერისათჳს, და ანუ თუ ადვილად დაწყებისათჳს სიტყჳათასა, ვითა ზემორე საცნაურ არს.

(*) იჭნობითად ამისთჳს წოდებულ არს, რამეთუ წინამღჳარისა სიტყჳსა დალათუ არს, დამნიშჳნელ, მაგრა უფროს მოქმედ-არს შემდგომისა სიტყჳსა. გარნა მიუწთომილებისათჳს, ბელისა საჭიროდ ალმოაჩენს შემდგომსა უკჳჱ სიტყჳსა;

სხჳანი. ხოლო აკავშირებენ ესრეთ: კეთილმან ღჳაწლმან მაგან, თქჳჱნგან ნუ უკვე ამაოდ განვლო. ნუ უმე-მართლად უბნობდე მაგას, ნუ სადა განმეშორები ჩემგან. გარდა კიდე მაგისა სხჳა რაჲ იცი. გარდა ამისა უწყი, რომელ მრავალნი სხჳა და სხჳჱბრ უბნობენ შენთჳსა, მაგრამ კჳალად მაქჳს იმედი, რომელ შემდგომად, ანუ უკანასკნელ უფრო კეთილად წარემართოს ღჳაწლი ეგე თქჳჱნი და არა იქმნეს ამაო.

ნიკოლ. ვითარ გონებთ, კავშირთა ემდევრების ნაკჳჱთი, ანუ მარტივი, ანუ ჭრთული ლექსი, ვითარცა სხჳათა სიტყჳს ნაწილთა?

იო. კავშირთა უკჳჱ ემდევრების ნაკჳჱთი. მაგალ. მარტივისა ესრეთ: ვითარ, ცა. ხოლო ჭრთულისა, მაგალ. ვითარმცა, ამისთჳს, ვითარმედ და სხჳანი. ხოლო კავშირნი სასხეთა შორის თჳსთა ურთიერთარს იცჳალებიან, გარნა მისდა იცნობებიან, რომლისაცა არს ჭაზრი. აგრეთვე სასხეთა შორის კავშირთასა შემოღებულ არიან თანდებულნიცა და ზმნის-ზედანი, გარნა ოდეს ესენი მოჭკიდებენ ურთიერთ არს ლექსთა ანუ სიტყჳათა, მაშინ არიან კავშირ.

ნიკოლ. კავშირსა შინა ვითარ მოქმედებს (და) ლექსთა შინა?

იო. ესთა ვიდრემე, მაგალ. სათნოებად სად-მრთოდ იწოდებიან, სარწმუნოება, სასოება და სიყვარული. ხოლო აქა იხილე, თუ ვითარ იქმნა დ, ა-ნისა შეწებება ლექსთა.

ნიკოლ. ვითარ ამოქმედებს «ხოლო» სიტყუათა?

იო. ესრეთ უკუჱ, მაგალ. დაღათუ ყოველნი დაბრკოლდნენ შენდა მომართ ამას ღამესა, რომელი არა არს ესე შესრულებულ-დაღათუ სიტყუა არს და გარმიმდეობითითა შესრულდების კავშირითა ესრეთ: ხოლო მე არასადა დავბრ-კოლდე.

ნიკოლ. რომელნი არიან კავშირთანი, რომელ-ნიცა სხუათა და სხუათა სახეთა ქუეშე დაიდებიან?

იო. არიან შემდგომნი ესე: მაგალ. პირველი, ხოლო მეორე, ანუ მესამე, გინა, მეოთხე, ვიდ-რემე. პირუელი უკუჱ არს საერთწმასხნო, და და-იდების განწუალვითისა ქუეშე და მიმდეობითისა, ხოლო მეორე, მესამე არიან კავშირნი განწვალვი-თნი და სიტყუასა შინა დაიდებიან საერთწმასხნო-დცა. ხოლო მეოთხე არს ზმნის-ზედა დროებითი,

და სიტყუასა შინა კავშირად მეტნობითად დაიდების,

ნიკოლ. რაჲ არს ლექსი ესე, იდუმალ?

იო. ოდესმე იქმნების თანდებულად, მიიღოს რა მიებაჲ და ოდესმე არს ზმნის ზედაჲ, უცხადოებითი.

ნიკოლ. რაჲ არს ლექსი ესე კუალად?

იო. ოდესმე არს ზმნის ზედა მრჩობლებითი, მოეკიდოს რა ზმნათა და ოდესმე კავშირი საერთწმახნო.

ნიკოლ. რაჲ არს ლექსი ესე აწ?

იო. არს ვიდრემე ზმნის-ზედა ჟამობითი და ეგრეთვე დაწყებითი კავშირი.

ნიკოლ. რაჲ არს ლექსი ესე რა?

იო. არს ვიდრემე ზმნის-ზედა კითხვითი და ეგრეთვე მეტნობითი კავშირი.

იო. რაჲ არს ლექსი ესე, ვინა?

იო. არს ვიდრემე ზმნის-ზედა ადგილობითი და კავშირი მიზეზობითი.

ნიკოლ. ლექსი ესე, უფროს, რაჲ არს?

იო. არს ზმნის-ზედა წინა-აღრჩევითი და სშიროებითი.

ნიკოლ. ლექსი ესე, უწინარესი რაჲ არს?

იო. არს ვიდრემე ზმნის-ზედაჲ ქამობითი და წესებითი.

**თჳს მერვისა სიტყჳს ნაწილისა, რომელ არს შორის დებული.**

ნიკოლ. რაჲ არს შორის დებული?

იო. შორის დებული არს ნაწილი სიტყჳსა, რომელიცა მხოლოდ ოდენ ბუნებითითა ნაწევრობითა კმითა დაჰნიშნავს ვითარსამე ვნებითსა სულისასა, მაგალ. ვაჲ, რამეთუ დამადენით კლიტენი მეცნიერებისანი. ჵი! უბადრუკსა. ჵიმე! რას შევესწარ! ვითარ განვერე ბარბაროზთაგან! და სხუანი.

ნიკოლ. შორისდებული, რომლითა არს ზიარ სხუათა უკუჱ სიტყჳს ნაწილთა და რომლითა განყოფილ?

იო. ამით არს ზიარ, რამეთუ ესეცა სიტყჳს ნაწილია. ხოლო ამით განყოფილ, ვინაჲდგან ესე საკუთრად ჰნიშნავს ვნებითსა მოძრაობასა სულისასა.

ნიკოლ. მნიშუნელობითნი შორის დებულისანი რაოდენ ჰგუარობენ?

იო. სხჭა და სხჭა გჭარ, ესრეთ!

ა. განკჳრვებითნი არიან ესე: ეჳა, ოჳ, ჵი, რაბამ, აი, ოლოლო და სხჭანი.

ბ. დამტკიცებითნი: ჳო, აგრე, დიაღ, ჵო ჵო და სხჭანი.

გ. სალმობითნი: ვაჲ ჵი, ვაჲმე, ჳოიმე, უჳი, უი, უჳ, ვაჲ, ვიმ, ჵიმე, ვაი ჩემდა, უკეთუ და სხჭანი. ხოლო ესენი შინაგან მგზნებარედ და ვალალებითადაც ითქმიან.

დ. ღაღადებითნი: ოჳ ჵი, ჵი ღმერთო!

ე. წოდებითნი: ეჳა, ნეი, ნეი ნეი, ჵი შენ!

ვ. ჭირდობითნი ანუ მასხრობითნი: ეჳა, ჳა, ჳა ჳა, ნე, ნეი, ნეი ნეი და სხჭანი.

ზ. დადუმებითნი ანუ იდუმლობითნი: სუ, სუ სუ, ნი ნი, დუმენ, დუმენინ, ნუ ჩემსთ და სხჭანი.

ჱ. შეურაცხებითნი, ანუ სირცხჳთნი: ფუ, ფუ ფუ, ავი შენს თავს და სხჭანი.

თ. განმხმობითნი: კაი, მაშა, მაშა მაშა და სხ.

ი. უსამხობითად: ვიი, ფუუ უხამსი, უგუანი, შეურაცხი, უმსგავსო და სხჭანი.

შეწყალებითად: საწყალობელი, საბრალო, ვაჲ, ელას, ჵიმე და სხჭანი,

იბ. სანეტარონი შორისდებულნი (*) არიან ესენი: ნეტარ, ნეტარ თუმცა, ვაჲ ვაშა, ნეტარმი, ნეტამც და სხუანი.

ხოლო შორის დებულთა შორის არიან სმარებულ ზმნანი ბმანებითისა სქესისანი და ზმნის ზედანიცა მაგალ. წამოდეგ მორს და სხუანი.

### სინტაქსისათჳს ანუ აღნაქუსისა.

ნიკოლ. მითხარ მეორე ნაწილი გრამმატიკისა რომელ არს სინტაქსის, ანუ აღნაქუსი, თუ რაჲსა შინა სასმარ არს?

იო. სინტაქსი ანუ აღნაქუსი არს ნაწილი გრამმატიკისა, რომელიცა ასწავებს თანჴმობასა შეწყობასა შინა ნაწილთა სიტყჳსათა. აღნაქუსი უკუჱ არს სამ გუარ: 1) მარტივი, ანუ კანონიერი, ანუ საზოგადო, 2) ჴელოვნებითი, ანუ რი-

---

(*) შორის დებულად ითქმის განწყალება, მით რამეთუ შორისდებულისა რა აღირიცხნის ათორმეტნი უკუჱ სახენი, მაშინ ესე არს განწყალება, რამეთუ სხუათა და სხუათა გუართა ენებათა სულისათა შეგვამცნებენ ჩუენ, ხოლო აღმოჩინება არს ოდეს რა კმა ყოფით გამოილის ოხრითა, და კმა-შემოსვითა და მცნობელობათაგან წარმოდგების ესე გუარი გამოჩინება, და ესე ორნივე იხილვებიან ერთად ზემორე.

ტორული და 3) უსჳ-სიტყჳაობითი, ანუ შჳჱნიერ სიტყჳაობითი.

1) მარტივი აღნაქჳსი არს, რომელიცა შეუდგების საზოგადოსა ჩჳჱულებითსა საუბარსა.

2) კე[illegible]ოვნებითი ანუ რიტორული აღნაქჳსი არს, რომელიცა კანონთაგან თანხმობისა სიტყჳს ნაწილთასა გარდასდების და აღემატების ძალითა ანუ დამტკიცებითა ანუ შეცჳალებითა კეთილ მეთქჳჱობისათა.

3) უსჳ-სიტყჳაობითი უკანასკნელ აღნაქჳსი არს, ოდესცა გარდა მართლისა თანჴმობისა, ანუ აღნაქჳსისა ლექსთასა, ხმარებულ იქმნების რომელიმე შჳჱნიერ სიტყჳაობითი უსჳ-სიტყჳაობა.

და ამისთჳს უპირველესი თანხმობა არს გრამმატიკისა, რათა სინტაქსისა შინა გარდმოსცეს პირველად მარტივი თანხმობა ლექსთა ჴმარებული საზოგადოსა ჩჳჱულებითსა შინა საუბარსა და მით ორთა მათ უკჳჱ უკანონოთა თანჴმობათა მეტნი მოსპნეს და ნაკლულოვანნი აღავსნეს და აღრეულნი დააწყჳნეს და შესამემცნებელად მოიყჳანნეს მნელნი იგი სჳანჯნი.

### თჳს თანხმობისა ნაწილთა სიტყჳსათა.

ნიკოლ. ზემოხსენებულნი უკჳე რვანი სიტყჳს ნაწილნი, მოვლენან რა ერთმანერთისადმი შეწყობად სიტყჳსა, მაშინ რაოდენითა ალამითა ანუ გჳარითა ღირს თანხმობაჲ მათი ურთიერთისად?

იო. ოთხითა უკჳე გჳარითა, ესე იგი, პირველად ზმნისა სახელისათანა და ამით ჯერ არს ვიდრემე თანხმობაჲ ურთიერთისა რიცხჳთ და პირით, მაგალ. მე ვჰსწერ, თქჳენ აღმოიკითხავთ, და იგინი ისმენენ, ანუ ესრეთ: ვისწავეთ თქჳენგან სიბრძნეჲ. აჰა, აქა უკჳე შეისწავების მალითად ნაცჳალ სახელი ესე ჩჳენ.

მეორედ შეხჳდების უკჳე სახელი სახელისათანა ანუ სახელნი-არსებითნი და ზედ შესრულნი ურთიერთ არს, ხოლო ყოველი პიროვანი ზმნა კანონიერი, თანხმავებს ორთა სახელთა ერთსა წინარე დადებით, ხოლო მეორესა შემდგომითი. მაგალ. მდაბალი შეიძინავს მეგობართა. მართალი დაიმკჳდრებს სასუფეველსა. და ესთავე სათანადოჲ თანხმობა რიცხჳთა და ბრუნვათა, მაგალ. შეუდგე კეთილსა საქმეთა, ანუ ესრეთ. მაგალ. მეფე ირა-

კლი გჳრგჳნი თჳსთა. ვინდ ესრეთ: კაცი ბედნიერ იქმნების სწავლულებისაგან და სხუანი. ხოლო უწყოდე ესეცა, ოდე სახელი თავს დაიდების, ზმნასა ეწოდების უვალი ზმნისა, ხოლო რომელიც ბო- ლოს ზმნისა დაიდების სახელი, იწოდების მიე- ბად ზმნისა, ამისთჳს ვინაჲდგან პირუტლი იგი- სახელი არს მნიშუნელი მოქმედისა, ხოლო მეო- რე იგი მნიშუნელი ვნებულისა.

მესამედ შესუდებიან უკუწ ურთიერთ არს კულა- მოდებითნი ნაცუალ სახელი და წინა-მსრბოლი იგი სახელი, რომელი კულად მოიდების, და ამით ვიდრემე ჯერ-არს თან-ხმობაჲ მხოლოდ რიცხჳ- თავე. მაგალ. საქმეთაგან, რომელნი დაუყენებულ არიან იქმენ. ანუ ესრეთ, მაგალ. მეფე ირაკლი, რომელიც გჳრგჳნი თჳსთა იყო მას ვაქებ და სხ.

მეოთხედ შესუდებიან უკუწ ურთიერთ არს; კითხუა- მიგებაჲ და ამათი ვიდრემე ჯერ-არს თან-ხმობაჲ ბრუნვათა, მაგალ. რომლისაგან მიიღო სწავლაჲ ეგე? მოძღუართაგან ჩუენია ანუ მამისაგან ჩემისა.

ნიკოლ. მარადის საჭირო-არს ზმნისად ქონე- ბაჲ სახელისა თჳსისა მოქმედებით?

იო. არა მარადის, არამედ მოქმედებითი მაგალ.

პეტრე ეზრახა. ხოლო ოდესმე იქმნების მალით, ეზრახა მათ და ეტყოდა, ხოლო ოდესმე იქმნების ზედ-მესრული იგი მოქმედებითი მალით. მაგალ. მშჳდი მიიზიდავს თჳსდამი გულთა ერთისა: (ესე იგი კაცი მშჳდი). ხოლო ვითარცა ოდესმე სახელი ზმნისა იმეცნების მალითა, ეგ სახედვე ზმნაჲცა იმემცნების საკელითა, მაგალ. ჩუჱნ უძლურ, ხოლო თქუჱნ ძლიერ. (ესე იგი ჩუჱნ ვართ უძლურნი, ხოლო თქუჱნ ხართ ძლიერნი.)

ნიკოლ. ვითარ ჰგონებ შენ, საჭირო არს რათა საკელი ზმნისა ნიადაგ უხამშჳალოდ ზმნისა წინა დაიდჳასმცა?

იო. არა არს საჭირო; კარნჲ ოდესმე წინა დაიდების უსამშჳალოდ, მაგალ. პეტრე რომლისათჳსაც ჰგონებდა არა რას; მიიღო ჯილდოჲ: ეს სახედვე მრავალჯერ პირველად დაიდების ზმნაჲ და მერე საკელი ზმნისა, ანუ სამშჳალით, ანუ უსამშჳალოდ. მაგალ. შეჰსწამებდა მონა ბოროტი უფალსა თჳსსა. ანუ შესწამებდა უფალსა თჳსსა მონაჲ ბოროტი და სხუანი.

ნიკოლ. უკეთუ მრავალნი მხოლოობითნი არსებითნი საკელნი დაკავშირებულნი, ანუ უკავში-

რონი და ანუ საკუთნი რაჲმენი ზედ-შესრულნი მხოლოობითისა კმითა, მრავლობითად მნიშვნელ იქმნენ უფალსა ზმნისა, მაშინ ზმნისა მის მრავლობითად ჯერ არს ყოფაჲ, ანუ მხოლოობითად?

იო. ჯერ არს უკჱთ მრავლობითად ყოფაჲ: მაგალ. იოსებ და დედაჲ მისი დაკჳრვებულ იყჳნენ. გულის წყრომა და რისხჳა ცოფ ჰყოფენ კაცსა. ცხოვრებაჲ სიკჳდილი, სიმდიდრე, სიგლახაკე განსჳცნებულ ჰყოფენ კაცთა. ძილი, ვნებული სიყჳარული და სიმჳრალე კეთილსა არა უქმენ კაცსა. შობა და სიკჳდილი არიან ბუნებითნი. გარნა უკეთუ ზმნანი იგი დაიდჳან მხოლოობითად, არა აღრევენ ჰაზრსა: მაგალ. შობა და სიკჳდილი არს ბუნებითი. გონიერება და მართალი ჰსჯა იშოების მოსუცისა შორის და სხჳანი.

ნიკოლ. ოდეს მრავალნი საკუთნი იყჳნენ უფალ ზმნისა და მაკავშირებელნი სხჳსა და სხჳსა პირისანი, მაშინ ზმნისა მის რომლისა პირისად ჯერ არს შედგმაჲ, მრავლობითად, თუ მხოლოობითად?

იო. არა, ჯერ არს მაშინ მიჩჳმებად ან მრავლობითისა, ან მხოლოობითისა ზმნისა დადებად

არამედ ჯერ არს, რათა შეუდგეს პირი სამს, რომელიცა უპატიოსნეს არს მეორისა, და მეორე მესამისა. მაგალ. მე და მამა შენი ვრონინებთ, გემიებთ შენ. შენ და ძმაჲ შენი ვითარ უკუფ ჰსცხოვრებთ?

ნიკოლ. სახელისა და ნაცვალ სახელისა კიდე, კუალად სხუათაცა ნაწილითა სიტყვისათა მალუცსკეა, რათა ესახელნენმცა ზმნასა?

იო. ჰკე მალუცსთ, რამეთუ მიმღეობა, და საკელ ზმნაჲცა იქმნებიანმცა უფლად ზმნისა. მაგალ. დგომა რა დასცხრა, ჯდომილი აღსდგა და სხუანი.

ნიკოლ. საკელი ზმნისა და მიმბაჲ მიიღებენ საქმესა ზედ მოღებითსა, ანუ სხუათა და სხუათა მიმართ?

იო. ოდესმე მიიღებენ საქმესა ზედ მოღებითსა. მაგალ. მძიმე არს ტყჳა, თეთრი არს თოვლი. და ოდესმე სხუათა და სხუათა მიმართ საქმეთა, ესრეთ. ქანგი გალევს რკინასა. ცეცხლი დასწვამს თივასა. შური დასჭკნობს გულსა და სხუანი.

ნიკოლ. იყუნენ რა ზმნანი პიროვანნი ზრუნვილნი, სახელნი რაოდენი და რომელნი მიეცემიან უფლად?

იო. ყოველნი ზმნანი პიროვანნი, შემოქმედებითნი პირველისა უღვლილებისა, მხოლობითი აწმყოსა და უსრულსა დროსა შინა ითხოვს უფლად საკელსა წრფელობითსა, ანუ შემასმენელობითსა; ნამყოსა უსრულესსა და უუსრულესსა შინა მიცემით დაბრუნვილსა საკელსა. ნამყოსა და მყოობადსა შინა, მოთხრობითსა, ხოლო ბმანებითსა შინა წოდებითსა. ხოლო მრავლობითი აწმყოსა და უსრულსა დროსა შინა ითხოვს უფლად სახელსა წრფელობითსა და სხუათა დროთა შინა მიცემათად ბრუნვილსა. ხოლო მეორესა საკელსა ანუ მიებასა, აწმყოსა და ნამყოსა უსრულსა დროსა შინა მიცემითად ბრუნვილსა და სხუათა დროთა შინა შემასმენლობითად ბრუნვილსა. მაგალ. პატივი განამრავლებს მეცნიერებასა. მოწაფე აქებდა მოძღუარსა. ანტონიმ განაშუენა ღრამმატიკაჲ. სიბრძნესა შეემკო ელლადა. მაღლობამან დაამკო რომი და სხუანი.

ნიკოლ. საკელსა ზედა მესრულსა სიტყუასა შინა ჯერ-არს რათა აქუნდეს საკელი არსებითი ანუ არა?

იო. ოდესცა სიტყუასა შინა იქცევის ზედ-შე-

სული, მაშინ აქუს უკუჱ საჭიროდ არსებითი, ანუ ძალით, ანუ მოქმედებით. მაგალ. შჳლი მართალი იშჳს სცხოვრებად და ანუ ძალითად მართალი იშჳს ცხოვრებად და სხუანი.

ნიკო. საჭიროა ოდესმე, რომელ ზედ-შესრულ-ნი სახელნი რიცხჳთა და ბრუნვითა, ეთანხმნენ თჳსთა მათ არსებითთა?

იო. არა არს საჭირო, მით რამეთუ ოდესმე თანხმობენ და ოდესმე არა, ვინაჲდგან მოვლე-ნან კეთილად ეს გუარ ლექსნი მაგალ. კაცისაგან კეთილისა მოვიდე. ხოლო იქმნებისცა ოდესმე თანხმობა გარნა უშუჱრად. მაგალ. კაცისაგან კე-თილისა მოვიდე და სხუანი.

ნიკოლ. თუ სადამე იყუნენ დასშირებულ ორნი მხოლოობითნი არსებითნი სახელნი, მაშინ ზედ-შესრულნი მათნი ვითარ ჯერ არიან დადებად, მხოლოობითად ანუ მრავლობითად?

იო. ჯერ არს რათა იყოსმცა მრავლობითად. მაგალ. პეტრე და პავლე რჩეულნი მოციქულნი. ანუ ესთე: რჩეულთა მოციქულთა პეტრეს და პავ-ლეს. და იქმნების ოდესმე მხოლოობითადცა. პე-ტრე და პავლე რჩეული მოციქული. ანუ ესრედ:

მოციქული რჩეული პეტრე და პავლე. გარნა პირველი უმშვენიერეს არს მეორესა პასუხსა შინა.

ნიკოლ. უკეთუ ორნი ზედ შესრულნი წინა დაესხნენ, ერთსა არსებითსა სახელსა, ვითარ მალეუცს, რათა ერთი იგი ეთანხმოს არსებისათანა რიცხვითა და ბრუნვითა და მეორე არა?

იო. იქმნების უკუე ნებისამებრ კელოვანთ რიტორთასა და ესე მიჩამს მე საიჭოდ; გარნა ესე გუარ უჯეროვნეს არს შუენიერად მოღებად. მაგალ. მართალთა და წმინდათა კაცთა ვემთხვე. ანუ ეს გუარ. მაგალ. და წმინდათა კაცთა ვემთხვევა, რომელი ესე უშუერი არს და მდაბიურიცა.

ნიკოლ. ზედ შესრულნი ნაცუალ სახელნი, ვითარ ეთანხმებიან არსებითთა სახელთა?

იო. მოგებიანი უკუე ნაცუალ სახელნი თანხმობენ ოდესმე, და ოდესმე არა. ხოლო თანხმობენ ესრეთ მაგალ. მამასა შენსა, მიართუ მოკითხუა სიყუარულისა. ხოლო არა თანხმობენ ეს გუარ. მაგალ. მესა ჩუენსა მიართუ სიყუარულისანი მოკითხუა. ხოლო ჩუენებითნი უკუე ესე ნაცვალ სახელნი რომელ არს--ესე, ეგე, იგი, არა თანხმობენ. მაგალ, ესე კაცნი წარვიდეს: ესე კა-

ცნი მოვიდეს. კაცნი ისი ვიდოდეს და სხჳანი.

ნიკოლ. კჳლავ-მოღებითნი ნაცჳალ საკელნი რაჲსათჳს სახმარ არს სიტყჳათა შინა? ანუ შე-საწევნელად?

იო. ამისთჳს, ვითარმედ გადასრულსა მას და განშორებულსა საკელსა აწარმოებს, და რათა იყოს საკელად ზმნისა ანუ მიებად, და რომლი-საცა ნაცჳლად მდებარე არს რიცხჳთა, და ოდე-სმე ბრუნჳათა, და ეთანხმავებისცა, წინამსრბოლსა საკელსა თჳსსა, და განიმეყოფებისცა იგი ბრუნ-ვითა მით გჳარისათა. მაგალ. ნეტარ არს კაცი იგი, რომელი არა მივიდა ზრახჳასა ულმრთოთა-სა. მივიღე წიგნი, რომელიცა მოწერილ ჩემდა იყო. ვევედრე მას, რომელსაცა მალედვა შეწყალებაჲ ჩემი. გავიდა ეგე ოდენითა მკედრობითა, ვითარიცა არცარავის პირველ და არცარავის უკანასკნელ ესილვა და სხჳანი.

ნიკოლ. ვითარ უკჳჳ კჳლავ-მოღებითი იგი საკელი მხოლოდ საკელსა მას წინა-მსრბოლსა კჳლავ მოიღებს ანუ თუ კჳლა მდევარსაცა?

იო. კჳლა-მოღებითნი ნაცჳალ საკელნი, ვი-თარცა კჳლა-მოიღების წინამსრბოლსა საკელსა

თჳსსა; ეგრეთვე, ყოვლადსაცა სიტყუასა. მაგალ. ცხოველი, რომელიცა ნიჭებულ არს გულის-ხმის ყოფითა და ნებითა, წოდებულ არს კაცად, გულის ხმის ყოფითა და ნებითა ნიჭებული, ცხოველი იწოდების კაცად. ეს სახედვე, მალუცს კჳლა-მოღებაჲ მდევრისა, მაგალ. რომელი გძაგდა, მას შეუდგები; ხოლო რომელსა განევლტოდი მას შეეტრფი და სხუანი.

ნიკოლ. საჭირო არსა, რათა კჳლა-მოსაღები სახელი, მარადის იყოს მცა მოქმედებით სიტყუასა შინა?

იო. არა მარადის, რამეთუ ოდესმე კჳლა-მოღებითსა ნაცუალ საკელსა წინა-მსრბოლი თჳსი აქუს ძალით, და მაშინ უკუჱ არა თუ მხოლოდ რიცხჳთა ოდენ, არამედ ბრუნვითაცა ეთანხმებიან მისთანა. მაგალ. რომელიცა განგიმზადონ შენ, ისწავე; ხოლო რომელთაგანცა განგაშორებენ ეკრძალე. და მას სიტყუასა შინა არს ძალითად, იგი, და მათ (ესე იგი) რომელიცა იგი განგიმზადონ შენ ისწავე, და მათ რომელთაგანცა განგაშორებენ ეკრძალე და სხუანი.

ნიკოლ. არსებითნი, ზედშესრულნი და მოგებით-

ნი ნაცუალ სახელნი თანხმობენ მარადის სახე-ლისათანა აჳსისა რიცხჳთა და ბრუნვითა, უკუე-თუ არა?

იო. დია, მაგალ. ქორმან მან დაგებულმან. ბჭუ იგი დასმული. ხოლო ნაცუალ სახელნი მო-გებითნი თანხმებულნი სახელისათანა მარადის არიან განმართჳსებელად მათდა. მაგალ. დედა შენი და მმანი შენნი გარე დგანან და გეძიებენ შენ. ყოველთა შინა საქმეთა შენთა მოიხსენე უკანასკ-ნელი შენი, და არარა სცოდო. მე მოწაფეთათჳს ჩემთა ვჰშჳრები ამას და სხუანი.

ნიკოლ. ვითა უკუე განრჩეულ არიან ურთი-ერთისაგან, კუალა-მოღებითი იგი, რომელი საკი-თხავი, რომელი კავშირი, და მარტივი ნაცუალ-სახელი?

იო. კუალა-მოღებითი იგი, რომელ, კუალა-მო-ღებითა სახელთათა განეხსუავების სხუათაგან. სა-კითხავი იგი გუარითა კითხვისათა და ნიშნითა სიტყჳსათა განეხსუავების სხუათაგან. მარტივი სა-ხელი, ზედ შესრულ ყოფითა განეხსუავების სხუა-თაგან. ხოლო კავშირი იგი, რომელი მერობლობი-თა სიტყუათა განეხსუავების სხუათაგან ყოველთა.

მაგალ. იგი, რომელი შეეტრფის სოფელსა, ჰსძულობს ქრისტესა, რომლისა გნებავს შენ მედგომაჲ სოფლისა, ანუ ქრისტესი, ნუ მისდევ სოფლისადმი, და მეფე კაცთა სოფლისათა, რომელთაცა კეთილსა უღირსვე, შემდგომად არა იგულსმებენ, ვინაჲდგან ამისად მიმართ იზიდვიან, რომ სასმართა თჳსთათა არა მოაკლებენ, და არცა წადილისა მზიდჳწლნი გულს მოდგინედ წადილსა მას თჳსსა გარე განსდიან. აჰა ამას სიტყჳასა შინა წესითა სჩანან ოთხნივე კითხულნი.

ნიკოლ. სხჳანიცა სიტყჳს ნაწილნი, კჳლა-მოიღებენ სახელსა წინამსრბოლისა უკეთუ არა?

იო. ჱე. რამეთუ ჩჳჱნებითნი იგი ნაცჳალ სახელნი (ესე იგი). ეს, ეგ, ის, მერმეცა ადგილობითნი იგი ზმნის ზედანი-სადა, მუნ, ოდეს, კჳლა-მოიღებენ სახელსა რაჲსამე წინამსრბოლსა გჳარისამებრ მათისა. მაგალ იყო ჩჳჱნთანა სხჳა რომელიმე მწირი, ესე ეუბნებოდა პეტრეს მქისედ და ეგე ჰსწყსდა მისთჳს. და სწადოდა განმებად იგი. ხოლო ვეტყოდი მე პეტრეს, ვითარმედ ეგ არა ბოროტისაგან გულისა, არამედ გლახაკ უქონელობითა სიტყჳათა გჳჱუბნებოდა მქისედ, რო-

მელიცა ისმინა მწირმან მან, აჴლჴსდგა მეის ად-
გილისაგან, სადა მჯდომარე იყო იგი, და წარ-
ვიდა საყდრისადმი, და მუნ დასჯდა; და ამით
უკუჱ საჩინო იქმნა, რაბამ რაჲ იყო.

ნიკოლ. ესეცა მითხარ მე, ვითარითა ბრუნვი-
თა, ეთანხმებიან საკელნი არსებითნი ზმნათა თჳ-
სთა, ეგრეთვე ზედ შესრულნი საკელნი, ანუ მიმ-
ღეობანი, ანუ ნაცჳალ საკელნი, სახელ ზმნანი,
მითვე ბრუნვითა ეთანხმავებიან, რომლითაცა არიან
ზედ შესრულნი, ანუ რომლითაცა ნაცჳლად მდე-
ბარე არიან, უკეთუმცა არსებითი მათი საკელი
იყოს მალითად, ანუ მოქმედებითად?

იო. მალითად მდებარე იქმნების მაშინ, ოდე-
სცა დაიტევების ანუ უვალი ზმნისა, ანუ მიება
და იქმნებიან ოდენ ზედ-შესრულნი, ანუ ნაცჳალ
საკელნი, ანუ არსებითნიცა და ზედ-შესრულნიცა
დატებულ იქმნენ და მისდომით შეიმემცნებოდეს.
მაგალ. მე ვამტკიცებ და შენ უარ ჰყოფ. ამბობ
და გჳჱსმის. ჰსცნობ და აღმოიკითხავ და სხუანი.

ნიკოლ. ყოველნი ზმნანი ბმანებითისა და აჰო-
ტეტიკაჲსა სქესისანი, მიიღებენ ყოველთა შინა
დროთა მათჳჱ ბრუნჳათა უვლადცა და სამიებლად

რომელთაცა ზმნანი მათნი საზღჳრებითისა სქესი-სა დროთა შინა არიან უკეთუ არა?

იო. ჰე მიიღებენ. მაგალ. შეიყჳარე სიმართლე, და მოიძულე უწესოებაჲ. აქებდე მეცნიერებასა სასარგებლოსა. უკეთუ ადიდებდე ღმერთსა, უკეთუ შეგიყჳარებიეს იგი, ელოდე სასყიდელსა და სხ.

ნიკოლ. ყოველნი ვნებითნი ზმნანი ყოვლისა უღჳლილებისანი ყოველთა დროთა შინა, ითხოვენ უფლად წრფელობითად ბრუნვილსა სახელსა და სამიებოდ დაწყებითსა, ანუ მოქმედებითსა, უკეთუ არა?

იო. უეჭჳელად. მაგალ. დავით აღმაშენებელი, იდიდა სიმდაბლითა და სიმხნითა და იქებოდა სიბრძნითაცა. თამარ ქებულ არს ყოველთაგან. აღმოვიშობნე ემბაზისაგან. მოსწრაფე სწავლასა შინა იქოს მოძღჳრისაგან და სხჳანი.

ნიკოლ. ყოველნი ზმნანი უმეშაობითნი სატ-შემომქმედებითნი და სატ ვნებითნი მიიღებენ უფლად ყოველთა მათ ბრუნჳათა ყოველთა შინა დროთა და სქესთა, რაჲსაცა შემოქმედებითნი და ვნებითნი ზმნანი, უკეთუ არა?

იო. ჰე, შესდომისამებრ სამიებოდ ბრუნჳათა

ვინაჲდგან ითხოვენ ბუნებითსა მიჱბასა და არა ნათესაობითსა, უმეშაობით ყოფისათჳს მათისა. მაგალ. სატ-შემოქმედებითისა: უკეთუ ესვიდე ღმერთსა. ჰფუცა უფალმან, და არა შეინანოს. შენ ხარ მღუდელ უკუნისამდე. მაგალ. სატ-ვნებითისა: ჰშჵრუბი სწავლასა შინა. დავსთუჵრ სიბრძნითა. დავჰსწუჵ ცხედარსა ზედა და სხუანი.

ნიკოლ. ყოველნი ზმნანი სხმით-გარდასვლითნი და მრჩობლ-სხმით გარდასვლითნი, შემოქმედებითნიცა და ვნებითნიცა, ყოველსა შინა დროთა და სქესთა, მიიღებენ მათვე ბრუნვილსა უფლად და სამიებოდ, რაჲსაცა პირველნი სახენი მათნი შემოქმედებითნი და ვნებითნი, უკეთუ არა?

იო. დია. მაგალ. აღგამაღლო შენ უფალო. აღვასრულებინებ საქმესა ამას. ვიქებინები შენგან. ვიგინებინებოდი მისგან და სხუანი.

ნიკოლ. ყოველნი ზმნანი უკანონონი, ესე იგი: ვეტყჳ, ვიტყჳ, ვუთხრობ, ფანშობ, ფჰსთქჳ, ყოველსა შინა საქმესა და დროსა მიიღებენ უფლად და მიებად ბრუნვილთა მათ, რაჲსაცა პირველსა უღვლილებისა სატ-შემოქმედებითნი უმეშაობითნი ზმნანი, უკეთუ არა?

იო. მიიღებენ. უკეთუმცა არა მოვედ და ვეტყოდი მათ. სიტყჳთა ხოლო სთქჳ და განიკურნოს ასული ჩემი. იტყოდა სიტყჳათა ცხოვრებისათა და სხჳანი.

ნიკოლ. მიმღეობანი დროსა თხზვისასა, ვითარ იქცევიან სიტყჳათა შინა კჳარისამებრ სინტაქსისა?

იო. ვითარცა ზედ-მესრულნი სახელნი იქცევიან სიტყჳათა შინა. ეს სახედ სათანადო არს გულის-ხმებად ამისაცა. მაგალ. მრწამს ერთი ღმერთი მამა ყოვლისა მპყრობელი, შემოქმედი ცათა და ქჳეყანისა, ხილულთა ყოველთა და არა ხილულთა და სხჳანი.

ნიკოლ. ოთხნი ესე ნაწილნი სიტყჳსანი, რომელ არს: თანდებული, ზმნის-ზედა, კავშირი და შორის დებული, ვინაჲდგან თავით თჳსით ვერა რაჲსამესა დამნიშვნელობასა ჰყოფენ, მაშა რაჲსა შინა არიან სახმარნი?

იო. სახმარნი არიან ამას შინა, უკეთუ არა მოეკიდნენ ეგენი სახელთა, ანუ ზმნათა, მაშინ ეგინიც უბნობასა შინა არა იქმნებიან ნათლად და ამისთჳს ჯერ არს შემეცნებაჲ მათი, თუ ვითარ

გარე მქცევიან ესენი ზემოხსენებულთა მათ ნაწილთა სიტყვისათა სინტაქსსა შინა. მაგალ. თანდებულნი მოეკიდებიან მარადის სახელთა არსებითთა და ზედ-შესრულთა, მიმღეობათა და ნაცვალ სახელთა და საკელ ზმნათა, და ამისთჳს ითხოვენ თჳსადმი მოკიდებულთა მათ ნაწილთა სიტყჳსათა ანუ მიცემითად, ანუ ნათესაობითად, ანუ წრფელობითად. მაგალ. კაცი ვინმე გარდამოვიდოდა იერუსალიმით იერიქოდ. ორნი კაცნი აღვიდოდეს ლოცვად ტაძარსა მას შინა. კმა ღაღადებისა უდაბნოსა ზედა, მე მათთჳს ვითხოვ და ამხილოს სოფელსა ცოდვისათჳს, და სიმართლისათჳს, და სასჯელისათჳს. აწ მივალ მამისა ჩემისადმი და არავინ თქჳენგანი მკითხავს მე, და სხჳანი. კჳალად იხილე ზემორე თანდებული. ხოლო უწყოდე ესეცა, რომელ თანდებულნი წინარე დასხმულნი ითხოვენ ნათესაობითსა ბრუნვასა და ბოლოს დასხმულნი მიცემითსა. მაგალ. შორის ტაძრისა და ეკკლესიისა. ერთა შორის და მღჳდელთა. სიმაღლესა ზედა დიდსა. ამაღლდი ცათა შინა ღმერთო და ყოველსა ქჳეყანასა ზედა არს დიდება შენი.

ზმნის ზედანი მარადის მოეკიდებიან ზმნათა ცხად მყოფელად გჳაროვნებისა მათისამებრ. მაგალ. ბოროტად მოგებული, ბოროტად წარიგების. აგრეთვე ზმნის ზედანი მოეკიდებიან განუსაზღჳრებელთა მიმღეობათა და სახელზმნათა. მაგალ. ყრმა თანამდებ არს ფრიად სწავლად და მოცალებად წერილთა შინა. რამეთუ ფრიად სწავლულნი და ფრიად მოცლილნი წერილთა შინა, ფრიადცა ქებულ არიან, ვინაჲდგან ფრიადი მოცალება სწავლათა შინა, ფრიადცა ქებულ არიან, და კეთილად ჰსწავლა წერილთა, კეთილთა ჰყოფენ ყრმათა შემკულად, და შემკულნი კეთილთა სწავლითა ქებულ არიან ღ҃თისა მიერ და კაცთა.

ეს სახედვე ზმნის ზედანი რაოდენობითნი, მოეკიდებიან რა ზმნათა სიტყჳათა შინა, ოდესმე კჳალად სხჳათაცა ზმნათა ითხოვენ მოკიდებულთა რაოდენობითითავე ზმნის ზედაჲთა. მაგალ. რაოდენ მოყჳარე იქნები ღ҃თისა, ეგეოდენცა შეიყჳარები მის მიერ. ეგეოდენ იდიდები, რაოდენცა გამოიცდები წერილთა შინა, ხშირად დატკბების და სხჳანი.

ნიკოლ. ორთა უკუთქმითთა ზმნის ზედათა მიცემულთა ერთისადმი ზმნისა, აქუსთ უკჳ͠ჲ ძალი დამტკიცებისა, გარნა იქმნების ძალითად მდებარე, ესრეთ: მაგალ. რამეთუ არავართ უკჳ͠ჲ ვითარცა მრავალნი არა სიწმინდით მქადაგებელ. ესე იგი: არს,ვართ, სიწმინდით მქადაგებელ. ნურა რაჲმესა იქმ განუზრახველად. ესე იგი არს—განზრახჳთა ჰქმენ„ და სხჳანი, ესსახედვე არიან ქართულსა ენასა შინა სმარებულნი, ოდესმე ორნი უკუთქმითნი ითქმიან უკუთქმითადვე. მაგალ. არა კაცი არ არის. არავინ მათგანი არა იყო მუნ.

ნიკოლ. კავშირნი წმასვნითნი, განწჳალებითნი, წინააღმდეგობითნი და უკუთქმითნი გარდაამბმენ სახელთა ერთსა და მისვე ბრუნვისათა, უკეთუ არა?

იო. ჰე გადაამბმენ, მაგალ. პეტრე და იოანე ალვიდოდეს ტამრად. ეგრეთვე ზმნათა გარდაამბმენ ერთისა დროჲსათა, მაგალ. მე ვარ მიწა, და ნაცარი. იყავნ ნება შენი, ვითარცა ცათა შინა, ეგრეთცა ქ͠ჳყანასა ზედა. არცა სასმელი და არცა საჭმელი აქჳს. ნუ სულ მოკლეობ, ნუ მოუმლურდები, ნუცა დახსნდები: ანუ ჰყავთ ხე იგი კეთილ და ნაყოფიცა მისი კეთილ. ანუ ჰყავთ ხე იგი

ბოროტ და ნაყოფიცა მისი ბოროტ და სხჳანი.

ნიკოლ. იქმნება ოდესმე კავშირნი წინააღმდეგ იქცეოდენ, რომელ არცა მსგავსთა ზმნათა დროთ შინა და არცა ბრუნვათა გარდააბამდენ?

იო. ოდესმე იქცევიან წინააღმდეგ. მაგალ. ვუწყი ვითარცა, არარა მიქმნიეს ბოროტი შენთჳს, არცა შემდგომად ვჰქმნა.

მიზეზობითნი კავშირნიცა ესე, ვითარმედ, ვითარცა, რათა, რათამცა, რათამცა არა. ნამყოსა დროსა ზმნისთადმი მოაბმენ ანუ საზღვრებითსა აწმყოსა და მყოფადსა დროისა ზმნათა. მაგალ. ამისათჳს აღიწია სიმაღლედ, რათა მიერ გარდამოვარდნილი უმეტესად შეიმუსროს. არა ჰქმნა არცა ერთი საქმე კეთილი, ვითარმცა შემოზღუდვილიყო სიტყჳთა მისითა. მართლმსაჯულებასა აქუს ესე ვითარი ძალი, ვითარმედ ავაზაკთაცა დაუმკჳდრებს საკუთარსა მათსა ნაქონებსა. ესრეთ მწუხარე ვიყავ, რომელ ნუგეშად ჩემდა ვჰეძებდი ამას. არა მაქჳს, ოჳ, რათამცა შენ გრამმატიკასა ზედა გულს მოდგინედ იკითხჳდე. ვცდილობ არა ამისთჳს ოდენ, ვითარმცა შეგამცნე შენ მეცნიერებასა, არამედ რათა იყოცა სვინიდისითი, რამეთუ სვი-

ნიდისი არს ესრეთი ძჳრფასი ნივთი, რომელი პატიოსნებისათანა მარადის შეულგვლილ არს. და ესრეთ მარადის დაიცვე იგი უბრყჳლველად, რათა ყოველთა კაცთადმი იყო პატიოსნებითა მისითა. ვითხოვ, რათა შენ და კაცობრივსა ნათესავსა, შენ მიერ მიეცეს ბედნიერება ამისი.

კავშირნი: რამეთუ, ხოლო, ამისთჳს, უკეთუ და სხუანი დაისმიან თავად სიტყვისა, ანუ ჰაზრისა, მაგალ. რამეთუ მოვალს ჟამი ოდესცა სიცოცხლისა ამის მომღჳრებასა არღარა ისმენდნენ. ხოლო ჩუჱნ ყოველნი განცხადებულითა პირითა დიდებასა უფლისასა განვიცდით. ამისთჳს უკუჱ ძმანო, ვითხოვ და გევედრები, რათა უფროს გარდამატოთ მადლი ეგე თქუჱნი. უკეთუ ვისაცა ნებავს, რათა ჰყოს ნება მისი, გულისჴმა ჰყოს მომღჳრება იგი და სხუანი.

წინააღმდეგობითნი კავშირნი ჰყობენ გამოხუჱბასა ანუ განმართვასა პირველისა წინა დადებისასა, მაგალ. იმპერატორი მაქსიმინე იტყოდა, უკეთუმცა შემძლებელ ვარ ერთსა დღესა ქმნად ასთა კაცთა აზნაურად, გარნა ასსა შინა წელსა ვერცა ერთისა ბრძნისა კაცისა.

ნიკოლ. შორისდებული, ვინაჲდგან სიტყჳათა შორის ჴმარებულ არს მნიშვნელად ვითარსამე ვნებისა ანუ მოძრავობისა მშჳნვიერისა, რომელსა ბრუნვასა ითხოვს ესე უზნობათა შინა?

იო. გარდა დაწყებითისა ანუ მოქმედებითისა ბრუნვისა, ითხოვს ბრუნვათა. მაგალ. ვაჲ მოქმედთა ღრმისა განზრახჳსათა, და არა უფლისა მიერ. ვაჲ საიდუმლოდ მოქმედთა ბნელსა შინა. ჵი უბადრუკსა. ჵი, სიღრმე სიმდიდრისა და მეცნიერებისა ღჳთისა. ეჰა ბერწო სულო ჩემო და ნაყოფთაგან ცუდო. ეჰა მხნესა კაცსა. ოჰ, ცოდვისა სიდიდესა. ვაჲმე უნანელსა. ეგრეთვე იქმნების ოდესმე თჳნიერ ნიშანთა შორისდებულთასა დაიქჳსიან სიტყჳანი, რომელთაცა ცხადად ჰყოფენ ვითარნიმე სულითნი გამოღებანი. მაგალ. აღვიარებ, ვითარმედ შემძლებელ არს ჴელი შენი ცხოვნებად. მართალ ხარ შენ უფალო, და წრფელ არიან მჰსჯავრნი შენნი და სხჳანი:

### თჳს თანჴმობისა კითხვისა მიგებისათანა.

ნიკოლ. კითხვითნი საჴელნი, მიგებისათანა თანხმობენ ბრუნვათა და რიცხჳთა, უკეთუ არა?

იო. ბრუნჭათა ოდეს და არა ნიადაგ რიცხჳთა. მაგალ. კითხვითნი: ვისი არს ხატი ანუ ზედა წე-რილი? მიგებითი: კეისრისა.

ნიკოლ. ვინ მოჰცნა ფიცარნი ჴსჯულისანი მოსეს?

იო. ღმერთმან.

ნიკოლ. რაჲ არს ესე: რომელსაცა იკითხავ?

იო. წიგნი ქადაგებისა, და სხჳანი. ხოლო ეს უწყოდე, რომელ მიგებასა შინა, მარადის მალი-თად მდებარე არს ზმნაჲ და მიებაჲ კითხვისა. მაგალ. კითხვითი: ვისი არს ხატი ესე და ზედა წერილი? მიგება--კეისრისა არს ხატი ესე და ზე-და წერილი.

ნიკოლ. ნაცჳალ სახელნი ესე: ვინ და რაჲ, ვითარ იხმარებიან კითხვათა შინა?

იო. ესრეთ: ვინ? მარადის იკითხავს კერძობი-თსა სახელსა. ხოლო--რაჲ? მარადის საზოგადოთა და უმეშაობითთა. მაგალითი. ვინ ჴსძლო აზათხანს? ირაკლი მეფემ მეორემ. ვინ განამჳწნა ქართული ღრამმატიკა? ანტონ კათოლიკოზმან. რაჲ გეწო-დების შენ? პეტრე. რაჲ არს იგი, რომელიცა ჴსჩანს ახლოს შენსა? ცხოელი, ანუ ცხენი და სხ.

ნიკოლ. კითხჳსა და მიგებასა შინა ჯერ არს რათა ზმნანი თანხმობდეს დროთი, და ნიადაგ რიცხჳთა და პირითა, უკეთუ არა?

იო. დროთი ოდენ და არა ნიადაგ რიცხვითა და პირითა, მაგალ. გაქჳსთ რა აქა ჭამადი? გჳაქჳს. სადა გნებავს და მოგიმზადოთ შენ ჭამად პასუქი? მთნავს სახლსა სჳმონისასა და სხჳანი.

ნიკოლ. ოდეს იკითხავს ჟამობითითა ანუ რაოდენობითითა ზმნის-ზედითა, მაშინ მოეგება სათანადობასი მითვე გჳარითა ზმნის ზედითა, უკეთუ სხჳფბ?

იო. სათანადო არს მითვე გჳარითა. მაგალ. ოდეს ინებებ წარსვლად? ხჳალე. ვიდრემდის ეგები მუნ? ვიდრემდის ნებავს ღმერთსა. მაშინაც რაოდენს დღესა? ორსა უკჳჱ დღესა, და სხჳანი?

ნიკოლ. ზმნანი შემოქმედებითნი და უმეშაობითნი, აწმყოსა და უსრულსა დროსა შინა, და ყოველნი ვნებითნი ყოველსა დროსა შინა ითხოვენ უფლად წრფელობითსა საკელთა, უკეთუ არა?

იო. ჯერ არს, რათა უფალნი ამათ დროთა ზმნათანი იკითხვიდენ წრფელობითად, ბრუნვილითა ამით კითხვითა ლექსითა: ვინ, რაჲ. მაგალ. ვინ

აქებდა მოძღუარსა? მოწაფე. რაჲ განამრავლებს მეცნიერებასა? პატივი. ეს გუარვე იმცენ მრავლობითიცა ამათნი.

ნიკოლ. ნამყოსა სრულსა და მყოობადსა ვითარდა?

იო. მოთხრობითად ბრუნვილითა ამით საკითხავითა: ვინ, რაჲმან? მაგალ. ვინ აღაყვავნა სამფლობელონი? მეცნიერებამან. რაჲმან დაამკო ქართლი? უთანხმოებამან. ხოლო მრავლობითად ისმარების მიცემითად ბრუნჳაჲ.

ნიკოლ. კითხვითი ესე კერძობითი სახელი: ვინ? მოთხრობითსა ბრუნჳასა შინა მჲსგავსებს წრფელობითსა და ნამყოსა უსრულსა და უსრულესსა, მიცემითად ბრუნვილთა საკითხავთა--ვის, რაჲსა, უკეთუ არა?

იო. ჰე. მაგალ. ვის განუშჳენებიეს ენა ქართული? იოანე პეტრიწსა. რაჲსა დაუტკბია სახმენელი? ქადაგებათა სახარებისათა. ეს გუარვე იმცენ მრავლობითნიცა. ეგრეთვე კერძობითნი ესე: ვინ, რომელი და რაჲ, მონებენ არსებითთა, ესე იგი: საქჳემდებროთა კითხვათა, მაგალ. ვინ არს? პეტრე. რომელი უბნობს? პავლე. რომელსა მეუდგები? ქრისტესა. რაჲ არს ესე? ოქროჲ. რაჲ-

სა ეძიებ? სათნოებასა და სხუანი. აგრეთვე კერძოებნი ესე: რაბამ, ვითარ, რაოდენ, რაჟამ, სადა სადაჲთგან, ვისა, რომლისადმი, ოდეს და სხუანი იხმარებიან სახედ შესრულოთა კითხუათა მინაცა. მაგალ. რაბამ არს? კეთილ-მსახურ. ვითარ ჰსცხოვრებს? ფრიად კეთილად, რაოდენ იამენს? ფრიად მრავალისა. რაჟამ ილოცავს? უხომოდ. სადა მკჳდრობს? უდაბნოსა შინა. სადაჲთგან მოსრული არს? იერუსალიმით. ვისა ეძებ? მღჳდელ მონაზონი. რომლისადმი წარმგზავრებულ არს? სონთქრისადმი. ოდეს მოიწია აქა? გუშინ.

ნიკოლ. ოდეს იგი ორნი არსებითნი სახელნი შეიმთხჳვნენ ურთიერთ არს, ვითარ ჯერ არს თანხმობაჲ მათი?

იო. თუ სადმე იყვნენმცა დამნიშჳნელ მასვე საქმისა, და იყვნენმცა მით ერთ მეორისა მასაჩინოე, ჯერ არს უკჳჱ თანხმობაჲ მათი ბრუნვითა. მაგალ. უფალი ღმერთი. უფლისა ღმრთისა. იქმნებიან ეს გჳარ ორნიცა ზედ შესრულნი, რომელნიცა შეიმთხჳვნენ ურთიერთ არს. მაგალ. წმინდა მოციქული. წმინდა მოციქულისა. კჳალად ორნი რომელნიმე. ორთა რომელთანიმე. მაგალ. ალფა-

ცებული, მაღლისა აღმატებულისა და სხჳანი. ეგ-
რეთვე უკეთუ იყჳნენ განყოფილთა საქმეთა მნი-
შჳნელ და დაკავშირებულ. მაგალ. პეტრე და პავ-
ლე. პეტრესი და პავლესი. ცეცხლი და წყალი.
ცეცხლისა და წყალისა და სხჳანი. გარნა თუ-სა-
დამე არა ეს გჳარ შეჰჳდენმცა ურთიერთ არს
იყჳნენ მნიშჳნელ და დამაკავშირებელ, არამედ ერთი
მეორისა განმათჳსებელ ქმნილი, მაშინ არაოდეს
ეთანხმებიან ბრუნვითა, რამეთუ განმათჳსებელი იგი
სახელი ჰგიეს ნიადაგ ნათესაობითსა შინა ბრუნ-
ვასა და მეორე შესაძლო არს, სხჳასა რომელსამე
ბრუნვასა შინა. მაგალ. უფალი სახლისა. სხეული
კაცისა. მე იონასი. მისა იონასი. მისადმი იო-
ნასა. მესა იონასა. მისაგან იონაჲსა. ესსახედვე
შეისწავენ სხჳანიცა ზედშესრულნი. მაგალ. გო-
ნიერთა სწავლათა მოყჳარეთა. გონიერთაგან სწავ-
ლის-მოყჳარისა და სხჳანი.

ნიკოლ. სახელნი, ანუ მიებანი ზმნათანი იკი-
თხვიან მითვე ბრუნვითა ვითარცა ითხოვს ბუნება
და დროჲ ზმნისა, უკეთუ არა?

იო. ყოვლისა შემოქმედებითისა ზმნისა ნათე-
საობითი სამიებო აწმყოსა და ნამყოსა უსრულსა

დროსა შინა იმიების მიცემითად ბრუნვილთა კით-ხუათა და სხუათა დროთა შინა შემსმენელობითთა. მაგალ. რაჲსა განამრავლებს მეცნიერებაჲ? ხატივ-სა შემოქმედისასა. რაჲ ჰქადაგეს მოციქულთა? სახარებაჲ. რაჲ წარუმართებიეს სიბრძნესა? ცხო-ვრებაჲ.

ნიკოლ. ვნებითთა ზმნათა ნათესავის მიებანი, რომელს ბრუნუას ითხოვენ ჟამსა კითხვსასა?

იო. იკითხვან ყოველთა დროთა შინა, ანუ დაწყებითითა ბრუნვითა, ანუ მოქმედებითითა. მაგალ. ვისგან იდიდების წრფელი? ღმრთისაგან. რაჲსაგან ჰკურნების? სნეულებისაგან. ვისგან შეურაცხებულხარ? ძმათაგან. ვისგან იდევნები? მტერთაგან ჭეშმარი-ტებისათა და სხუანი. ეგრეთვე მრავლობითიცა, მაგალ. რომელთაგან ქებულხარ? მეგობართაგან და სხუანი.

ნიკოლ. შემოქმედებითთა, ვნებითთა და უმეშა-ობითთა ზმნათა, ვითარ ჯერ არს კითხუად ბრუ-ვითა?

იო. მითვე ბრუნვითა, ვითარითაცა ბრუნვითა არიან მდებარე კითხულნი, ანუ ჯერ არიან და-დებად ამას შინა. სათანადო არს გაჭჳრეტად, და

ესრეთ მიგებად პასუხისა. მაგალ: რით თანა გაქს შეყვარებად უფლისა? ყოვლითა გულითა და ყოვლითა სულითა. რით დაანაკჳწთე წერილი ეგე? კალმითა.

ნიკოლ. თანდებულნი ვითარისა ბრუნვითა იკითხვიან?

იო. ყოველნი თანდებულნი იკითხვიან მითვე ბრუნვითა, ვითარცა ითხოვენ თანდებულნი იგი. მაგალ. რაჲსა შინა იმხილე? ცოდვათა შინა. ვითარსა ზედა აღიწიე სარისსსა? ფრიად მაღალსა და სხჳანი.

ნიკოლ. ყოველნი განმათჳსებელნი და მიებანი აწმყოსა მიმღეობისანი, და სახელ ზმნანი, და ოდესმე განუსაზღრებელისანი, იკითხვიან ნათესაობითა ბრუნვითა, უკეთუ არა?

იო. იკითხვან ესრეთ. მაგალ. რაჲსა-არს მემიებელ? სიბრძნისა. ვისთანა გაქს შედგომაჲ? ქრისტესი. ვისი ჯერ არს შეყჳარებად? უფლისა და მოყჳასისა.

ნიკოლ. ნამყონი და მყოობადნი მიმღეობანი კითხჳათა შინა, რომელსა ითხოვენ ბრუნვასა?

იო: დაწყებითითა, ანუ მოქმედებითითა. მაგალ.

ვისგან არს განბრძნობილი? სულისა წმინდისაგან. ვისგან არს განანათლებელ? მადლისაგან. რითა არს მჴსნავსებული მეოფთა? არსებითა. რით იქნების გათბობადი? ზმნითა. და სხუანი.

ნიკოლ. ზმნისზედანი ვითარცა იქმნებიან კითხუათა შინა, ანუ მიგებათა?

იო. ესე ვითარისავე ბრუნვის გუარსა ჯერ არს დადებად, ვითარიმცა არიან იგი ზმნის ზედანი. მაგალ. რაოდენი წელი გაქუს ჴსწაულათა შინა? ეგეოდენი, რაოდენიცა თანა მოწაფეთა ჩემთა. ვისთანა აქს ფრიად მოცალებად სწავლასა შინა? მას, ვისაც ფრიად ნებავს ცნობა თავისა თჳსისა. და ესრეთ, კითხუათა ამათ სედა: ვინ? რაჲ? ვითარი? ამას მიეგებებიან, ანუ წრფელობითად და ანუ შემასმენელობითად.

კითხუათა აქათ: ვინ? რომლისა? ვითარისა? მიეგების ნათესაობითნი.

ვის? რაჲსა? რომელსა? მიცემითნი.

ვისგან? რაჲსგან? რომლისგან? დაწყებითნი.

ვინ? რომელმან? რაჲმან? ვითარმან? მოთხრობითნი.

ვისით? რომლით? რაჲმან? ვის მიერ? რომ-

ლისა მიერ? ვითარითა სატითა? მოქმედებითნი. სოლო წოდებითნი უკუჱ ბრუნჳანი არაოდეს შე-მოვალნ თანხმობითთა კანონთა შინა აღნაქუსთასა, არამედ თავით თჳსით მდგომარეობენ აღნაქუსთა შინა. მაგალ. უფალო შეგჳწყალე. მიწყალე მე ღმერთო! ძმანო! საჭმელი არა გაქჳსთა? და სხჳანი.

თჳს მიებისა მისადებელთა ნაწილთა სიტყჳსათა.

ნიკოლ. შემემცნებასა შინა აღნაქუსთასა, ვითარ ჯერ არს ნაწილნი სიტყჳსანი მიებად ერთი-მეო-რისაგან და რომელნი არიან მმიებელნი, და მიე-ბულნი?

იო. ჯერ-არს პირჳელად მომიებად ჰაზრისა ბრუნჳათა შინა, და მუხლთა. ზმნანი კანონიერი ანუ პიროვანნი, განუსაზღჳრებელნი, სახელ-ზმნანი, მიმღეობანი, სახელნი ზედ შეკრულნი, თანდებულ-ნი, ზმნისზედანი, კავშირნი, შორისდებულნი, არსებითი სახელნი და ნაცჳალ სახელნი და აგ-რეთვე სხჳანი. და მერე მომიებად, მაუფლებლისა სახელისა და სხჳათა განმათჳსებელთა მათთა, და ესრეთ აღმოჩენად მმიებელისა და მიებულისა უფლისა და ზმნისა და სხჳათა თჳს-თჳსა წესსა

შინა. მაგალ. ალექსანდრემან არა დამტევებელმან დროჲსამან, პირველად შეიყვანნა განცხადებულსა შინა ადგილსა მემშჳლდენი, მეშურდულენი და ქვეითნი მსუბუქნი: (კჳნტოს კურციოს, ტომი **1**. ნაწილი **2**. თავი **12**.) აქა ისილე, რომელ ალექსანდრემან, არს სახელი არსებითი და სახელიზმნისა, რომლისა ზედ შესრული არს მიმღეობა ესე: არა დამტევებელმან. დროჲსამან, არს სახელი ნათესაობითად ბრუნვილი, მიებული მიმღეობისაგან და განმათჳსებელი მისი; შეიყვანა, არს ზმნა, პირველად, არს ზმნის ზედა; შინა, არის თანდებული; ადგილი არს სახელი არსებითი მიებული ზედშესრულისაგან, რომელ-არს განცხადებულსა და ზედ შესრული ესე განმათჳსებელიცა არს ადგილისა, და ესენი მიებულ არიან თანდებულისაგან, და თანდებულითურთ ბუნებისამებრ მიებულ ზმნისაგან, რომელიცა შეიყვანა. მემშჳლდენი, მეშურდულენი და ქვეითნი, არიან ზედ-შესრულნი სახელსა ზედა მალითა მყოფისა, რომელიცა მხედარნი, არს მიებული სახელთა მათთაგან ზედშესრულთა და, მსუბუქნი, არს განმათჳსებელ ქვეითთა, და თანად ესე ყოველნი

არიან ნათესავისაჲებრ მიღებულ ზმნისაგან, ხოლო დაღათუ სახელი იგი პირჳჱლით-მყოფი, რომელიც არს მხედარნი, არს ბუნებით სახელი ზედშესრული და სათანადო არს, რათა არსებითსა ზედა შევიდეს სახელსა რომელ არს კაცნი. გარნა მრავალჯერ ნაცჳლად არსებითისა სახელისა დაიდების ზედ-შესრული, და მიებულ იქმნების სხჳსგან. ზედ-შესრულისა და განმათჳსებელნიცა მისდა ეს სახედ. მაგალ. წინას-წარმეტყველი მართალი. წინასწარმეტყჳჱლი ცრუ. მოწაფე მზაკჳარი და სხ

ნიკოლ. განუსაზღვრებელნი და სახელ-ზმნანი, მიმღე არიან ბრუნვილთა და მოვლენანცა მიებასა და უფალისა კითხჳასა შინა ვითარცა სხჳანი სიტყჳს ნაწილნი, უკეთუ არა?

იო. ეს გჳარ არიან მიმღე ბრუნვილთა. მაგალ. ფარნავაზ მოყჳარე შექცევისა, წარვიდა ნადირობად ირემთა დადევნათა ირემთათა მაშჳრალი ქჳაბთა შინა შესრული, მპოვნელ იქმნა საუნჯეთა დიდთა. (ქართლის ცხოვრებაში ისილე) ამას შინა, ფარნაოზ, არს სახელი არსებითი, უფალი ზმნისა მოყჳარე, არს მიმღეობა სახელებრ სხმით გარდასვლით-ქმნილი, და ზედ შესრული არსებითისა

სახელისა, შექცევისა არს სამიებო მიმღეობისა და განმათჳსებელი მის, წავიდა, არს ზმნა, ნადირო-ბად, არს განუსაზღვრებელი შემოქმედებითი, და სამიებო ზმნისა, ირემთა, არს სამიებო და განმა-თჳსებელი განუსაზღვრებელისა მაშვრალი, არს მქცეველ ვითა მიმღეობა, და ზედ შესრული ფა-რავაზისა, დევნათა, არს სახელ-ზმნა ბრუნვილი, და სამიებო ზედ-შესრულისა ირემთათა, არს სა-მიებო და განმათჳსებელი დევნისა, შესრული, არს მიმღეობა, ქუაბსა შინა არს სამიებო თანდებუ-ლისა, რომელ არს შესრული. მპოვნელ-იქმნა, არს ზმნაჲ რთული რომლისა სახელი არს არსებითი იგივე ფარნავაზ. საუნჯეთა, არს სამიებო ზმნისა, დიდთა არს ზედ შესრული საუნჯისა განმათჳსე-ბელად მისდა.

ნიკოლ. მებრ განკერძოებისა, რომელნი არიან მმიებელნი სახელნი?

იო. მებრ განკერძოებისა არიან უკუჱ ზმნანი პირიანნი, სახელნი ზედშესრულნი, მიმღეობანი და თანდებულნი. მაგალ. ნათელი ბრწყინვალე. ან-გელოზი მჯდომარე ლოდსა ზედა ახარებდა დედათა.

ნიკოლ. რაოდენსა ემიებენ ზმნანი ბრუნვილთა?

იო. მრჩობლსა, ესე იგი, მებრ ნათესავისა და მებრ ბუნებისა. რამეთუ ზმნანი შემოქმედებითნი, ნათესავისამებრ თჳსისა ემიებენ ბრუნჳასა მიცემითსა და შემოქმედებითსა; ხოლო ზმნანი ვნებითნი ბრუნჳასა დაწყებითსა. ხოლო შერმეცა შემდგომად მათსა ემიებენ ბრუნჳასა შეწყობისამებრ ბუნებათა თჳსთასა. მაგალ. პეტრემან აღწერა ეპისტოლეა, პავლეს მიმართ ეპისტოლე აღიწერა პეტრესაგან.

ნიკოლ. უკეთუ ზმნანი იხილვებოდეს, არცა შემოქმედებითად და არცა ვნებითად, არამედ უფროს-ღა უმეშაობითად, მიიღებენ მიებათა მებრ ნათესავისა თჳსსა, უკეთუ არა?

იო. არა მიიღებენ მიებასა ნათესავისასა, გარნა მხოლოდ მიებასა ბუნებისამებრ. მაგალ.. მამა შენი მოჳიდა ჩემდა და სტიროდა სიღრმითა გულისათა შენთჳს, და ეგზომი მწუხარებდა სიცრუვისა შენისათჳს, ვიდრე სხსოვებისა წარწყმენდისა შთავრდომად გამოჩნდებოდა.

ნიკოლ. ერთსა შინა სიტყჳსა სამიებოსა, რაოდენნი არიან საჭიროდ მომიებად სიტყჳსათა, რათა იყოსმცა სრული სიტყჳა?

იო. თუმცა ვითარებათაებრ და გარემოებათა სიტყუათასა იძიებიან მრავალნი, გარნა უფრორე საჭიროდ იძიებიან სამნი უკჱ ესე დადებულებანი. 1) სახელი ზმნისა, რომელიცა ჰნიშნავს უფალსა მის მოქმედობისასა; 2) ზმნაჲ, და 3) მიება ზმნისა. მაგალ. პეტრე წარვიდა კესარიად. ხოლო ზედ-შესრული თუ სადმე ესმარებოდეს სახელსა ზმნისასა, დაიდების ეს ფერ: პეტრე მოციქული წარვიდა კესარიად. უკეთუ თანდებული ესმარებოდესმცა, დაიდების თანდებული იგი მიებიაურთ ესრეთ: პეტრე მოციქული სურვილისამებრ ქადაგებისა წარვიდა, და რა ჟამს განმათჳსებელიცა ესმარებოდეს მიებასა თანდებულისასა, მაშინ დაიდების ესე გუარ: პეტრე მოციქული მცნებისა მიერ სულისა წმინდისა, მყის წარვიდა კესარიად; და თუ მიება მერმე ესმარებოდესმცა დაიდების ეს სახედ: პეტრე მოციქული მცნებისამიერ სულისა წმინდისა, მყის წარვიდა კესარიად კორნილიოსისად. ხოლო თუ სადამე სხუაჲ რაჲმე ზმნა იძიებოდეს მის სიტყჳსადმი, მაშინ კავშირისამიერ იქმნების გარდასვლაჲ მისდამი, ეს გუარ: პეტრე მოციქული მცნებისა მიერ სულისა წმინდი-

სა მეის წარვიდა კესარიად კორნილოსისა მიმართ და ნათელჰსცა მას სახელითა პირჳჱლად წმინდისა სამებისათა: ეგრეთვე ნაცჳალ სახელი ესე: მას, დაიდების ნაცჳლად კორნილიოსისა. პეტრე მოციქული მცნებისა მიერ სულისა წმინდისა მეის წარვიდა კესარიად და ნათელ ჰსცა მას სახელისა, პირველად წმინდასა სამებისათა. (ამას შინა, მას ნიშნავს კორნილიოსს) ესსასედვე კჳლავ მოღებითი იგი რომელი მალითად წარმოადგენს დადებითად მასვე კორნილიოსსა, ესრეთ: პეტრე მოციქული მცნებისამიერ სულისა წმინდისა მეის წარვიდა კესარიად მისდამი, რომელი ნათელსაცემელი იყო სახელისა ყოვლად წმინდისა სამებისათა. (ვინ იყო? ესე იგი კორნილიოსი. ვისდამი წარვიდა? ესე იგი კორნილიოსისადმი.) და სხჳანი.

ნიკოლ. საღრამმატიკოჲსა კელოვნებისა, ნაწილნი სიტყჳსანი, ვითარ განიკარგვიან ბუნებითითა წესითა, სიტყჳასა შინა აღნაქჳსთასა?

იო. ესრეთ, პირჳჱლად სათანადო არს მოძიებად ანუ დადებად სახელი ზმნისა კანონიერისა ჰაზრსა შინა თუ მუხლსა, და შემდგომად ჰოვნი-

სა მისისა მომიებად მაუფლებელისა სახელისა, ესე იგი არს რომელიცა მოქმედებს თუ სადმე აქუს ზედ შესრულითურთ მისით, ანუ განმათჳსებელით. ამას შემდგომად მეორისა სახელისა, რომელ არს ნათესავის მიებასა, ესე იგი არს მისი, რაჲცა ზედშესრულისა მიებითა თუ სადმე აქუნ, ჰმსგავსადვე მეორისაცა მიებისა ბუნებითსა, ესე იგი: არს, მისი, რით, ანუ სადა ქმნილ არს საქმე იგი, თჳსითურთ თანდებულით, ზედშესრულით, ზედშესრულის მიებით და განმათჳსებელით, აგრეთვე ზმნის ზედანი და კავშირნიცა უკუე კანონისამებრ მათისა ცხად არიან თავით თჳსით. ყოველგან და ყოველსა შინა ალნაქუსსა. მაგალ. ხოლო ჩუენ ყოველნი განცხადებულითა პირითა დიდებასა უფლისაგან ვიცდით: ამას შინა კანონიერი უკუე ზმნა არს: განვიცდით, რომელსაცა გარემო მოკიდებულ არიან სხუანი ყოველნი ნაწილნი სიტყჳსანი. უფლად ზმნისა ამის არს არსებითი ნაცუალ სახელი ზედშესრულითურთ თჳსით. ჩუენ ყოველნი, სამიებოდ განმათჳსებელითურთ თჳსით, განცხადებულითა პირითა. ხოლო, არს, კავშირი გარმიმღეობითი, ნიადაგ თავად

მდებარე აღნაქუსსა შინა.

და ესე უწყოდე, რომელ კითხჳანი რღჳევასა შინა ანუ შემეცნებასა აღნაქუსთასა ისმევიან ესრეთ: რამეთუ ჰკითხავს რა ზმნასა საფუძჳელსა სიტყჳსასა, ვითარცა მაგალითსა ამას შინა განვიცდით, იკითხების რა ეს გჳარ: ვინ განვიცდით? რომლისაცა მიგება არს, ვითარმედ ჩჳენ ყოველნი: რაჲსა განვიცდით? დიდებასა. ვისსა დიდებასა? უფლისასა. რაჲთა განვიცდით? პირითა. ვითარითა? განცხადებულითა, და ესრეთ ყოველსა შინა აღნაქუსთა მოქცევად სათანადო არს.

ხოლო ნაწილნი სიტყჳსანი რომელნიცა მკითხე, ბუნებითითა წესითა სიტყჳათა შინა ეს სახედცა შესაძლებელ არს განკარგჳად — ესრეთ, რომელ ჰხამს პირჳელად დადებად სახელი ზმნისა, მეორედ ზედშესრული მისი თუ სადმე სახმარ იყოს მისდა, მესამედ მიება ზედშესრულისა, მეოთხედ თანდებული, თუ სადმე სახმარ იყოს მისდა მეხუთედ მიება თანდებულისა, მეექჳსედ ზედშესრული მისი თუ სადმე სახმარ იყოს მისდა, მეშჳდედ ზმნის ზედაჲ თუ სადმე სახმარ იყოს მისდა, მერვე ზმნაჲ, მეცხრედ მიება ზმნისა და

ესე თანდებულითურთ თუ სადმე ეხმარებოდესმცა, მეათედ ზედ-შესრული მიებისა მის. მაგალ.

**1**) ზეთის-ხენი მტილისა თქჳენისანი. **2**) ნაყოფიერნი. **3**) ხილვითა. **4**) შემდგომად. **5**) ზამთრისა. **6**) შარშანდელისა. **7**) უხჳად. **8**) გამოსცემენ. **9**) მომსთულებელთადმი. **10**) საგებელსა მრავალთა ვერცხლისასა კმასა. აქა ამას შინა შემოქმედებითისა ზმნისაგან მიღებულნი ორნი სამიებონი ნათესავისამებრცა და ბუნებისა.

ნიკოლ. მისდა გკითხო მე, თუ ვითარ გვაჩჳენებ განრჩევით უფალსა, ზმნასა და მიებასა. მაგალითსა ამას შინა? ამას ზესთანათელსა ნისლსა შინაგან-ქმნად ვილოცავთ ჩჳენცა, და ვერ-მხედველობითა, და უმეცრებითა ხილვად, და ცნობად უზესთაესს ხილვისა, და ცნობისას, თჳთ მით ხილვითა, და არა ცნობითა, რამეთუ ესე არს ნამდჳლივე ხილვაჲ, და ცნობაჲ, ყოველთა არსთაგან შორს განყოფითი. ან უკჳე, რომელი არს მაგალითსა ამას შინა, უფალი, ზმნაჲ და მიებაჲ?

იო. ამას, არს ნაცჳალ-სახელი ჩჳენებითი ბრუნვილი მიცემითად, ზესთა ნათელსა, არს სახელი ზედ-შესრული ჭრთული, ნისლსა, არს სახელი არ-

ხებითი ბრუნვილი მიცემითად, რომლისა, ზედ-შესრული არს ზესთა სათელსა და ნაცვალ სახელი ჩუჱნებითი თან-სმობილი მისი ბრუნვითა, და რიცხჳთა. შინაგან-ქმნად. არს ზმნაჲ განუსაზღჳრებელი შემოქმედებითი, რომლისა სამიებო არს სახელი იგი ნისლსა, ზედ შესრულიაურთ და ნაცვალ-სახელით, და თჳთ საძიებო არს ზმნისა მის უმეშაობითისა მრავლობითისა რომელიცა ვილოცავთ, ჩუჱნცა, არს ნაცვალ-სახელი არსებითი წრფელობითი და მრავლობითი სხმით-გარდასვლითი, მცხადი მალითა მდებარე სახელისა მრავლობითისა წრფელობითისავე, ესე იგი, თქუჱნ ანუ იგინი, რომლისა თანა არს: და, არს კავშირი წმახვნითი რომელი მოაბამს პირველსა სიტყუასა შემდგომსა, ვერ მსედველობით არს მიმღეობა უმეშაობითი აწმყო ბრუნვილი მოქმედებითად, რომლისა ზედ-მდებარე არს ზმნის-ზედა უკუთქმითი რომელ ვერ, და არს კავშირი მწმახვნელი, მიმღეობითა წინაჲსა, და შემდგომისა. უმეცრებათა, არს მიმღეობა შემოქმედებითი ბრუნვილი მოქმედებითად უკუთქმითი ნიშნისამიერ სხმით-გარდასვლითისა, რომელიცა, უმეშაობითი; ხილვად

არს ზმნაჲ განუსაზღურებელი უმეშმობითი, და არს კავშირი წმასვნელი განუსაზღურებელთა ზმნათა; ცნობად; არს ზმნაჲ განუსაზღურებელი შემოქმედებითი და ორნივე ესე განუსაზღურებელნი არიან სამიებონი პირუწლისა სიტყუასა შინა მდებარისა ზმნისანი, რომელა ვილოცავთ, უზესთაესისა. არს სახელი მიცემითად ბრუნვილი სამიებო განუსაზღვრებელთა, და განმათჳსებელი შემდგომთა არსებითთა სახელთა. სილვისა არს სახელ-ზმნა უმეშაობითი ნათესაობითად ბრუნვილი განმათჳსებელი უზესთაესისა. და, არს კავშირი შემკურელი სახელ ზმნათა. ცნობისა, არს სახელ ზმნა შემოქმედებითი ნათესაობითად ბრუნვილი თან-ხმობად ჩუწულებისამებრ მიცემითად ბრუნვილისათანა რომელიცა უზესთაესსა, და განმათჳსებელი მისითჳთ, არს ნაცუალ-სახელი პირი მესამე არსებითად ქცეული, მით, არს ნაცუალ-სახელი არსებითი ჩუწნებითისა ნაცუალ სახელისა წილ-მდებარე, ზედმესრული განმათჳსებელი და თანხმობილი არსებითთა მათ სახელთა, რომელ არიან სახელ ზმნანი, ესე იგი სილვათა. არა, არს ზმნიზზედა უკუთქმითი, სილვათა, არს სახელ ზმნა უმეშაობი-

თი ბრუნვილი მოქმედებითად, და, არს კავშირი წმასრულილი სახელი ზმნათა, არცა არს ზმნის-ზედა, რეცა სხმით გარდასვლით-ქმნილი უკუთქმითი ცნობათა. არს სახელ-ზმნა შემოქმედებითი ბრუნვილი მოქმედებითად, და თჳთ მით არცა სილვითა და არცა ცნობითა არიან სამიებონი მალითა მდებარისა ნამყოჲსა მიმღეობისანი, ესე იგი სილულისა და ცნობილისა. ესე იმცენ ესრეთ, ვითარმედ თჳთ სილვითა არა სილულსა, და თჳთ მით ცნობითა არა ცნობილსა, რამეთუ აქა იდეს, იგი მალითა მდებარენი მიმღეობანი წრფელობითნი დაიდებიან მოქმედებით, მაშინ უკუთქმითნი იგი კავშირნი მოქმედებითად ბრუნვილთა სახელ-ზმნათაგან, რომელიცა, სედჳთა, ცნობითა აღილებიან, და მიმღეობათა ზედა ნამყოთა დაიდებიან, და ითქმის ესრეთ: თჳთ მით სილვითა არა სილულსა, და თჳთ მით ცნობითა არაცნობილსა. სილი თჳთ მით არიან თანა-მდებარე სახელ-ზმნათა მათ, ესე იგი, თჳთ მით სილვითა, თჳთ მით ცნობითა: რამეთუ, არს კავშირი მიზეზობითი, რომელი მოაბამს შემდგომსა სიტყუასა პირველისა თანა, ესე არს ნაცუალ-სახელი ჩუჱ-

ნებითი, ბრუნვილი წრფელობითად, უფალი არსე-ბითისა ზმნისა, ნამდჳლევე, არს ზმნის ზედა და-მოკიდებითი, ხილვა არს სახელ-ზმნა უმეტობითი, წრფელობითი. და, არს კავშირი წმასჩენელი სა-ხელ-ზმნათა, ცნობა, არს სახელ-ზმნა წრფელო-ბითად, და, არს კავშირი მემდგომისა არა სრუ-ლისა სიტყჳსა მწმასვნელი სახელ-ზმნათათანა, არსებათათა ორითად ბრუნვილი განმათჳსებელი არსებითისა სახელთა: ზესთა ნისლისად არს სა-ხელი ჭრთული მიცემითად ბრუნვილი, რომელი არს სამიებოდ მიმღებელი ძალით მისთანა მდე-ბარისა თანა დებულისაგან რომელ არს მიმართ, განყოფა, არს სახელ-ზმნა წრფელობითად ბრუნვი-ლი. სრულო, არს სრული ესე სიტყჳა რომელ-არს ნამდჳლივე ხილვა, და ცნობა, და არსებათა უსე-სთაესისა ზესთა არსებისადა განყოფა, არს სამი-ესო პირველად მიღებულ არსებისაგან ზმნისა. რომელ არს დაწყებითად ბრუნვილი მიღებული თანდებულისაგან, რომელიცა შორის განყოფითა არს სახელ ზმნა, დალათუ მოქმედებითად ბრუნ-ვილი, მაგრამ ძალითა წრფელობითად მდგომარე რომელითა განიყოფა.

### კანონნი აღნაქუსთა და ხელოვნებათა მისთა.

ნიკოლ. სიტყჳა რაოდენითა უკჳჱ გჳარითა სათანადო არს დათხზჳად?

იო. ორითა უკჳჱ გჳარითა, ესე იგი; მარტივად და მეორე რთულად. მარტივი არს იგი, რომელსაცა შინა იპოების ერთი უკჳჱ კაცი და სხჳანი. ხოლო რთული არს ოდესცა ორნი მარტივნი სიტყჳანი, ესე იგი არს, ორნი პიროვანნი ზმნანი გარდაებმიან ურთიერთისადმი, ანუ კავშირითა, ანუ კჳლავ მოღებითა ნაცჳალ სახელითაჲ და ანუ სხჳჱბითა. მაგალ. მე ვჰსწერ და შენ აღმოიკითხე. იგი უსმარ არს, რომელიცა თჳთ თავსა თჳსსა მისცემს სასჯელსა ვითარიც საჭიროება შემწეობათა შინა. და ესრეთ შემოღებასა შინა ლექსთასა სათანადო არს სავსე გულისხმის ყოფისა, შემოხმჵითა სხჳათა და სხჳათა იდიათთა სხჳათა და სხჳათა მალთა ლექსთთა.

ნიკოლ. თხზჳასა შინა ლექსთასა, პირველ რომლისა უმეტეს საჭიროება აქჳს, რათა იქცეოდეს ზმნასა შინა, ანუ სახელსა?

იო. პირჳჱლად ზმნასა შინა, და მერმე სახე-

ლსა შინა, ვინაჲდგან ზმნა თავით თჳსით სრულ არს ჭაზრსა შინა და უპყრიეს მალითად სახელნი. ესე იგი, არს უფალი და მიება, და ამისთჳს ყოველთა ენათა ზედა წოდებულ არს იგი სიტყუად, მაგალ. ვჰსწერ, ვღაღადებ, არს და სხუანი. და ესრეთ თჳსებანი ზმნისანი, ითხოვენ სხუათა და სხუათა ლექსთა სიტყჳს ნაწილთასა განათლებისათჳს გონებისა ჩუენისა და განმრავლებისათჳს იდიათასა, რომელსაცა უწოდთ ჩუენ, დაქუსად ლექსთა. 1) პირუცლად ცხად ყოფითა უფლისა და მიებისათა. მაგალ. ბნელმან ღრუბელმან დაჰფარა ცაჲ. 2) ზედ შესრულითა სახელებითა. მაგალ. ბნელმან ღრუბელმან დაჰფარა ბრწყინვალე ცაჲ. 3) მიმღეობითა. მაგალ. ღრუბელმან შესმლებულმან ცუარითა დაჰფარა მზით გაბრწყინუცბული ცაჲ. 4) ნათესაობითა ბრუნვითა, ანუ განმათჳსებელითა. მაგალ. სიბნელე ღრუბლისა დაჰფარავს ბრწყინვალებასა ცისასა. 5) თანდებულითა, მაგალ, ღრუბელმან დაჰფარა ბრწყინვალება მზისა ჭაურსა შინა და არღა უტევა ქუეყანასა ზედა. 6) შესაძლებელ არს შორისდებულითაცა დადებად ეს გუარ, მაგალ, ჰი რა ჩამობნელდა

ღრუბელი. ვაჲ თუ რაოდეს ჟამია, რომელ სიბ-ნელისა გამო ღრუბლისა არღა გვიხილავს მზე, გარნა ესე ცუარნი არა არიან საჭიროდ, და ამისათჳს კელოვანნი რიტორნი მალუცს, რათა წე-სი ალნაქუსთა კელოვნებით ანუ განამრავლოს და ანუ შეამოკლოს, და ანუ შესცუალოს. მაგალ. ქუეყანა ნაყოფიერებს ცუარითა, და მეცნიერება პატივითა. აგრეთვე ითქმის, ნაყოფიერებს ცუა-რითა ქუეყანა, და პატივითა მეცნიერება. და ამისთჳს კელოვნებითი ალნაქუსი არს, ოდესცა სიტ-ყუა საზოგადოჲსაგან კანონისა წესიერებისა გარ-დავალს ოდესცა ანუ დაიტევების, და ანუ შეიც-ვალების, რომელსა ეწოდების მალითად ყოფა. ხოლო ბერძულებ, (ელლიპის) და ესე ისმარების მარტივსა ალნაქუსსა შინა, რომელ არს დატევება ანუ მალითად ყოფა ერთისა ანუ მრავალთა ლე-ქსთა მშუენიერ ყოფისათჳს და დაქუსისა საჭი-როთა ლექსთასა. მაგალ. არღა მრავალთა ვიტყჳ (აჰა აქა დატევებულია, სიტყუათა.) იტყჳან, ანუ ანბობენ. (ამას ანუ მას რომელსამე საქმესა, ანუ სიტყუასა კაცნი). ეს გუარუე უფრო ყოვლითავე ჭასრითა შესაძლებელ არს თქმად. მტკუარი ესე.

(ესე იგი მდინარე ესე მტკუარი) ტფილისი ესე. (ესე იგი ტფილისის ქალაქი) ქართლი ესე. (სამეფო) და სხუანი. ეგრეთვე ზმნის ზედანიცა ისიმნებიან ეს სახელ. აქეთ, იქით (ესე იგი; აქეთ გზაზედ. ქით გზაზედ) დროზედ, ჟამზედ (კეთილ დროზედ, კეთილ ჟამზედ-კეთილ დროს, კეთილ ჟამს.) და სხუანი. მსგავსადვე დატევება კავშირსაცა ექმნების. მაგალ. საამემან, დრომან განსაცდელთა ნაკლულევანებამან, მხედართ მარბიელობამან მიმიყუანა ჩუენ ეს გუარსა განწირულებასა. და უკეთუ გვნებავს თანდებულით ვიტყჳთ ესრეთ: მარბიელობამან განგუწვალნა თქუენ, ვიდრემდა სიტყჳამან ჩემმან და სხუანი. ოდესმე დაიტევების ზმნადაცა და სხუასა სიტყუასა შინა დაიდების. მაგალ. ზესთა ბრძოლისა ჩემისათჳს, და მოღუაწისა ყმლეველისა, ვითარცა შენ მიერ ხსნილნი, სამადლობელისა აღვწერთ. (აჴა აქა მოვიდა ზმნა) ოდესმე მთელი სიტყუაცა დაიტევების. მაგალ ვითარცა თანამდებობა თქუენი გვაქთ, რათა ჰპატივსცეთ ყოველთა კეთილთა კაცთა, ეგრეთვე (თანამდებობა თქუენი არს, რათა ჰპატივსცეთ ყოველთა ჩინებულთა გუამთა სამსაჯულოსა და სხუანი.

**2**) დამატება,რომელს ბერძენნი(პლეონასმოს ეძახიან) არს შუ̂ჱნიერად გაუსუ̂ჱბა ლექსითა და ერთსა და მასვე შინა ჰაზრსა. მაგალ. გულითა და პირითა აღიარებს. თჳთ თუ̂ალითა ჩუ̂ჱნითა ვიხილეთ. პირითა თქმულ არს და თვალითა ხილულ. ჰმს-გავსადვე, ოდესცა ერთსა შორის ზმნასა და მიე-ბასა მისისა შემოვალნ სხუ̂ანი სიტყუ̂ანი, მაშინ დამეტებითი ლექსითათა შედგების უკუ̂ჱ ჰაზრი. მა-გალ. ნუ ვითარცა მოძღუ̂არი მოძღუ̂არსა, ნუცა ვითარცა მოწაფე მოწაფესა მწერ, არამედ ვი-თარცა მოძღუ̂არმან (რამეთუ შენ ხარ მოძღუ̂არი, სოლო მე წინააღმდგომ, ამისთჳს, ვითარმედ შენ სხოლასა შინა იწოდები მოძღუ̂რად, და მე ჯე-რეთ საზრდელსა ვემიებ). წიგნი წარმომიგზავნე.

თანა სწორადვე ერთისა საქმისათჳს მრავალ-თა ლექსთა შემოყუ̂ანა, რომელიცა იწოდების პე-რიფრად, არიან ეს გუ̂არ. მაგალ. მეცადინეობა მისი, და ღწუ̂ა, და შრომა, რომელიცა თავს იდ-ვა, იყო სიბრძნისათჳს და სწავლათა, და სხუ̂ანი.

**5**) შეცუ̂ალება არს აღრევა ლექსთა, რათა რომელიცა ჯერ იყო პირველ დადებად უკანასკნე-ლსა ადგილსა დაიდუ̂ას. მაგალითი ამის ყოვლი-

საკან ცხად არს, ჭადაცა უფალნი და მთებანი, და ზედ შესრულნი და თანდებულნი, და ზმნანი აღრეულ არიან ნიადაგ შჳჱნიერებისა მლით და მე მხოლოდ ოდენ დავჰსდებ აქა, რიტორულისა ნაკუჱთისა ლექსთა აღრევისასა, მაგალ. ვიდევნებით და თავს ვიდებთ. ჰმრთელობას და ცხოვრებას (ცხოვრებას და სიმრთელით არს) ჰმსგავსადვე განკვეთილთა ლექსთა შორის სხჳსა ლექსისა შემოხება. მაგალ. განსა მე. უკუჱ ვვარდე (განვვარდე უკუჱ სადმე) განმე-გდებულ ვარ (განგდებულ ვარ მე). მამა იყავ სადმე. (მამა სადამე იყავნ). შთავჰხედე, შთავხე თუ). მოდღეინდელად დღედმდე, (დღეისამდე) და სხჳანი. ესრეთუჱ კავშირნი ორთა ლექსთანი ესრთისადმი შეერთებულნი. მაგალ. არამცა მომკუჱდარიყო. თქუჱნცა თანა გაქსთ. მეცა და მამაცა ჩემი და სხჳანი. ესრეთვე იქმნების დაკლება მარცჳალთა; ანუ მომატება ანუ შეცჳალება ლექსთა შინა, მაგალ. ა. არი, არის, (არს); სამარი, (სამარე) და სხჳანი თუმცა სხჳჱბი შეიძლება ნაკუჱთნი აღნაქჳსისანი, გარნა ესე ვაკმაე გრამმატიკასა შინა, ვინაჲდგან იგინი უმეტეს ფჯს ჟუჯან რიტორულთა, ნაკუჱთ-

თუა ამისთჳს ესენიცა მოკლედ დავსხი აქ შენ შესვლისა მოლოდებისათჳს და განსამართველად ისზჳათა.

შუენიერებისათჳს აღნაქუსთა.

ნიკოლ. რთულნი ჯერ არს აღნაქუსთა მშუენიერად შენათხზჳა, და პერიოდნი ანუ (მუხლნი) თჳთეულად განრჩევად?

იო. რთულნი და მშუენიერნი აღნაქუსნი არიან ესე გჳარნი სიტყჳს თხზულებანი რომელიცა იპყრობს თჳს შორის ვრცელსა და საგნეთა იდეათა; ხოლო პერიოდნი არიან: ერთ წევროვანნი, ორწევროვანნი, სამწევროვანნი და უმეტესნი, რომელთაცა განჩუენებ ქუემორე. ხოლო პირველად ესთქუათ რთულთა და მშუენიერთა აღნაქუსთათჳს. მაგალ. დიდი კეთილობა არს კითხჳა საღმრთოსა წერილისა, რამეთუ ესე განაბრძნობს სულსა, აღამაღლებს გონებასა ცად, მადლიერ ჰყოფს კაცსა. ესე ასწავებს, რათა არა რაჲმესა ამაოსა სოფლისასა განვიცდიდეთ, განკჳრვებით, ესე გვაიძულებს მარადის, რათა ცათა შინა ეგოს გონებაჲ ჩუენი, და რათა მიმხედველნი უფლისა

სასყიდლისანი ყოველსავე ვიქმოდეთ კეთილად, და სათნოყოფითა შრომათა შინა დიდითა გულს მოდგინებითა ვიღუწიდეთ.

ხოლო აწ ვჰსთქუა, პეროდისათჳს, ორითა გჳარითა აღნაქჳსისათა, ესე იგი არს გჳარითა მარტივისა საუბრისათა, რომელსაცა ელინნი უწო-დენ პროზად, ხოლო მეორისა გჳარითა მესაირო-ბართა, რომელსაცა ელინებრ ეწოდების პოეზა, ანუ პოეტა. პერიოდი ანუ მუხლი, არა სხჳა რა-ჲმე არს, გარდა აღნაქჳსი მარტივთა იდიათა ანუ ლექსთა ცხად ჰყოფისათჳს. იდეისა, რომელსაცა უწოდთ ჩჳჱნ სრულსა სიტყუად, პერიოდი ოდეს ერთსა ჰაზრსა ერთითა ზმნითა იპყრობს თჳს შორის იწოდების ერთ-წევროვანად, და ოდეს ორთა ანუ მეტთა აზრთა გარდაბმულითა ურთი-ერთისადმი, ანუ კავშირითა ანუ სხვითა სიტყჳს ნაწილითა, ვითარცა კჳლავ მოლებითა, ზმნის-ზედითა, და მიმღეობითად, მაშინ იწოდების, ორ-წევროვნად, სამწევროვნად, და უმეტესად. ხოლო რჩევა ამათი იქმნების ნიშნებითა წერტილთათა.

მაგალ. ერთ წევროვანისა პერიოდისანი არიან ესრეთ:

მოწყალე გლასაკისა ასიამოვნებს ღმერთსა.

სიყუარული მოყუასისა შესმინებს კეთილსა და სხუანი.

ორწევროვანისანი, მაგალ. მოკიცხარი გლასაკისა განარისხებს შემოქმედსა მისსა. ხოლო მოხარული წარწყმენდილისათჳს არა უბრალო იყოს.

სული სიბრძნისა დააბნელებს კეთილსა. დავრიობამან გულის თქმისამან ჰსცვალოს გონება უმანკოთა. და სხუანი.

სამ წევროვანნი. მაგალ. ნუ ჰყოფ უსამართლოსა მჰსჯავრსა შინა, და ნუ თუალ ახუამ პირსა გლასაკისასა. ნუცა განჰკრთები პირისაგან ძლიერისა.

ყოველსა სიტყუასა უსამართლოსა განმეორე. უბრალოსა და მართალსა ნუ მოჰკლავ. და ნუ განამართლებ უსჯულოსა ძღუნთათჳს.

ამისთჳს დაიხსნა. სული, და არა წარმოებს სრულებით მჰსჯავრი, რამეთუ უჰსჯულო აჭირვებს მართალსა და სხუანი.

ოთხწევროვანნი. მაგალ. რომელმან ჰქმნეს-ცოდვაჲ იგი ეშმაკისაგან არს, რამეთუ დასაბამი

დგან ეშმაკი ჰსცოდავს. ამისთჳს გამოსცადნა მე ღუთისა, რათა დაარღჳვნეს საქმენი ეშმაკისანი.

ვაჲ, რომელი აღჰსდგების ადრე, და ჰსდევს თაფლუჭსა, ელის სერსა, რამეთუ ღჳნო შეჰსწუავს მას და სსუანი.

ხოლო უმეტეს წევროვანად, ითქმიან, ვითარცა მამანი ჩუენი, მრწამსი, და ესე ვითარნი.

ნიკოლ. სჳნტაქსი, ანუ აღნაქუსი ვითარითა სახითა იქმნების მშუენიერ ყოფად?

იო. სახითა ამით, რომელ ოდესაც გესმარებოდეს სიტყუასა წესსა შინა, გარდა კანონიერისა თხოვნისა, რაჲცა შეგემლოს შემოღებად განმშუენებისათჳს აჰზრისა, და ესე დამოკიდებულ არს მესსიერებასა ზედა შენსა, ესრეთ, რომელ კანონნი საზოგადოებითნი გახსოვდენ მარადის. 1) გამოხატვა ჰაზრისა, და მერე უბნობა, ანუ დაწერა. 2) ჰაზრნი იგი ცხად ჰყო, გუარითა ლექსითა, რომელ ყოველნივე იყვნენ სახმარ, ხოლო უხმარნი არა იხმარო, 3) სიტყუანი ყოველთჳს ამსგავსო სიტყუებთა, და მბაგე ექმნა, მუელთა მწერალთა დაკუეცითა ლექსთათა, ვითარცა, პეტრიწი, და ეფრემ ასური, ხოლო ახალში ანტონი

კათალიკოზი. 4) გულისმოდგინებით ჭვრეტას, თუ რაჲ მალი აქუს მჭრელთა მათ მწერალთა თხზულებასა შინა, და გამოსცნო შემძლებელობა და საკუთრებაჲ მისი, 5) ენამზეობასა შინა პეტრიწისა და რუსთაველისასა, მისდევა უმეტეს და მომიება რომელნიცა მჭრელთა ლექსთათჳს ეყვან და არიან უხეშად დადებად უმეტეს ეს გჭართა ლექსთა. 6) წესად ლექსთა იწოდებიან იგინი, რომელნიცა რომელთამე ნივთთა ცნობილთა ათსებდენ, 7) ლექსნი, რომელნიცა ათსებენ მსმენელთა. საჭანადო არს თანხმობად ურთიერთისა მორის მეწყობით, და გემიერისა გამოლებით: რათა იმერონ ყურნი მსმენელთანი: ხოლო უთანხმონი ლექსნი და უგუთქმითნი წინაღმდეგ დაქუსვისა მოაწყებენ ყურთა მსმენელთასა, და ესე იქმნების მაშინ, ოდესცა განყოფ ლექსთა და ბუნებითთა კმათა მათთა. მაგალ. სჯნიდისა მე ანუ საქმე შემსმენდა. მეორე ოდეს იგინივე ასონი და მარცუალნი ჭრბიან მრავალნი ერთად. მაგალ. მამხილებლობანი სჯნიდისანი შეურაცხებითნი განმგლელნი თუალთა შენთა უსჯულოთათა.

ნიკოლ. სათჳთონი ლექსნი ანუ სიტყუანი,

ვითარ კმარებულ არიან ნაწილთა შორის სიტ-ყჳსათა?

იი. პირუელად სახელისა ძჳრ არს დაწყებად ბრუნვილითა ლექსითა, რომელ ესე უმჯობეს იქ-მნების გამოლებისათჳს ლექსთა. მაგალ. დიდებისა და ერთგულებისა წარწყმედანი უფროს არიან ვიდრელა მათი, რომელნიცა წარკდებიან. სიბრძ-ნისადმი სიყუარული ვიცი მე.

ჰმსგავსადვე სიტყუათა შუენიერ ჰყოფენ გან-მათჳსებელნი სახელთანი. მაგალ. ვიცი უკუე სუ-ლისა შენისა სიკეთე. ვისილენ მოცალეობანნი შენ-ნი მრავალნი.

შუენიერება უკუე ბრუნვილთა სახელთა თან-ხმობს ასლისათანა სამოებისა, უკეთუ არა და-ბოლოებასა ზედა სიტყუათასა ექმნების ადგილი სახელსა. მაგალ. ჩუენ მიმავალთა სახლად წინა შეგვხუდა მალად შენი.

მე უკუე ჭირი დავითმინე ვითარცა მოღუაწე-მან ქრისტეს იესოსამან. მრავალთა მარცლოვანთა სახელთა უმჯობეს არს, რათა წინარე დაესხნეს ერთ მარცვლოვანნი სახელნი. მაგალ, ხე ნაყოფი-ერი, ცა ყოვლად მშუენიერი, და საყუარელი მში-

სა და სხუანი.

**3**) არსებითსა საკელსა და ზედშესრულსა შორის უმჯობეს არს, რათა ერთი ანუ მრავალნი დაიდვნენ ლექსნი: მაგალ. დიდებულისა მის კაცისა შუენიერ სიტყუაობასა ვჰკუარობ მე. ესრეთვე შორის არსებითისა სახელისა და ზედშესრულისა ნაცუალ სახელისა შუენიერად შემოვალნ სხუანი. მაგალ. ჩემი შენ შორის სიყუარული და შენი ჩემდამო კეთილნებობა და სხუანი. აგრეთვე ორთა შორის ზედშესრულთა სახელთა შუენიერად შემოვალნ ნაცუალ სახელნი. მაგალ. თავისუფლებითა შენითა და საკჳრველითა გონიერებითა, ალმრჩეველ ხარ.

**4**) წოდებითი ბრუნვა, შემდგომად ერთისა და მეორისა ლექსისა არა უთანხმოდ დაიდების. მაგალ. შენი ძმაო, წერილი მივიღე. ადრიდგან უკუე ძმაო ჩემო, მოველოდი შენ.

**5**) ზედშესრულნი არსებითთა წინა უძღჳნ, გარნა ზედშესრულნი ნაცუალსახელნი, და კერძობითნი: ყოველი, არავინ, არა, რაჲმე და ყოველნი რიცხობითნი სახელნი, არა უშესაბამოდ უკანა დაესხმიან თჳსთა არსებითთა სახელთა. მაგალ.

მრავალნი საქმენი. საღმრთო გონება. მამა შენი. საქმესა მოგცემ ყოველსა. კაცნი ათნი. წელიწადი ოცდა ათი და სხუანი.

**6**) ოდეს ერთი და იგივე დაბოლოება ზედ შესრულთა არსებითთა თანა თანხმობდენ ურჩად, მაშინ სათანადო არს არსებითთა მლით შორის უოფა მათი. მაგალ, ნაცულად სასიერმან. მართლმსაჯულმან, მოწყალემან და წინათვე მხილველმან უფალმან ჩუმმან ჰყო ესე.

**7**) ოდესცა ერთი და იგივე ლექსი ერთად შეხუდეს უსამუალოდ, მაშინ ჰკმობს უკუჱ სამოსა სიტყუასა. მაგალ. კაცი კაცსა, ჰბრმავს. კელი-კელსა ჰბანს. ბრმენი ბრმენსა, ჰბრმნობს, და სხ.

**8**) ლექსნი ესე: ერთი და მეორე, ესე და იგი აგრეთუჱ მრავლობითნიცა: ამათნი დია, მშუჱნიერად დაისხმიან წერათა შინა ანუ უბნობათა ნაცულად მეორისა. მაგალ. სხუა სხუასა აბრკოლებს, ანუ ერთი მეორესა აბრკოლებს. სხუანი ანბობენ და სხუანი უკუთქმენ. იგინი ანბობენ და ესენი უკუთქმენ.

ხოლო ზმნისა. **1**) სრული სიტყუა უფრორე ზმნითა ანუ მრავალ მარცვლოვანითა ლექსითა

ვითარნიცა არიან შემჭსგავსებიონი და უარ-რყოფითნი შეწყნიერად დაბოლოვდებიან. მა-გალ. მყუდროსა სჳნიდიისასა არა რაჲმე არს უნეტარეს, სიბრძნე სიწმინდითურთ არს უძჳრფა-სესი საუნჯე კაცთათჳს.

**2**) უკეთუ ზმნა შემდგომად თჳსსა ითხოვს მრავალთა ლექსთა, უმჯობეს არს, რათა საშუალი ადგილი მიიღოს მან თჳსთა. მაგალ. კეთილი საქ-მე ქებასა მიიღებს და დიდებასა.

**3**) არსებითი ზმნა ითხოვს, რათა შეუდგეს მიმღეობა. მაგალ. მრავალნი არიან ჩიებულ და მცირედნი რჩეულ.

**4**) სხუანიცა უკუჱ ზმნანი და არსებითნიცა ხშირად მიიღებენ კჳლამოღებითსაცა. მაგალ. იყო დრო, რომელსაცა შინა შემძლებელ იყავ შე-წევნად ჩემდა.

**5**) არიან ესე გუარნი სიტყუანიცა, რომელნი-ცა ნაცჳლად ერთ იმეორისა დაიდებიან, ანუ თჳთ იგინიცა ისმარებიან. მაგალ კაცსა ბრძენსა არა მალუძს არა, რათა არა ჰყუარობდეს კეთილსა საქმესა.

**1**) მაგალ. ორნი უკუჱ თქმითა ზმნის ზედანი,

ჭყოფენ ერთსა დამტკიცებასა. მაგალ. არა უმესა-ბამო, არს. არა ნუ ესმისა? არა ნუ ამხილოსა.

**2**) ნაწილნი ესე: რამეცა? არამედ, ხშირად და-იდებიან ნაცვლად კჳლა მოდებითისა. არა რამე არს ნივთი, რამეცა არა ხარგებლობდეს. გაქუს წყარო, საიდგანაც ალმოივსო.

**3**) არა ოდეს, ითხოვს ნიადაგ, არამედ კავ-შირსა. მაგალ. არაოდენ სტუმარნი, არამედ მეგო-ბარნიცა იყვნენ.

**4**) ზმნასა ზედა ეგრეთ, ითხოვს მარადის კა-ვშირსა ამას, ვითარცა. მაგალითი არა რამე მსურს ეგრეთ ვითარცა მეცნიერებაჲ.

**5**) კავშირი ესე: ვიდრელა, ითხოვს სახელთა უალრესობითთა, და ზმნასა-ვარ, მალუმს. მაგალ. ვიტყვი უფროჲს, ვიდრელა უმოკლეს გონებისა ჩემისა.

**6**) თანდებულნი ოდესმე დაიდებიან შორის არ-სებითისა-სახელისა, და ზედ-შესრულისა მისისა. მაგალ. მრავალთათჳს მიზეზთა, ტაძარსა შინა წმინდასა.

**7**) თანდებულნი: შინა და შორს დაიდებიან მრავალგზის ნაცვლად ურთიერთისა, თუმცა მიიღე-

ბენ სხჳასა და სხჳასა ბრუნვასა. მაგალ. კაცთა შორის. ერთა შინა. ტამარსა შორის. ტამრისა შინა.

**8**) თანდებულნი: მიმართ, ნაცჳლად, დმისა დაიდების, ხოლო, შინა ნაცჳლად მარცვლისა--ად, იხმარების. და ეგრეთვე მარცჳალი ესე, ად, მოეკიდების უბრუნველსა სახელსა მჴსვაკსად ჴრთულისა სახელისა და იხმარების, შინა ადგილსა, ვინაჲთგან არს მაკეთ მიცემითისა ბრუნვისა. მაგალ. მივალ. მივალ მმისადმი, ანუ მამისა მიმართ. მომავალი სოფლად, ანუ სოფელსა შინა,

**9**) კავშირნი და ზმნის ზედანი ერთსა შინა სიტყჳსა მოვლენან ოდესმე ორნი, და ოდესმე უმრავლესნიცა. მაგალ., და აქჳნდაცა უკჳ განზრახჳა ამისი, ჯერეთ დროსავე მმისა შენისასა.

**10**) ლექსი ესე, ზე, დაიდების ნაცჳლად დროჲსა. მაგალ. პონტოელისა პილატეს ზე.

**11**) ნაცჳალსახელი ჩჳნებითი დაიდების ოდესმე ნაცჳლად სხჳათა სახელთა, უფროჲ ალმოჩენისათჳს ჴაზრისა. მაგალ. ვითხოვ შენგან ამას, რათა გულს მოდგინედ ეგანმხედველო გრამმატიკოსობასა.

**12** ამასთანა, მაგიერ, დაიდების მრავალჯერ.

კჳალად. მაგალ. ამასთანა გაუწყებთ თქჳენ. ესე არს, კჳალად გაუწყებ თქჳენ. ვითარმედ კარი სიტყჳერებითისა სწავლულებისა არს ღრამმატიკაჲ.

ეს ფერვე ცნობად სათანადო არს, ვითარმედ არიან სხჳსა და სხჳსა გჳარისანი, და ამას შინა თანა აქს მკითხველსა რათა მან მსედვე-ლოს ჯეროვან.

**1**) დამტკიცებითი. მაგალ. მან იცის თავი თჳსი?

**2**) უკუთქმითი. მაგალ. მან არა იცის თავი თჳსი.

**3**) კითხვითი. მაგალ. იცის მან თავი თჳსი.

**4**) უკუთქმითნი კითხჳთნი. მაგალ. არა იცის მან თავი თჳსი?

**5**) განკჳრვებითნი. მაგალ. იცის მან თავი თჳსი!

### ნაწილი 3 მართლ-კითხჳსა. (პროსოდიისა) და წერისათჳს (ორთოგრაფიისა) თავი 1.

ნიკოლ. რაჲ არს მართლკითხჳა, გინა პრო-სოდია?

იო. მართლ კითხჳა ანუ პროსოდია არს ნა-წილი ღრამმატიკისა, რომელიცა ასწავებს ნამდჳ-

ლსა გამოღებასა მარცუალთასა, გარნა ქართულსა ენასა ბუნებისა მლით კმარებისა არა აქუს სა-ჭიროება დადებად კანონთა მართლ გამოღებისა-მარცუალთასა) ვითარცა სხუათა ენათა, რომელ იგინი თჳნიერ ზედა დასხმისა ნიშანთა მვილ სა-დამე გამოიღებიან, მაღლისა ჴმითა ანუ მდაბლი-ჲსა, ბრჯგუდ ანუ ნათლად და ვერცა შეუმცნებიან მსმენელნი, და ესე უწყიან, რომელთაცა უწყიან სხუათა ენანიცა, ხოლო ქართულსა ენასა უზნო-ბასა შინა, ანუ საზოგადოდ მიწერ-მოწერათა შე-ნა არა უხმარებიათ ნიშანნი მარცუალთანი და ევრეთვე წმინდათა მამათა ჩუენთა მთარგმნელთა საღმრთოისა წერილთასა, ვინაჲდგან არა ესე ოდე-ნი საჭიროებაჲ. მაგალ. ღმერთი, მარიამ, პეტრე, სიტყჳერი, ვჴსწერ, ვქადაგებ, და სხუანი. შესაძ-ლებელ არს ესრედ დაწერად და აღმოკითხ-ვად და თქმად, გარნა თჳნიერ ნიშნისა ისრლვე-ბის ურჩს და უგუან სასმენელად, და ამისთჳს ჯერ არს რათა ყოველსა გუარსა მარცუალთასა, რომელთაცა ესაჭიროების მისცეს ნიშანნი) არათუ ჴმოვანითა ჰკრას და მისცეს მახჳლი, არამედ მით ნიშნითა, რომელთაზედა აქუთ ზემო ნიშნად

მასჯლნი. მაგალ. მარიამ, პეტრე, ვჰქადაგებ და სხჳანი. ესრეთვე მართლ კითხჳასა შინა ჯერ არს დაცჳად ესე, რათა ასონი ურთიერთისა ხმითა არა გამოილებოდენ, და ერთი მეორისა ნაცჳლად არა დაიდებოდენ. მაგალ. ბ. პარისა წილ. პ. ფარისა წილ. ყ: უნისა წილ და ო. ჲ-ესა წილ. არამედ ყოველნი თჳსითა საკუთრითა ხმითა გამოილებოდენ მათითა შესაბამითა მოძრაობითა, არა მჭიდრედ და არცა მქისედ. მაგალ. ბარბარე, და აცა პარპარე. პეტრე და არა ფეტრე. ვარსვი და არა ურსვი. უფალი და არა ჳფალი. და სხჳანი ისილენ ეს გჳარნი დიდსა ღრამატიკასა შინა ანტონის კათალიკოზისისა. ეს სახედვე სათანადო არს სიმკაცრე, რათა წარკითხვასა შინა წერილთა და ლექსთასა, არა დააკლოს მარცჳალნი და სხჳსადმი არა შერთოს, ანუ ნამდჳლად ისე ვერ აღმოიკითხოს ვითარცა წერილ არს, რომელიცა ყურსა მსმენელთასა ყოვლითურთ აღრევს, და დაუკარგავს ჭაზრსა. მაგალ. უკეთუ აღმოიკითხო ამ სახედ. სიტყჳა: მოციქულო ღჳთისა მსასურებდი. ესე სრულიად არა შემოიტანს ჭაზრსა და არცა უგჳან, ხოლო სათანადო არს ესჳარ აღმოკით-

სჳა ამისი. სიტყჳსა სამოციქულოსა ღჳთისასა ჭშსასურებდი და სხჳანი.

### თჳს მართლწერისათჳს (ორთოღრაფიისა) პირველად წერისათჳს ასოთა ანუ წიგნთა, თავი 1.

ნიკოლ. მითხარ თუ რაჲ არს მართლ-წერა?

იო. მართლწერა არს კანონი გამოსატვისა წერითა ასოთა, მარცჳალთა, ლექსთა და სიტყჳათასა. ხოლო კანონი მართლ წერისა არს დაცჳად ნაკჳწთნი სხჳანი და სხჳანი წიგნთანი, გარდაბმანი, ანუ გარდატანანი მარცჳალთა და ლექსთანი, და ნიშანნი სტრიქონთა და ქარაგმათანი, და ესე ვითარსა წესსა შინა სათანადო არს, რათა თავნი ანუ მუხლნი ანუ პერიოდნი დაიწყებოდნენ წიგნითა ასო მთავრულითა, ანუ მისვე დიდითა ასოთი. მაგალ. კეთილი დასასრული არს გჳრგჳნი საქმისა, ეს გვარვე იქმნების ესრეთ. მეფეთა გულნი კელთა შინა ღჳთისასა.

აგრეთვე ყოველნი ტაიპი შაირთანი დაიწყებიან ასო მთავრულითა ანუ დიდის ასოთი; ხოლო ახლანდელთა დროთა შინა კმარობენ თავად წითლულსა ასოთაცა.

ყოველნი სახელნი და ნაცჳალ სახელნი მაღალთა გჳამთანი, ჯერ არიან დაწყებად ასო მთავრულითა. მაგალ. ღმერთი უფალი, მისი დიდებულება. უმაღლესი მეფე ირაკლი. თქჳენი უწმინდესობა და სხჳანი.

ყოველნი სახელნი კაცთა, კელოსანთა, ქალაქთა, მდინარეთა, მეტალთა, სეთა და ცხოველთა. აღწერასა შინა ანუ ისტორიასა სათანადო არს ასოთა მთავრულითა დაწყებად ვითარცა ზემორე გაჩჳენეთ ესრეთ. მაგალ. პეტრე კეისარი. ღრამმატიკა, მხატრობა, ტფილისი, იაკინთი, მელქჳა, ლომი და სხჳანი ესე ვითარნი ესრეთ ჯერ არს დაწერად.

**თჳთ ნიშანთა სტრიქონთასა, და ქარაგმათასა შესაბამერისა წერისათჳს.**

ნიკოლ. რაოდენ არიან ოსვრითა განთჳსებანი ქართულისა ენისა გჳარიშანი, და ეგრეთვე ნიშანნი, სტრიქონნი და ქარაგმანი?

იო. შჳდნი უკუე არიან გჳარნი მათნი. პირველნი მახჳლად აღმოსათხრებელნი ვითარცა ა/ ი/. მეორე, ნელიად აღმოსათხრებელნი, ვითარცა

ბ'. დ'. ჭ'. მესამედ მოხრილად აღმოსაოსრებელნი ვითარცა. ე'. ო'. მეოთხედ ბრჯგუდ აღმოსაოსრებელნი ვითარცა. ფ'. ს'. ქ'. თ', ც'. ჩ'. ღ', ჴ'. მეხუთედ ლიტონად ანუ მარტივად აღმოსაოსრებელნი, ვითარცა. პ', მ'. ვ'. ტ'. ზ'. წ', ძ'. ჰ'. რ'. მეექუსედ უკრმებად აღმოსაოსრებელნი, ვითარცა. უ'. ჶ'. მეშჳდეთ მოკლედ აღმოსაოსრებელნი, ვითარცა. ჲ'. ჯ'. ჸ'.

ნიკოლ. რაოდენნი არიან ასონი, რომელნიცა ადგილისაებრ პირად პირადად იმოქმედებიან?

იო. ოჳსნი. ესე იგი. ჲ. ჯ. ჵ. ჶ. სოლო იმოქმედებიან ესრეთ, რამეთუ ოდესმე. ჲე, ნაცჳლად ი-ნისა, იმოქმედებს, ვითარცა--ბეთსაჲდა. ესე იგი ბეთსაიდა. და ოდესმე, ჯ. ნაცჳლად ვ-ინისა და ი-ნისა იმოქმედებს, ვითარცა აღჯსთობთ... ესე იგი, აღჳმსთობთ. და ოდესმე უ-ნი. ნაცჳლად ვითარცა ვ-ნისა, სიკჳდილი, ესე იგი სიკვდილი და ოდესმე ჲეე. ნაცჳლად ენისა ვითარცა უკჳჶ ესე იგი უკვე და სხჳანი.

ნიკოლ. ნიშანნი სტრიქონთანი ვითარ მსახურებენ წერილთა შინა და ანუ რაჲსა შინა სახმარ არს?

ჩო. მსასურებენ წერილთა შინა ცხად ყოფისათჳს ნამღჳლთა ჴაზრთასა, და მხოლოსათჳს წინა-აღმდგომთა განმარტულებათასა. რომელნიცა დაისხმიან ჴაზრისამებრ და შეწყობისა სიტყჳსათა, რომლისაცა ნიშანნი პირველსა დაწყებასა შინა გრამმატიკისასა განჩჳნდნენ, და აქაცა იხილე:

მძიმე, რომელ არს. (სტიგმა; გინა კომმა) არს მცირედ დასაყოვნებელი ხმისა კითხჳსასა შინა, და განიყოფისცა ერთსა შინა სრულსა სიტყჳსასა შემთხჳეულთა ერთობისა ბრუნვისა და შემოსრისა სახელთა და ზმნათა. მაგალ. სახელითა მამისათა, და ძისათა, და სულისა წმინდისათა, ამენ. ცანი უთხრობენ დიდებასა ღჳთისასა, და ქმნულსა ჴელთა მისთასა მიუთხრობს სამყარო.

ერთ წერტილი ჰნიშნავს გრძელსა დაყოვნებასა ჴმისასა კითხჳსათა შინა, და თჳს მორის თუმცა სრული ჴაზრი, გარნა დაუტევებს კჳალად იჭჳსა მისთჳს, რამეცა შეუდგების შემდგომად. და ამისთჳს არ დაიწყების შემდგომი მისი სიტყჳსა ასოთ მთავრულითა, არცა გარდაიბმის კავშირითა: მაგალ. ყოველთა ზედა კითხჳსათა არს მომივებ.

ყოველი უგუნური უმეტეს კითხჳად შემძლებელ არს, ვიდრელა მიუგებდეს ბრძენი. ყოველნი ამათ, რაჲსაცა ვხედავთ სოფელსა შინა. მეცნიერება ოდენ დაგჳშთების სიმდიდრედ.

ორი წერტილი დაასრულებს სრულსა პერი-ოდსა, ანუ მუხლსა, რომლისაცა შემდგომი მუხ-ლნი ნიადაგ დაიწყების ასო მთავრულითა. მაგალ. მიწყალე მე ღმერთო დიდითა წყალობითა შენითა და მრავლითა მოწყალებითა შენითა: აღხოცე უს-ჯულოება ჩემი, უფროს განმბანე მე უსჯულოები-სა ჩემისაგან, და ცოდვათა ჩემთაგან განმწმინდე მე და სხჳანი.

საკითხავი ნიშანი ჯერ არს დასმად დასას-რულსა ზედა კითხვითისა სიტყჳსასა: მაგალ. სა-და ხარ შენ? უწყია, ვითარმედ კაცნი ცხოვრება-სა ამას შინა ბრმა არიან და, დროსა სი-კჳდილისასა აღესმის თჳალნი?

და მაშინ ჯერ არს გამოხჳწბად კითხვითისა ამის ნიშნისა კანონისაგან, ოდესცა სხჳსათჳს მი-უთხრობდე სიტყჳასა. მაგალ. მკითხჳდენ მე, ვიც-ნობ მას. არა უწყი, საქმებელ იქმნების ესე ანუ არა.

განკჳრვებითნი, წოდებითნი, მცნებითნი, და

ყოველნი ფიცხელნი სიტყუანი ჯერ არიან სხჳთა ნიშნითა განსხუავებად, რომელსაცა ეწოდების ნიშანი გასაკჳრვებელი. მაგალ. რამეთუ თქუჱნ ქუა ქმნილნო! გული დააცხერ ამპარტავნებად! რაჲსათჳს ამპარტავნებ მიწა და ნაცარი! უფალო! ვინ დაემშენოს კარავსა შენსა, ანუ ვინ დაემკჳდროს მთასა წმინდასა შენსა!

ფრჩხილთა შორის პყრობილი ლექსი, ანუ სიტყუა, არს სხჳთ შემოსმული და კავშირი აღურეველი სიტყუასა მას შინა, რომლისაცა შორის შემოილების, და ამისთჳს ჯერ არს, რათა აღმოიკითხოდეს იგი ნელიადითა კმითა, ვითარცა განვებ შესდომილი რაჲმე. მაგალ. მრწამს ჭეშმარიტებით. (არა ამაოება არს სარწმუნოება ესე) ვითარმედ არს ღმერთი, რომელსაცა მალუმს მარადის სასყიდლის გებად და ჰსჯა ჩუჱნდა. მას (ვინ იფიქრებს ამას) გამორებენ შენ. და მაშინ მიიქცნენ (მოციქულნი) იერუსალიმად და სხუანი.

შემკვრელნი, ანუ ეპოდიოსტოლი არს ორთა სახელთა ჰრთულთა გარდაბმულ. მაგალ. ღუთის-მეტყველი, მღუდელ-მთავარი, ნუგეშინის-მცემელი და სხუანი.

გარდასატანი არს, ნიშანი ლექსთა მარცუალთა შუა განყოფილისა დასასრულ დასაწყისის სტრიქონისა. მაგალ. შეიყუარეთ კი, კაცნო სიბრძნე, რათა საუკუნოდ ჰსცხოვრობდეთ. ხოლო წესსა შინა ლექსთის სიმკაცრესა თანა მწერალსა აქს, რათა სტრიქონით სტრიქონად არ გარდაიტანდეს ასოთა შესაბამიერთა ერთის მარცვლისას შორისადმი და ამისთჳს უნდა ასხოვდეს ნიშანნი ბრუნვისანი განვითარებულთა, მაჰიროვნებულთა და მამრავლებულთა ზმნათა რათდენ შეიძლებოდეს არა გარდატანად იმულებით სხუათა სტრიქონთა ზედა, და არა დაიყოფოდენ ძირნი სახელისა და ზმნისანი და ეგრეთვე არა გარდიტანებოდეს დაყოფით სტრიქონად სახელნი უმაღლესისანი. მაგალ. უფალი იჳთ მპყრობელი. მოციქული, იმპერატორი, მეფე, დიდებულება, სიმაღლე და სხუანი.

სხოლიონი რომელ არს განმარტებულ უცხოს ლექსისა ნიშნითა ამით (*) მჭჳლად ჰსწერდენ უნიშნოდ წითლულითა, ანუ წვრილითა ასოთი ანუ მკრგლოვანითა, შუა ფრჩხილოვანითა, და ასო მთავრულითაცა, გარნა ახალსა დროსა შინა შემოიღო უფრო მისდობისათჳს და ჩქარის მწერ-

ლობისათჳს კათოლიკოზმან ანტონი, სხოლიო ქსე, ზეითაც იმა ლექსითან მჯდომელი, და ქჵწვით, რჵწულის ბოლოს, გასაზვით, ერთის სტრიქონისა, და მერე ნიშანივე ესე და მერეთ განმარტებაჲ მისი წმ. ნდის ჴელით ნუ ნუსხურებ მოწერითა,

სამოწმებელი ნიშანი იხმარების მაშინ, ოდეს ქადაგებასა შინა, ანუ ცხოვრების წერასა შინა, და ანუ ისტორიისსა და საფილოსოფოს წერილსა შინა. შემოვიღებთ სხჳსათა ნათქჳამთაგან წერილთა დასამტკიცებლად მის ჰაზრისა, ანუ უფრო ცხად ყოფისათჳს, მაშინ დავსვამთ ორთა მძიმეთა ერთად ჩამოკრულთა, ესრედ ვითარცა ჩამს.

«სიტყჳანი ცხოვრებისანი გქონან შენ».

ქარაგმა არს შემოკლებულთა მარცჳალთა მლით ლექსთა ზემო ნიშნისა მიცემა, ოდესცა ერთნი ანუ მრავალნი მარცჳალნი დაიფარვოდენ ლექსთა შინა და საცნაურ იქმნებოდენ იგინი ზემო დასმულითა მით ნიშნებითა. საუფლოსა, საასო მთავრულოსა და საზოგადოსა. მაგალ. საუფლოჲსა ქარაგმისა დასმა ჯერ არს მაშინ, ოდეს ლექსთა საღმრთოთა დააკლდენ მარცჳალნი, ვითარცა: უჯი ღთი, იჳ, ქჱ. ესე იგი: უფალი, ღმერთი, იესო,

ქრისტე. სასო მთავრული არს, ოდეს სიტყჳანი დაიწერებოდენ ასო მთავრულითა ანუ მგრძლოვანითა. მაგალ. ს/. რ/. ად/. ვა/. ესე იგი. ხოლო, რამეთუ, არამედ, ვითარცა და სხჳანი. ხოლო საზოგადო უკჳჱ ქარაგმანი დაისხმიან საზოგადოჲა უკჳჱ წერილთა ხუცურისა თუ ხედრულისათა, მაგალ. რ/. ა/. ვა/. უა/. წა/. კდ/. კდ/. ესე იგი: რამეთუ, ვითარცა, წმიდა, კჳალად და სხჳანი. უვრცელესად იხილე დიდსა გრამმატიკასა მონა ანტონისასა. ნაწილი **5**. დამატება.

მახჳლი, არს ნიშანი აკრული დაბოლოებულსა ზედა ასოსა შემასმენელობითთა ბრუნვათა და ბრძანებითთა ზმნათასა. მაგალ. შექმნა ღმერთმან კაცი მიწისაგან და აღმოიღო ევა გვერდისაგან ადამისა: ჰატივ ეც მამასა შენსა და დედასა შენსა, რათა დღეგრძელ იქმნე ქუეყანასა ზედა. და სხჳანი.

ნიშანი ბრჯგუჲსა მიეცემის უ-ნსა, ოდეს სხჳა ხმობს იგი თჳსსა საკუთრისა კმობისაგან, და მაშინ ითხოვს იგი შემდგომად თჳსსა, ანუ ჲ-ესა და ანუ ჵ-ესა. მაგალ. მე უკჳჱ რაჲსაცა გამცნებ, შეიწყნარეჲ და სხჳასა ნურა რაჲმესა ჰყოფ

და სხჳანი.

ნიშანი კლებულისა იხმარების მაშინ, ოდესცა მარცჳალი მოთხრობითისა ბრუნვისა მიესდების სახელსა საამოდ სმენისათჳს და არა უჩეოფისათჳს სიტყჳათასა სასმენელთა შინა, მაგალ. ჰრქჳა იო/ მოწაფეთა თჳსთა.(ჰრქჳა იესო მოწაფეთა თჳსთა.) ისილე, რომელ კლებული ნიშანი მალითად ნიშნავს, ბოლოს მ-ნსა. გარნა მშჳნიერებისათჳს იმ სახედ ითქმის, ვითარცა, პეტრე ჰრქჳა, (პეტრემ, ჰრქჳა) და სხჳანი. ისილე ანტონის ღრამმატიკასა შინა. ნაწილი 3.

თჳს განყოფილებისა წიგნისა, თავი 3.

ნიკოლ. წიგნი რაოდენად განიყოფებიან?

იო. წიგნი ნიადაგ განიყოფებიან ნაწილებად, თავებად, პარაგრაფებად და მუხლებად.

ნაწილნი არიან უმთავრესნი განყოფილებანი წიგნისანი, რომელთაცა შინა იპყრობიან თავნი, პარაგრაფნი და მუხლნი.

თავნი განიყოფებიან ნაწილათ, და იპყრობენ თჳს მორის უმთავრესთა ჰაზრთა მის ნაწილისათა, რომელნიცა შედგებიან პარაგრაფთაგან და

მუხლთაგან.

პარაგრაფნი იპყრობენ თჳს შორის სრულთა ჰაზრთა თავთასა მოკლედ განყოფით უმეტესისა ბრწყინვალებისა და შემეცნებისა ჰაზრთასა, და ხშირად, დასვენებისათჳს მკითხველთასა და განსუენებისათჳს ჰაზრისა კითხვასა შინა, რომლისაცა ნიშანი არს § ესე.

მუხლი არს მოკლე წევრი თავთა, რომლისაცა მაგალითად კმა არს საღმრთო წერილი. (ვსთქუათ პარაკლისის მუხლები.) და სხუანი.

შაირთა შინა, მუხლთა მაგიერ ითქმის ტაეპნი შემდგარნი რიცხვებითა მარცვალთათა, ხოლო შაირნი არიან ორ ტაეპოვანნი, სამ ტაეპოვანნი, ოთხ ტაეპოვანნი და ესრეთ უმორეს. ხოლო იამბიკონი არიან საშუალ შაირთა და წერილობითთა ჰაზრთა შინა შემდგარი მარცუალთაგან ხუთ ტაეპად.

ხოლო საზოგადოებისამებრ წოდებულ არს წიგნი სხუა და სხუა გვარად, რომელ ერთსა მრთელსა ყოვლადსა ისტორიასა, თუ მოთხრობასა უწოდებენ წიგნად. აგრეთვე სიგელთა, წყალობის წიგნად, მეფისაგან მინაწერთა ერლაყად; ანუ

ოქმად, ტომარათ, დავთარად, ბარათით, ყამზად. ურთი-ერთსა შორის მისაწერთა წიგნთა უკვეთუ იპყრობდეს თჳს შორის ჭაზრსა ჭწსწავლისა ანუ მსილებისასა, ანუ მოკითხვისასა უწოდებენ ეპის-ტოლედ. მეფესთან მირთმეულს წიგნსა, არზად, ურთიერთისა შორის მისაწერთა წიგნთა უწოდებენ უსტარად, ეკკლესიის მამულთა ადგილთა და შე-წირულებათა წიგნთა უწოდებენ გუჯარად. თეთრი თუ ვისმე აულია ვისგანმე, ანუ გაუსესხებია თე-თრი--თამასუქსა. მამული თუ უსყიდნია ვისმე, ნასყიდობის წიგნსა, თუ მოწმობის წერილსა. და თუ თავდებად დასდგომია ვისმე. თავდებო-ბის წიგნსა, და თუ პირობა შეუკრავთ ვისმე პი-რობის წიგნსა. და თუ სამართლით გადაჭრილი გა-მოსულა, განაჩენსა და სხჳანი. ხოლო მე ეს ამისთჳს მოვიხსენე აქა, რომელ ყოველნი ესე წერილობითნი სახელნი, იპყრობენ თჳს შორის, თჳსისა გუარისაებრ სრულსა ჭაზრსა და ესენი-ცა ამისთჳს არიან რიცხჳსათა მისა წიგნთასა. ხო-ლო პირობის წიგნთა მიეწერების თითო ჭაზრისა არტიკულნი. (*) ხოლო სხჳა წერილთა პუნკტები.

---

(*) არტიკული არს, რომელ თითო აზრი პირობისა ანუ [illegible]

სხჳა და სხჳა შენიშჳნა, რომელიცა საჭირო არს ესეც ჴსწავლად ღრამმატიკასა შინა.

ნიკოლ. საზღჳარსა შინა ღრამმატიკისასა, რომელი არს, სახე, ნათესავი და განყოფილება?

იო. ვინაჲდგან საზღჳარი ღრამმატიკისა არს ესე, ღრამმატიკა არს შემძლებლობა, მართლ-უბნობა, და წესიერება. ამას შინა ღრამმატიკა დაიდების სახედ, შემძლებლობა, ნათესავად, მართლ-უბნობა, განყოფილებად, და წესიერ შემამტკიცებელ განყოფილებად.

ნიკოლ. რა მნიშჳნელობა აქუს შემამტკიცებელ განყოფილებას?

იო. შემამტკიცებელ განყოფილება, ესე არს ოდეს იგი ვერ ეკმაოდეს განყოფილება ერთი, და დაერთოდესცა მას სხჳანი აღსავსებლად აზრისა.

ნიკოლ. რომელ არს აღლევა, ანუ (უკუნრღჳევა) ღრამმატიკისა, ვითარ იქმნების?

იო. ესრეთ, ვინაჲდგან თქმა ესე: ღრამმატიკა, არს ლექსი რაჲმე, ხოლო ლექსი უკუე განი-

---

ერთის მუხლის ოდენი, ანუ უმეტესი, ამას არტიკული ეწოდება, ხოლო პუნკტი, ანუ იცჳამდეს თჳს შორის ერთსა ჴაზრსა, ანუ ორსა.

წვალების, მარცჳლებად, და მარცჳალნი განიყო-ფებიან ასოებად. ასონი, ღრამუბად (ანუ ხაზებად) ღრამნი წერტილებად, ხოლო წერტილი არარად და ესრედ ითქმის აღლევა კანონისამებრ ღრამმატიკისა.

ნიკოლ. ასოს რა მნიშვნელობა აქვს, ანუ რად ეწოდა ეგე სახელად?

იო. უკეთუ ასო არა იყოს, არცა წერილი იქმნების, და ამისთჳს კითხვსა და წერის ნიშნად შემოუღიათ პირჳელად ასო. ხოლო ასო სხვა არა რაჲმე არს, რამეთუ წჳერმან კალმისამან დაანაკჳეთა იგი, ვითარცა იტყვის არისტოტელი, ეწოდების ასოჲ, რამეთუ წჳერმან კალმისამან დასო.

ნიკოლ. წერტილი რასაღა ჰნიშნავს?

იო. წერტილს თუ რა მნიშვნელობა აქვს ზე-მორე ავხსენ. ხოლო სხვანი, წერტილსა უწოდებს დავით უძლეველი ფილოსოფოსი, ამაოებად, გარნა წერტილი გეომეტრიულისა გჳა-რითა არს დასაბამი ყოველთა ხაზთა და სხვათა სიტყჳს ნაწილთაცა. ესფერ შეიმეცნ. სასისა, ნათე-სავისაგან განყოფილებისათჳს.

ნიკოლ. რაჲ არს სახელ მოდგამი?

იო. სახელ-მოდგამი არს, რომელთა საზღჳ-რით მოუგიეს განყოფა, და სახელითა ოდენ ერთ ყოფა, ვითარ იგი--ძაღლი. ხოლო სახელი ესე ნიშნავს ვარსკვლავსაცა, და ცხოველსაცა, ხოლო ამით უკუჱ სახელით მოუგიეს ერთ ყო-ფა, და საზღვრით განყოფა, რამეთუ სხჳა არს საზღჳარი ვარსკვლავისა, და სხჳაჲ ცხოველისა.

ნიკოლ. სახელ მოდგამთა კმაია შორის, რაჲ ჯერ არს შემეცნებად?

იო. სამისა რაჲსამე ჯერ არს მიება. პირველად რაოდენი დამნიშვნელობა აქჳს; მეორედ ვისდა-მიმართ აქჳს ჴაზრი მკითხველისა; და მესამედ საზღჳარი კითხულისა. მაგალითი. ვსთქჳათ: წიგ-ნი. ესე სახელი ეწოდების ღრამსა, წერტილსა და უმთავრესთა ნაწილთა ღრამმატიკისათა, მინა-წერთა და სხჳათა ესე ვითართაცა, წიგნი ეწო-დების. ესსახედვე ყოველსა წიგნსა,სატლსა და რაჲ-ცადა კალმითა იმოქმედების, და კაცსაცა ცხოვე-ლი წიგნი ეწოდების. . . . . . . . . . . . .

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

დღე შემდგომა

წარსული იოანე რა მივიდა ალაზნის პირსა, წყალის სიდიდისაგამო ალაზნისა ვინაძდგან ავდარსა განდიდებინა, ვერღა განსდა წყალსა მას, და დაბრუნდენ და მივიდენ ასმეტას, სახლსა სალთხუცესისასა. ჩოლაყაშვილმან ქაიხოსრო, კარგად მიიღო ბერი იგი, და მისცეს სადგური. რა მცირე განისვენა იოანემ, ვახშმად მიიპატიჟა სალთხუცესმან, და რა კელ ჰყუჩნს ვახშამს; მაშინ სალთხუცესმან რქუა იოანეს: დღეს შენ მლევა შეიმოსე.

იო. ვითარ?

სალთხუცესი. დიდი ხაჩუმი და დიდი მოძღუარი ორივ იმლივნენ შენის ჭეშმარიტის მხილებითა.

ზურაბ. რასაკჳრველია ეს მოერეოდა იმათ, რასელა ნალბანდთან გაზდილიო.

იო. უი, მე გიჟო! სომ არ შევჭადებულვართ.

ზურაბ. ელევთერმაც კარგად იცის ლინცის გდება თუკი კელში ჩაიგდოთო, ბევრი მენისთანა დაუყენებია ყირაზედო. მაშინ ყოველთა გაიცინეს,

და სალთხუცესმან ჰკითხა იოანეს: ასე არა ჯობდა, რომ აქ მოსველ, აქედამ მატანს მისვალ და იქიდამ, ლალის ყურს. იოანემ: თუმთ მოურავმან მიზმანა და იმის გულისათჳს იქით წაველ, მაგრამ ვერც ის და ვერც მე გავედით წყალისა სიდიდის გამო.

სალთხუცესი. რატომ ანაფორა არ გაფინე წყალზედ და იმით არ გასველ?

იო. ჯერ ჩემს ილიას თავისი კალყნი არ მოუციაო.

სალთხუცესი. ჯერ არც ცეცხლის ეტლით ამაღლებულა ის თქჳნი ილია.

ზურაბ. ამაღლება მეტი იქნება, ბრუდ საბძელს ასცილდა და სხუათა კავკასიის მთებს თავს მოექცაო.

სალთხუცესი. ვაჲ თუ იქიდამ გარდმოსტესო.

ზურაბ. იმის ჭკუისაგან სუ ჯიკვირს, მანდორსაც იმოვნის, რომ თავი იქ შეიმაგროსო.

და მერეთ სალთხუცესმან უთხრა იოანეს. მე მოსკოვსა სკოლებში უყურე, რომ მოწაფეთ ასწავებდენ ფიზიკას და ეგზამინიც უყურეს, და ამასთან, წყალის ადიდების მიზეზიც გამოჰკითხეს,

და როგორც განმარტეს მასსოვს ზოგირამ და შენ ვითარ ჰკონებ, რა მიზეზია წყალის აღიდება, ანუ დაკლება?

### წყალის მომატებისა ანუ დაკლებისთჳს:

იო. მომატება და დაკლება წყალისა, არა სხჳა რამმე არს. ვითარცა ჟამიერი და ცჳალებადი მომრაობა ზღჳსა, რომელიცა ოცდა ოთხს საათში, და ორმოცდა ცხრა წამში, ორგზის მიიწრაფის აღმოსავლეთიდგან დასავლეთადმი, და დასავლეთიდგან აღმოსავლეთისადმი.

დროს აღელებისასა, ზღჳა აღიწევის შემდგომ ექჳსთა ჟამთასა, მიმსწრაფებელი დაუყოვნებლად კიდეთადმი, და შემდგომ დაჰსცხრებისცა, და მოკიდებული სიმაღლესა ზედან, რომელსა ზედაცა აღუვიდა იგი. ეს გჳარი მდებარეობაჲ ზღვისა იწოდების ღელვისა (ანუ აღიდებისა) სიმაღლეზედ.

დროსა დამყუდროებისასა, ანუ დაკლებისასა, ზღჳა დაემჭჳდების ქჳემორე ექჳსსა ჟამსა შინა, განშორებული კიდეთაგან; უკანასკნელ დაჰსცხრების და მთავარდების თჳსსა ყოლიბსა შინა და დაჰყდების დამოკიდებულად, და ამ გჳარსა მდებარეობასა

ზღჳსასა ეწოდების დაკლება, გინა (დაცხრომა). ზღჳა უფრო დიდიარე სიჩქარით შესივდების ზღ. ვიდრე ქუჱ დაემჭჱბის, ხოლო აღელვებანი, მოიმატებანი, იქოფიან ოდესმე უმცირეს, და ოდესმე უდიდეს.

სალთისუცესმა. ვითარ აღმოაჩენ ამას?

იო. ესე საკჳრველი უკუჱ მოძრაობაჲ ზღჳსა მექონ არს მარადის შემსგავსებისა მდინარეობისათანა მთოვარისა, და არცა საჭირო არს, რომელ წარმოება იგი ზიარებისაგამო ამა ღამისა მნათობისა არა იყოს. მთოვარე უკუჱ მიმზიდველობს თჳსად წყალთა და სძრავსცა მათ აღმოსავლეთით და სავლეთისა ზედა შემსგავსებით მოძრაობისამებრ თჳსისა, რომელსაცა თჳთ იგი სრულ ჰყოფს მოძრაობასა თჳსსა. ხოლო ყოველნი უკუჱ ესე ზღჳათა მოძრაობანი აღრიცხულ არიან დიდითარე ნამდჳლობითა, და შემსგავსებულნიცა მდინარეობისათჳს მთოვარისა, თანაჭსწორ სხუა და სხუა გუარითა ნავთ საყუდელთაცა, რომლისა განხილვად შესაძლებელ არს (კალენდარსა) ანუ წელთ აღრიცხუათა წერილთა შინა. და უფრო დამტკიცებულ ჰყოფს მთოვარისგამო. ხოლო მიმზიდვე-

ლობასა ტალღაჲ წყალისა, რომელიც ხშირადრე გამოვალს ნაპირს და უკუნ იქცევის.

სხჳჱბრ განდიდება მდინარეთ, ხევებისა, იქმნების ოდესმე დიდის ნიაღვრისაგამო, დიდის თოვლთა გადნობისაგამო, და ესე იკმაეთ.

სალთხუცესმან, მოუწონა, აჩუქა რაოდენიმე საჭალნე ღჳნო და იოანე მადლობელი გამოეთხოვა და მოვიდა სადგურსა თჳსსა.

### დღე შემდგომი.

ხოლო ხჳალისა დღეს განემართნენ მატაანისაკენ, და მისრულმან მუნ იოანემ გაგზავნა ჯიმშერიშჳლთან ზურაბ და შეუთვალა ლოცჳა კურთხევა, მან მაშინვე მიიწჳა. რა იოანე მივიდა, იცნო იოანე ჯიმშერის შჳლმან, და მოიკითხა იოანე. იოანემაც მადლობა ჰკადრა, და მერეთ იოანეს გამოჰკითხა მგზავრობის მიზეზი. ყოველივე ცხად უყო იოანემ, და რქჳა ჯიმშერისშჳლმან: ღჳნოსკი ვერ შეგაწევ, წლეულს დაგისყტეჳჱნით, და სხჳჱბ გემსახურებით. მაშინ ზურაბმან: რასაც გჳიბოძებ ჩჳჱნ კალთას მოვიმჳრთ. გაიცინა, და მერე მოიღეს სადილი. რა მცირედ შეექცნენ, ჯიმშერისშჳ-

ლმან ჰკითხა იოანეს: რადგან ფიზიკაც გვისწავ-
ლიათ, სეტყვა ვითარის სახით იშობების?

### სეტყვისათჳს.

იო. სეტყუა, სხუა არა რაჲმე არს, როგო-
რათაც წჳმისა ცუარნი, რომელნიცა დროსა ქუხ
დაცემისასა მიწასაზედა შემოყურებიან ესოდენ ცივს
აერსა, რომელ მისმიერ მყრად განიყინვიან და
ქუხ ჩამოსცჳვიან გაყინულთა წვეთთა სახედ, რო-
მელიცა მალიად გადნების მხურვალებისაგამო მი-
წისა, და ოდესმე ჰაერისაგან ჩამოსცჳან გაყინულ-
ნი წვრილნი ნაჭრებნი ყინულისანი მჰსგავსად ქა-
თამის კუერცხის ოდენნი, და ესე არიან სეტ-
ყვანი, რომლისა კუეთებით წახდება ყოველი მო-
სავალი.

შემდგომად ამა უბნობისა, აიღეს სადილი
იოანე გამოესალმა, და მუნიდამაც კმაყოფილი
წარვიდა ლალის ყურისაკენ.

მიმავლობასა შინა იხილა ორნი ფშაველნი
მიმავალნი ბასტრიონისაკენ, და მათ იცნეს იოანე,
რომელიც უნახათ ალავერდს, და მოვიდნენ იოა-
ნესთან, და შენდობა მოთხოვეს: მაშინ ერთმან

მათგანმან, უთხრა იოანეს, უცხოდ აამე გულსა ჩემსა, და ჩჳენი დედოფალი კარგად აქეო, მე ასე არ ვიცოდი, თუ ამდენის სატანჯჳელით იმ წყეულმან შაჰბასმან ჰსტანჯა ჩჳენი დედოფალიო. ის დედოფალი ლაშქრის ჯჳრის მოსავიც იყო. თუარაო, მითხარიო.

იო. ლაშქრის ჯჳარის მოსავი იქნებოდა, რასაკჳრველია, რომ ლაშა გიორგის ქალობა ეთქმოდაო, და იმან მოგაქცივათ თქჳენ, რომელიც ახლა იქ ფშავში მარხია, და თავის უნჯ ემად გამოგელოდათ. ეს დედოფალიც ქეთევან თქჳენის გულისათჳს ეწამა და სისხლი დააქცია, წყეულმან შააბას რომ კასეთი მოაოხრა მერეთ თქჳენზედ გამოგზავნა ჯარი. პირჳელად ბაჩალზედ წამოვიდნენ, და თქჳენ იმ ფშავის გადასავალში დასვდით და გამოაბრუნეთო, და მერე გაჯავრებულმან კიდე ფშავის არაგვის წყალზედ ასი ათასი კაცი გამოგზავნა თქჳენ წასასდენად, და ის ჯარი მოვიდნენ, შუაფხორს ქჳევით რომ წყალის პირზედ დიდი კლდის ქჳაბია იქამდის მოშწივა იმათმან მხედრობამან და თქჳენ, წმინდის ლაშქრის ჯჳრის და წმინდის ქეთევან დედოფლის მადლით

ჰსმლიეთ და გააქციეთ იქიდამ ის მტერი, და ესე ოდენი კაცი განწყჳტეთ, რომელ მთლად ის წყალი სულ სისხლმან ასე შეღება, რომ აღარ დაილეოდა, და სულ სოცით მოჰყევით ჟინვალის სიდამდისინა, და მას აქეთ თქუენთჳს ვეღარავის შემოუბედნიაო, ეს სულ იმათის მადლით არის და უნდა ძლიერ გიყუარდეთ ბაგრატიონები, რომ თქუენთჳს ყოველთჳს ასე თავ დადებით ყოფილანო და თქუენ ჰყვარებისართო. მაშინ უთხრა მან ფშავმან, მეც მათი დასმული მოქადაგევარ ფშავში. ქაყიდა მეწოდება, მეც ყოველთჳს ვამწყალობებ ბაგრატიონთ თავის მოწამებზედ და ლაშქრის ჯუარზედ, და ყოველ წლივ ვიდღესასწაულებთ ლაშქრის ჯუარობას.

იო. ვიცი, ლომისობის წორზედ მოვა იმისი დღეობა, და ასე უნჯნი ყმა ხართ, რომ იმის მწყევრების გულისათჳს, საკლავსაც დაჰკლავო, ყოველ წლივ. ქაყიდამ და შენ უფრო შეგვიყუარდი სხუა ბერებზედ, რომ როგორც ჩუენ წინაპართ უანბიათ ეგ ამბავი შენც ისე გვიამბეო, შენ ხომ არ ყოფილ ხარ ჩუენში და ასე წვრილად საღ შეიტყეო ყოველი ჩუენი წესიო. შენ სადა ცხოვრებ გვი-

თსარ, გემსახურებით ერბოთი და ყურძლითაო. იოანემ. მე ქუაბთახევს ვსცხოვრებ და იქიდამ აქ ღვნის სათხოვნელად წამოველი, უაუიდამ. კარგი, ჩუენ ვიცით ის ადგილი და იქ მოვართმევთ ორ ჯორს აკიდებულს ერბოსა და ყურძლსა, იოანემ დალოცა და გაიყარნენ. იოანე წარვიდა ალვანისაკენ.

რა ალვანს მიუახლოვდა, ნახა მრავალნი თუშნი მუნ და მრავალნი ცხუარნი, და რა თუშებთან მივიდა, იცნო ცისკარაშვილმან და სხუათა თუშთა იოანე მიიპატიჟეს, სიყუარულით მოიკითხეს და უთხრეს: შენ ის ბერი არა ხარ, რომელმაც ალავერდს იქადაგეო. იოანემ. მე ვარო.

თუშებმან უთხრეს, ნეტამც შენ იყო ჩუენი კარჭაშნელიო, ჩუენს გულს დია ამე იმ კარგის ლაპარაკითო, მაშინ ზურაბმა უთხრა, ღმერთმანი უარს გეტყჳთ მაგისასაო.

თუშებმან. ჭეშმარიტად, ბატონს ვჳსთხოვთ ამის თავსაო.

იო. არა ბატონო მე რასა ვღირსვარ, თუ რომ სამსახური შემიძლიან ისე გემსახურებით, მეც ქიზიყელი კაცი ვარო. ეს უფრო იამათ თუშებსა, რომ ჳსცნეს მისი კახელობა, და სთხოვეს

სამხარი აქ მიირთვი, და გვიანზე წმინდის დედოფლის ქეთევანის ანბავით.

იოანე დაჯდა მათთან, და ყოველივე წვრილად უანბო მათ ქეთევან დედოფლისა ცხოვრება და მერე ჰკითხეს: შააჰბაზმან რომ ეს კახეთი წაახდინა, სად მორჩა ხალხიო?

იოანემ. რაოდენიც დაუტეოდნენ, კალაურის მთაში დაიხიზნენ. სხჳანი პანკისის ხეობაში და ლოპოტაში, და აგრეთვე მთებში, და ამ ადგილებში ყოველგან ბრმო შააბაზმან, და პანკისშიაც, რომ თორღოს ციხემდინ მოვიდა იმათი ჯარი, თქჳენ და კახთა დაამარცხეთ და ამ ალვანამდინ კოცით მოჰყევვითო, და ეს სულ წმინდის ქეთევან დედოფლის მეოხებით ჰქმენით და ღმერთი შეგეწიათო.

თუშთა. მერე რა დაემართა იმ წყეულს შააბაზსაო?

იო. რა იმ წყეულმან წმინდა დედოფალი აწამა და ესეოდენი ქრისტიანენი შეაწუხაო, ღმერთმან ასეთი რისხჳა მიუვლინა იმ შააბაზს, რომ ხუთს წლამდინ სნეულობით იტანჯებოდა, და მერე მუცლის სენი დაემართა, და ნაწლავები უკან განსავალიდამ დაჰყარა და ისე ამოხდა ის მყრალი სული. და სამოცი წელიწადი ვერლა იჴელმწიფა

იმისმან სასლმან. და მარტო ოთხმოცი ვაჟი კა-
ცი იყო იმითი გჳარისა ქალებს გარდა და ასე
გაწყჳტეს ერთმანერთი. და სჩჳათაცა, რომ იმათი
გჳარისა ერთი აღარავინ მოიპოვება. და ნახეთ,
ღმერთი ასე ჰსწყალობს ბაგრატიონთა ოჯახსა,
რომ ამათ გჳარში, ხუთი თუ ექჳსი მოწამეა. ისე
რაც მტერს შესოციათ იმას გარდა, და თქჳენც
ამისთჳს უნჯუმს გეძახიან, როცა გასჭირებიათ
ამათ ოჯახს თქჳენ შეგინახავთ და შეწევიხართ,
ყოველთჳს გაჭირების დღეს. თუშების დიალ იამა
ეს უბნობა, და უთხრეს: ასე კარგად ჩჳენთჳს არა-
ვის უანბია, როგორათაც თქჳენ გვაცნობეთო;
მეფე ერეკლეს ბევრი ჭირნახული აქჳს ჩჳენზედაო
და თჳთქმის სულ იმან დაგვაქრისტიანაო. იოანემ.
ბარაქალათ რომ გახსოვთ და მაგრე ერდგული
უნდა იყვეთო.

მერე ცისკარაშჳლმან ერთი თავისი შჳლი წარ-
მოაყენა. აი, ესეც ბატონმან გამიზრდევინა სამ-
ღჳდლოდ და კიდევ ჰსწავლობსო, მითხარ ეს
როგორი რამ მღჳდელი გამოვაო.

იოანემ ზოგი რამ ჰკითხა, მან ყმაწჳლმან
კარგა მოუგო პასუხი, და უთხრა იოანემ, კარგად

უსწავლია, რაც რიგი ეჭირებაო. მან ცისკარაშჳლ-მან —მაინც მიბმანე, როგორი რამ გამოვაო?

იო. ცოდნა კარგი აქჳს, მაგრამ მე ასე ვატ-ყობ სასეზედ, რომ ეს მღჳდლად არ ეკურთხება, და არც თქჳჱნში ენდომება ცხოვრება, და ვერც თქჳჱნსავით ერთგული იქნება ბაგრატიონთი. მაშინ თუშებმან: ეს ბერი ანგელოზი ყოფილა, ყველას სწორეს გეუბნება. მეტადრე ჩჳჱნში გული არ უდგების, და არც მღჳდელობა ეხალისების. მო-ვიდნენ და იოანეს ჴელსა და ფეხზედ მთხჳჱვნა დაიწყეს. იოანემ: უი ჩემ თავს! რასა იქთ. მე ერ-თი გლახაკი მწირი ბერი ვარო. მერეთ ასამხრეს, იოანეს აჩუქეს თეთრი რამოდენიმე. იოანემ მად-ლობა უთხრა და განემართა ლალის ყურს.

რა ლალის ყურს მივიდა იოანე, მოურავს ადრევე განემზადებინა მისთჳს სახლი, და მიი-ყჳანეს მუნ; იოანემ მცირე ხანს განისვენა, და მერე წავიდა ლოცჳაზედ ეკლესიასა შინა, იხილა მუნ მოურავმან, მოიკითხა, და იწყეს მწუხრისა ლოცჳა. მაშინ მუნ ერთი დიაკჳანთაგანი, რომელიც ჟამს ანბობდა, დია სლტებოდა, და ბევრს უშჳჱბ-და სიტყჳასა, მცირე მოითმინა იოანემ, და მერე

უთხრა: უფალო დიაკჳანო! ღჳთის ქურდი რად გინდა იყო და ღმერთს ჰპარავდეო? დიაკვანმან ვერა გამოსცნობა, და მერე მღჳდელი მოჰყჳა ჟამნობას, და რა დაასრულა ლოცჳა, მოურავმან თჳს თანა წამოიყჳანა იოანე და მცირესა ხანს უკან, მოიღეს ვახშამი. რა მცირე ხანი გამოვიდა, მოურავმან უთხრა იოანეს: ის დიაკვანი ჩემი მჳ- ლია, რომელსაც ვაზრდევინებ ბერად და ეს როგორ იქნება ღჳთის ქურდიო.

იო. უკაცრავად, ვერ ვცან თქჳენ მჳლად, და ქურდს მველად ქართველნი სამღჳდელონი ემახ- დენ ეს გჳარ ჟამნისა და სალმრთო წიგნის მკით- ხველთა, ვინც რომ სიტყჳსნს დაავდებდენ და სრულებით არ წაიკითხამდნენ, იმას უწოდებდნენ ღმრთის ქურდად, რადგან საღმრთოს ლოცჳაში დააკლებდენ სიტყჳსნს.

მოურავმან: გაიგონე მჳლო ფლორე, მეც ბე- ვრჯელ დავიმალე და არ დაიჯერე: აი როგორ განმარტა მამა იოანემ, ახლა მაინც გახსოვდეს.

იოანემ. უფალო ფლორე! რადგან ბერობის ხასე შეგიმოსავს, მორჩილება სხჳათაცა თანა გაქს, არათუ მამისა შენისა.

ფლორემ. ქართული მასალაა: მალად გამდე-რებენ ჭალას ვარდანაო.

იო. უი, ჩემ თავს, ჯსჩანს, რომ ბერობა არ გინდა.

ფლორე. მე ცოლი მირჩევნია რომ შევირთო, მამას არ უქნია ბერობა და პაპასაო. რად მინდა წიგნი ვისწავლო და მეცნიერებაო.

იო. უი ჩემ თავს! თუ გინდა ბერიც არ იყო, ცოდნა რას გაწყენს თავადის შვლსა.

ფლორემ. აჰა, ჩუ̂ნი ცოდნა ეს არისო და, აავსო ერთი დიდი ჯიხვის ყანწი ღვნით, და-ლია და მიართო ბერსა. იოანე შეწუხდა და არ ენება გამორთმევა.--ფლორემ, თუ არ დალევ მერ-წმუნე კისერში ჩავასხამო. მაშინ მოურავმან უთხრა: ღვნოში ცოტა ჭირვეულია ეგ ჩემი შვლი, ჩხუბიც უეჭარს და ჩამოართვი ეგ ყანწი. იძულებულმან გამოართო და რის ყოფით დალივა ის ღვნო და მაშინ ზურაბმა უთხრა: ბატონო მოურაო, ამი-სთანა მემარხულე უნდა ბერებიო.

მოურავმან. ოღონდაც.

იო. ბატონო მოურაო! თავის თავის დასაცუ̂ლ-ლად იძულებით ბევრს რასმე იქმს კაცი, და მე-

რე დასრულდა ვახშამი, და ყოველნი წარვიდნენ თჳს-თჳსად, რა გათენდა, მოურავმან მიუწოდა იოანეს თჳსთან და აჩუენა თჳსგან გაკეთებული სახლები, და სარაჲდარიც, (ხუროთ მოძღუარი) რომელსაც აეშენებინებინა ის სახლები ზედა მდგომარეობითა თჳსითა, რა იოანემან კარგად გაშინჯა, იხილა ეს სახლები რომე ქუეშე ხის ბოძები ედგა ერთის კაცის ოდენი სიმაღლედ, და თავხეები გაწყობით, და ზედ ქჳტკირის შენობა, დია ეუცხოვა იოანეს და სთქო: მე ამ გუარი საფუძუელი სახლისა არ მინახავსო: ესე ახალი ხუროთ მოძღურება არის.

მოურავმან. ეგ იკონომიისათჳს ვქმენით, რომ ბევრი ქუა და კირი არღა მოუნდებოდა.

იო. ბატონო მოურავო! დია კარგი, მაგრამ მტერმან, რომ ეს ბოძები მოგიჭრას, ხომ სულ პირს დაეცემა ეს სახლი და კიდეც დაიქცევა, და თქუენც ვნებას მოგცემთ, მაშინ ზურაბმან: ეს სასახლე ჰსასწავულით დგას ჰაერში ვის შეუძლიან ვნება მისცეს რამე. მაშინ ყოველთა განიცინეს.

მოურავი. სარაიდარმან ასე მირჩივა?

იო. კარგად რომ ჰსცოდნია სუროთ მოძღურება, ამისთჳს დაუდვა კარგი ფუნდამენტი (საფუძუელი).

ამ ჟამად მოვიდა გიორგი ავალიის შჳლი სანიორედამ, მოურავი სხუანი წინ მოეგებნენ, პატივით მიიღეს, იოანე მოიკითხა და ჰრქუა: რას სინჯავ ამ სახლებსაო? იოანემ. ამ სახლის სუროთ მოძღურებასაო. გიორგიმ. ვიცი ზომები არ მოგეწონებოდათ.

იო. სწორედ, მიხუდით.

გიორგიმ. მე თქუენი მეცნიერება მესმის, მე რუსეთს ნამყოფი ვარ, და მინდა გკითხოთ: რაჲ არს არხიტექტურობაჲ, ანუ სუროთ მოძღურება?

### სუროთ მოძღურებისა ანუ არხიტექტურობისათჳს.

იო. არხიტექტურა გუასწავებს განკარგუასა შენებულებისასა წესიერად და სიმეტრიულად და ესრეთ, რომელ იგინი იყვნენ საკმარნი მის ხმარებისათჳს, რომლისათჳსცა დანიშნულ არიან.

გიორგი. რაოდენ გუარნი არიან ჴელოვნებანი სუროთ მოძღურებისანი?

იო. სამნი გუარნი: სამოქალაქო, სამხედრო,

და სახომალდო.

კით. რაჲსა შინა მდგომარეობს სამოქალაქო ხუროთ მოძღურებაჲ.

იო. განშუწნებათა და ზომიერებათა და თანსწორებათა შინა ვითარისამე გარეგანთა, და შინაგანთა შენებულებათათჳს.

კით. რაოდენნი ორდენნი, ანუ კარისსნი ირიცხებიან სამოქალაქო არხიტექტორობასა შინა?

იო. ხუთნი უკუე, ხარისნი ესე იგი. ტოსკანიური, დორიჩესკიური, იონიჩესკიური და შერევნილი. და ეგრეთვე ამათდამი შეერთებულ ჰყოფენ ლოტიანურსა, ანუ მჳწლსა ლონისძიებათა აღგებისათჳს შენებულებათა, რომლისაგამო აღშენებულ არიან კნინ ყოველნი შესაკრებელთა ეკკლესიანი, და ქს გჳარნი დიდ შენებულებანი. ხოლო ორდენთა ამათ მიიღეს წოდება თჳსი ერთსა მათგან, რომელთა შორის იყჳნენ იგინი მომპოვნელნი.

კით. ვითართა თჳსებათა თანამდებ არს ქონად კაცსა უკუე ხუროთ მოძღუარი?

იო. იგი თანამდებ არს ცოდნად მხაზველობისა ხელოვნებისა, ღეომეტრიისა, ოპტიკისა, ისტორიისა, ზღაპართ სიტყუაობისა, მრავალგან

სხუა და სხუა შენობათა ნასელობისა, თჳთ აღ-შენებასაცა შინა გამოცდილებასა და ესე ვითართა.

გიორ. რაჲსა შინა მდგომარეობს სამხედრო არხიტეკტურა?

იო. ცოდნა ციხის განკარგულებისა, აგრეთვე მინდრულთა სიმაგრეთა და საფრებთა განკვეთებისა მდებარეობისამებრ ადგილისა: ეს სახედ, რათამცა იგი შემძლებელ იყოს ეს გუარ აღშენებად სიმაგ-რისა, რომელ შეუძლოს მცირეს რიცხჳთა მხედ-რობითა წინა განწყობად, ოდესცა მტერი შემოად-გეს უდიდესითა მხედრობითა.

გიორ. რაჲ არს არხიტეკტურა?

იო. ხელოვნებით გამოცდილებაჲ აღშენებად ხომალდთა რაგუარადაც სამხედროთა, ეს სახედ სა-ვაჭროთაცა, ხოლო ესეცა უნდა იყოს სწავლულ ზემოხსენებულთა ხელოვნებათა.

მაშინ ზურაბმან მოახსენა გიორგის. ბატონო, ავალის-შვილო! თუ მაგ ბერს აყვევით, სულ უსა-ხლოდ დავრჩებით ქართლი, კახეთი. სად უნდა ისწავლონ რაც მაგან ილაპარაკა, მაშინ ყოველთა განიცინეს და მოილეს სადილი. იოანე გამოეთ-ხოვა მოურავს, მოურავმან აჩუქა კარგად ლჳნო,

გიორგისაც გამოესალმა და უთხრა იოანემ, მის-და გწვეოდი და აქ გნახეთო. მანცა აღუთქუა სა-ჩუქარი. მერე მიისმო მოურავის ქალმან სოფიომ იოანე, მოურავმან მიიყვანა სოფიოსთან, სოფიო მოიკითხა ლოცვით იოანემ და სოფიომ უთხრა: ბეჩავ, რაზედ შეაწუხე ალავერდის ქალები და ან ელევთერ.

იო. ბატონავ, ქადაგებაში ბევრი რამ ითქმის და რად უნდა მეწუხდენ, და თუ სჳნიდისით იქ-მონეს დია კეთილია.

სოფიომ. ნუ დამემდურები, აჰა ერთი წუჯლი წინდა და პაჭიჭი მომირთმევია, ისე მიიღეთ ვი-თარცა მწვლილი.

იო. თქჳენ იმისთანა ქვრივი არ ბძანდებით; უფრო მდიდარი ხართ. სოფიომ, თეთრიც აჩუქა.

იო. ღმერთმან გაცხონოთ. მადლობელი ვარ.

სოფ. თქჳენმა მზემ არ გახლავარ ბებერი?

იო. ცხონება, ყმაწჳლისა და ბებრისათჳს, დია სანატრელია.

სოფიომ. ბერო! ასე იცოდე; რომ მინდოდეს დია მალე გავსთხოვდები.

იო. უი! მდომა გქონიათ!

მაშინ მოურავმან გაიცინა და უთხრა: ბერო! კარგად შეატყევო.

იო. არა ბატონო, დიად პატიოსნად ნაცნობის სახლში, მეტადრე სხუათა ქურიებთა ზედა, და ამა უბნობით გაიყარნენ. რა იოანე ამხედრდა, გიორგიმ უთხრა: გახსოვდე ბერო ლოცვაში?

იო. სარწმუნოებისა შენისამებრ მეხსოვნები.

გიორ. ვითარ?

იო. ვითარცა ქლიაზარ: და გააჭენა ცხენი და წავიდა ენისელისაკენ.

დღე შემდგომი.

რა ენისელს მიუახლოვდენ, იოანემ უთხრა ზურაბს, წადი და სახლი იშოვე სადმე სადგური. ზურაბ მივიდა მოურავთან, იოანეს მაგიერ ლოცვა კურთხევა ჰკადრა, და სთხოვა სადგური, მოურავმანც მისცა, და ოდეს იოანე მოვიდა, აჩუენეს თჳსი სადგომი, იოანემ განისვენა მცირედ და მერე წარვიდა მოურავთან, რა დიმიტრი მოურავი იხილა, იოანეს დიდ ეუცხოვა იმისი სახე ყოფაქცევა და დაკჳლაჭნულება, რომელიც სკლაში სლათევდა ფესებს და სთქჳა მამასახლისისადმი: ესე

არს თქჳენი გაღმა მხრის სარდალი? მამასახლისმან. დიახ.

იო. ეს რომ თითონ ყოფილა მოსავლელი, ამან ვის უნდა მოუაროს, რომ მოურაობა მეურნობას ანუ მომლელს ნიშნავს.

მამასახლისმან. რადგან შთამომავლობით ყოფილან მოურავი ამათი გუარი, ბატონმან არც ამათ გამოართო.

იო. დიაღ კარგი, მაგრამ, რატომ ამის შჳლს არ მისცეს, რომელიც დიაღ კარგი ვაჟკაცია, ერთგულია თჳსის მებატონისა და მამულისა.

მამასახლისმან. უფროსი ეყოს ისი მართავს საქმესა.

მერეთ. დიმიტრიმ მიიღო იოანე კარგად, და უბძანა მამასახლისს, რომ კარგად დასვდიო, მე სხუაგან მივალ, და აღუთქუა ღჳნოც საჩუქრად იოანეს და წამოიყვანს მამასახლისმან. მაშინ ზაქარია მღჳდელმან ლალისხანის შჳლმან, ჰსცნო იოანეს მუნ ყოფა. და წარმოვიდა იოანესთან. რა ურთიერთი იხილეს, მიესალმნენ და სიყუარულით მოიკითხეს ურთიერთი, და ზაქარიამ გამოჰკითხა იოანეს თჳსი ვითარება. იოანემაც უამბო თჳსი

მგზავრობის მიზეზი, და ძერე დასხდეს ვახშმად. რა კარგად შეექცნენ, ზაქარიამ უთხრა იოანეს: მე ვაპირებ სკოლის გამართვას დუშეთს და თუ შენც განწესდები, სალიფობას მოგცემ შეგირდებისას, და ჯამაგირსაც გაგიჩენ.

იო. ვაჲ თუ ეგ სკოლის გაკეთება ჰგავდეს მამლის და მაღლისაგან აშენებულს სოფელსა.

ზაქარიამ. რასათჳს შეურაცხმყოფ, მე არაგვის ერისთვის შვილი ვარ და როგორ ვერ შევიძლებ

იო. ვჰგონებ გაგეგონოთ ქართული მასალა «სტუმარს სახლში არ უშუშბდენო, და იმასვე სმალ-ფარი თაროსთან დამიკიდეთო.

ზაქარ. ვის შეუძლიან ეგე ქმნასო?

იო. სწორედ არაგვის ერისთავებს.

ზაქარ. მე ბრუდედ ვარ ნაშობი?

იო. ასე სწერს მოციქული «არა დაიმკვიდ-როს შვილმან მხევლისამან მისათანა აზნაურისა.» მაშინ განრისხდა ზაქარია, და სთქუა: ნახეთ ეს ქიზიყელი მუტრუკი როგორ გაანპარტავნდა; სხუა-ნიც რამდენი შეურაცს ჰყო, და მეც მაღლად და ბუშად გამხადა. მივარდა იოანეს, ჰსტაცა წუწრში ჯელი და დაუწყო თმასა და წვერსა გლეჯა.

იოანეც გამწოვდა და ამანაც მიჰყო კელი, და ერთმანერთი დაქოჩრეს. მაშინ მამასახლისი და სხჳანი მუნებურნი მღჳდელნი, შთაუცჳდნენ შუაში და რის ყოფით გააშველეს.

მაშინ ზურაბმან: ახ. დიაღ მალე წაიკიდენით მომღჳარ სალიფა, და ამ ყოფით სკოლა არ გა-იმართებაო. ზაქარია განრისხებული წავიდა შინა და იოანემაც ის ღამე მწუხარებით გაატარა. ხო-ლო ხჳალისა დღე ადგა ადრიან, და წავიდა ნო-დარიანთან, საბუეს.

## დღე შემდგომი.

რა მივიდა სახლსა სახლთხუცესისასა ნოდარის შჳლთან, სადილს აპირებდენ, და იოანეს კულისა-თჳს, უბმანა თჳსსა მსახურსა ფლავისა მოხარშჳა და იოანე წაიყვანა მარანსა შინა, მცირეს ხანს იმუსაიფეს, და მერე მოვიდნენ სხჳანიცა სახლის კაცნი მათი, დასხდენ და მოიღეს სადილი. ოდეს ფლავის მოტანის დრო შეიქნა, მოიღეს ფლავი-ცა, და ჩამოარიგეს, მაგრამ ძლიერად მძაღე და მჳრალი ერბო მოსლოდათ, რომ იოანემ ვერ უძლო ჭამად. ვარნა სახლთხუცესი თავ დაღუნვილი

ჰსჭამდა ფლავსა მას ესრეთ, რომელ მთლად მიიღო იგი თეფში სამსე, ხოლო სხჳათა ვერცა თუ ერთი ლუკმა მიიღეს. ოდეს დაასრულა ფლავის ჭამა სალთხუცესმან, იხილა, იოანეს ისევ სავსე უდგას თეფში და სხჳათაცა, იოანეს უთხრა სალთხუცესმან: რატომ არ მიირთმევთო?

იო. სიმძაღემ ყელი ჩამძაღა და სუნმან საყნოსელი შემსუთა.

სალთხუცესი. მძაღე და მყრალი ხომ არ იყო ერბოო?

იო. დიახ ბატონო.

სალთხუცესი. ვაჟო, როგორი ბერი ხარ, არ შემატყობინე თუ მძაღე ერბო ჰქონდა, რომ მეც არ მეჭამა.

იო. არ ვიცოდი თუ გემება არა გქონდათ.

მაშინ ზურაბმა. ბატონო სალთხუცესო, დიდოს მოურავი ბძანდებით, და იქ იქნებით დაჩჳრული დუმისა, ქონისა, ხინკალის ჭამას და თქჳენ ამისთჳს ვერ გამოსცანით, მაგრამ ჯარიმაში ერთი ურემი ღჳნო უნდა გვაჩუქოთ. მაშინ ყოველთა განიცინეს და აღუთქჳს ღჳნო იოანეს. რა დასრულდა სადილი, იოანე გამოეთხოვა და მადლობელი

წარვიდა მილდისაკენ.

მისრული იოანე მივალს ყოვლად სამღუდელოს ნეკრესელის ზაქარიას სადგურსა, და გარდასდების ცხენიდამ, და შევალს გალავანის ბჭესა შინა. ისილავს მუნ ერთსა დიაკუანთაგანსა და ეტყჳს: ყოვლად სამღუდელო აქ ბძანდებაა? დიაკვანმან — აქა. იოანემ ჰკითხოვა დიაკვანს, და ცხად უყო ვინაობაცა თჳსი, და უთხრა: მივედ ყოვლად სამღუდელოს ჩემ-მიერ ანბორება მოახსენე, და სადგურიცა გვითხოვე. დიაკუანი მივალს და ყოველსავე მოახსენებს არქიერს და მანცა ინება, და მისცეს სადგომი. მცირე განისვენა, საგზაო ტანისამოსი გამოიცუალა, და ანაფორით მოსილი ელოდა მიწოდებასა თჳსსა. ამა ჟამსა შინა მოვიდა იგივე დიაკუანი და მიუწოდა იოანესა. რა მივალს იოანე და ისილავს არქიერსა იქმს მეტანიასა და ეამბორება მარჯუენესა, არქიერი მოიკითხავს და მერეთ დასომს იოანეს, და ეტყჳს: საიდამ მიგიძღვის უფალი?

იოანე. ქუაბთახევის მონასტრით.

არქიერმა. ღჳნის სათხოვრათ?

იო. სულმან გაცნობათ.

არქიერმან. ბოროტმან თუ კეთილმან?

იო. სულმან წმინდამან.

არქიერს იამა იოანეს ლაპარაკი, და უბძანა: შეისრულე ჴსწავლა?

იო. ჱე, მადლითა თქჳჱნითა.

არქიერმან. ვინემდის ვახშამი დამზადდებოდეს, მცირე რამ ვიუბნოთ, კატილორიისათჳს.

იო. იქუავნ ნება თქჳჱნი.

### დიალიკტიკისა ანუ კატიგორიისათჳს.

არქიერი. რაჲ არს კატილორია?

იო. კატილორია არს ქჳჱ თქმულობა, გინა ნივთისა ქჳჱსა რაჲსამე ზედა შესმენა (სოლო ლექსი ესე არს ელინებრი).

არქიერი. რაჲ არს სახელ მოდგამი?

იო. სახელ მოდგამი არს, რომლისაგანცა მარტივად არა რაჲმე შეიპყრობის. მაგალ. ქალწული: რომელ ესე ეწოდების ერთსა ათორმეტთაგანსა ბურჯსა ერთისათჳს ცისა. სოლო სახელივე ეწოდების კაცსაცა.

არქიერი. რაჲსათჳს ეწოდების სახელ-მოდგამი?

იო. ამისთჳს, ვინაჲდგან სახელით მოუგიესთ

ერთ ყოფაჲ, და სასლოჭრით განყოფაჲ, ვითარცა სასლოჭარი კაცისა სხუა არს, და სასლოჭარი ვარსკულავისა სხუაჲ.

არქი. რაოდენი განწუალება აქუს სახელ-მოდგამსა?

იო. ორი, ესე იგი, არსებითი და შემთხუჳვითი.

არქი. არსებითი ვითარ?

იო. არსებითი არს ვითარცა--ქალწული, მით რამეთუ ორნივე არსებასა დანიშნენ; ესე იგი, კაცისა და ვარსკვლავისა.

არქი. შემთხუჳვითი ვითარლა?

იო. იგი, რომელიცა შეჭმსგავსებისამებრ იქმნების. მაგალითი ვითარცა მრავალია: კაცთა ლომად სახელ-ჰსდებენ, გინა ჰილოტანად ძლიერებისაგამო და არცა არიან ლომ, და არცა ჰილოტანნი, და ესე კმა გვეავნ.

არქი. რაჲ არს თანა მოსახელე?

იო. თანა მოსახელე არს, რომელსა დამნიშუნელობითი საქმე რაჲმე შეიჰყრობს მარტივად, და მის მიერ დანიშნულ არიან სასლოჭრითა და სახელითა-ზიარ და ესე არს თჳსება თანა-მოსა-

ხლისა.

არქი. ვითარ იქმნების ესე?

იო. ესრეთ, რამეთუ ითქუას რა ცხოველი, მყის მარტივად ცნობილ იქნების მრავალი ცხოველი, ხოლო აქ ვიტყვი ნივთიერისა ცხოველისათჳს საზღუარსა: ცხოველი არს არსება სხეული მოზარდობითი, აჰა თქმითა ამით განისაზღვრების ყოველი ნივთიერი ცხოველი. (ხოლო ღუთისა და ანგელოზთათჳს ვიტყჳ მეტაფიზიკასა შინა) და ესე კმა გვეყავნ თანა მოსახლისათჳს.

არქი. რაჲ არს სახელ-დასი?

იო. სახელ-დასი არს, რომლითა შეიჰყრობის საქმე რაჲმე მარტივად, გარნა დანიშნულნი მის მიერ არიან ურთიერთისა, პირუჱლი და უკანასკნელი.

არქი. ვითარ?

იო. ესრეთ, ითქუას რა მყოფი, ესე განიყოფების ორგუარად, ესე იგი. არსებითად, და შემთხვევითად, ხოლო ამას შინა არსება არს პირველი, და შემთხვევითი მეორე. და ესრეთ იხილეთ მნიშუნელობა, სახელ დასისა, რამეთუ პირველსა შეუდგების მეორე, და ეგრეთვე მსგავსნი

ამისნი.

ირქ. რაჲ არს სახელ ნართული?

იო. სახელ-ნართული არს, რომელთა სახელისა და საქმისამებრ აქვსთ ზიარება ურთიერთისა შორის, და აქვსცა განყოფილება ურთიერთაგან, სიწმინდე, და წმინდა ერნი დასაბამითვე არიან იგივე, გარნა უკანასკნელითა სხვაობითა სხვაობენ: რამეთუ, რომელიცა, სი, გინა, ებ, მარცვლით იქნებიან, იწოდებიან აღმატებულად, ხოლო რომელნიცა ამა მარცვალთაგან არა შედგმულ არიან იწოდებიან განზრქელებად, და აქვსთ ესგვარი ზიარებაჲ, წმინდა, სიწმინდის გამოიწოდების, და განყოფილებაცა ზემოთქმულისამებრ.

არქ. აქვს რაჲმე კვალად მნიშვნელობა აღმატებულსა სახელსა?

იო. ესრეთ, რამეთუ აღმატებული იგი იწოდების სახელ მრთვლად, რამეთუ დაურთავს სახელსა თჳსსა სხვათა. მაგალ. ვითარცა აღშენებისა გამო, დართო მეფესა დავითს აღმაშენებლობაჲ.

არქ. განზრქელებულსაცა აქვს რაჲმე მნიშვნელობა?

არქ. ესე რამეთუ ყოველი განზრქელებული

სახელი არს სახელ-რთული სახელი. მაგალ. ვითარცა წმინდა, წმინდისა გამო იწოდების წმინდად, და ამისთჳს წოდებულ არს განრქელებულად რამეთუ ქუმდებარესა ზედა შეისმინებიან, განეფინებიან, განძრავლდებიან და განრქელდებიან შესმენილნი მათზედა.

არქი. რაოდენ გუარობს შესმენა?

იო. ორგუარობს, ესე იგი: ჩუენებითად და შორის-ჩუენებითად. ჩუენებითი არს იგი, რომელიცა უშორესად და არა განცხადებულად გუეცნობების. მაგალ. ვითარცა ითქუას ესე; რა კაცი არს? ორ მარცუალ თქმითა ამით არ იცნობების გუამი კაცისა, რამეთუ შესაძლებელ არს სხჳსაცა არსისა ორ მარცულოვან ყოფა.

ხოლო შორის ჩუენებითი არს, რომელიცა არსებობასა, რომლისამე არსებისასა გუაცნობებს ზედ მიწევნით. მაგალ. ვითარცა ითქუას: რა კაცი არს სიტყჳერი ცხოველი მოკუდავი. აჰა სიტყჳერი და ცხოველი კაცისა შესმენითა, აჩუენებს არსებასა კაცისასა. ხოლო უშესმენაესი შესმენა, ანუ უგანცხადებულესი შესმენა შორის ჩუენებითისა არს, ითქუას რა, მეოფი რომელ არს

წინა-უკმო განწჳალებული არა რაჲსაგან, გარნა განწჳალების მყოფი ორ სახედ, ესე იგი, არსებითად და შემთხჳჱვითად.

არსებითი არს საქმე თჳთ თავით თჳსით მდგომი, და არა მექონე სხვისა შემტკიცებისა.

ხოლო შემთხვევითი არს, რომელიცა სხჳასა ზედა ისილვების მდგმოდ, გარნა არისტოტელისამებრ აქჳს სხჳა გჳარ განწჳალებაჲ მყოფსა.

არქი. ვითარ?

იო. არისტოტელი განწჳალებულ ჰყოფს ოთხ გჳარად. ესე იგი: 1) ქჳჱ მდებარისად, და არა ქჳჱ მდებარისა შორის. 2) ქჳჱ მდებარისა შორის, და არა ქჳჱ მდებარისად. 3) ქჳჱმდებარისად, და ქჳჱმდებარისა შორის. 4) არცა ქჳჱმდებარისად და არცა ქჳჱმდებარისა შორის.

არქი. აღმოაჩინე.

იო. ესე არს საზოგადო, გინა საყოველთაო არსება; მაგალ. რამეთუ ითქჳა რა კითარმედ არს კაცი, რომელ არს საყოველთაო არსება და შეისმინებისცა პეტრესად. გარნა არა არს მხოლოდ პეტრეს შორის, რამეთუ კიდე პეტრესსა არიან სხჳანი კაცნი.

**2**) სოლო ქუჱმდებარისა შორის და არა ქუჱმდებარისად. ესე არს სათვითო გინა კერძობითი შემთხუჱვაჲ. მაგალ. ვითარცა მათემატიკოსობა, რომელ არს შემთხუჱვითი, ესე იქმნების და იპოვების პავლესა შორის, გარნა არა იქნების შესმენითა პავლესად, რამეთუ არა ითქმის თქმითა ამით, ვითარმედ პავლე იყოსმცა მათემატიკოსობა, არამედ ითქმის ვითარმედ პავლე არს მათემატიკოსი.

**3**) სოლო ქუჱმდებარისად და ქუჱმდებარისა შორის იმცენ ეს გვარ, რომელ ესე არს საზოგადო შემთხვევითი. მაგალ. ვითარცა სათნოება, რომელ არს საზოგადო შემთხვევა, შეისმინების ქუჱმდებარისად, ესე იგი, სამართალისად, მეცნიერებისად, სიმხნისად და სხუათა სახეთა, და არსცა ქუჱმდებარისაშორის, რამეთუ იქმნების გუამსა შინა კაცისასა.

და ესე მეოთხე, რომელიცა არს არცა ქუჱმდებარისად და არცა ქუჱმდებარისაშორის: ესე ითქმის სათჳთოდ ანუ კერძოობითად არსებად, მით რამეთუ ვითარცა პავლეს არა აქუს ქუჱმდებარე შესმენა მისთაებრ, რათა ვისდამე შეისმინებო-

დეს, და არცა აქუს ქუჱ-მდებარე მდგომისაებრ, რათა ვისმესა შორის აქუნდესმცა ყოფაჲ; და ესრეთ ამტკიცებს არისტოტელი.

არქ. ათნი უკუჱ ჴმანი არისტოტელებრნი რომელნი არიან?

იო. ისენი: **1**) არსება, **2**) რაოდენი. **3**) რაჲსა-მიმართი. **4**) ვითარი. **5**) ქმნა. **6**) ვნება. **7**) სადაჲ. **8**) ოდესი. **8**) მდებარეობა. **10**) ქონება.

არქ. ამა ხმათა შორის, რომელი არს უპირველესი?

იო. არსება, ხოლო სხუანი დანაშთნი ცხრანი იგი არსებასა ამასზედა შეისმინებიან.

არქ. არსება რაჲ არს?

იო. არსება არს თჳთ თავით თჳსით მყოფი, და არა მქონე სხჳსა შემტკიცებისა.

არქ. რაოდენად იწუალების არსება?

იო. არისტოტელი მრჩობლად ჰსწუალებს არსებასა, ესე იგი: პირველად და მეორედ. პირველი არს განუკვეთელი, ხოლო მეორე არს საზოგადო.

არქ. რაჲსათჳს უწოდა განუკვეთელსა პირველ არსებად?

იო. ამისთჳს, რამეთუ მეორენი იგი არსებანი, რომელ არიან საზოგადონი შორის განუკვეთელისა ისილვებიან და მუნ აღმოჩნდებიან. მაგალ. ვითარცა ცხოველობა და კაცება აღმოჩნდების პეტრესსა შორის. პეტრე, რომელიცა არს განუკუეთელ.

არქი. რაჲსათჳს არს მეორე არსება საზოგადო?

იო. ამისთჳს, რამეთუ გარდა განუკუეთელისა, საზოგადონი არა იხილვებიან.

არქი. გარდა ამათსასა, არსლა კუალად სხუა შენიშუნა ამისთჳს?

იო. ესე კუალად პირველსა შინა არსებასა, რომელ არს განუკუეთელი, რომელიცა შეისმინებიან, ანუ მისდა შეისმინებიან და ანუ მის შორის არიან, ხოლო რომელნიცა მისდა შეისმინებიან, იგინი იწოდებიან საზოგადო არსებად. მაგალ. ვითარცა ცხოელი, მშვინვიერი, მოზარდი და სხუანი. ხოლო რომელნიცა მის შორის არიან, იგინი იწოდებიან შემთხუევითად. მაგალ. ვითარცა რომელსამე განუკუეთელსა შინა არს, რომელიმე შემთხვევითი. და იგი არა არს სხუასა შინა განუკუეთელსა. არამედ სხუასა შინა სხუა არს. ხო-

ლთ ახალნი უკუე ფილოსოფოსნი არსებასა სდებენ სამ გუარად. ესე იგი: პირუელად, მეორედ, ხოლო მესამედ ანგელოზს უწოდენ სავსედ; პირველი და მეორე, ვითარცა მოგახსენენ ზემორე, ხოლო მესამეს, ანგელოზთ უწოდენ სავსედ. ესე იხილეთ მეტაფიზიკასა შინა.

არქი. მდევარნი ანუ შედგომილებანი არსებისანი, რაოდენნი არიან ანუ რომელნი?

იო. არიან უკუე ოთხ, ესე იგი: რამეთუ, არარომელიმე არსება ქუემდებარისაშორის არს, და ესე ცხად არს, რამეთუ პირველი არსება, არავისგანმე არს არამედ თჳთ არს საფუძველი ყოველთა. ხოლო მეორენი არსებანი იხილვებიან ვითარმედ არიან ქუემდებარესა შორის. გარნა არა არიან, ამისთჳს რამეთუ არა არიან პეტრესა შორის კაცი, გინა ცხოელი, არამედ არს პეტრესა შორის კაცება, და ცხოველობა, ეგრეთვე, რამეთუ, რომელიცა არსება არს, ანუ პირველი ქუემდებარეობა ანუ პირველისად, მით რამეთუ რაჲ-არსობისა შორის შესმენილთ და რომელიცა პირველი ქუე მდებარეობა-არის იგი არ განუკუეთელი, ხოლო რომელიცა, პირველისად შესმენი-

ლი არს იგი საზოგადო არსება არის; და ესრეთ მრჩობილი არს არსება. ესე იგი, პირველი და მეორე ვინაჲცა მრჩობლი არს განთჳსება. ესე იგი. პირველი ქუჴმდებარეობა და პირველად რაჲ-არსობის შორის შესმენა.

არქი. რაოდენ გუარად იწუალების რაოდენი?

იო. ეწუალების ორად ესე იგი. შერწყმულად და განრწყმულად, შერწყმული არს, რომლის კერძოთა აქუსთ საზღუარი შემოერთებული; რომელ არს შემკუელი და აქუსცა თჳსად. რამეთუ კერძოსა ერთისა განზიდვითა მიიზიდვის მეორეცა:

ხოლო განრწყმული არს, რომლისაცა კერძონი არა არიან მიმთუალველ საზღუართა შემაერთებელთა, მაგალ. ვითარცა მარცუალნი ესე: ნი, და ნა, ესე ისილვებიან კერძოდ სახელისა ამის წინასა, არა აქუსთ საზოგადო საზღუარი, რამეთუ-საშუალისა კერძოთა მქონებელთა არა მალუმსთ ყოფა თჳნიერ ურთიერთისა, რამეთუ თქმითა; ნი, არა მოილების-ნა, და ეგრეთვე თქმითა ნა, არა მოილების ნი, მაშასადამე არა ჳრიან შერწყმულ კოპარითა ერთად საზოგადოდ საზღურად.

არქი. სხუჴბითაცა აქუს განწვალება რაოდენობასა?

იო. კჱალად იწყალების სუთად, ესე იგი: 1) ღრმად. 2) ეპიფანიად. 3) სხეულად. 4) ჟამად, და 5) ადგილად:

1) ხოლო ღრმისა შემაერთებელი საზღჳარი არს წერტილი, რამეთუ განზიდული ღრამი (საზი) თჳნიერ წერტილისა არა შეიდგმის.

2) ეპიფანიათა შემაერთებელი საზღჳარი, არს ღრამი, რამეთუ ეპიფანია ღრამთაგან და ღრამთა მიერ არს შედგმულ.

3) სხეული თჳნიერ ადგილისა არა იხილვების და ამისთჳს ადგილი არს გარეშემცჳწლი სხეულისა, ანუ ესრედ ვჰხთქჳათ: ადგილი არს სატი განსაზღჳრებული თანად ყოფისა ნივთასა, რამეთუ სხეული თჳნიერ ადგილისა ყოფად შეუძლებელ არს.

4) ჟამი არს განზომა, მზისაგან მოძრაობისა, ხოლო ნამყო და მყოობადი არიან ჟამნი და მათი შემაერთებელი საზღჳარი არს აწმყოჲ, მით რამეთუ ამის მიერ მოკიდებულობენ ურთიერთ არს ნამყოჲ და მყოობადი და ესრეთვე იმცენ სხჳანიცა.

ხოლო ადგილი არს გარე შეწერა სხეულისა,

ვინაჲდგან არა რომელიმე კერძო სხეულისა არს უადგილო და არცა სხეულსა ძალუძს უადგილოდ ყოფაჲ, და ეგრეთვე სხეულისა შორის ყოფა ითქმის ადგილად. სოლო აქა ცნობად არს ულონოებაჲ ამისი ვითარმედ რაჲთა განირჩევიანმ-ცა ურთიერთისაგან წერტილი და არდგილი, ვინაჲდგან ორთავე ამაოებად უწოდებენ ფილო-სოფოსნი. გარნა აღმოჩინებაჲ სათანადო არს ესრეთ, რომელ ამაოება რომელ არს კერძოთა შორის, ღრმისათა, რომელ არიან კოჰარნი ღრმისა კერძო-თაგანი, ითქმიან წერტილად. სოლო ამოება რომელი არს კერძოთა შორის სხეულთა, რომელ არიან კოჰარნი სხეულისა-კერძოთანი, რომელი ეპიფანისამებრ ისილვების, ითქმის ადგილად, სიტყჳსამებრ დავით უძლეველისა ერმანთა ფილო-სოფოსისა, რომელიცა ეპიფანიასა უწოდს ად-გილად.

არქი. **რაოდენნი** არიან მდევარნი რაოდენისანი?

იო, სამნი. ესე იგი: **1**) რამეთუ არა მიმთვალ-ველ არს უმეტეს უდარესისა. მაგალ. ვითარცა წერთა წერთისა წერთობითა არა არს უმეტეს და უდარეს და სხჳანი. **2**) არცა მიითჳალავს წინა-

აღმდეგსა, რამეთუ წყრთა წყრთისა რაჲ წინააღმდეგობა არს, და სხჳანი: ხოლო 4) ესე, რომელ თანა-ჴსწორი და უთანასწორო, სწორი და უსწორო რაოდენისად ითქმიან, რამეთუ თანასწორი და უთანასწორო შეისმინების განრწყმულისად. მაგალ. რამეთუ თითნი ხუთნი თანასწორ არიან თითთა ხუთთა, და უთანასწორო, სამთა თითთა რაოდენობისამებრ, ხოლო ჴსწორი და უსწორო, მაშინც შეისმინებიან მერწყმულისად. მაგალ, ვითარცა ქარტა ერთი თეთრი სწორ არს მეორისა, ეგეოდენისავე ქარტისა შავისა და სხჳანი.

არქ. რაჲ არს რაჲსა მიმართი?

იო. რაჲსა მიმართი არს, რომლისაცა ყოფაჲ სხვისადმი მოილებოდეს. მაგალ. ვითარცა დიდი მცირისადმი, რამეთუ დიდი თავით თჳსით ვერ შემძლებელ არს დიდ ყოფად, ანუ ცნობად, უკეთუ სხჳასა ზედა არა ითქმოდეს მოღებით, რომელ ესე ნივთი უდიდეს არს მეორისა, და აგრეთვე სხჳანი მჴსგავსნი ამისნი.

არქ. რაჲ არს საკუთრება რაჲსა-მიმართისა?

იო. ესე, რამეთუ გარემოიქცევის ბრუნვითა და არა შესმენით. მაგალ. ვითარცა მამა მისა, და

მე მამისა. აჰა პირველსავე ბრუნვასა შინა მამა არს წრფელობითად, და მისა არს ნათესაობითად; ხოლო მეორესა შინა მე არს წრფელობითად, და მამისა არს ნათესაობითად ბრუნვილი, აჰა იხილე ბრუნვით გარემო ქცევა და არა შესმენით.

არქ. რაოდენად განიწყალების რაჲსა-მიმართი?

იო. ორად: მარტივად და შეზავებულად. მარტივი არს ესე რომელ, მამა ყოფაჲ, მისაგამო მოიღების, და ამისთჳს, მდგომარეობა მამისა არა არს შეზავებულ მისათანა, არამედ არს მარტივი თავით თჳსით. ხოლო შეზავებული არს ესე, ვითარცა ყოვლადი და კერძოჲ. რამეთუ თქმით ყოვლადისათა მოიღების კერძოცა, ვინაჲდგან არა გარეშე კერძოთაგან ყოვლადი, რამეთუ მდგმობა ყოვლადისა და კერძოჲსა ურთიერთ არიან და ამისთჳს სახლჳრენ ფილოსოფოსნი ესრეთ ყოვლადსა, ყოვლადი არს კერძოთაგან ერთბამად შემოკრებულთა და ამის გამო იწოდების შეზავებულად.

არქ. მდევარნი რაჲსა-მიმართისანი ვითარ არიან, ანუ რაოდენ?

იო. ხუთნი: 1) რამეთუ მიითუალავს უმეტესს

უდარესსა, გარნა არა ყოველი რაჲსა-მიმართი. მაგალ. ვითარცა მსგავსი რომელიმე, რომელ-არს რაჲსა მიმართი, უმეტეს ემსგავსების რომელსამე სხჳსა რომელსაგანმე. ხოლო არა ყოველნი რაჲსა-მიმართისა მიითუალვენ ამას. რამეთუ მამა და პაპა, და სხუანი ესე ვითარნი არა მიითუალვენ უმეტეს უდარესობასა.

2) იქმნების ოდესმე წინა-აღმდეგობა რომელსამე რაჲსა მიმართისა შინა. მაგალ. სიმაღლე, ესე არს წინააღმდეგი, უსამართლოჲსა. და სათნოება, უთნოებისა. გარნა არა ყოველნი რაჲსა მიმართნი მიითუალვენ წინააღმდეგობასა მით რამეთუ, დიდისა და მცირისა, და სხუათა ესე ვითართა, არა რაჲ არს წინააღმდეგობა.

3) ოდესცა ვიტყჳთ რაჲსა მიმართისა, მაშინ რაჲსა მიმართნი მყის თანად არიან, მით რამეთუ თქმითა მამისათა მყის თანად შემოილების ძეცა ეს სახელ უფალი და მონაცა მყის თანად ვიდრემე არიან. გარნა საგრძნობელნი გრძნობისათჳსა არა არიან მყის თანად, მით რამეთუ საგრძნობელნი უპირველეს არიან გრძნობისა, ვითარცა შორის ქუეყანისა არიან საგრძნობელნი, გარნა

გრძნობაჲ მათი არღარა არს ჯერეთ, რამეთუ მამა თჳნიერ მისა არა არს, და არცა ითქმის მამად.

4) მეოთხე, საკუთრება რაჲსა მიმართისა, ვითარცა ბრუნვით მოიქცევის გარე, რაჳჱარადაც ზემორე ითქუა, იხილე მუნ.

5) მეხუთე, რამეთუ ყოფაჲ მისი მოიღების სხჳასა ზედა. მაგალ. ვითარცა ყოფა მისა მოიღების მამასა ზედა. და სხჳნი.

არქი. რაჲ არს ვითარი და ვითარებაჲ?

იო. ვითარი არს სხჳაობა სხჳაობათათჳს. მაგალ. მშჳჶნიერი და უშჳჶრი. სათნო და უთნო; მით რამეთუ მშჳჶნიერი სხჳაობს უშჳჶრთაგან, და ესე არს ვითარი.

ხოლო ვითარება არს, რომლისაგან და რომლისაებრ იქნების. მაგალ. ზედ-მიწევნილებისაგან იქნების ზედ-მიწევნილ, და მეცნიერებისაგან, მეცნიერი. ესრეთვე და სხჳათა ვითარებათაებრ სხჳანი უკუჶ ვითარნი.

არქი. რაოდენი განწჳალება აქჳს ვითარებასა?

იო. ორნი: ბუნებითი და მოჴებითი. ბუნებითი არს, რომელიცა შობასავე ბუნებისაგან მის-

ცემიეს. მაგალ. სიმკჳრცხლე, გინა ძლიერება; სი-ზარმაცე ანუ უძლურება. და ესე არიან ერთგზის ბუნებისაგან, ხოლო ბუნებითი იგი საზოგადოჲ მობასავე შინა მრჩობლი არს, მით რამეთუ, მოცინარობაჲ საზოგადოდ კაცთა შორის არს. სიშავე ყორანთა შორის, და სითეთრე თოვლთა შორის, და რომელიცა მხოლოდ განუკჳეთელისა არიან. ვითარცა უძლურება პავლესი, და თჳალ მაჩხობაჲ პეტრესი, ესსასხედვე, რომელნიმე ბუნე-ბისამებრ არიან მრისხანე, და რომელნიმე მყუდ-რო, და სხუანი ესე ვითარნი.

ხოლო, მოგებითი არს, რომელიცა ბუნებასა შემდგომად შემავალ-არს. მაგალ. ვითარცა მეცნი-ერება, ანუ უმეცრება. გარნა მოგებითნი იგი გა-ნიყოფებიან მრჩობლად (ესე იგი) 1) ანაგებად, ხოლო მეორე ადჳლ შესაცჳალებლად. ანაგებად ანუ გაგჳარებად არს იგი, რომელნიცა არიან უმრავლ ჟამიერნი, და ძნიად შესაძულელნი, შრო-მითა ფიცხელითა მოგებულნი, და ძნიად განშო-რებულნი, ვითარცა ზედ მიწევნილება, და სათ-ნოება, მით რამეთუ ესენი ფიცხელითა მოღჳაწე-ობითა მოიგებიან, და ძნიად განეშორებიან მომ-

გებელისაგან. და ამისთჳს ესე ვითარნი ითქმიან ანაგებად. ხოლო შეცვალებადნი ანუ ადვილ შემვ-რადნი არიან ესენი, ვითარცა განსურვება და განგრილება სხეულისა, პირ მეწამულება მორცხვება, და პირ განყვითლება შიშვნეულისა, ესეცა არიან გვარნი მისი, რამეთუ ოდეს განვალს რა მხურვალება მეის განგრილდების, და რა განვალს მორცხობა მორცხჳსაგან, და შიში შიშვნეულისაგან, კვალად ეგნენ ყოვლისავე თჳსსა ზედა. ხოლო ბუნებითი ბუნებითსა ნათესავსა ქჳეშე არს დაწესებულ და სხვანი.

კით. შედგომილება ანუ მდევარნი ვითარისა და ვითარებისანი რაოდენნი არიან?

მო. ორნი: პირველი წინააღმდეგობითი და მეორე უმეტეს უდარესობითი. წინააღმდეგობითი არს ესე, ვითარცა უმეცრებისა წინააღმდეგ არს მეცნიერებაჲ. მხდალისა მამაცობაჲ. და ამათ შორის არს. სახელ ნართულნიცა ითქმიან, ვითარ, სათნოსა, უთნო, შავსა თეთრი. მაშასადამე ვითარსა და ვითარებასა აქუნ წინააღმდეგობაჲ ურთიერთ არს, გარნა სამკუთხეობისა და სიმრგვლისა და მოთხუთხედისა და სხვათა ნაკუეთთა არა-

რაჲ არს წინააღმდგომი, მით რამეთუ ეპიფანიანი (ანუ სიფრიყანანი) უწინააღმდგომ არიან.

ხოლო მეორე უმეტეს უდარესობითი; მაგალ. მეცნიერება, რომელ-არს ვითარება; ხოლო მეცნიერი, მეცნიერსა დედა უმეტეს არს და უდარეს ესსასხედვე თეთრი რომლისამე თეთრისა, უთეთრეს არს და ანუ უმეტეს. გარნა სითეთრე სითეთრისა არა ითქმის უმეტეს და უდარეს მით, რამეთუ სითეთრე სახე არს და სახე არარას მიითჳალავს უმეტეს, უდარესსა, მით რამეთუ ყოველნი სახეოველთაონი უქცეველ არიან, მაგრამ რომელიმე სითეთრე რომლისამე სითეთრისა უმეტეს და უდარეს არს; ესთავე და სხჳანიცა განუკჳეთელნი ითქმიან. აგრეთვე მესამესაც შესმინებს ფილოსოფოსი, რამეთუ მსგავსი, და უმსგავსო ითქმიან ვითარისა, და ესე არს საკუთარისა. ხოლო ან უკჳე ფერი თეთრისად თანა მოსასლეობით შეისმინების და ფქჳლისად სახელ მოდგამობით, ხოლო სითეთრე და თეთრი არიან სახელ ნართულ.

არქ. რაოდენად განიწვალების ქმნაჲ?

იო. ორად, ესე იგი, შემოუჳანად და არა შემეჳანად. შემოუჳანებითი ქმნა არს, რომელ მოქ-

შედებულისაგან, მოქმედებისადმი ვნება რაჲმე შემოიყუანებოდეს. მაგალ. ვითარცა მკუჱთელისა და კუჱთილისა შორის კუჱთა რომელ არს ვნება შემოყუანებისა და კეთილი იგი შეწყნარებითა კუჱთილისათა განესხჳაების თავსა შორის თჳსსა.

ხოლო შემოუყანილი არს, რომლისათჳსცა ვნება რაჲმე არა შემოიყუანებოდეს. მაგალ. ვითარცა მხილველისაგან, შორის ხილულისა არა რაჲმე ვნებაჲ შემოიყუანების მით, რამეთუ ხილული იგი მხილველისაგან არცა იცუალების და სხჳავდების, არამედ ჰგიეს თჳსსავე სახესა შინა.

აგრეთვე შემოუყვანება ითქმის მრჩობლადცა. ესე იგი, მარტივად და შეზავებულად. მარტივი არს რამეთუ ქმნა მოქმედისა და ქმნილის შორის სხჳა არა რაჲ არს, ვითარცა დაბადება და მშობელი ჰშობს თჳნიერ ულონოჲსა. ხოლო შეზავებული ორღანოთიურთ იხილვების, რამეთუ სერხჳა და შემოსვა თჳნიერ საშუალისა არა არიან, მით რამეთუ, შორის მსერსველისა და განსერსილისა სერხი არს. ხოლო შორის შემმოსველისა, და შემოსილისა შესამოსელი არს.

ეს სახედვე შემოუყანილიცა მრჩობლი არს, ესე

იგი მხოლოობითი და მარჩბიობითი. მხოლობითი არს, რამეთუ იხილვებს ქმნა, მაგრა მოქმედი და ქმნილი არა განირჩევიან, ვითარცა გამოსვლა, და წარსვლა. სოლო გამოსვლა და წარსვლა არიან ქმნანი, და იგივე არს გამოსვლა და წარსვლა. სოლო მრჩობითი არს რამეთუ ქმნა ამისი განისხჳაების მოქმედად, და ქმნულად, ვითარცა თქმა და სმენა, რამეთუ თქმისა შორის სხჳა არს მთქმელი, და სხჳა თქმული. ესთავე სხჳა არს მცნობელი და სხჳა ცნობილი.

არქ. რაოდენნი ჰქონან მდევარნი ქმნასა?

იო. სამნი. პირველად მიითჳალვა უმეტეს უდარესისა. რამეთუ სურჳწბა რომელ არს ქმნა უმეტეს და უდარეს იქმნების.

მეორე. რამეთუ მიითჳალავს წინააღმდგომსა, რამეთუ სიმსურჳალე სიგრილესა წინა აღუდგების და ამისთჳს სადაცა მიითჳალვა იქმნების უმეტეს და უდარეს, მუნ წინააღმდეგობაცა. და მესამედ კჳწთა, რომელ არს ქმნა, გარნა ქმნაჲ თჳნიერ მჳრისა არა ევების, მაგრა ყოველი ქმნა არა არს მჳრსა შინა, რამეთუ ცნობა არს საცნაურისა ცნობაჲ, სოლო საცნაური მალი არა

არს მომრაობითი მით, რამეთუ ძალი ცნობისა ხედჳასა შინა სულისასა არს.

ხოლო ქსეცა სათქმელ არს, რაჲცა შეუდგების ქმნასა, იგივე ვნებასაცა, და ამისთჳს თჳსებანი ქმნისანი მნიადსადამე განერჩევის მდევართავნებისათა, გარნა განირჩევის ამით ქმნაჲ, ოდესცა არ არს მითჳლვით ერთგზის და ორ გზის უბნობაჲ რაჲსა ზედა უბნობდეს, რამეთუ ვნება მითჳალვითა არს. ხოლო დაღაცათუ ქმნაცა იხილვების მითვალვად მნებელისგან, არამედ მითჳალვა იგი ითქმის ვნებად, და არა ქმნად, რამეთუ მოქმედება მოქმედებისა შედგომილად იცნობების.

არქ. რაოდენად იწჳალების ვნება?

იო. ორად: არსებისაებრ და შემთხჳჱვითისა. ხოლო ითქჳას რა შობა, ანუ იშჳა, არს ვნება არსებისამებრ, რამეთუ შობილი იგი იცჳალების შობითა მებრ არსებისა, და არა მებრ შემთხჳჱვითისა, გარნა ვნებაჲ მნიშუნელობისამებრ არა სხჳა რაჲმეარს ვითაარცა ცჳალება,

ხოლო შემთხჳჱვისამებრ ვნება არს, ვითაარცა მხიარულება, რამეთუ მხიარულება ეს არს შემთხჳჱვისამებრ ცჳალებისა.

არქი. გარდა ამისა ვნება კჳალად იწჳალების უკეთუ არა?

იო. არსებითი უკჳჱ ვნება იწჳალების ორად. ესე იგი, ქმნად, ხოლო მეორე ხრწნად. ქმნადი არს, ბადვა, აღმონორჩება, და ესე ვითარნი და ამისთჳს წოდებელ არს ქმნად ვნება ესე, ვინაჲდგან აღორძინებისა დამნიშჳნელარიან. ხოლო ხრწნადი არს: მოკჳდომა, მოკვეთა, წვევა და ესე ვითარნი. და ამისთჳს წოდებულ არს ხრწნად ვნება ესე ვინაჲდგან, მოკლებასა და აღსპობასა დანიშჳნენ.

არქ. შემთხჳჱვითისამებრ ვნება რაოდენად იწჳალების?

იო. ორად. ესე იგი, ვნებად შინაგანად, და ვნებად გარეგანად.

ხოლო შინაგან ვნებად იწოდების მხიარულება, მწუხარება და სნეულება. და გარეგან ვნებად: განბმარვა, შემოსვა, გჳჱმვა, და ესე ვითარნი. ხოლო უკეთუ თქჳას ვინმე, ვითარმედ, რომელი იგჳჱმების მიიღებს თავსა შორის თჳსა ლმობასა, ანუ უკჳჱ რაჲსათჳს არს გჳჱმვა გარეშევნება. ცნობად სათანადო არს, ვითარმედ გჳჱმვა რომელ

არს გარეშე, არს გარეშე ვნება, ხოლო ლმობა არს შინაგან ვნება. და სხჳანი.

არქი. მდევარნი ვნებისანი რაოდენნი არიან?

იო. ოთხნი, ესე იგი, პირველად მითჳალვა წინაალმდეგისა, რამეთუ სნეულება, სიმართლისა არს წინაალმდგომ და სიმწარე სიტკბოებისა, მეორედ უმეტეს, და უდარესობასა მიითჳალავს, რამეთუ განწმენდვა, რომელ არს ვნება უაღრეს და უდარეს იქმნების. მესამედ ვნებაჲ თჳნიერ მვრისა არა ევების, მეოთხედ ვნება მოქმედებისა მიერ იქმნების, რამეთუ არავინ ივნებს თჳნიერ მოქმედისა. გარნა სიხარული და მწუხარება ისილვების თჳნიერ მოქმედისა, ვინაჲდგან საკუთარნი არიან სულისა, გარნა არცა იგინი არიან უმოქმედოდ მით რამეთუ, ანბავნი კეთილნი და ბოროტნი ექმნებიან მათ უმოქმედოდ, და ეგრეთვე სასმენელნი და ცნობანი უაღრესთანი.

ხოლო ვნება თჳნიერ მოქმედისა შეუძლებელ არს, გარნა ქმნა თჳნიერ მოქმედისა და ვნებისა შესაძლებელ არს, მით რამეთუ ჯდომაჲ რომელ არს ქმნა არს თჳნიერ ვნებისა, რამეთუ მჯდომელი არს მოქმედი და ჯდომა არს ქმნა. ხოლო ამას

ვნებაჲ არა იხილვებს. გარნა დასმასა შინა იხი-
ლვებს ვნებაჲ, ვინაჲდგან სხჳსა მიერ დაისმის,
და არა იქმნების თჳნიერ დამსმელისა, რომელი არს
ქმნა; და ამისთჳს დასმა და ჯდომა, ორნივე
არიან ქმნა, გარნა ერთი არა არს სამოქმედო
ვნებისა; ხოლო მეორისაგან იქმნების ვნებაჲ.

არქი. რაჲ არს სადაჲ?

იო. სადაჲ არს, რომლითა იხილვების ადგილო-
ვანი ადგილსა შორის მყოფობაჲ. მაგალ. თქმითა
ამით ვითარმედ სადა არს ეგე რომელიმე გუამი?
მიუგებთ: აქა, გინა იქი, გინა მუნ, აჰა თქმითა ამით
დანიშნულ-იქმნა ადგილი რომელსა სადაჲ.

არქი. რაოდენი მნიშვნელობა, ანუ განწუალება
აქუს სადასა?

იო. ორი. ესეიგი. შინაგან, და გარეგან. შინა-
განი არს ვითარმედ თქუას რა ქალაქსა შინა,
გინა დაბასა შინა, ანუ სახლსაშინა, რამეთუ
ესე არს შინაგანი, ხოლო გარეგანი არს,
რამეთუ ითქუას რა, ვითარმედ გარეგან ქალაქისა,
გარეგან დაბისა, ველსაზედა და სხუანი ესე
ვითარნი არიან გარეგანნი.

არქი. გარდა ამისა კუალად განწუალება აქუს

სადასა.

იო. ჵე, კჳალად განიწჳალების ორად: ესე იგი, განრემზომაბითად და უგამრეზომოდ. განრემზობითი არს ესე; ითქჳას რა ზნეობასა შინა, და ქჳჵნასა შინა, რამეთუ ზნეობა არს განრემზომი ქჳჵნაჲსა, და ქჳჵნაჲ, ზენაჲსა, ხოლო უგანრემზომო არს ესე, რამეთუ ითქჳასრა, ქჳჵყანასა ზედა, ანუ სასლსა შინა, ესენი არაარიან განეუმზომ.

არქი. რაოდენი არიან მდევარნი სადაჲსა?

იო. ორნი, ესე იგი პირველად რამეთუ არა შეიწყნარების უმეტეს უდარესობასა, რამეთუ თქმითა ამით. არა ყოფ ყოფაჲ არა არს უმეტეს ხრცა უდარეს ადგილის მპყრობელისამებრ, ვითარმედ იქა ყოფისა, მით რამეთუ ამას შინა არა უდარესობა არს არა უალრესობა,

მეორედ, რამეთუ არა მიითვალავს წინაალმდეგობასა, მით რამეთუ აქა ყოფაჲ არა არს წინაალმდგომ იქა ყოფისა: გარნა რომელნიმე ჰგონებენ, ვითარმედ წინაალმდეგ არს ზენად ყოფაჲ, ქჳჵყანად ყოფისა, მაგრამ არა არს წინაალმდეგ მით რამეთუ ზენაჲ არა იქმნების თავით თჳსით, არამედ ქჳჵყანაჲსა არს ზენაჲ, რამეთუ ზენაჲ და

ქუენაჲ ურთიერთისა შორის არიან, რაჲსა მიმართნი, რომელნი არა იპოვებიან წინააღმდეგნი და დახსნიან ურთიერთსა, ხოლო ზენაჲ და ქუენაჲ რომელ არიან რაჲსა მიმართნი ურთიერთს მსგავსებით შედგებიან, მაშასადამე ზენაჲ და ქუენაჲ და სხუანი ესე ვითარნი, რომელ არიან რაჲსა მიმართებრ არა არიან წინააღმდგომ და ესრეთ, სადაცა არა არს უმეტეს უდარესობა, მუნ არცა წინააღმდეგობა არს. ხოლო ჰქრობასა შინა. ადგილად იტყჳან სხეულსა სულისასა, დალაცათუ შესაძლებელ არს თქმად აქა სხეულსა შინა ყოფაჲ სულისა, გარნა ესე არა არს ადგილის მპყრობლობისამებრ, არამედ მსწრაფლ განვლისამებრ, რამეთუ სულსა მსწრაფლ განუვლიეს ყოვლადსა სხეულსა შინა, და ესე ცხად არს რამეთუ არარაჲმე ადგილი უსხეულოჲსაგან აღივსების, ვინა დაცალიერდების. მაშასადამე სადაჲსა არს სხეულებრ ადგილ ყოფაჲ; გარნა დედაჲცა ითქმის სხეულებრ, მით რამეთუ სადაჲსამებრ ითქმის დედაჲ. ესეც ცხად არს კითხვისა და მიგებისაგამო, რომელიცა იქმნების სადაისამებრ, ვითარ, სადა დგას, სადა დგების, სადა მიერ-

ნობილ არს, ხოლო მიუგებს: აქა, იქა, სასლსა შინა და სსჭანი.

არქი. ოდესი, რაჲარს?

იო. ოდესი არს, რომელთა ჟამიერი ისილვე-ბის ჟამსაქჰწმე. მაგალ, ვითარცა თქმითა აწ არს ჰკჳრე და ჰავლე, რომელიცა არს ჟამიერი, არს ჟამსა შინა რომელა აწ: გარნა ამისა მეცნავ-იუავ, რამეთუ ოდესი არცა არს ჟამი და არცა ამისა მოძრაობისა ოდისა განმზომელი, ვინაჲდგან ჟამი განზომის მოძრაობისა, ვითარ. ჟამი, დღე, და წელი: ხოლო ოდესი არა არს, რაოდენი და არცა განზომის მოძრაობისა, ამისთჳს არა იწო-დების ოდესი ჟამად, და არცა ჟამისა ქჰწმე ქმნი-ლად. არა რაჲმედ არს თქმაჲ რომელი დანიშ-ნავს ჟამსა ქჰწმე უოფსა.

არქი. რაოდენად იწჴალების ოდესი?

იო. ორად: ესე იგი, სრულისამებრ და ოსვ-რისა. სრულისამებრ, ითქჳას რა, ვითარცა ჟამსა ალექსანდრე მაკედონელისსა, მლევლი-ქმნა დარი-ოზ. და ესგვარვე მსგავსნი ამისნი.

ხოლო, უსრული არს, ვითარმედ ჰირველ მოსვ-ლისა ქრისტესსა, მოვიდეს ილია, დასსჭანი.

არქი. მდევარნი ოდესისანი რაოდენნი არიან?

იო. ორნი. ესე იგი, პირველად არა მითუა-ლვა უმეტეს უდარესისა და არცა წინააღმდგომისა, რამეთუ დღევანდელი დღე, არა არს უმეტეს და არცა უდარეს ჟამისამებრ დღისა გუშინდელისა. მეორედ, რამეთუ არა აქუს წინააღდგომა, დღეინდელსა დღესა ხუალისათჳს, რათამცა არა იყოს ხუალისა დღე. გარნა წინააღმდგომთა შორის შეუძლებელ არს რათა იგივე იყოს, მეორეცა მით რამეთუ არა რაჲმე სათნოება იქმნების უთნოებად და ესთავე მეის-თანად, პირველობა, და უკანასკნელობა ოდესისამებრ ითქმიან მით რამეთუ რომელნი მასვე ჟამსა შინა ითქმიან მეის-თანად, ხოლო რომელნიცა არა არიან მასვე ჟამსა შინა ითქმიან პირუელად და უკანასკნელად. ხოლო ან უკუე მასვე ჟამსა შინა არს ოდესი. ესრეთვე და სხუასა ჟამსა შინაცა არს.

არქი. რაჲ არს მდებარეობაჲ?

იო. მდებარეობა არს სქესი (ანუ გუარი) დაადგილებისა სხეულებითისა არსებისა. მაგალ. ჯდომა, დება და სხუანი,

არქი. რაოდენად იცუალების მდებარეობაჲ?

იო. ორად. მგრძნობელად და უგრძნობელად: გრძნობელად იტქმის ჯდომა, მიყრდნობა და წოლა, ამისთჳს რომელ ესე ვითარისა მდება არა იქმნების უგრძნობელთა ზედა: ხოლო უგრძნობელი არს, სქესი დებისა, ესე იგი, დებული, განფენილი, აღმართული, რამეთუ ესე ვითარნი, უგრძნობელთა ესაბამებიან. გარნა ოდესმე, დება და განრთხმა, გრძნობელისაცა იტქმის ვითარ კაცი მდებარე, ცხენი განრთხმული და ვითარნი, ხოლო საუწყ არს ესეცა, რამეთუ რომელნიცა მდებარეობასა ქუეშე არიან, იხილვებიან მრჩობლსა მნიშვნელობასა შინა. მაგალ. ვითარცა ჯდომა არს ქმნა და დება, მით რამეთუ რომელიმე ზედგომისაგან იწყების ჯდომასა, რომელ არს მოძრაობაჲ და ესე არს ქმნა. ხოლო ჯდომა დანიშნავს შესახედავსა რაჲმესა უძრავად, და ესე არს მდგომარეობა და სხჳანი.

არქი. მდებარეობასა რაოდენ ქონან მდევარნი?

იო. სამნი, ესე იგი, ჰირჳტლად არა მითჳალვა უმეტეს უდარესობისა, რამეთუ ჯდომაჲ, ანუ მიყრდნობაჲ, აქა, ანუ იქ, არა არს უმეტეს და უდარეს აქა ჯდომითა, და იქა ჯდომითა, რამეთუ

ორსავე ჰქონან ერთი ძალი, ხოლო უკეთუ თქუას ვინმე ვითარმედ რომელიმე მიყრდნობილი არს უგანსვენებულესად მეორისა, მაშინ მიუგებთ მას, ვითარმედ რომელიმე მიყრდნობილი უგანსუენებულესად იქნების რომლისამე მიყრდნობილისა, ესე იგი სამთა შეხებითა, და არა სახისამებრ მიყრდნობა, ჰავლესაგან, ხოლო ხსუებრ უკეთუ ვინმე იკადროს უბნობად მიყრდნობისაგამო იქმნების, ანუ სიამისაგამო სხეულისა, არამედ სახისამებრ მიყრდნობაჲ ერთ არს.

მეორედ, არა აქუს წინააღმდეგი, მით რამეთუ არა იპოების უმეტეს უდარესობა, ხოლო სადა არცა უმეტესობა არს და არცა უდარესობა, მუნ არცა წინააღმდეგობა არს; მაშასადამე რომელიმე მიყრდნობა არა წინააღუდგების რომელსამე მიყრდნობასა და არცა ჯდომაჲ მიყრდნობასა.

მესამედ. რამეთუ მდებარეობა სხეულისად ითქმის: გარნა მდებარენი სხეულნი მყვებიან მარადის მდებარეობასა შინა თჳსსა, უკეთუმცა არა ექმნებისთ მათ სხუაჲ მაიძულებელი მიზეზი მოძრაობისა და მლოდისა. ხოლო მიყრდნობაჲ ჰეტერესი იტქმის უკუე ძალად, მაშა სადამე ძალად,

საკუთრად მდებარეობისამებრ ითქმიან.

არქი. რაოდენი მნიშვნელობა აქუს ქონებასა?

იო. ორი. ესე იგი, ვითარებითი, და ადგილობითი. ხოლო ვითარებითი არს, რომლითა მქონებელი განვითარდების ქონებითა. მაგალ. ვითარცა ქონებითა, სათნოებისათა განვითარებულ იქმნების, და ნაჭრებითა ჴსწავლისათა გავითარებულ იწოდების, და აგრეთვე რომელსაცა აქუს მამობა ითქმის მამად, და რომელსაცა ნაკუწთისა აქუს სამკუთხეობა, ითქმის სამკუთხედ და სხუანი.

და ადგილებითი არს, რომელსაცა ზედა ნივთი რაჲმე დაადგილებულ იქმნების და ნივთისა მისგან ქონებით მქონებელი გავითარდების. მაგალ. ბეჭედი, რომელიცა თითსა ზედა არს დაადგილებული, და შესამოსელი გუამსა ზედა, ქონებითა მისითა მქონებელი არს გავითარებულ. ხოლო დაადგილებითი, ვითარებაჲ რომელიმე ითქმის მგრძნობელისადმი, ესე იგი, მგრძნობელისადმა, რამეთუ კერძო არს ყოვლადსა თჳსსა შორის დაადგილებულ, ვითარცა თითი, ანუ ხელი, ანუ სხუანი ასონი, გუამსა შინა დაადგილებულ. ხოლო უგრძნოჲსადმი დაადგილება არს, ვითარცა სა-

უნჯესი მისა, საუნჯე, და ქჩწვრისა მისა ღვთისა. ვარნა ესენიცა იქმნიან ქონებად ვითარებისა.

არქი. ქონებისა მდევარნი რაოდენნი არიან?

იო. თრნი. პირველად მითვალვა უმეტეს უდარესობისა, ვითარცა წლევანდელისა წლისა უმეტეს აქვს რიცხვ შარშანდელისა, (*) მეორედ მითვალვა წინააღმდეგობისა, მით რამეთუ ზედ მიწევნილებისა ქონად, წინა აღუდგების უმეცრებისა ქონებასა და კვალად მესამდებელ არს იქმად ქონებისა, ვითარცა იქვსას რა, სავსება და ნაკლულება, უფრედურებითი და ბედითი და სხვანი მსგავსნი ამისნი. ხოლო რომელნიმე მიაწერენ სხვა და სხვა სასუსა ქონებისადმი, გარნა პაექრობისათვის იქნების, და ესე ვითარნი მემსგავსიებანი, ანუ იქნებიან მოგებითისამებრ, ანუ რაჲსა მიმართობისაებრ და ესე გვარნი მემსგავსებანი არ არიან საკუთარ ქონებისა.

არქი. მითხარ მე, ამა ათთა მესმენათა საკუთრება თჳთეულთა რაჲ არს?

---

(*) ესე არს ესე: უკეთუ შარშანდელი წელი იყო ქრისტეს აქეთ **1798** წლევანდელი უკვე წელი არს ქრისტეს აქეთ **1799** აქა იხილე უმეტესობა წლევანდელისა.

იო. მე მაგათთჳს ზემორე მოგახსენენ. ხოლო აქა მოკლედცა მოგითხრო: მაგალ. კაცი არს არსება; რიცხვი არს რაოდენი; მუსიკა არს ვითარი, დიდი არს რაჲსა მიმართი, წევე არს ქმნა, წვვა არს ვნება. ჯდომა არს დება, მჭურვა არს ქონება. ხოლო ოდესი და სადაჲ სატისამებრ არა შეისმინებიან თჳს ქუშე მყოფთა, მით რამეთუ არა ითქმის, ვითარმედ, აქა, არს სადაჲ. გინა, აწი, არს ოდესი, არამედ ითქმის, ვითარმედ: აქაჲ სადაჲსა არს, ხოლო აწი არს ოდესისა დასხჳანი. გარნა კითხჳსამებრ თჳსთა სახეთა მიმართ მყოფად ისილვებიან, ვითარ, ოდეს, დღეს, ოდეს, მოდან, სადაჲ, აქა, სადაჲ სახლსა შინა, და სხჳანი.

არქი. ამა ზემოხსენებულთა ათთა შესმენათა განნი სრულებით მიიღებენ უმეტეს უდარესობასა, და წინაალმდეგსა, და მოძრაობასა, პირველსა და უკანასკნელობასა, და მის თანადობასა, უკეთუ არა?

იო. არა ყოველნი, არამედ რომელნიმე მიითჳალვენ უმეტეს უდარესობასა და წინა აღმდგომსა და რომელნიმე არს და რომელნიმე არიან მოძრაობასა შინა და რომელნიმე არა. ხოლო რომელნიმე ითქმიან პირველად და უკანასკნელად და მის

თანადი და რომელნიმე არა:

არქ. ყოველი საყოველთაოთ არსებაჲ ანუ შემთხჳევითი, მიითჳალავს უმეტეს უდარესობასა, უკეთუ არა?

იო. არა მიითჳალავს უმეტეს უდარესობასა, მით რამეთუ საყოველთაონი იგივეობასა შინა არიან, არსებითი, ანუ შემთხჳევითი, რამეთუ თჳთე- ული საყოველთაოჲ არსებითი წასა რაჲმე არს. ხო- ლო დალათუ უსაყოველთაოესნი შემთხჳევითნი შე- მსგავსებითა არსებითისა ნათესავისათა იქმნიან შემთხჳევითად, გარნა სახეთა და განუკჳეთელთა თჳსთა მიერ არიან არსებანი, ხოლო ესე ცხად არს, რამეთუ, რომელიცა, რაჲ არსობისა შორის შეისმინების, არსება არს. ხოლო ფერი თეთრისა რაჲ არსობისა შორის შეისმინების, და ესრეთ სხუანიცა უსაყოველთაოესნი ეს გუარ იმცენ.

ხოლო განუკჳეთელნი არსებანი არა მიითჳა- ლვენ უმეტეს უდარესობასა. არსებისა რაოდენო- ბასა და სხუათა რომელთამესა, გარდა რომელთა- მე საკუთრებათა თჳსთა, კიდე შემთხჳევითისამებრ რომელ, ვითარმედ სიმართლე პლატონისა უფროს არს სოკრატისა.

არქი. გარემზომობისა განწყალებანი რაოდენნი არიან?

იო. ოთხნი. ესე იგი 1) რაჲსა მიმართობითი 2) წინააღმდეგობითი. 3) მოკლებითი, და 4) განრემზომობითი. რაჲსა მიმართობითი განრემზომობა არს ურთიერთისა მიმართ ბრუნვით, ვითარცა ცხად არს ზემორე რაჲსამიმართისა შინა. ვითარცა უფალი მონისა არს უფალი და მონა, უფლისა არს მონა, და სხუანი. წინააღმდეგობითნი არიან ორნი, ესე იგი, საშუალობითი, და უსაშუალო. საშუალობითი არს, რომლისა შორის იხილვებოდეს საშუალობაჲ. მაგალ. სიმხურვალესა, და სივრილესა შორის ნელ ტფილობა, რომელიცა არს საშუალ მდგომარე, ხოლო უსაშუალობითი არს, რომელსაცა შორის საშუალი არა რაიმე შემოილებს, მაგალ. ვითარცა სიმრთელისა შორის, და სნეულობისა არა რაჲმე საშუალო შემოიტანების; გარნა საკუთარნი თჳსებანი რომელთამე ნივთთა არცა საშუალოდ და არცა უსაშუალოდ დაიდებიან, ვითარცა საკუთრად ცეცხლისა მხურვალება არა იცვალების სივრილედ, და ეს სახედ არცა, სივრილე თოვლისა

მხურვალებად, ხოლო მესამედცა ითქმის განრემზომისად, შემწყნარებლობაჲ, და ესე არა განრჩევით შეიწყნარებს ერთსა ამათგანსა, არამედ შესდომისამებრ რომელსამე შეიწყნარებს, ვითარცა წყალი ოდესმე მხურვალე არს, ოდესმე გრილ, და ოდესმე ნელ-ტფილ და სხჳანი.

3) მოკლებითი არს, რომელიც არს ანაგები და მოკლება ანაგებისა. მაგალ, ვითარცა მხედველობა თჳალისა, რომელიცი არს ანაგები განუკვეთელთაჲ და უკეთუმცა გამო რომლისამე მიზეზისა, მოკლებულ იქმნებისმცა ითქმის მოკლებულ განრემზომად. ხოლო რომლისა შორის არა არს დამკჳდრებულ თჳალი, მუნ არცა ითქმის მოკლება, რამეთუ არა რაჲმე ნერგი იწოდების ბრმად ანუ თვალ მოკლებულად და სხჳანი.

4) განრემზომობითი განრემზომობა, არს იგი, რომელიცა რომელთაგან ერთი მეორესა უკუთქმიდეს, მაშინ ან იქმნების ერთი მართალ ანუ ჭეშმარიტ. ხოლო მეორე ცრუ ვითარცა ითქუას რა, პავლე არს სნეულ, პავლე არა არს სნეულ, აჰა ამას შინა საჭიროდ ერთი ვიდრემე არს ჭეშმარიტ და მეორე ცრუ. ხოლო უკეთუ არს სნეულ,

არა სნეულეობა არს ცრუ, და უკეთუ არა სნეულ არს, მაშინ სნეულეობა არს ცრუ. და ესრეთ უკე-თუ არა სნეულ ეობა არს ჭეშმარიტ, სნეულეობა იქმნების ცრუ და სხჳანი.

არქ. რაჲ არს მოძრაობაჲ?

იო. მოძრაობა არს ცჳალება ადგილისა.

არქ. რაოდენი განწჳალება აქჳს მოძრაობასა?

იო. ექჳსი, პირველი მყოფობა, მეორე, ხრწნილე-ბე, მესამე აღორძინება, მეოთხე მოკლება, მეხუ-თე ადგილებრ ცჳალება და სხჳა სხჳაობა. ესე-ნი არიან ურთიერთ არს განრყუმხომ და პირის პირ მბრძოლ. ხოლო ეგანრყუმხომებს ქმნასა ხრ-წნილება. აღორძინებასა, მოკლება. ადგილისამებრ ცჳალებასა, ადგილობითი დაყუდრება, ანუ ადგი-ლისამებრ წინააღმდეგ მოძრაობა, მით რამეთუ ზენად ქჳჩნად მჳრა, წინააღმდგომ ისილვებს, ქჳჩნათა ზენად მრვასა, ხოლო სხჳა სხჳაობასა ესე არს რომელ, სხჳა რაჲმე უწინააღმდეგოს სხჳასა და განსხჳავდეს მით, ვითარცა სიმხურ-ვალისა შემოსვლა ეწინააღმდეგოს დაცხრომასა სიგრილისასა.

არქ. უპირველესისა სახისა განწჳალებანი რა-

ოდენი არიან?

იო. ხუთნი. ესე იგი, 1) ქამისამებრ. 2) ბუნებისამებრ. 3) დასისამებრ. 4) პატივისამებრ. 5) მიზეზისამებრ.

1) ჟამისამებრ, რომელიმე უძველეს ითქმის რომლისამე. მაგალ. შემდგომად ალექსანდრე მაკედონელისა, დაიდგინა ეგვიპტელთა ზედა მეფედ პტოლომეოს.

2) ბუნებისამებრ არს, რომელი არა გარემოიქცევის მყოფობისამებრ. მაგალ. რამეთუ იყოს რა კაცი საჭიროდ არს ცხოველობაცა. ხოლო უკეთუ იყოს რა ცხოველი, არა საჭირო არს ყოფა კაცისა, აჰა რამეთუ ბუნებით კაცსა შინა უპირველეს არს ცხოველი, ანუ ცხოველობა, ესსახედვე რომელ, ვჰსაუქმეთ რა ორი უეჭუელად არს ერთიცა. ხოლო იყოს რა ერთი, არა საჭირო არს ყოფა ორისა. აჰა ერთი უკუე უპირველეს არს მეორისა.

3) დასისამებრ. მაგალ. ვითარცა გრამმატიკასა შინა უპირველეს არს ასოჲ, მარცუალთაზედა, და დიალეკტიკასა შინა წინადადებითნი უპირველეს არიან კიდურმდგომობისა სახელსა შინა საფუძუელ-

ლდი უპირველეს არს ზღუდისა, ეს სახედვე და-სისამებრ უპირველეს არს, სპასპეტისაგან, ასის-თავისა, მით რამეთუ სარისხისამებრ მედგების ერ-თი მეორე.

**4)** პატივისამებრ. ოქრო უპატიოსნეს არს რკი-ნისა, მეცნიერი დიალიკტიკისა პატივისამებრ უპი-რველეს არს, ვიდრე მეცნიერება მჭედლისა, და სპასპეტი და სხჳანი.

**5)** მიზეზისამებრ. პეტრე უპირველეს არს თჳს-გან ქმნილისა არტიკულისა, აჰა მიზეზი პეტრეჲ და სამიზეზო არტიკული, ხოლო კელ ყოფა პეტ-რესი არს მიზეზ არტიკულისა, გარნა არა არს არტიკული მიზეზ პეტრესი, არამედ კელკება პე-ტრესი არს ჭეშმარიტი მიზეზ არტიკულისა, და ესრეთ გონება უპირველესად დააწყსებს ყოფასა მიზეზისასა, ვიდრე სამიზეზოსასა, გარნა არა ესრეთ არს, რამეთუ შეუძლებელ არს ყოფა მი-ზეზისა, თჳნიერ სამიზეზოჲსა.

არქი. რაჲ არს მეის თანადი?

იო. მეის თანადი არს რომლისა ყოფაჲ, ანუ ქმნაჲ იყოს მასვე ჟამსა შინა.

არქი. ვითარ?

იო. ითქუა რა კაცი მეის თანად იქმნების მოცინარი.

არქი. რაოდენად იწჳალების მეის თანადი?

იო. ორად. ესე იგი ბრუნვისამებრ მეის თანადი მრწობელი არს ერთი იგი გარემოქცევისამებრ, და არა გარე მოქცევისა. ხოლო გარემოქცევისამებრ ესრეთ, რომელიცა შეიცჳალების და გარე მოიქცევის, თქმითა ამით, მაგალ. ვითარცა ყოველი არს უკუდავი, და უკუდავ არს ყოველი. ესთავე, ორი ხლისა ყოვისა შეჳწუწლად ნახევრისა ყოვასა ორი წილისამე არს და სხუანი. ხოლო მეორე არა გარემოქცევითი, იგი არს რომელიცა ნაცვლად ერთი ერთისა არა დაიდებოდეს და არცა გარემოიქცევოდეს, ვითარცა განიწჳალოს რა ცხოველი, განიწჳალების მეისთანად სიტყვიერად და უსიტყვოდ. ხოლო არივე ითქმის, და არცა გარმოიქცევის, ვითარ სიტყვიერი იყოს უსიტყოდ და უსიტყჳ სიტყჳერ რომელ ესე არს შეუძლებელ და ესრეთ რაჲცალა არსთა აქჳთ თჳსთჳსი საკუთრებაჲ მეის თანად შეოფობაცა აქჳნ ამასთანა.

არქი. რაჲ არს სილოგიზმო?

იო. სილოგიზმო არს სატყჳა, რომელსა შინა, რომლითამე ცნობილითა უცნაური იცნობების.

მაგალ. ყოველი ორმილი მოზარდი არს, ყოველი მოზარდი ცხოველი არს, მაშასადამე ყოველი ორმილი ცხოველი არს, და იქმითა ამით გამოჩნდა მოზარდისა ცხოველობა. ესე ყოველთა უწყიან, ვითარმედ რომელიცი იზრდების ცხელ არს, გარნა რომელისა ცხოველობა უცნაურად აღუჩნდების კიეთმე, მაგრამ წინა ჩამოგდებითა ეცნობებისთ რამეთუ რომელიცა იზრდების ცხოველ არს. მაშასადამე ორმილი ცხოველი არს, რამეთუ ორმილი უეჭველად იზრდების. გარნა ცხოველობითი მოზარდობა არცა ანგელოსსა და არცა ორმილსა მიეწერების მით, რამეთუ ცხოველობითი მოზარდობა მგრძნობელთა არს, ესე იგი კაცისა, და პირუტყუთა, ხოლო ორმილობა საკუთრად მცენართა არს, და არა ცხოველობა. გარნა მოზარდობად არს საკუთარი კაცთა, პირუტყვთა და ორმილთა; მით რამეთუ, სხეულისა არს მოზარდობა.

არქ. რაოდენნი არიან კანონიერნი სხეულნი შესატყუეწობაებანი სილოგიზმოსა შორის?

იო. სამნი. ესე იგი, სამთა საზღვართა, და ორთა წინა დადებათა და ერთისა კიდურ მდგომარეობასა. ხოლო საშუალი საზღვარი სამთა

გუართაებრ შეისხულ იქმნების, ორთა წინა დადებათა შინა, რომლისათჳსცა სამნი არიან ნაკუეთნი მესიტყუეობისანი.

პირუელი. ვიდრემე ნაკუეთი არს, რომელსა შინა საშუალი საზღუარი ქუემდებარე იქმნების უდიდესისა წინაჩამოგდებისა შორის, და უმცირესისად შეისმინების. მაგალ. ყოველი ცხოველი კაცი არსება არს.

მეორე. ნაკუეთი არს, რომელსა შინა საშუალი საზღუარი ორთა წინა ჩამოგდებათა, შორის შეისმინების. მაგალ. არავინ კაცი არს უსხეულო. ყოველი ანგელოსი არს უსხეულო. მაშასადამე არავინ ანგელოზი არს კაცი.

მესამე. ვიდრემე ნაკუეთი არს, რომელსა შინა საშუალო საზღვარი ორთა წინა-ჩამოგდებათა შორის ქუემდებარე იქმნების; მაგალ. ყოველი ყორანი ცხოველი არს. ყოველი ყორანი შავი არს, მაშა-სადამე რომელიმე შავი ცხოველი არს.

ხოლო სამთა ამათ ნაკუეთთა ჰქონან მრავალ გუარობანი, რამეთუ საყოველთაოსა და კერძოობითისამებრ წართქმისა და უკუთქმისა შედგებიან სხუა და სხუა გუარად, ხოლო არიან რიცხვით

ათცხრამეტ, რათა თჳთეულმან თქმობამან აჩჳენოს გჳარი თჳსი, რომელნიცა არიან შემდგომნი. ესე: ბარ ბარა. კერე, სარ, მელ. და, რი, ჭარ. ჭერ, ინ, დო. ბალ, ან, გიქ. კევ, ნაჳ, სერ. და, ლი, მილ. ჭამ, რეს, ცოლ. ვიმ, სერ, ცირ. კევს, რა ვერ. კად, რეს, ცეს. ჭელს, ზი, ლორ. ბალ, მორ, მივ. დარ, გა, მირ, ვერ, აგ. ნო. დიმ, რა, მიც. და, მი, ლირ. ბო, შა, ქორ. ვერ, იმ, ზის.

არ:ქ. გარდა ამისა არიან სხჳანიცა ნიშანნი მაჩჳენებელნი გჳარისანი?

იო. ზემო ხსენებული უკჳე ნიშანნი განიყო-ფებიან სამად, პირველი ნიშჳნენ გჳართა პირვე-ლსა ნაკჳეთთასა, და ესე განიყოფების ცხრად, საშუალად დასხმითა მარცჳალთათა, ვითარცა, ბა-რბა რა, ვიდრე ვ, ირ, სერ, ცირ-ადმდე, რომლისა ნაკჳეთსა შინა ერთსა წინადადებასა შინა იქმნების ქჳემდებარე, და მეორისადმი შეისმინების. ესრეთ, ყოველი ცხოველი არსება არს, ყოველი კაცი ცხო-ველი არს, მაშასადამე ყოველი კაცი არსება არს. და სხჳანი იხილეთ კატიღორიასა შინა.

მეორე ნაკჳეთი არს, რომელსა შორის იგივე შეისმინების ორთა წინადადებათა შინა და ჰქონან

გჳარნი, ექჳსნი და სხმითა ზემოხსენებულთა მარცჳლებათა, ესე იგი, დარ, გამირ, ვიდრე, ვერ, იმ, ზინ, ამდე. ხოლო ამის გჳარნიცა სილოგიზმო არს ესე, ყოველი კაცი არს არსება, ყოველი კაცი არს ცხოველ, მაშასადამე რომელიმე ცხოველი არს არსება და სხჳანი. ისილე დიალეკტიკასა შინა.

ხოლო სხჳა ნიშანნი, ყოველსა შინა თქმობისა არიან უკჳჱ ჴმოვანნი ასონი, ესე იგი, ა. ე. ი. ო. ა-ნი არს წართქმითი და ე-ნი უკუთქმითი და ორნივე არიან საყოველთაონი. ხოლო ი-ნი არს წართქმითი, და ო-ნი უკუთქმითი, და ორნივე არიან კერძოობითნი, და თჳთეული თქმობა არს სამ მარცჳალ. პირველი მარცჳალი ჰნიშნავს უდიდესსა წინა დადებასა, მეორე უმცირესსა, ხოლო მესამე კიდურ მდგომარეობასა. და ესეც ისილე, ზემო განწესებულთა გჳართასა, ხოლო გჳარი არა სხჳა რაჲმე არს, გარნა განწესება ორთა განწჳალებათა წინა ჩამოგდებათა, ზიარებულთა ერისამებრ საზღჳრისა, ვითარ ყოველი ცხოველი არსება არს, ყოველი კაცი ცხოველი არს. ცხოველი კაცი ცხოველი არს, აჰა, აქა არიან გან-

არქი. სწორედ ჭეშმარიტად, ცხრა წუწნას. მაშინ იოანემ, ყოვლად სამღუდელო, ცხრა წუწნას ვემასით ცხრა გუარს სამარსოს აურევთ ერთად და შეჭამადად შევაგბობთ მონასტრებში. შობისა და ნათლის ღებისა წინა დღეს და იმას მივიღებთ.

არქი. არა. ამას არა გკითხავ, ჩემს ცხრა წუწნას გკითხამ.

იოანე დარჩა კიდევ უთქმელი, მაშინ ზურაბმა უთხრა იოანეს, ცისა და ქუეყნისას ყოველსა ტყობულობ, და ამასკი ვერ მისუდი. ყოვლად სამღუდელო თავის მჯლი მჯლს კიკოს გკითხავს.

იო. უი, ჩემ თავს, ეგ რა საკელია?

ზურაბ. ცხრა გუარი გემო იცუალა, და ამისთჯს დაარქუეს ცხრა წუწნა.

იო. ყოველი სოფელში მეოფი კაცი უნდა მეცადინეობდეს თავის გუარის გაღჯმებასა, და რა საწუნელია.

არქი. ხრა, ყოველივე ზომიერებით უნდა. მაგრამ ახლანდელნი შჯლნი არ არიან მორჩილ თჯსთა მშობელთა.

იო. ეგე ჭეშმარიტია, მაგრამ უკანასკნელი გა-

მია, მოციქულიც ასე ბძანებს «უკანასკნელთა ჟამთა ურჩობასა შჳლთაგან თჳსთა მშობელთასა» და ამა უბნობით დაასრულეს ვახშამი. მერე აღჰსდგა იოანეცა, ეამბორა არქიერს, და წარვიდა სადგურსა თჳსსა.

პირველის ტომის დასასრული.